ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

2

1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომკავშირს!

ძნელი გზა გაქვს განვლილი ბრძოლისა და შრომის!
ჰგავხარ. — მტკიცეს რვალივით, — შენს ძნელაძე ბორისს!
მეცხრე ცაში დაფრინავ დღისითა და ღამით!
გაქვს გმირობის ტრამპლინად: ენგურჰესი! ბამი!
ჩაი! ვაზი! მინდორი! დაზგა! ჩარხი! დგანი!
მერხი! ფუნჯი! კალამი! ბურთი! მოედანი!..
გაქვს მამულით გამთბარი: სისხლი! ხორცი! ძვალი!..
ხარ ყელამდე მართალი! — ამირანის ძალის!
გიჭრის ავთანდილივით გონება და თვალი!
გულითაც და სულითაც გოლიათად გცანი!
შრომის ცეცხლით ინთები! — იმეორებ, თითქოს,
წინაპართა დიდებას — ასპინძას და დიდგორს!..
შესძლებ მტკიცედ გაძლებას! — არ დაუშვებ წამით! —
წინაპართა დაძლევას — მარაბდას და კრწანისს!..
ახლა, როგორც არასდროს, შენ სჭირდები მამულს! —
მის ოლიმპს და მარათონს! მის სინდისს და ნამუსს!
დე, დიდ წარსულს უვლიდე და ჰბაძავდე, თანაც, —
ცხრა ძმა ხერხეულიძეს და არაგველს სამასს!..
შენ — მამულის სინედლევ! ყლორტო — ყოვლისშემძლევ!
ერი თავის იმედებს დღეს ამყარებს შენზე! —
საქართველოს, თუ გინდა, საქართველო ერქვას, —
წინ იარე ქუხილთან და ელვასთან ერთად!
აღმოჩენით დამუხტე სიჭაბუკის ჟამი!
დაბრკოლებებს ჩაუსტე! — თავს დაამხვე ბანი!
სიახლეებს თამამად გაუხსენი გზანი!..
და წინსვლისთვის მოჰფინე გზანი იგი მწვანით!
ბოროტება ამხილე და მოუღე ბოლო!..
და დამოკლეს მახვილი აღუმართე ბოროტს!
ღონით ჰგავხარ მღელვარ ზღვას! დუღხარ! სწავლობ! შრომობ!
შენკენ მოდის ყველა გზა, საქართველოს რომ!
გმირობასთან გარითმე ეგ მარჯვენა გამრჯე!
საქართველოს, ხვალინდელს, წარუმართე საჭე!
უფრო მძლავრად ბრწყინავდეს შენი ნათლის სვეტი!
მეტი, მეტი სინათლე და მიღწევა მეტი!
იყოს მარად მზეგრძელი შენი დროშის გაშლა!
ვაშა შენ და შენს მერმისს! შენს ყრილობას ვაშა!

ზაურ ბოლქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკვიდრო

249

გამოცემის მეოცე წელი

2

თებერვალი

1978

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

3. ოცდამეთერთმეტე რესპუბლიკური...

8. დურგიშვილი ცინცაძე — თავისუფალ ერთა ქმარ ოჯახში

პროზა, პოეზია

12. ჯანსუღ ჩარკვიანი — პარალელური ხაზები. პოემა

24. ნოდარ დუმბაძე — მარადისობის კანონი. რომანი. დასასრული

101. რაპაზ გელეკაშვილი — ლექსები

02. გია ბენიაძე — ლექსები

კრიტიკა

104. გურამ ასათიანი — პოეზია და „სხვა"

116. გ. ბარგიანი, ა. გენდელიანიშვილი, ვ. გუჩუა — ი. ანთელავა, „XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის", გამომცემლობა „მეცნიერება", 1977, გვ. 1-226.

პოლემიკა

121. ზოთა ნიფნიანიძე — პაუაჭკინტელა სოფიზეგი და დიდი რეალობა

ხელოვნება

131. ემზარ კვიტაიშვილი — მხატვრის საქმარო

136. გივი ბარამიძე — ფილმი ოცნებებით გასხივოსნებულ ადამიანებზე

პრობლემები

140. ნოდარ ბალოლოგლიშვილი — როგორი იქნება მოთავაული ქალაქი?

პირველი უთაგებდილება

146. ჯარჯი ფხოველი — ილია ჭავჭავაძის ორტიენეული

147. რეპაზ რევაზიშვილი — პოეტისადმი მიძღვნილი ქრებტლი

147. გურამ გვერდწითელი — დიდი წინაპრის გახსენება

149. რამაზ წითლიძე — წიგნის მისამართია: ახალგაზრდობა!

150. გივი ალხაზიშვილი — ორი მოთხრობა

151. ელდარ ნიკურაძე — პირველი წიგნი

სპორტი

152. თენგიზ გიორგაძე — ანატოლი კარპოვი: მატჩრევანში ალბათ არ დამბრუნდება...

იუმორი

156. ტი-ტია — პაროდიები

158. ქულტურული ცხოვრების ქრონიკა

მთავარი რედაქტორი
გურამ ფანჯიკიძე

სარედაქციო კოლეგია:
ბაბუა აბირეგიანი, გურამ გვერდწითელი, გივი გეგეჭკორი, რისმან გორდეზიანი, გიორგი გუგლია, ნოდარ დუმბაძე, მერაბ ელიოზიშვილი, ედუარდ ენგაგდე, იოსეფ ორეზონიანი, ოტია კაპანორია, (მთ. რედაქტორის მოადგილე) ჯანსუღ ჩარკვიანი, ნუგზარ წერეთელი, ტარიელ ფანჯარია, რეზო ჭეიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოცდაათერთმეტე რესპუბლიკური...

ახალგაზრდებო! ... ეგი ახლობელია ყველა თაობის, ყოველი ახალის ადამიანისათვის, რადგანაც განსახიერებს საზოგადოების იმედებს, მომავლის რწმენას, წარმოგვიდგება როგორც ყოველივე ახლის, ოპტიმისტურის, მზანსწრაფველის და გამეფილის სიმბოლო. ახალგაზრდობის მხარდაჭერა და თავდადება ყოველთვის გვევლინება დიდი წამოწყების, საქმის გამარჯვების გარანტიად.

ჯერ კიდევ გუშინ ახალგაზრდობა სისხლითა და ჯოფით ამყვიდრებდა რეგოლუციას, დღეს იგი აშენებს გზებსა და ქარხნებს, მაგისტრალებსა და ახალშენებს, ამბობს თავის სიტყვას მეცნიერებასა და ხელოვნებაში — ქმნის ყოველივე, რისი ნაყოფიც სრულიად მომავლმა თაობებმა უნდა მოიწიონ.

სწორედ ამიტომ, ახალგაზრდათა ყოველ თავერილოსანსა და შეკრებას მოუთმენლობითა და ინტერესით მოელის საბჭოთელის ბედ-ილბლით დაინტერესებული ყოველი ადამიანი. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ასეთი შეკრება რესპუბლიკური კომკავშირული ყრილობის სახელს ატარებს.

დღეს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის, კომკავშირელთა რიგით 31-ე თავყრილობის ზღურბლთან ვდგავართ.

რამოდენიმე თვე აშორებს საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობას ამ უდიდეს მოვლენათაგან, რომლებიც ახლახან იზეიმა ჩვენმა ქვეყანამ და რომელთა მძლავრი გამოძახილი საბჭოთა ადამიანების უსაზღვროდ გაზრდილ შრომითსა და პოლიტიკურ აქტივობაში განივთებული მოგვეცოდინა.

დიადი რევოლუციის 60 წლისთავი, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუციის მიღება — ორი მოვლენა არსებითად განსულოფელი ურთიერთისაგან. — ჩვენი სახელოვანი ისტორიის ძმადგარი ნიშანსვეტია.

საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობა ეკრიბება იმისათვის, რათა განსაჯოს თუ როგორ შრომობს და ებრძვის საქართველოს ახალგაზრდობა ხუკ XXV ყრილობის დადგენილებათა, X ხუთწლედის ამოცანათა შესახრულებლად, როგორი მაჩვენებლებით შეხვდა იგი რევოლუციის სახელოვან იუბილეს და ახალ კონსტიტუციას. დასახოს ახალი ამოცანები საქართველოს ახალგაზრდობის წინაშე და ამ ამოცანათა გადაწყვეტის პერსპექტივები. გულახდილად და უკომპრომისოდ ინსჯელოს ყველა ის ნაკლოვანებანაზე, რომელთა აღმოფხვრის გარეშე ვერ განხორციელდება ჩვენი საზოგადოების მაღალი მიზანი.

და რომ სწორედ ამგვარად, ახეთი კუთხით აპირებს საქართველოს ახალგაზრდობა თავისი ფორუმის წარმართვას, ამას მოწმობს მისი დღითიდღე მზარდი შრომითი და პოლიტიკური აქტივობა.

ჩვენს ახალგაზრდობას, კომკავშირელთ კარგად ესმით რესპუბლიკაში მიმდინარე სერიოზული პროცესების მთელი სიღრმე და არსი. დღეს ისინი, როგორც არასდროს, გრძნობენ კომუნისტური პარტიის ყოველდღიურ ყურადღებასა და მხარდაჭერას, აღიქვამენ მას, როგორც გაწეული საქმიანობის მაღალ შეფასებას, სწორედ ეს დიდი, განუწყვეტელი ზრუნვა არის ახალგაზრდობის კარგი განწყობილებას, საზოგადოებრივი საქმისადმი გულთათვალ დამოკიდებულების, მისი შრომითი და პოლიტიკური ენთუზიაზმის მთავარი პირობა და საწინდარი.

საქართველოს ახალგაზრდობა დღეს მიზნად ისახავს — იზრომოს კომუნისტურად, ყოველგან და ყველაფერში იყოს მამების სახელოვანი ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე, ყოველდღიურ საქმიანობით დაამტკიცოს ლენინური პრინციპებისადმი ერთგულება.

დღეს სოციალისტური შენებელობის ავანგარდში შრომობს 62 500 ახალგაზრდა დამკვრელი მუშა, 9 154 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, 61 ათასი ახალგაზრდა მშრომელი, რომელიც პროდუქციას ხარისხის კომკავშირული გარანტიით უშვებს.

260 ათასი ახალგაზრდა მუშა მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი ლენინური კომკავშირის მატკაზე ხელმოწერის უფლების მოპოვებისათვის გაწეულ მოძრაობაში. ხალკომშრომად რესპუბლიკის მუშათა კლასის 60 ათასზე მეტმა ახალგაზრდა წარმომადგენელმა, 2400 კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ უპასუხა ქვეყანას, ხუთწლედის მეორე წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულება. მუშა-ახალგაზრდობის შრომითი, და საზოგადოებრივი ენთუზიაზმის ზრდის ნათელი დადასტურებანი ის მრავალი თაოსნობა, რომელიც რესპუბლიკის წამყვან საწარმოებში აშვა და ესოდენ ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთო გამოხმაურება პოოა — „არც ერთი ჩამორჩენილი და დისიკიპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით", „ხარისხისა და ეფექტიანობის ზუთწლიან — ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და შემოქმედება!" — დღეს ახლიპელი და ვახაგეია თითოეული ახალგაზრდისათვის, მისი საქმიანობის სამოქმედო პრინციპად ქცეულა.

წარმატებით შრომობენ საქართველოს სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მუშაკები. დღეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მომუშავე 30 ათასზე მეტი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთაგან 60 პროცენტი 30 წლამდე ახალგაზრდაა.

მათ მხარს უჭერს მოსწავლეთა და სტუდენტი ახალგაზრდობის მრავალთათხანირი რაზმი. „შრომითი მეოთხეი" და „შრომითი სეტესტრი", — ეს ცნებები კარგა ხანია ნაცნობი და ახლოპელია ახალგაზრდებისათვის, — მათთვის ვინც სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ მიემგზავრება ახალშენებზე და სოფლად, რათა დაპაუოდ მუშაობაში გამოსცადოს საკუთარი თავი, დოკლადთა და ბარაკნ შემატოს სახალხო მეურნეობას. შრომის ამ დიდ ზეიმში ჩაბმულია ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობაც. გაზრდილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობით, საინტერესო ძიებით და მიღწევებით პასუხობს იგი რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს.

კომუნისტური საზოგადოების მშენებელი მხოლოდ ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი შეიძლება იყოს. მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ეს უმნიშვნელოვანესი დებულება განაპირობებს სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების განსაკუთრებულ მისიასა და დანიშნულებას; წარმოუდგენელია მის გარეშე ახალი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბება, მისი სულიერი და პიროვნული წრთობა.

აქედან გამომდინარე, საჭიროთ კანონზომიერია ის დიდი ყურადღება, რომელსაც კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი იჩენს შემოქმედებითი ინტელიგენციის, მისი ახალგაზრდა თაობის მიმართ.

შემოქმედებით ახალგაზრდობაზე დიდი ზრუნვის, მისი მხარდაჭერის კიდევ ერთი ნათელი დასტური არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ". ამ მრავალმნიშვნელოვანმა დოკუმენტმა მოგვცა შემოქმედებითი ინტელიგენციის პროფესიული სწავლებისა და იდეურ-პოლიტიკური წრთობის სისტემის სრულყოფის გაშლილი პროგრამა.

დადგენილებამ შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის რამდენიმე ძირითადი მიმართულება და პრობლემა გამოკვეთა:

1. შემოქმედებითი ხელვის აღზრდა საშუალო სკოლის მოსწავლეებში. მუშაობა ნორჩ შემოქმედებთან იდეურ-ზნობრივი და პროფესიული აღზრდის თვალსაზრისით.

2. შემოქმედის, მოქალაქის აღზრდა უმაღლეს სასწავლებელში, სტუდენტობაში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ფორმირება.

3. შემოქმედის პირველი პროფესიული ნაბიჯები.

4. ახალგაზრდა შემოქმედისა და მოქალაქის ურთიერთობა საზოგადოებასთან.

5. ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ტრადიციებზე თანამედროვე შემოქმედების განვითარება და ახალგაზრდა შემოქმედთა ამოცანები.

6. ახალგაზრდა შემოქმედთა მონაწილეობა ეროვნული ესთეტიკურ აღზრდასა და მათი კულტურის დონის შემდგომი ამაღლების საქმეში.

თანამედროვე საბჭოთა სოციალისტური კულტურა, საზოგადოების სულიერი და მატერიალური პროგრესის ნათელი დადასტურებაა. პროგრესის განხორციელებაში ეს ის პარტიის მიერ კომუნისტური მშენებლობის გამოცდილებაზე დაყრდნობილი და შემოქმედებითად განვითარებული მარქსიზმ-ლენინიზმი, სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია და სოციალისტური საზოგადოების იდეოლოგია. ამიტომ ამ პროცესების სწორი შეფასება შეასძლებელია მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის, ღრმა კომუნისტური რწმენის პოზიციებიდან.

ახეთი მსოფლმხედველობისა და მრწამსის მქონე შემოქმედის ფორმირება ეი ჩვენი საზოგადოების საწყისი რგოლიდან, საშუალო სკოლიდან უნდა იიეტდეს სათავეს.

მოსწავლე ახალგაზრდისაგან შემოქმედებითად მოაზროვნე, პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში აქტიური დღეს მთელ მსოფლიოში. მწვავედ დგას იგი ჩვენთანაც, ამ მიზნის განსახორციელებლად კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, შემოქმედებით კავშირებთან ერთად, ახორციელებს ბევრ სასარგებლო და მასშტაბურ ღონისძიებას. აუცილებელია, რომ მოზარდ თაობას თავიდანვე ჩავაგონოთ. არ არსებობს ლიტერატურა და ხელოვნება განყენებული, ქვეყნის ყოველდღიურ სატკივარს მოშორებული, აუცილებელია მოსწავლე ახალგაზრდობას თავიდანვე მისთვის მისაღები ფორმით მივაწოდოთ ინფორმაცია რესპუბლიკის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების ღრმა არსისა და დანიშნულების შესახებ, გავარკვიოთ ის პარტიის პოლიტიკაში, აღვზარდოთ ამ პოლიტიკის სისწორეცელი შეგნებით.

როდესაც მოზარდი შემოქმედის იდეურ-ზნეობრივი და პროფესიული აღზრდის სერიოზულ გაუმჯობესების აუცილებლობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურად-

ლება იმასაც, რომ ყოველთვის როდი უდგას მას მხარში ხაქმის ჩინებული მცოდნე, ზნეობრივად სტეკაკი, პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოებული მასწავლებელი. არც თუ ინ ეშვიათია, როდესაც ბაკვანა და სიმღერის ხელოვნებ ასწავლის არასპეციალისტი, ხელოვნებაში მეტისმეტად სუსტად გარკვეული ადამიანი. ასეთ „პედაგოგს“ არ ძალუძს არათუ შემოქმედებითი ტალანტების აღრჩევა, არამედ ბავშვებში ესთეტიკური გემოვნების საწუთების გაღვიძებაც კი.

ასეთი მდგომარეობა რომ არა, ალბათ არ იარსებებდა ერთი საინტერესო პარადოქსი, საქართველოში არის კავშირის მასშტაბით პროცენტულად ყველაზე მეტი საშუალო მუსიკალური სკოლის მოსწავლე და ამავე დროს არც ერთ რესპუბლიკაში არ არის ისე ცარიელი საკონცერტო დარბაზები, როდესაც საქვეყნოდ სახელმოხვეული მუსიკოსი უკრავს, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში. ყოველივე ეს მეტად სერიოზული პრობლემებზე მიგვანიშნებს. ისინი დაუფიქრებლივ ყურადღებასა და გადაჭრას მოითხოვენ.

დღესდღეობით რესპუბლიკას გააჩნია შემოქმედებითი ინტელიგენციის აღზრდის რამოდენიმე ცენტრ — სამი შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებელი, თბილისის სახ. უნივერსიტეტი და სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სასახარულოა, რომ ამ უმაღლეს სასწავლებლებში ყოველდღიურად იზრდება აკადემიური მოსწრებისა და სტუდენტთა აქტიურობის დონე, რომ ალნიშნული უმაღლეს სასწავლებლებში მრავალი სტუდენტი საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატია. მაგრამ ყოველივე ეს არ გვაძლევს საფუძველს თვითკმაყოფილებისათვის; რა დასამალია, რომ ახალგაზრდა შემოქმედია ზრდისა და დაოსტატების პროცესი მთლიანად, განსაკუთრებით კი მისი საწყისი სტადია, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის კედლებში ხდება, ძნიშვნელოვან დახვეწას საჭიროებს.

მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც დღეს მწვავედ შეიგრძნობა, არის შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა განაწილება და საჭიროებისამებრ მათი გამოყენება. რითი აიხსნება ის გარემოება, რომ ბათუკის, ქუთაისის, სოხუმის, ფოთის, ზუგდიდის, ჭიათურის, მახარაძის, თელავის სკენებზე თამაშობენ არაპროფესიონალები მხახიობები? მოყვანილები უძლებენთ აქ სხვადასხვა კულტურული ცენტრების საქმითნმახაც.

აღნიშნულ პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა ახალგაზრდა შემოქმედთა „მიგრაცია“. რა თქმა უნდა, ამ პროცესებსაც გააჩნია თავისი ობიექტური და ზოგჯერ სუბიექტური მიზეზები. მათი შესწავლა და ენერგიული მოქმედება მათ აღმოსაფხვრელად მოგვცემს საშუალებას, თანავედან ავიცილოთ ზემოხსენებული მოვლენებთან არასასურველი უკუფფექტი.

უკანასკნელ ხანებში რესპუბლიკის შემოქმედებითი კოლექტივები განიცდიან თაობათა ცვლის მნიშვნელოვან პროცესს. ბევრ კოლექტივში ახალგაზრდა შემოქმედი დღეს უკვე წარმეთანი ძალია. ყოველივე ეს ქმნის შემოქმედებითი ტრადიციების გადასინჯვის წინაპირობას, იმისათვის, რომ ეს პროცესი უმტკივნეულოდ წარიმართოს, საჭიროა, რომ მას განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდოთ. ამ საკითხებს ფაქიზი რეგულირება ესაჭიროება.

ხელოვნი სამწუხაროს, მაღალი იდეურობისა და მოქალაქეობრიობის, ინტერნაციონალიზმისა და ღრმა პატრიოტიზმის ხელისუფლებანი არის განმსაზღვრელი ჩვენი უფროსი თაობის ხელოვანთა შემოქმედებაში. მათ მაგალითზე იზრდებიდნენ და იზრდებიან ახალგაზრდა შემოქმედნენ, რომელთათა დიდ ხელოვნებაში მოსვლა და უფროსთა გვერდით შემოქმედებით კოლექტივში ადგილის დამკვიდრება კანონზომიერი, ცხოვრებისეული მოვლენაა. არაანრმალურია ვითარება, როდესაც კოლექტივები დარდვეულია უფროსთა და ახალგაზრდათა ასაკობრივი შეფარდება, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ თაობათა ცვლისა და შემკვიდრეობითობის პროცესის თუნდაც მცირე ხნით შეწყვეტას გამოუსწორებელი ზიანის მოტანა შეუძლია.

ვანა საგანგაშო და გაუგებარი არ არის ის ფაქტი, რომ დღეს მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრებს შორის თითქმის არ არიან ალკა წევრები? რომ მწერალთა კავშირის წევრებს შორის ამ წლამდე ასაკისა მხოლოდ 5%-ია, კინემატოგრაფისტთა კავშირში 2%, მხატვართა კავშირში 2%, კომპოზიტორთა კავშირში 12%, არქიტექტორთა კავშირში 12%, რომ არც ერთ ქართულ ლიტერატურულ ორგანოში რედოლეგიის წევრი არ არის არც ერთი ახალგაზრდა; ხოლო საგამოფენო კომბინატებსა და მხატვართა ნაშუშევრების შემფასებელი კომისიების წევრებს შორის ახალგაზრდათა მეტად უმნიშვნელო ნაწილი თუა ხოლმე ჩაბმული?

ვანა ახალგაზრდობის პირველი ნაბიჯებისადმი უზრუნველი და უყურადღებო დამოკიდებულების მაგალითად არ შეიძლება ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ ჩვენ ახალგაზრდა მწერლებსა და პროზაიკოსებს ახე უჭირთ თავიანთი ნაწარმოებების ბეჭდვა და გამოცემა?!

ასეთივე სიძნელეებს განიცდიან ახალგაზრდა კომპოზიტორებიც. გადის რამოდენიმე წელი მათ მიერ კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, ვიდრე მათ მიეცემთა საშუალება თავიან-

თი ნაწარმოებების მოსმენისა. ასეთ პირობებში კი ძალიან ძნელია ლაპარაკი ახალგაზრდა ხელოვანის შემოქმედებით ზრდაზე.

ახალგაზრდა შემოქმედები ხელ უფრო მეტად ინერნენ თავიანთ მოქალაქეობრივ დამოკიდებულებას ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებისადმი. აუცილებელია, რომ ეს ინტერესი გაძლიერდეს და გადავიდეს თავდადებეა, აუცილებელია, ხელოვანს პირველი ნაბიჯებიდანვე უფითარებოდეს სამართლიანობის, სიკეთისა და პრინციპულობის გრძნობა, იდეური უკომპრომისობისა. ამისათვის მას ესჭიროება მკაცრი ზნეობრივი სკოლის გავლა. ამ თვისებათა უპირველესი მხსნელებელი ახალგაზრდობისათვის უფროსი კოლეგა და მეგობარი უნდა იყოს. საბედნიეროა, რომ ყოველთვის ვერ ეზდებიათ ტრადიციათა ასეთ გადაცემას და დამკვიდრდება.

ახალგაზრდა შემოქმედთა ცხოვრების დიდ გზაზე გამოუვანა, დახმარების ხელი, თანადგომა პირველი პროფესიული ნაბიჯების გადადგმის დროს, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებასთან აქტიურად დაკავშირება — სწორედ ამ ამოცანების გადასაჭრელად შეიქმნა შემოქმედებითი ახალგაზრდობის რესპუბლიკური ცენტრი. ცენტრის სექციები თანამშრომლობენ შემოქმედებითი კავშირების ახალგაზრდულ სექციებთან, წარმართავენ საუბრებ მუშაობას მოსწავლეებში, სტუდენტებსა და მშრომელთა კოლექტივებში.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე ქართველი ლიტერატურა და ხელოვნება კონკრეტული სოციალური ვითარებიდან ამოზრდილი და მასზე დაურდნობილი იყო და ამდენად თავისი დროის კუთვნილებას წარმოადგენდა. საბჭოთა რეალობაში არის მიმართულება, რომლის ყურადღების ცენტრში დგას ადამიანი, პიროვნება, მთელი თავისი სულიერი და მატერიალური ცხოვრებით. თანამედროვე ლიტერატურას და ხელოვნებას ახალგაზრდობას, ხალხს არა მარტო მხატვრული გემოვნების, არამედ მაღალი ადამიანური ზნეობისა და პოლიტიკური შეგნების მაგალითები უნდა მიაწოდოს. დღეს შემოქმედებით ახალგაზრდობისგან ჩვენ მოვითხოვთ, რომ იგი ყოველთვის და ყველა ვითარებაში ადგეს აქტიურ, შეგრძნილ პრობაგანდისტულ პოზიციას, ვინაიდან ეს ამკვიდრებდეს ჩვენეულ, კომუნისტიკურ ზნეობრივობის პრინციპებს, — თავიანთ ნაწარმოებებში ისინი მუდამ უნდა ცდილობდნენ სოციალისტური ცხოვრების წესის, მისი უპირატესობის მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ დონეზე პროპაგანდას, ჩვენი თანამედროვეობის, პატიოსნებ, მშრომელ, შეგრძნილი მუშებლის სახის სრულყოფილ ახლვას, ცოცხალი ცხოვრებისეული თემების, ადამიანური მეორ-ვარიანის, ხასიათების ისეთნაირ გაშუქებას, რომ მკითხველმა, მსმენელმა თუ მაყურებელმა დამაჯერებლად გამოიწვიონ დადებითისადმი სწრაფვის, საზოგადოებრივი ცხოვრების მძინარე მოვლენებისადმი შეუბრალებელი პრძოლის სურვილი.

ჩვენ გვეძახიან, რომ ძირითადად ასეთი მებრძოლური, ეპოქის თანადროული და მშვენიერი ჩვენი ახალგაზრდა თაობის შემოქმედება. მაგრამ, სამწუხაროდ, გვაქვს შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ახალგაზრდის შემოქმედებაში ჯერ კიდევ ზერელედ არის გაშუქებული თანამედროვე თემატიკა. დამაჯერებლობასთან ერთად ხელოვნებას კი არასრულ ძალუძს შეახროვოს ადმზრდელის დიდი ზნეობრივი როლი. აუცილებელია ისეთი ლიტერატურული სახეების შექმნა, რომლებიც ახალგაზრდობისათვის სიწმინდისა და სიმამაცის სიმბოლოებად იქცევიან. ამ გმირთა პროტოტიპები კი მრავალად არსებობენ ენგურზე თუ რუსთაველი, ნინა-გრიგოლისკაია თუ ჩვენი ქვეყნის სხვა დამკვრელური მშვენებლობანი და საკოლეგიონენო მინდვრებზე.

მისასალმებელია, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურასა და ხელოვნების ახალგაზრდა შემოქმედნი აქტიურად ეხმაურებიან რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს, ხშირი სტუმრები არიან სახალხო სამეურნეო მშენებლობებისა, საკოლმეურნეო მშენებლობისა. საჭირველია კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შემოქმედებით მივლინებებში ახალგაზრდა ლიტერატორთა და ხელოვანთა გაგზავნის შედეგად შეიქმნა ბევრი მაღალმხატვრული და მაღალიდეური ნაწარმოები დღევანდელ მშრომელ ადამიანებზე, ჩვენი ქვეყნის დიდ გარდაქმნებზე. ეს ასეც უნდა იყოს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „არ შეიძლება ცხოვრობდე საზოგადოებაში და იყო თავისუფალი ამ საზოგადოებისგან". ეს ჭეშმარიტება კიდევ უფრო აქტუალური სადღესასწაულ ამდენად. არ არსებობს უფრო დიდი ამოცანა, ვიდრე ზრუნვა შემოქმედებითი ახალგაზრდობის საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტივობის მკვეთრი ამაღლებისათვის, მათი მდიდარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისათვის.

ზრუნვა ახალგაზრდობის, მოსახლეობის ესთეტიკურ აღზრდაზე, მხატვრული თვითმოქმედების განვითარებასა და თავისუფალი დროის ორგანიზაციაზე უნდა შეადგენდეს კომკავშირული ორგანიზაციებისა და შემოქმედებითი ახალგაზრდობის ერთ-ერთი უმთავრეს საზრუნავს. 500-ზე მეტი ახალგაზრდა შემოქმედი ხელმძღვანელობს სახალხო თეატრებს, ლიტერატურულ წრეებს, თვითმოქმედ კოლექტივებს. საუბრობენ ამ მხრივ თბილისის საავიაციო ქარხნის ლიტერატურული წრის საქმიანობა. სამწუხაროა, რომ ყველგან ვერ ვხედავთ ამგვარ დაინტერესებას. აუცილებელია, რომ ასეთი მუშაობა გაიაზალოს, უპირველეს ყოველისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელად. უშუალოდ სოფელში უნდა მოეწყოს ნაწარმოებების გარჩევა, ლიტერატურისა და ხელოვნების უახლესი მიღწევების პოპულარიზაცია. ამ საქმეში აუცილებელია, კიდევ უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ისტორიული, კულტურული ძეგლები, ავიღოთ მათზე შეფობა, მოვუაროთ და ვაქცეოთ ისინი ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევათა პოპულარიზაციის ცენტრებად.

ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეზერვია კულტსახანმანათლებლო დაწესებულებების, კულტურის სახლებისა და შემოქმედებითი ახალგაზრდობის ურთიერთთანამშრომლობა. სამწუხაროდ, ამ შიმართულებით ბევრს ვერაფერს ვიტყვით სასიკეთოს. აუცილებელია, უფრო ფართოდ დაინერგოს ინტერესების მიხედვით კლუბების შექმნის პრაქტიკაც.

ყველა ეს ხაკითხი უკავშირდება ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზაციის პრობლემებსაც. აღზრდის მთლიანი სისტემიხა-დმი კომპლექსური მიდგომის შუქზე თავისუფალი დროის სწორი და ოპტიმალური გამოყენების საკითხება მეტად პრინციპიულ ხასიათს იღებს.

ყოველივე ეს აუცილებელი საწინდარია იმისა, რომ ჩვენი საზოგადოების ყოველი ახალგაზრდა წევრი ჩამოყალიბდეს მოაზროვნე, ყოველმხრივ განვითარებულ, ნატიფ პიროვნებად. მხოლოდ ასეთ პიროვნებისაგან შემდგარ საზოგადოებას ძალუძს კომუნისტური მომავლის აშენება.

ამიტომ იძენს წამოჭრილი საკითხები ასეთ ძლიერ რეზონანსს, ამიტომაა აუცილებელი მათი გადაწყვეტის გზების ყოველდღიური და დაუღალავი ძიება. საქართველოს კომკავშირის მომავალი XXXI ყრილობაც ამ მიმართულებით გადადგმულ კიდევ ერთი დიდ ნაბიჯად უნდა მოგვეცალინოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დურმიშხან ცინცაძე

თავისუფალ ერთა ძმურ ოჯახში

ორი წელი გავშორებს იმ ღირსშესანიშნავი მოვლენიდან, როცა საბჭოთა ხალხმა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე შეჯამა განვლილ ხუთწლედში ჭეშმარიტად გრანდიოზული მიღწევათა შედეგები და კიდევ ერთხელ დაადასტურა აღებული კურსის სისწორე, დასახულ ამოცანათა რეალობა და შეიმუშავა ჭეშვენის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგის შემდგომი განვითარების ღრმად დასაბუთებული, მეცნიერული პროგრამა — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომუნისტურად გარდაქმნის და ახალი ადამიანის ფორმირების დიადი პროგრამა, — თანამედროვეობის უპარეველესი რევოლუციური დოკუმენტი, პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მიზანდასახულობებს თავისი გრანდიოზულობით და მასშტაბურობით ბადაური არ მოეძოებება ჩვენი პარტიისა და ხალხის ისტორიაში.

პარტიის XXV ყრილობის შემდგომ პერიოდში ჩატარებული უდიდესი მუშაობის შედეგების დათვალიერებას, საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე კომუნისტური პარტიის მეთაურობით სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული წარმატებების დათვალიერებას წარმოადგენდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესაზღვეა წლისთავის დღესასწაული, რომელიც ზეიმით აღნიშნა მთელმა პროგრესულმა კაცობრობამ.

კომუნისტური საზოგადოების შშენებლობაში საბჭოთა ხალხის ისტორიული მიღწევების საკანონმდებლო დადასტურებასა და ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების შემდგომი განვითარების მძლავრ სტიმულსა და განმსაზღვრელს წარმოადგენს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, მსოფლიოში პირველი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუცია, რომელიც საერთო-სახალხო განხილვის შედეგად მიიღო საბჭოთა ხალხმა გასული წლის ოქტომბერში.

ჩვენს ქვეყანაში აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომლისთვისაც დამახასიათებელია მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მომზადებული სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი და მაღალი სულიერი კულტურა. საბჭოთა ხალხის ეს ისტორიული მიღწევები ყველა ერისა და ეროვნების კოლექტიური ამირული შრომისა და ბრძოლის შედეგია. რაც შესაძლებელი გახდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელების საფუძველზე.

როგორც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს: „ხალხთა შეკავშირებისა და ურთიერთდახმარების ძალამ უმაგალითოდ დაიჩქარა ყველა რესპუბლიკის განვითარება. ეროვნულმა შეღლმა და უნდობლობამ ადგილი დაუთმო მეგობრობასა და ერთმანეთის პატივისცემას. იქ, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ნერგავდნენ ეროვნული ეგოიზმის ფსიქოლოგიას, მტკიცედ მოიკიდა ფეხი ინტერნაციონალიზმმა. ახალი ნათელი ფერები შეეფარა ურთიერთგამდიდრებულ ეროვნულ კულტურებს, რომელნიც ერთიანან საბჭოთა სოციალისტურ კულტურას ქმნიან“.

საბჭოთა მოძმე ხალხებთან საქართველოს მშრომელთა დიადი თანამეგობრობა განმტკიცებულია ერთობლივი რევოლუციური ბრძოლების ბრწყინვალე ეპიზოდებით. რუსეთის პირველი რევოლუციის მღელვარე წლები ამ მეგობრობის სიმტკიცისა და სილრმის პირველი სერიოზული გამოცდა იყო, რომელიც ბრწყინვალედ ჩაბარეს მრავალეროვნულმა ამირეკვეკვანის მუშებმა და ელეხებმა. დიდი ლენინი 1914 წელს წერდა: „...ინტერნაციონალური ერთობების პრინციპი... ბრწყინვალეად არის ნაცადი კავკასიაში“ — (ვ. ი ლენინი თხზ., ტ. 20, გვ. 642). მარტო ცნობილი „ბახვის მანიფესტი“ რად ღირს: 1905 წლის გაზაფხულზე მაშინ, როცა შავრაზმელი მეფის ოხრანკა ყველ-

ლიფერს აკეთებდა, რათა გაეთიშა მუშათა და გლეხთა რევოლუციური ერთიანობა, დაეშალა რევოლუციური ძალები და ერთმანეთისთვის წყეტილებინა ხალხები, ოზურგეთის მაზრის ბახვის სასოფლო საზოგადოების გლეხთა ყრილობაზე მიიღეს დოკუმენტი, რომელიც პოლიტიკურული ინტერსაციონალისტური აზროვნებისა და მოკმედების კლასიკური ნიმუშია: „ჩვენ, ქართველები, რუსები, სომხები, თათრები... ყველანი ძმები ვართ; ჩვენ ერთმანეთს არ დაკვმეთ, ამაოდ ნუ ცდილობს მთავრობა ჩვენს წყაღდებას... ჩვენი მოთხოვნები კერძო, მარტო საქართველოს მოთხოვნები არ არის. ამას მოელი რუსეთი მოითხოვს. ჩვენ ჩვენს რუს ძმებს ვუერთდებით".

თავის მხრივ, რუსმა და სხვა ერების მუშებმა და გლეხებმა დამპრავება გაუწიეს ქართველ მუშებს და გლეხებს საქართველოში ხაბჭოთა ხელისუფლების დამკარებისათვის ბრძოლაში. სწორედ ამ დამპრავების შედეგად გაბდა შესაძლებელი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში 1921 წლის თებერვალში.

საბჭოთა რუსეთმა ინთერვენციე აღმოუჩინა ქართველ ხალხს უანგარო დამპრავება დანგრეული ხასალთა მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური შენებლობის ორგანიზაციის საქმეში, თუმცა სამოქალაკო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის დამთავრების შემდეგ თვითონ განიცადა სამეურნეო და პოლიტიკური ხასიათის სერიოზული ხიანლეებს, 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ უსასყიდლოდ გადასცა საბჭოთა საქართველოს მაუდის ფაბრიკა, რომელიც შემდეგ ქუთაისში ამოქმედდა. ამავე წელს 6 მაისს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთვის 1 მილიონი ოქრის მანეთის ასიგნებაზე ვაჭრობისა და ხალალური ოპერაციებისთვის. 1921-1922 წლებში, მაშინ როცა ვოლგისპირეთში მილიონნები შიმშილობდნენ და იყო ადამიანთა მსხვერპლი, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ საქართველოს, რომელსაც მძიმე ხასურსათო მდგომარეობა შეექმნა, 950 ათას ფუთზე მეტ პური გამოუყო. საქართველოს მშრომელებს ეკონომიურ მხარდაჭერას უწევდნენ მეზობელი მოძმე რესპუბლიკებიც — სომხეთი და აზერბაიჯანი.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთდახმარების ხელისმაშდგენი იყო ვ. ი. ლენინი და მისგან გამოწერთობილი ბოლშევიკების პარტია. ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის საკითხებისადმი. 1921 წლის 2 მარტს ვ. ი. ლენინი ს. ორჯონიკიძეს წერდა: „გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს როგორც ნაშინო ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული „შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ... თავგამეტებული ტაქტიკის მოხერხებულად და მოკნინლად შემოშველებას" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 190).

ხალხთა მეგობრობის ძმურ ოჯახში საქართველო ისტორიულად უაღრესად უმოკლეს ღროში გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად, პირველი ხუთწლეულის წარმატებით შესრულების შედეგად რესპუბლიკა ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ბიბლიოთეკების, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელით დაიფარა. სწორედ ამ წლებში შექმნა ქართველი ხალხის მგრძოლმა შრომამ, მოძმე ხალხების დახმარებით, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები ბათუმში, ფეროშენადნობთა ქარხანა ზესტაფონში, დაზგათსაშენებელი ქარხანა თბილისში, ახალი მაღარები ჭიათურაში, ტყიბულში, ტყვარჩელში, აშელდა ზაჰეხი, რიონჰესი და რიგი სხვა მსხვილი სამრეწველო ობიექტებისა. მოხდა ღრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები როგორც ქალაქად, ისე სოფლად, განსრულიელდა კულტურული რევოლუცია.

ხალხთა მეგობრული ოჯახის სიმტკიცე და ცხოველმყოფელობა სრულად გამოვლინდება დიდ სამამული ომში. ომმა ცხადყო პოლიტიკური ინტერნაციონალიზმის მნიშვნელობა არა მარტო რევოლუციის მონაპოვრის დაცვისათვის ბრძოლაში, არამედ საერთოდ თანამედროვე ცივილიზაციის გადარჩენის საქმეშიც. ფაშიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის ღამარცხება მხოლოდ ყველაზე მოწინავე ხალხებიდან წყობას შეეძლო. ამ შეგებნთან, კაცობრობის მომავლისათვის პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობითა და მოვალეობის შეგნებით მდგომდა ქართველი კაცი ფრონტზე. 700 ათასზე მეტი მეომარი გაემგზავრა ფრონტზე ღიდი სამამული ომის წლებში. აქედან თოთქმის ნახევარი დაიღუპა ნაცი მრავალეროვანი საშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ჩვენი რესპუბლიკის 138 ზვალს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო 244.700 დაჯილდოდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

განსაკუთრებით ფართო მასშტაბით გაიშალა სამეურნეო და კულტურული შენებლობა საქართველოში ომისშემდგომ პერიოდში. მხოლოდ ერთი ხუთწლეული განმავლობაში ობილისის მახლობლად ცარიელ ველზე აშენდა მრავალთასიანი ქალაქი რუსთავი. თანამედროვე მეტალურგიისა და ქიმიური მრეწველობის მძლავრი კერა. ქუთაისში აშენდა საავტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა
NATIONAL LIBRARY

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობილო ქარხანა, თბილისში ელმავალსაშენებელი ქარხანა, გაფართოვდა თბილისის საავიაციო ქარხანა, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები, ბათუმში შეიქმნა ვეფხისაშენებელი და ელექტრომექანიკური ქარხნები, კვაისაში სამთომადნო კომბინატი და ა. შ. საქართველო დღეს ის ღ�აწარმოებს შერ პროდუქციას, ვიდრე მთელი 1920 წლის მანძილზე იყო გამოშვებული, ახლა 421-ჯერ მეტ ელექტროენერგიას აწარმოებს ყოველწლიურად, ვიდრე 1911 წელს. ეკუმბრატად ელექტროფიცირებული გახდა საბჭოთა საქართველო, ხოლო რუსეთისაკენ მრეწველობის მოლიანმა მოცულობამ 1976 წელს 118 ჯაჭვარობა 1913 წლის მოცულობამდე. ახლა საქართველოს მრეწველობის ნომენკლატურაში დარგებია მანგანუმისა და ქვანახშირის მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, ელექტროენერგეტიკული და ქიმიური, კვების, მსუბუქი და სანშენმასალათა მრეწველობა.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს მშრომელებმა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. განსაკუთრებით დიდია წარმატება, რომელიც ქართველმა მეჩაიეებმა მოიპოვეს. 1977 წელს მათ უკვე გადაალახეს მეკოე ხუთწლედის მიჯნის, მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 400 ათასზე მეტი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ყოველწლიურად წინაურდება საქართველოს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგი, როგორიცაა მეკვნესობა, ახლა მეკვნესობის წილად მოდის სასოფლო წარმოების მთლიანი პროდუქციის 20 პროცენტი. ასევე წარმატებით ვითარდება სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც: მეციტრუსეობა, მეთამბაქოეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, ეთერზეთოვანი და ტექნიკური კულტურების წარმოება და სხვა.

აშკარად საქართველოს კომპარტია თანმიმდევრულ ბრძოლას აწარმოებს მეცხოველეობის ტრადიციული დარგის ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, პირუტყვის სულდგმულობა და პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდებისათვის. მთელი რესპუბლიკის საბრძოლო ლოზუნგად იქცა პარტიის მოწოდება: გადავაქციოთ საქართველო მაღალგანვითარებული ნეცხოველეობის რესპუბლიკად.

დიდად დაწინაურდა სოციალისტური ქართული კულტურა, რომელიც მყარად ეფუძნება ნდიდარ ეროვნულ ტრადიციას, თანამედროვე საქართველოს ეკონომიურ და პოლიტიკურ მიღწევებს, საბჭოთა ხალხის — როგორც ახალი ისტორიული ერთობის საერთო მიღწევებსა და სულიერ სამდიდრეს.

აჯაზედა რა საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს მშრომელთა სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურული მშენებლობის მიღწევებს, საერთოდ რესპუბლიკის ადგილს საბჭოთა ხალხების ერნანერ თანაბარუფლებიან ლეონინდ ილიას ძე ბრეჟნევი საკარიჭოლინში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე აღნიშნავდა: „საქართველ მუშათა და გლეხთა, საქართველოს ინტელიგენციის დაუცხრომელი შრომის მეოხებით საქართველოს სახალხო მეურნეობას, მის კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთელი საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში".

პარტიის XXV ყრილობამ დიდი გეგმები და ღონისძიებანი დასახა ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი განვითარებისათვის. მეკოე ხუთწლეულში საქართველოს მშრომელთა წინაშე დიდი ამოცანებია დასახული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, კულტურული მშენებლობის განვითარების, ხალხთა განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავებისათვის. რესპუბლიკის მზარდი მატერიალური პოტენციალი და სულიერი სიმდიდრე კულტურული მშენებლობის განუხრელი ზრდის ფართო პერსპექტივებს ქმნის.

საქართველოს მშრომელთა სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურულ წარმატებათა ერთ-ერთი უმთავრესი საწინდარია ის ზრუნვა და დამხმარეა, რასაც რესპუბლიკას უწევდა და უწევს პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა. განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებამ „სკკპ XXV ყრილობის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის საქართველოს კომპარტიის ობლასის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ". პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ბოლოდგი ამბილი ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოში თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში და დასახა ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ სწორი დასკვნები გააკეთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებიდან, მთლიანად გარდაქმნა რესპუბლიკის სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობა, ადადგინა და აქტიურად ებრძვის ეროვნული ნიჰილიზმი, ადამიანებს ეს ამეკიდებს პარტიული და სახელმწიფო მუშაობისა და ცხოვრების ლენინურ ნორმებსა და ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპებს, ამაკავებს პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, შრომით დისციპლინას, რასაც შედეგად მოჰკვეს ხახალო მეურნეობის განვითარებაში დაშვებული ჩამორჩენის აღმოფხვრა და ხუთწლედის დავალებათა წარმატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით შესრულება, რისთვისაც საქართველოს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ზედიზედ გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ხაკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ახლა ყველასათვის ნათელია ის დიდად საინტერესო მუშაობა, რომელსაც საქართველოს კომპარტია ეწევა რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისა და ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს მაინც ის მაღალი შეფასება იწვევს, რაც საქართველოს კომპარტიის ბოლო წლების მოღვაწეობას მიაცა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებით „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული მუშაობის თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“. ეს დოკუმენტი ადასტურებს, იწონებს და ამკვიდრებს საქართველოში მიმდინარე პოზიტიურ ძვრებს და საერთო პარტიულ ნიმუშად ხდის რესპუბლიკაში ნეგატიური მოვლენებას წინააღმდეგ ქართველი კომუნისტების შეურიგებელი ბრძოლის კურსს. მიმდინარე მუშაობის მაღალ შეფასებასთან ერთად დადგენილება საქართველოს კომუნისტური პარტიის, ყველა მშრომელის ყურადღებას მიაპყრობს ჯერ კიდევ გადღუჭრელ ხადღვისო პრობლემებზე, დიდ ამოცანებზე, რომლებიც ჩვენი ხალხის წინაშე დგას ამჟამად, განვითარებული სოციალიზმის დროს.

საბჭოთა საქართველო თავისუფალ ერთა ძმურ კავშირში მტკიცედ მიდის წინ სოციალური პროგრესის გზით. გადაიქცა რა განვითარებული სოციალიზმის რესპუბლიკად, საქართველოს ღირსეული წვლილი შეაქვს ქვეყნად ახალი ტიპის, ცივილიზაციის შექმნაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



(ციკლიდან)

ორივე, თეზისიცა და რომულუსიც, ბუნებით სახელმწიფოს მართვისთვის გაღლილნენ დაბადებულნენი, მაგრამ მეფობის ნიჭი ვერც ერთმა ვერ გაძოიჩინა. სხვადასხვა ვნებებს აყოლილებმა სახელმწიფო წყობას გეზი უცვალეს, ერთმა დემოკრატიული, მეორემ კი ტირანული საწყისებისაკენ, და ამით ორივემ ერთნაირი შეცდომა დაუშვა.

მმართველმა უწინარეს ყოვლისა ძალაუფლებას უნდა მოუაროს და მოუვლის კიდეც, თუ კი კეროვანს შეინარჩუნებს, და არაკეროვანს თავიდან მოიცილებს. ის, ვინც მთლიანად დათმობაზე წავა, ან და ის ვინც მეტისმეტად მოუჭერს სამართავ ღვედებს, მეფე და გამგებელი კი აღარაა, არამედ დემაგოგი და დესპოტი, რომელიც ქვეშევრდომთა ზიზღსა და სიძულვილს იმსახურებს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ პირველის შეცდომა გადაჭარბებული ლმობიერება და კაცთმოყვარეობაა, მეორისი კი საკუთარი თავის სიყვარული და უსაზღვრო სისასტიკე.

პლუტარქე

რომელმან შექმნა სამყარო...

არა მაცდურთა ცდომითა და
არა სიძვითა,
არამედ, ღმერთმან ყოვლის ძალით,
ყოვლის სიბრძნითა.

გამოუთქმელის ნდობითა და
მოწყალებითა,
ადამ და ევას
მზისა ქვეშ მობრძანებითა.

მოგვცა ვარსკვლავთა ბრწყინვალება,
ყვავილთ სურნელი.
ბალახნი ამოდ საცქერალნი
და განმკურნელნი,

უბრძანა მოსკალა ხმელეთა ზედა
პირუტყვ-ნადირთა,
თევზთა ყოველთა
და ფრინველთა გვართა, მადლითა.

შექმნა სამოთხე
და მორჩილად მისცა ყოველნი
ადამ და ევას —
ცასა ქვეშე გაჩნდნენ რომელნი.

ბოლოს ცდომითა მოეძარცვათ
ღვთის ბრწყინვალება,
დასჩათ ფურცელი ლეღვისა და
სიმწრით წვალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზენაესმა აჭეთ ნაპირს
ძმა საყვარელი,
გაღმა ნაპირზე ბოროტება
დასვა — კაენი.

სად არ გვხვდებოდა იმის შემდეგ
ხელი კაენის,
ხელში გვწვდებოდა,
ხელში მახვილს ვერ ვიკავებდით.

სად არ გვხვდებოდა ხელი მისი
ცხენზე, ურმაზე,
ჯვარზე და ხატზე,
სიმაგრეთა სახელურებზე.

უსულო კერპში,
მეუღლეში, ძვირფას მამაში,
ეკლესიაში, ტირილში და
პურისჭამაში.

სად არ გვხვდებოდა იმის შემდეგ
ხელი **კაენის,**
პელერინებით
და ზღაპრული პელიკანებით.

აღთქმულ ქვეყნამდე
უდაბნოა და **გზა** ხრიოკი,
აღთქმულ ქვეყნამდე
ულმობელი დგას კანიბალი,
ვით იღბალია,
საქართველოს წმინდა გიორგი,
კაენის ხელიკ
საქართველოს გახლავთ იღბალი.

პროლოგი

მთიდან დაეშვა მართვე ორბისა,
დაეშვა ციდან ნათლის სვეტივით,
ზღვარი ყოფნისა და არყოფნისა,
ქარაფზე მოსჩანს როგორც წერტილი.

მართვეა, მაგრამ მაინც ბარტყია,
ორბისა რა, **მართვეს** ვეძახით.
ახლა იღბალზე ასცდა ცხრა ტყვიას,
ბოლოს ქარაფებს გულმკერდს შეახლის.

ვინ მისცეს მიწას სიობოს მზისოდენს,
— ისიც კი ჩადის ღონემიხდილი,
იფრინე,
მაგრამ ერთი იცოდე,
ორბი არ კვდება თავის სიკვდილით.

ქართლის მზე ქართლში უნდა იწვოდეს
და თუ არ გყოფნის შენი არჩივი,
იფრინე,
მაგრამ ერთიც იცოდე,
მარტოობაში კვდება არწივი.

მწყალობლები...

იქნებ არც კი იყო ვაჟკაცური
(სუნიც ასდიოდა შეთქმულების),
საკუთარ ტანსაცმელზე გადაცმული
ყვენის ხალათი ერეგულების.

ესე **მისაგებელს** მიაგებდა
დიდი შაჰ-აბაზი ორგიებით,
იყო გასატეხი სიმაგრეთა
საცოდავ ძღვენთა ბოგირები.

ძმა მკვდარი,
ძმების ნახვის-ნატვრით,
გული მოყვარისგან **გაუმთბარი,**
იყო ლუარსაბ მეფე, **შაჰისათვის**
და რომ **გაიმეტა** საკუთარი.

კახის ღალატისგან **მომცდარ** **მიწას**
იმერი ვერასოდეს **შეეფიცა,**
მწყალობელ იყო ხონთქარიც **და**
მწყალობელ **იყო** ყვენიცა.

დილამ ირიჟრაჟა, ილიცლიცა,
ქცხილვან-დუალეთის ნააკვნარზე,
დიდი მოურავი ტფილისისა
გახლდათ **გიორგი** **საკაძე.**

იგივ ძლიერებით ახოვანი,
ცბიერი, უნდო და **უშიშარი,**
გზათა ჩამხერგველი, **სახოვანი,**
ვითარცა **გაწურთვნილი** **გურჯის** **ჯარი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღალატი და მიორბის ბაძვა...

ააოხრეს ერთაწმინდა,
მეფე სჭვრეტდა ცხირეთიდამ,
დიდ მოურავს ღმერთად თვლიდნენ,
მოურავი გმირებს თვლიდა.

სხერტის ჭალას ცხენს მიაგდებს
ერთი ლასტის გადაკვრაზე,
თათარხანთა ცრემლს მიადენს,
და მიაპობს ხაკაძე.

მოურავი ფაშას მოკლავს,
ალაჰს ყივილს გააგონებს,
მერე მხრებთან ხმალს შამოჰკრავს,
თავს რიყეზე გააგორებს.

ომსა შიგან, სისხლის ღვარსა
ღმერთი მხეცად გადაგაქცევს,
მხნედ გამოჩნდა მეფე ლუარსაბ
და უმეტეს, ხაკაძე.

მაგრამ რისი ქართველი ხარ,
თუ არ გაჩნდა შადიმანი,
თვალზე ცრემლის დამდენი ხარ,
ნოსტეს სისხლის გამდინარის.

ზოურავმან გადაწყვიტა
შორს გაასწროს ქართულ ღალატს,
ცხენს მუცელთან დეზი სწყვიტა,
ღმერთს მადლობა გადუხადა.

კუნაპეტი ღამით განვლო,
მალვით განვლო ფონი მცხეთის,
სისხლში დუღდა სისხლის კალო
და შორი გზა უცხოეთის.

— ბრძანებითა მეფისათა
ბევრი ციხე აგიღია,
აგიღია სისხლი ძმათა,
საკუთარი დაგიდვრია.

ბრძანებითა მეფისათა,
შენ მარტყოფი მოგიგია,
ბოლოს,
ბოლოს, თემმის კართან
ყველამ ხმალი მოგიქნია.

ბაითიშვა და სამარცხვინო ბაჯალეთი...

აქ თეიმურაზ,
იქეთ გიორგი,
საქართველოს კი
სისხლი სდიოდა,
შენ, მოურავო,
შენსას ყიოდი,
თეიმურაზი
მისას ყიოდა.

შენ, სულთანისთვის
„ქაროვლის მპყრობელი
მოურავ-ხანი“
იყავ, გიორგი.
ცალით ირწყოდა
მიწა-მშობელი,
ცალით კი,
უცხო მიწას ტიროდი.

თეიმურაზიც
ასე სტიროდა,
მეფე და
მაინც პატივმოყვარე,
როდესაც ქართლში
ძმობა ძვირობდა,
ყიზილბაშები
ჭყავდა მოყვარედ.

ასე გვაწამეს,
ასე დაგვქანცეს,
შურსა და ბოღმას
ქვეყნად რა მოშლის.
თეიმურაზი,
ან ხაკაძე,
ერთ-ერთი
უნდა მოკვდეს ამ ორში.

დიახ, გაიყო,
ვითარ სჩვეოდა,
შუა გაიყო
ამერ-იმერი,
იქ ოსმალეთი
ჭვრეტდა ჩეროდან,
შორით ირანი
იყო მზირველი.

ორთავეს ჰქონდა
თვალი მოწმისა
და იმ მოწკურულ
თვალით შეხედეს —
ძმამ როგორ შესცა
სისხლი მოძმისა,
და ბაზალეთი,
როგორ შეღებეს.

სისხლით მორწყული
მიწა ღრიალებს;
ძმა ძმას შეება
და გაიხვრისა,
ვახ, თუ აკვანში
ყრმამ მწოლიარემ,
გაიგო გემო
მოძმის სისხლისა.

„ქართველითა ქართველისა
დამთრგუნველი“...

მეფეს ვეითხოთ პირველყოვლის,
საქართველოს
ორი თვალის დამდუღვრელის,
— სთქვა მეფემან:
ეს არს ომი,
„ქართველითა ქართველისა
დამთრგუნველი“.

შენ რას იტყვი, მოურავო,
საიქიოს ხსნა თუ გველის?
სთქვა გიორგიმ:
ეს არს ომი,
„ქართველითა ქართველისა
დამთრგუნველი“.

ახლაც ესმის ღმერთს მიწის ხმა,
ბოროტისგან ხსნა გველოდეს,
ღმერთო, ერთო,
ეს სისხლის ღვრა,
არასოდეს განმეორდეს.

ხუსრემ-შაშას კარზე,
ცდა გაქცევისა, გიორგის დასჯა

მოშურნე იყო, მუხანათი,
ფაშა-ხუსრევი,
ცნობილი გვემით,
ზაზღით, სისხლით
და ნამუსრევით.

ამა, ხოფოკლეს იამბური
ორი ტაეპი,
მხოლოდ იმაზე, მოურავო,
რასაც დანეტდი:

„ის ვინც ფეხს შედგამს მეფის კარზე —
მონაა მეფის,
თუნდაც მოვიდეს დაბადებით
თავისუფალი“.
ერთი გზა **არის** ჭეშმარიტი, სახელის
ძებნის,
შენი მამული, **შენი** ძველი ნავთსაყუდარი.

მოგკლეს შურისთვის?
არა, **შური** რა შუაშია,
შენ **პირველობა** შუბლზე გერტყა,
როგორც არშია.

აღსასრულამდე სად არ გდიეს,
სად არ გატირეს,
ბოლოს, მამულში გამოქცევა
არ **გაპატიეს.**

შენ ალეპოში, თუ ჰალაბში
თავი მოგკვეთეს,
მწარედ **მოგეტ**ქნენ ხუსრევ-ფაშას
კარის მოკეთეს.

ო, **შურით** არა,
საქართველოს **მზის** **სიყვ**არულით,
— **უცხ**ოობაში ვინ იპოვა
თვისი **მამული.**

სიმონიდე კეოსელი —
ბერძენი ლირიკოსი

თუ აძაგე **და** მართალი სთქვი,
ბრბო არ დაგინდობს,
თუ ხელს აიღებ და შეაქებ,
საბჭო მოგივლის.
მე არ ვწერ წიგნებს
ხაოჯახოს და სამაგიდოს,
არც სავარძელის მიწერია,
არცა ლოგინის.

ფეას ეძახდნენ
კრომიონის გარეულ ღორსა,
ყველაფერს სჭამდა,
იწუნებდა რატომღაც რკოსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ღორში იჯდა
კაციმკვლელი, ერთი ყაჩაღი,
თავის ბებუთით, თავის ეშვით,
თავის ნაჯახით.

გამვლელ-გამომვლელს
ძარცვავდა და ხეზე ჰკიდებდა,
გაძარცულები იძახოდნენ:
„მძარცველს დიდება“.

თეზვესმა მოჰკლა ყაჩაღი და
მიუგდო ღელეს,
ის სიკვდილის წინ იძახოდა
„დიდება მკვლელებს“.

მე ორთაბრძოლა წავაგეო —
ბრძანა თეზვესმა,
თვისი სახელი მაკადრაო
ყოველისმემძლესა.

ავაზაკებში გადაეშვა,
სიკვდილს ეძებდა.
მძარცველ სკირიონს
ორღესული დაკრა ფერდზედა.

ერთი ყაჩაღი, ღორის ნიღბით,
ერთი მძარცველი,
ერთიც მართალი,
— ავაზაკთა თავზარდამცემი.

მაგრამ თუ იტყვის ისტორია
ცოდვას გამხელილს:
სამთავე ოვლის ქვეყანაზე
მკვლელის სახელით.

ხმა გიორგისა ფორიდან

შენ, ვინც ქვეყანას მოევლინე
მხსნელად, ბელადად,
შენი იქნება კართაგენი,
სკვითი, ელლადა,

შენი იქნება შავი ზღვა და
მთელი კასპია.
ისიც, საზღვარი
ვინც ციმბირის იქით გასწია.

რამეთუ შენს დროს
რჯულმტკიცენი მოვლენ ქაღდელნი,
იმ რჯულს მოუშლის რკინის კვერთხი,
რკინის სარტყელი.

შენ მაშინ ნახე მდინარენი
ძმათა სისხლისა,
შენ მაშინ ნახე კაენური
შთანთქმა ზიზღისა.

პომპეუსის თავის მოკვეთა...

დაბადების დღეს, პომპეუსი
მოკლეს, მოაშთეს, —
სეპტიმიუსმა, ახლობელმა,
თანამოლაშქრემ.

ეგვო პირდაღმა
ქვები ჭქონდა ზურგში დახლილი,
სალვიუსმა და აქილამაც
ჩასცხო მახვილი.

თავი მოჭკვეთეს, ხოლო ტანი
მიუგდეს. ბრიყვებს,
მზერით ძღებოდა ბრბო მომდგარი
ვეება რიყეს.

შემდეგ, ნაპირზე
ტანი დასწვეს და აკიანთეს,
ხოლო კეისარს
პომპეუსის თავი მიართვეს...

რიყეზე ხალხი დაიშალა
როგორც ნახირი,
დარჩა ბეჭედი, და ბეჭედში —
ლომი მახვილით.

რასაც სთესავდი, ხანაც მკიდი,
ხანაც ვერ მკიდი,
თვით პომპეუსი არ დაგინდეს,
პომპეუს დიდი.

ისევ კაენი

კაენის ენით
გაუგებარით,
ოცდაჩვიდმეტჯერ
მომიკაკუნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინა ხარ,
გკითხე,
— რა დროს ეგ არის,
ქრისტე მეორედ
ჯვარზე გაკრულა.

—არა, ვინა ხარ,
მაინც მითხარი,
— ჩქარა გაალე,
მითხრა ქირქილით,
ჩვენს შორის
სუსტი კედლის ტიხარი
ზეცაში გაქრა
თოვლის ფიფქივით.

და ჩემს წინ იდგა
უხსენებელი,
ძველი ქამრით და
ძველი პენსნეთი,
წელში მოხრილი,
უშნო, ბებერი,
საველე ჩანთა
ჰქონდა ბრეზენტის.

ტანთ საწვიმარიც
ეცვა ბრეზენტის,
ხოლო თვალები
ჰქონდა პირუტყვის,
— ჩუმად იყავი,
ვეძებთ დეზერტირს,
ვინც ჩვენს ბედნიერ ხანას
ძირს უთხრის.

და წაიყვანა —
ერთი, მეორე,
მეზობლიდანაც,
მეცხრე, მეათე,
გადაუარა კლდეებს,
ხეობებს,
ზოგს ნებით,
ზოგსაც ძალით მიათრევს.

ო, ღმერთო ჩემო,
ისევ კაენი,
ისევ კაენის
ხელი მსახვრალი,
ისევ იღრჩობა
იმერ-ამერი
და ყელზე ადგას
ძვალი გამხმარი.

უხსენებელმა
იარა ასე,
ძველი ქამრით და
ძველი პენსნეთი,
ბოლოს,
თავისთავს მიადგა კარზე
და სთქვა:
„ვიპოვე რასაც ვეძებდი“.

მიაყურადა,
და ნახა ჩქამიც
რომ არ ისმოდა
ღამით სახლიდან,
გამოიყვანა
თავისი თავი
იქვე კედელთან
და მიახვრიტა.

ფშაური ლეგენდა

თეთრი არაგვი — ფშავს ჩაუდის,
კლდენიც თეთრია,
დასავლეთიდან აღმოსავლეთ
ხევნი ერთვიან...

არს ეკლესია ლაშასაგან
აღშენებული,
ჯვარით, ხატით და
ოქრო-ვერცხლით დამშვენებული.

ლაშას ჯვრად ხმობენ.
სასოება ხალხსა აქვს ფრიად,
რა ოქრო-ვერცხლიც უშოვიათ
ყველა იქ ყრია.

ფრიად მაგარ არს ეს ქვეყანა,
ძლიერი მთითა,
კლდითა და ტყითა, ძმითა, ძნითა,
გალობით სირთა.

აქ გაჩნდა კაცი,
მთათა შუა, სამხრით კავკასის,
თუ საკრამულთან,
ბაზალეთის ოქროს აკვანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარია რომ კაცი გაჩნდა
ნასასახლევზე,
ჩვენსერამდელი ჭრილობები
აწნდა სახეზე.

როგორც ჰერაკლე,
დადიოდა ლომის ტყავითა,
ოდგა მიწაზე ხიმხნეევითა
და სიმყარითა.

სუყველა ტირანს
წაუყვანდა ავად საქმესა,
უზარმაზარი კეტით სჯიდა
ავაზაკებსა.

ის ძირს ამხობდა
უსამართლო ხელისუფლებას
და თოკებს გრეხდა
მოუდრეკთა ყელის ყულფებად.

ბოლოს უღებდა აჯანყებებს
და სასტიკ ომებს,
საკუთარ ნებით აეროებდა
პატარა ტომებს.

ვით თვინიერად და მორჩილად
ცხენის გახედნა,
ადამიანში მორჩილების
გრძნობას ამხელდა.

მას ცხრა გირვანქა
გული ჰქონდა
და ცხრა ელენთა,
გახდა სარდალი
იბერთა და გორდიენელთა

აღარ უმღერდნენ პოეტები
უკუნის თალხებს,
თითქმის ყველა დღე
ბედნიერ დღეთ უქცია ხალხებს.

იყო პირველი,
იყო ღმერთი უზენაესი:
მახვილი ჰქონდა
ავაზაკთა წყლულზე ნალესი.

წყალს არ მოიტანს (ნათქვამია)
ყოველთვის კოკა,
ეხიც მიპარვით, ერთმა ქისტმა
მეცხვარემ მოკლა.

მკლავი მიაჭრა,
ჩამოჰკიდა კლდეზე მარჯვენა,
— ეს ყველაფერი ვქმენო
ხალხის გადასარჩენად.

დიახაც, ფრიად მოუწონეს,
ეს არ იკმარეს,
დაასაჩუქრეს,
ასი სული ცხვარი მიჰგვარეს.

აწონ-დაწონეს,
საფლავზედაც ბევრი იყბედეს,
ბოლოს უფროსი გამოჰყვეს და
ცხედარს მიხედეს.

დაასაფლავეს ღირსეულად
ქვეყნის მპყრობელი.
თურმე ცრემლებად იღვრებოდა
ერი მშობელი.

ერთ წლამდე ზარით უგლოვიათ
ღმერთის სწორფერი,
წლისთავზე მეხი დასცემია
გმირის ობელისკს.

ᲛᲔᲐᲠᲔᲛᲘᲡᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲔᲚᲘ

მაკედონიას მოდიოდა
ხშირად ამბავი.
ფილიპეს ლამპარს ვერ სჯობნისო
ქვეყნად ლამპარი.

მისი ცხოვრება,
მისი ბრძოლა
არის ზღაპარი,
სახელი მისი
არის გმირთა თავშესაფარი.

ეს მერამდენედ გაიმარჯვა,
დასცა ქალაქი,
აღვაბეჭდინეთ მონეტებზე,
ლომი დავარქვით.

და როცა ერთხელ
ახალ ქალაქს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწვდა და ემძრახა,
„რას მიტოვებო დასაპყრობაღ!“ —
შვილმა შესძახა.

გმირობისა და რაინდობის
აგრე მდომელი,
იყო ყმაწვილი
ალექსანდრე მაკედონელი.

სძულდა სიმდიდრე
წუთისოფლის ტახტთა და დახლთა,
მისი ოცნება
სახელისა მოხვეჭა გახლდათ.

ჰყავდა მრავალი პედაგოგი,
მოძღვარ-მოახლე,
ის ცალკე ჰყავდა —
საჩრდილობელს
ვინც რომ მოარხევს.

ურა ულაყებს აურვებდა,
კვიცებს ხედნიდა,
არისტოტელეს ჭვრეტდა
ქვეყნის გასახედნად.

მთავარსარდალი

„ლიკურგე იმოგითვე იმტკიცებდა: ბავშვები სახელმწიფოს კუთვნილებაა და არა მამებისაო“ (პლუტარქე).

შენც ასე გწამდა,
ჩვენ კი შენთვის უნდა გვედია,
რა ერქვა ამას,
ირონია თუ ტრაგედია?

და მოდიოდა მავანიდან
წყვლა წყალივით,
რა ერქვა ამას,
ლიკურგე თუ რწმენა სტალინის?

და მოდიოდა მრავალიდან
ლოცვა გრიგალად,
მაშინ კი რწმენა
დიდი გემის ბოცმანს გვიგავდა.

რაც ერქვა, ერქვა,
მილიონთა იყავ მსახური,
შენ ხელში გიპყრა
სადავეც და გადასახურიც.

როგორც კაცს არა,
როგორც რწმენას,
როგორც იდეას,
ხოლო იდეას, ზარბაზანი
ფეხზე კიდია.

იაკობ ჯულაშვილი

განსაკუთრებით არ ჰყოლია
მოძღვარ-მოახლე,
არცა ის ჰყავდა —
საჩრდილობელს ვინც რომ მოარხევს.

სახელოვანი გვარიშვილნი
თუმც ერტყა ირგვლივ,
არცა სახელის მოხვეჭისთვის
იბრძოდა იგი.

ურა ულაყებს აურვებდა,
კვიცებს ხედნიდა,
მამასაც ჭვრეტდა
ჯულაშვილთა გასახედიდან.

ნაბიჯ და ნაბიჯ,
ქვემო, ზემო,
ბაჯი-ბაჯს მიჯრით,
რაჭველი კაცი, თვით ქართლელზე
ღინჯი და დინჯი.

რაჭულ ოჯახში,
კვაწიათი, გობით და ქვიჯით,
სვანიძეებში იზრდებოდა
გორელი ბიჭი.

სხვა ქვეყანაზე
არასოდეს უოცნებია,
თავისი ქვეყნის
ნამგალი და ურო სცხებია.

თავშეკავება უსწავლიათ
სვანეიძის ბიძებს,
— თავგატეხილმაც არ იტირო
მავანის ჯიბრზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმც ნებისყოფა-ძლიერია
სულყველა ნიჭზე,
ხანდახან მაინც უტირია
პაატა — ბიჭზე.

არანაკლებად ძლიერია
ნიჭი გარისკვის,
ხანდახან ეჭვით შეუხედავს
მოურავისთვის.

მოგარდებოდა როგორც ელვა,
როგორც ქარწვიმა,
— ნუთუ, უარყო მამამ შვილი,
ნუთუ, გასწირა?

ნუთუ არ იყო
უკეთესი გამოსავალი?
ივერთა წყლულის
სხვა მალამო,
სხვა რამ წამალი?

და მირეკავდა
ცხენების რემას,
დრო, ყველა ჭირის
დიდი მკურნალი...
მთაწმინდას ადგა
მზის დიადემა
და რუსთაველზე
შლიდა პურ-მარილს.

თბილისს თუ მოსკოვს,
თუ მამულის სისხლის მინდორთან,
იგი ყოველთვის
მამა-პაპის გვარით ვიდოდა.
რაიც ჰყოფნიდა
სახლად, საგზლად და სამკვიდროდა.

დასაბამიდან,
რაც მიწაზე გაჩნდა იბერი,
ჭაბუკიც გაჩნდა,
გადამრჩენი მამის სიბერის.

უცხო მიწაზე
რაც ეწერა,
შუბლზე ეწერა,
ცოტნეს შემცვლელად
თუ პაატა—ბიჭის შემცვლელად.

ოფო ჯიკბერი,
ულური და თავმოუდრეკი,
ის როგა მოკვდა,
ყველა ფეხზე წამოგუდექით.

ტყვეთა ბანაკში

ჰამლეტურგს ყაჩაღთა
მიჰგვარეს ჭაბუკი,
თუმც ტყვეა,
თვალებში მზერა აქვს ჩაუქის.

ჰამლეტურგს გამჩენმა
იღბალი მიაგო,
— სტალინის შვილია,
იცნობდეთ იაკობს.

ერთი ოფიცერი
თავისას არ იმლის:
— ის არ იქნებაო, —
არწმუნებს მეომრებს,
— ფრონტზე გაუშვებდა
სტალინი თავის შვილს?
ვერ დავიჯერებო,
ქირქილებს მეორე.

ბანაკის უფროსი
თვალებში ჩასცქერის,
დიდი სიხარულით
გული რომ იჯეროს,
— ის კავკასიელი,
ულვაშა ქართველი,
რომ არ გაუშვებდა
ის არ დაიჯერო.

ბანაკში სიკვდილი
ცხოვლად ბალახობდა,
ქართველმა ქართველის დედამ
პირჯვარი გარდისახა.
ზევიდან ღმერთთვითო
მამა ჰკარნახობდა:
გახსოვდეს, გახსოვდეს,
ვისი გვარისა ხარ!

ერთმანეთს მისდევდნენ
ტანჯული დღეები...
— კვლავ წინა ხაზებზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ ჯარისკაცებად,
იდგნენ და ელოდნენ,
იდგნენ და ელოდნენ,
ელოდნენ ბიჭები —
სიკვდილს ან გაქცევას.

რა წვიმა და ქარი
არ ჰქონდათ გავლილი,
რამდენი ნაგრძნობი,
რამდენი განცდილი,
მაინც არ სჯეროდათ,
რომ შვილი სტალინის
იყო სამანაკო
მსხვერპლად გასაწირი.

და როცა მიიღო
დასტური ძმებისგან,
როდესაც მიხვდნენ და
თავისად იგულეს,
სამზარეულოში
ნარჩენი ძვლებისგან,
მშვიდად აკეთებდა
ჭადრაკის ფიგურებს.

ოსტატის ტალანტი
სულ ჭადრაკს შესწირა,
ხედავდნენ ბანაკში
ჭადრაკზე დამხობილს,
დღე არ ისვენებდა,
ღამე არ ეძინა
და ტყვეებს კვებავდა
პურით და მახორკით.

გაუძღო ტანჯვას და
ათასგვარ ცთუნებას,
მის გვარსა და ჯილაგს
სჩვეოდა ვითარცა.
გული გაუკაქეს
მამულის წყლულებმა
და დარჩა ბოლომდე
ერთგულ ჯარისკაცად.

როგორ არ უარეს,
როგორ არ დაჰკითხეს,
როგორ არ შეიქეს
რასა არიული,
დამდგარა ჟამიო
სტალინის განკითხვის,
კრემლში შვენდაო
ჯარი გერმანული.

შენი ღვიძლი მამა —
სტალინიც გაიქცა,
გამოტანილია
რუსის განაჩენი,
და იყო პასუხი:
არ მჯერა წამითაც,
არ მიატოვებსო
მოსკოვს მამაჩემი.

იგი ტყვე არ გახლდათ,
ის ჰყავდა იმედად
მოსკოვს და ლენინგრადს,
თბილისს და კრასნოდარს,
იგი არ შემკრთალა,
ბანაკში მცირედაც,
ვისი გორის იყო,
ბოლომდე ახსოვდა.

ძვირი რომ არ ეთქვათ
გამართულ ქართველზე
და რადგან სამშობლო
უყვარდა ძალიან,
გაექცა ტყვეობას
და მავთულ-ხლართებზე
ვითარცა შარბათი
სიცოცხლე დალია.

პაპატა საპაპაძე

არღარა იყვნენ ქართველნი,
მხნენი და რჯულით მტკიცენი,
რწმენამ დაჰკარგა სანთელი,
რანდმა გული ფიცხელი,

ისმოდა მღერა-ყმუილი,
უგვანო ზიზღი და შური,
სიძვა, მრუშობა, ტყუილი,
სმა-ჭამა ყიზილბაშური.

. . .

„შუბლზე დამღა გაქვს ლაჩრების,
ურჯულოს რჯულს რომ გაატან,
სირცხვილით იწვის გამჩენი,
და დიდებულთა პალატა,
შენ წადი, მე აქ დავრჩები“,
მოურავს ეტყვის პაატა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ჰქონდა სხვა სავალალო
აზრი და გამოსავალი,
არც უკეთესი მალამი,
არც უკეთესი წამალი.

— უკეთესს რაღას გამატან,
ის მითხარ, რასაც ველოდი
და მამამ ბიჭი — პაატა
გასწირა საქართველოსთვის.

— დაბადებულხარ მეომრად,
ჭირიმე შენი გამჩენის,
გიორგიმ გაიმეორა:
„შენ წადი, მე აქ დავრჩები".

კვლავ შეიძახა თავისთვის —
„შუბლზე დამღა გვაქვს ლაჩრების",
სწორი ხარ, დროიც არ იცდის,
მე წავალ, შენ აქ დარჩები...
. . .
მხოლოდღა სისხლი ქართული,
არც მოქმელნი, არც მოწამენი
და იდგა ხმალმემართული
გაღმა ნაპირზე კაენი.

ჩამავალ მზეზე კიაფობს
ქართველისა ფერი ხრიოკი,
ხოლო პატარა იაკობს
გულში ჯავრი სჭირს გიორგის.
. . .

ᲘᲛᲔᲓᲘ

ღამით გუგუნი მომესმა,
შვიდი მუხის და ᲭᲓᲐᲠᲘᲡ,
ასე გუგუნებს, როდესაც
გული ბრძოლისთვის მზად არის.

ერთი სიზმარიც მესიზმრა,
მთებზე მზე იყო დამდნარი,
ლამარის ცაზე მეხის ხმა
იყო ლამარის ბადალი.

და თუმცა ზღვად მიიქცევა
წმინდა გიორგის საყდარი,
ვიცი, სამოთხედ იქცევა
ცოდვილი მიწის ავდარი.

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲯᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲛᲨᲘ ᲕᲐᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ

არ გაგყოლია ამბორი,
არც მამის, არცა დედისა,
არც ვინმე იყო გამგონი,
შენი იღბლის და ბედისა.

როგორც სხვა, ისე წახველი,
მამულზე ფიქრმა გაგთანგა,
არ იყო შენი სახელი
გამორჩეული სხვათაგან.

გეძახდა მიწა ბებერი —
სხვის მიწაზე რომ არ გაცელი,
საქართველოდან შენფერი
იყო შვიდასი ათასი.

იყო შვიდასი ათასი
ლომი, ვეფხვი და არწივი,
დიდი მამულის კალთაში,
განბანილი და გაწვრთნილი.

მამულის მიწას უვლიდა
მხარდამხარ მილიონების,
ნაყოფი ცხელი გულის და,
ნაყოფი ცივი გონების.

შენც, მამასავით, სამშობლოდ
დიდი სამშობლო იცოდი,
რუს ძმასთან ერთად იბრძოდი,
სომეხთან ერთად იბრძოდი.

ხეზე ჩიტი არ გალობდა,
ქვეყანას ისე უჭირდა,
მაგრამ ის თვალი თვალობდა,
მთავარსარდალს რომ უჭრიდა.

სმოლენსკი მურმანსკს უხმობდა,
ორშა უხმობდა ოდესას,
გულის ძახილით, უხმოდა,
მოძმე უხმობდა მოძმესა.

სვერდლოვსკს უხმობდა ტამბოვი,
დარიალის კარს თებერდა,
მიწას მაგ სისხლში განბანილს,
მტერმა დინგი ვერ შებედა,
შენი სიკვდილის ამბავი
შემოგვრჩა, როგორც ლეგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ლეგენდას ყვებოდა
შენი აწმყო და მყობადი,
არ გატყდი, ვით არ ტყდებოდა
ხმალი ხალიბურ ფოლადის.

თუმც გაძაბუნეს, გაწვალეს—
ბიჭი ხარ, შენ გენაცვალე,
არც არავისში გაგცვალე,
არც არავისში გაგცვალეთ.

შენი ძახილი ვიცანით —
გავარდნას ჰგავდა მეხისას,
სიკვდილი მართლა ის არი,
შენ რომ სიკვდილი გეღირსა.

არა, აუგი არ გვეთქმის,
კვლავ ძმობის სიდი გაიღო,
შენ მართლა მკვდრეთით აღსდექი,
პაატას ბედის რაინდო.

ლექსს უნდა შენი მზე ვასვა,
შენი ფოლადით მოვკვერო,
დიდება მოთმინებასა,
ჯუღაშვილების ბოკვერო!

შვილობი

მთიდან დაეშვა მართვე ორბისა,
ღაეშვა ციდან ნათლის სვეტივით,
ზღვარი ყოფნისა და არყოფნისა
ქარაფზე მოსჩანს, როგორც წერტილი.

მართვეა, მაგრამ მაინც ბარტყია,
ორბისა როა, მართვეს ვეძახით,
ახლა იობალზე აცდა ცხრა ტყვიას,
ბოლოს ქარაფებს გულმკერდს შეახლის.

ვინ მისცემს მიწას სითბოს მზისოდენს,
— ისიც კი ჩადის ღონემიხდილი,
იფრინე,
მაგრამ ერთი იცოდე,
ორბი არ კვდება თავის სიკვდილით.

ქართლის მზე ქართლში უნდა იწვოდეს
და თუ არ გყოფნის შენი არჩევი,
იფრინე,
მაგრამ ერთიც იცოდე,
მარტოობაში კვდება არწივი.

1975-1977 წლები.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ დუმბაძე

მარადისობის კანონი

რომანი

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1.

მხატვარი ჯემალ ლოლუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ნაბახუსევი ვერელი ბიჭები აფთიაქის წინ იდგნენ, მელიქიშვილის ქუჩაზე, კამათობდნენ. კამათი ხაშიდან დაიწყო. ციკკა ამტკიცებდა, რომ პახმელიდან გამოსვლის საშუალებათა შორის, ხაში კაკობრიობის ყველაზე დიდი მონაპოვარია. კოკა და კოპლიკა ციკკას უჭერდნენ მხარს. ქოფაკა და ვანკა უფრო უშაქრო ჩაისაკენ იხრებოდნენ. ბაჩანა პახმელიიდან გამოსვლის უებარ საშუალად ბორჯომს თვლიდა. ბერძენა ნაბიღლავის წყალს, ხოლო დათიკო — კონიაკსა და ასპირინს. როდესაც ყველა წინადადებას ენგზი ეყარა, ცხადია, ციკკამ გაიმარჯვა, რადგან უმრავლესობა მის მხარეზე იყო, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა, ყველა საკუთარი მოსაზრების ერთგული რჩებოდა. ამრიგად ბიჭები ჯგუფების მიხედვით ასე განაწილდნენ.

1. ხაშისტები — ციკკა, კოკა, კოპლიკა.
2. ჩაისტები — ქოფაკა, ვანკა.
3. ბორჯომისტები — ბაჩანა.
4. ნაბიღლავისტები — ბერძენა.
5. კონიაკისტები და ასპირინისტები — დათიკო.

კიდევ იყო ბიჭების ერთი ჯგუფი, რომელიც „პახმელიაზე“ გამოსვლის ყველაზე უებარ საშუალად გოგირდის აბანოს თვლიდნენ, მაგრამ მათი რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ კინკურსს გარეშე იდგნენ, გარდა ამისა, ამ ჯგუფის წევრები იმდენად პრაქტიკულები იყვნენ, რომ ამკამადაც გოგირდის აბანოებში იმყოფებოდნენ.

როდესაც კამათი ღვინოებზე გადაინაცვლა, პირველ ადგილზე ერთხმად ღალოცვილი რვა ნომერი გავიდა.

რა თქმა უნდა, პოლიტიკასაც შეეხენ. აქაც არ იყო დიდი ერთსულოვნება. მაგრამ მაინც, ცოცხალ პოლიტიკურ მოღვაწეთა და სარდალთა შორის ადგილები ასე განაწილდა:

1. სტალინი.
2. ჩერჩილი.
3. ეიზენჰაუერი.
4. დე გოლი.
5. ჟუკოვი — ჟუკოვს კონკურენციას მონდგომერი უწევდა, მაგრამ ორი ხმა დაკარდა და მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა. ყოველ შემთხვევაში, ხუთეულში ვერ მოხვდა. პილატიკიდან ფეხაპერთზე გადავიდნენ. აქ საქმე უფრო იოლად წავიდა. მსოფლიოში მხოლოდ ერთი კაცი იღმოჩნდა ისეთი, რომელიც ვერელი ბიჭების ყველა სპორტულ, მორალურ და ზნეობრივ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. ასეთი კაცი ბორის პაიჭაძე ვაზლდათ. ხელოვნებაზეც იკამათეს, მაგრამ აქ, როგორც ყოველთვის, აშკარა უპირატესობა ბერძენას მხარეს იყო და კამათის დასასრულს უზენაესი გვირგვინი ორ კაცს დაედგა თავზე: შოთა რუსთაველსა და მიქელანჯელოს, რომელსაც ბერძენა მოფერებით მიქელას ეძახდა.

...და როდესაც მათ წინ ვერელი მენათვის აპოლონ ქავეარაძის ჯიშიანმა ქალმა გურანდამ ჩაიარა მაღალი თეატრების რხევით, მოღერებული ყელით და თან ვერელი ბიჭების სული გაიყოლა, კამათმა გენეტიკაზე გადაინაცვლა.

— არა თქვათ, ძმაო, ჯიში არ არსებობსო, ნახეთ, ჯერონს არა ჰგავს, ახლა მაგისი შვილი რა იქნება?! — აღტაცებით წამოიძახა ციკკამ და ერთი ფეხიდან მეორეზე გადაინაცვლა.

— ჯიში არა, ნიახური, როგორც მაგას მამამისი აკმევს და აცმევს, ისე ჩამაცვი, მაჭამე, მერე მოდი და მნახე... — თქვა კოპლიკამ, თან პაპაროსის ნამწვი წკაპურტით ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადააგდო და შიგ ურნაში ჩააჯინა.

— ორი ქულა! — ჩაუთვალა ვანკამ და თვითონაც სცადა ბედი, მაგრამ ნამწვი ორი მეტრით ასცილდა ურნას.

— რაც ეგ სხვის ბიჩოკებზე ვარჯიშობს, ჩაადგეს, მა რა იქნება, — თქვა თავის დასამშვიდებლად და ჯიბიდან ახალი პაპაროსი ამოიღო.

— ცოტა მამამისის ნავთის სუნი რომ არ ასდიოდეს, მართლა ჯიშიანი ქალია!

— დაუბრუნდა თემას ბერძენა და თხელ ულვაშებში ირონიულმა დიმილმა გაუჩინა.

— ვინ მიგიღოთ უმაღლესში, თქვე დებილებო, არ იცით, რომ არავითარი ჯიში და რასა არ არსებობს. ყველა ადამიანი ერთია, თუ ერთნაირ პირობებს შეუქმნი და ერთნაირ პირობებში აღზრდი. მაგ თეორიამ დადუპა ჰიტლერი და თქვენ ახლა გურანდას გამო თავიდან იწყებთ? — დატუქსა ამხანაგები კოკამ.

— ამირეჯიბი მაინც არ იყოს, ეგ მართლა დებილი! — გაშალა ხელები ციცკამ.

— ამირეჯიბი-მამირეჯიბი არ ვიცი მე, მე ვარ მატერიალისტი!

— მატერიალისტი კი არა, შარაფისტი ხარ! — უთხრა ციცკამ და სოროკიც წაართვა.

— როგორ, მამაძალი, მაშ, მე რომ მამაჩემს ვგავარ, ის კიდევ მამამისს, ბაბუაჩემი კი თავის ბაბუას, ეგ ჯიში არ არის? — იფეთქა უცებ ვანკამ.

— ეგ უჯიშობაა! — ჩაიხითხითა ქოფაკამ. ვანკას პასუხის გაცემა უნდოდა, მაგრამ, საუბედუროდ, ქოფაკას უჯიშობას ვერ დააბრალებდი. ისტორიის სახელმძღვანელოში რომ გიორგი სააკაძის გრავიურაა, იმას ჰგავდა და ბეჭები ჰქონდა ხუთი მტკაველი. არაბული ცხენივით ბერავდა ცხვირის ნესტოებს და აბრიალებდა თვალებს. ვერიდან ნავთლულამდე ჩხუბით რომ ეარა, კაცი არ იყო ამბელა მანძილზე მისი გამლახველი. მაგრამ ვანკამ თავი ვერ შეიკავა და მაინც უთხრა:

— შენ ძაღლის ჯიშისა ხარ, ქოფაკასაც იმიტომ გეძახიან...

— ჯიში რომ არ არსებობს, ეგ ყველაზე უფრო უჯიშოებს აწყობს! — თქვა კატეგორიულად ციცკამ.

— გამოდის, რომ მე და კოპლიკა უჯიშოები ვართ, არა? — იწყინა კოკამ.

— შენ ლოთიანად შარზე ხომ არა ხარ, თვითონ ამბობ, ჯიში არ არსებობსო, რასა არ არსებობსო, გენები არ არსებობსო, ახლა აქეთ გვეშუხურები?! — ჰკითხა ქოფაკამ და ცხვირწინ ლავაშის ტოლი ხელი აუქნია კოკას.

— მორჩით ბაზარს, აგერ პროფესორი იმედაშვილი მოდის და იმას ვკითხოთ! — დაიწყანარა მოკამათეები ბერძენამ.

— ვინ ჰკითხავს? — დაინტერესა კოპლიკას.

— ქოფაკამ ჰკითხოს, ძალიან ჯიშიანია! — უკბინა ვანკამ.

— მე არა, ბერძენამ ჰკითხოს, — სასტიკად იუარა ქოფაკამ.

— ციცკამ ჰკითხოს, მაგას მიამიტი ფრიადოსანი სტუდენტის სიფათი აქვს. — წამოაყენა ბერძენამ თავისი კანდიდატურა.

— რაშიაც არ ვკითხავ! — თქვა ციცკამ, ბიჭებს გამოეყო და იღლიაში შავპორტფელამოჩრილი პროფესორის შესახვედრად მოემზადა. პროფესორმა ისე ჩაუარა ვერელ ბიჭებს, გვერდზედაც არ გაუხედავს. მაშინ ციცკა წინ გადაუდგა და მოწწეპით მიესალმა.

— სალამი, პატივცემულო პროფესორო!

— გამარჯობათ! — თავი დაუკრა პროფესორმა.

— ძალიან დიდ ბოდიშს გიხდით, პატივცემულო, მაგრამ ჩვენ აქ, ბიჭებს ერთ საკითხზე დავა გვაქვს, ვერაფრით ვერ მოვრიგდით და თქვენნი აზრი გვაინტერესებს...

— აქ, ეულაში? — გაიხედ-გამოიხედა პროფესორმა და ცხვირზე ჩამოჩრეული სათვალე შუათითით გაისწორა.

— აქეთ მობრძანდით! — მიიპატიჟა ციცკამ, მკლავში ხელი გაუყარა და ბიჭებთან მიიყვანა, ბიჭებმა მორიდებით მიწ-მიწწეს და აფთიაქის გაჯჩამოშლილ კედელთან ადგილი დაუთმეს.

— ბრძანეთ! — თქვა პროფესორმა და შავი პორტფელი ერთი იღლიიდან მეორეში გადაიტანა.

— ბატონო ექვთიმე, აქ წამოიკრა საკითხი, არსებობს თუ არა ჯიში, რასა და გენები... ციცკა ამბობს, რომ... — დაიწყო კოპლიკამ.

— ვინა? — ჩაჰკითხა პროფესორმა და ყური მიუშვირა.

— ციცკა!

— ციცკა რა არი? — ისევ ჰკითხა პროფესორმა.

— ციცკა ეგ არი, — ხელი დაადო კოპლიკამ ციცკას, — ისე დავითი ჰქვია ჩვენ ციცკას ვეძახით. — აუხსნა კოპლიკამ.

— ჰო, რაო ციცკამ?

— ესე იგი, ციცკა და ქოფაკა...

— ქოფაკა ვინ არი?

— აი, ეს! — კოპლიკამ ახლა ქოფაკას დაადო ხელი.

— პასპორტში ეგრე უწერია? — იკითხა გაკვირვებულმა პროფესორმა.

— პასპორტში თენგიზი უწერია! — უპასუხა ამჯერად ბერძენმა.

— ეს ვინაა არი? — ჰკითხა პროფესორმა კოპლიკას.

— ეს ბერძენა!

— ბერძენია?

— არა, ბერული.

— სადაური?

— ქართველი.

— რა ჰქვია?

— მერაბი!

— თქვენ?

— მე, კოპლიკა!

— მადლობა ღმერთს, ძლივს არ გაგიგონე წესიერი სახელი, რა გნებავთ, კოპლიკ?

— აკი მოგახსენეთ, ესენი ამბობენ, რომ რასა, ჯიში და გენები არსებობენ, მე და კოკა კი...

— ეს კოკა რომელი კოკაა, წყალზე რომ გატყდა, თუ კოკასა შიგან რაცა დგას? — იკითხა პროფესორმა და თავისსავე ნათქვამზე გაეცინა. ბიჭებსაც გაეცინათ, გაუხარდათ, პროფესორი რომ ხუმრობის ხასიათზე მოიყვანეს თავიანთი სახელებით.

— ესე იგი, თქვენ და კოკა ამბობთ, რომ ჯიში, რასა და გენები არ არსებობსო, ასეა, არა?..

— დიახ, პატივცემულო! — თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად კოპლიკამ.

— მართალი ბრძანდებით! — თქვა პროფესორმა, — რასობრივი თეორია რეაქციულია, არამეცნიერული და ფაშისტური. რაც შეეხება გენეტიკას, რომელიც სწავლობს ორგანიზმების მემკვიდრეობასა და ცვალებადობას, აქ სამეფო ცოტა სხვანაირად არის...

— მოიცათ, პროფესორო, მაშ, ის რაღაა ცხენების ჯიშები რომ გამოგვყავს, ძაღლებს რომ გამოვფენთ ხოლმე ალექსანდროვის ბაღში და ოქროს მედლებს ვაძლევთ... — არ აცალა ბერძენმა.

— თქვენ რა გქვიათ? — მიუბრუნდა პროფესორი.

— მერაბი!

— იცით, რა, ჩემო ბერძენ, ცხოველთა სამყაროში ბუნებრივი შერჩევის გზით, საუკუნეების მანძილზე...

— ადამიანი რა, საზოგადოებრივი ცხოველი არ არის? — ჩაჭრა პროფესორი ციცკამ, — ან სოფლის მეურნეობაში სელექცია, შეჯვარება და ახალი ჯიშების გამოყვანა არაფერი არ არის?

— კაცო, თქვენ რა რადიოსავით სულ აქეთ მელაპარაკებით, იქით ყურისგდება არ იცით? — გაშალა ხელები პროფესორმა და იღლიიდან პორტფელი გაუვარდა. ბაჩანამ სწრაფად აიღო პორტფელი და გამზადებულ იღლიაში გაუკვეხა ისევ, თან მორცხვად დასძინა:

— ბრძანეთ, ბატონო!

— იცით რა, თქვენ რა გქვიათ? — ჰკითხა უცებ ამდენ ხანს გაჩუმებულ ბაჩანას პროფესორმა.

— ბაჩანა!

— ჰოდა, იცით რა, ჩემო ბაჩანებო, კოკებო, კოპლიკებო, ბერძენებო, ციცკებო და ქოფაკებო, ჩვენ ამ საკითხს აქ ქუჩაში ვერ გადავწყვეტთ. მობრძანდით ჩემთან, კათედრაზე ხუთიდან ექვსამდე, ნებისმიერ დღეს, გინდათ სახლში, ათი საათიდან დილამდე და იქ ეკამათოთო, გაწყობთ? — ჰკითხა პროფესორმა დაბნეულ ბიჭებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

— სახლში გეახლებით, ბატონო! — უთხრა ბაჩანამ.

— კეთილი!

— შემოგვიშვებენ? — ჰკითხა პროფესორს კოპლიკამ და ფეხსაცმელებზე დაიხედა.

— უთხარით, ვერელი ბიჭები ვართო და შემოგვიშვებენ, — უპასუხა პროფესორმა.

— ნახვამდის, დიდად პატივცემულო პროფესორო! — დაემშვიდობა ციცკა.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — თქვა პროფესორმა, ფეტრის შლაპა ოდნავ აიწია და გზას გაუდგა. ბიჭებმა მორიდებით დახარეს თავები.

— კარგი ვინმე კია და შენ პროფესორი უძახე! — თქვა ციცკამ და ხელები გაშალა.

— ბიჭებო, გიჟი მარგო მოდის! — თქვა ბერძენამ და ქვევით გაიხედა. ვერის ბაზრის მხრიდან, მელიქიშვილის ქუჩის მარცხენა მხარეს, ხელგაშლილი მარგო მოირწოდა და მოდიოდნენდა:

> პარახოდო, ვინ რა იცის რა ხარო,
> თუ დაკეირდა, საზღვარგარეთ გახვალო,
> ჩამოტატ კავერკოტის ნაჭრებსა,
> დაურიგებ გაკოტრებულ ვიჭრებსა.

— ჰაბარდა, ვერელი მარგო მოდის! — შეიძახებდა დროდადრო და ისევ განაგრძობდა:

> პარახოდი მოვიარე ეზია,
> მოდით ნახეთ, მარგო რა ლამაზია...

მარგო მთვრალი იყო. ვინც იცნობდა მარგოს, ღიმილით ესალმებოდა, მერე ცოტას რომ გაივლიდა, უკან მოიხედავდა, თავს სინანულით გადაიქნევდა და მიდიოდა. უცნობები კი ფილაქნიდან პირდაპირ ქვაფენილზე გადადიოდნენ, თავს არიდებდნენ.

ვერელ ბიჭებს რომ დაუპირდაპირდა, მარგომ ორთავე ხელი ტუჩებზე დაიდო, მერე ფრთებივით გაშალა და ჰაეროვანი კოცნა გამოგზავნა ქუჩის მეორე მხარეს.

— ვერელ ბიჭებს შემოვეღოს მარგოს მთვრალი სიცოცხლე!

—მარგოს გაუმარჯოს! — ხელიან აწევით მიესალმენ ბიჭები.

— ჰა, ბემფარაზებო, პახმელია ხართ და თაგვის ცურცელი გიყრიათ ჯიბეში ფულის მაგივრად, მოდით, მარგო შემოგვეღოთო, მოდით, თქვენი ჭირიმე, ვერის უბნის ფერ-უმარულო და კრიალოსანო, მოდით. ტანც-გეორქასთან ჩავიდეთ, ოხრებო, გიჟ-მარგუას სახელზე თითო კათხა ლუდი გაგაჟყლეტინოთ! — მარგომ ლიფიდან სამთუმნიანები ამოიღო და ჰაერში ააფრიალა. — ჰა, ნუ გრცხვენინათ, ხვალ ხომ ისევ თქვენ უნდა დამალვინონთ!..

— წადი, მარგო, გენაცვალე, დაისვენე, ჩვენ უკვე გამოსულები ვართ. — სთხოვა ქოფაკამ.

— ბიჭოოო, სად დავისვენო და სად ცივ ქვაზე დავდო თავი, შენთან წამიყვანე, მარგოს შენისთანა პატრონი უნდა, იმიტომ რომ გიჟია და ჯაჭვით დასაბმელი. შენ გარდა მარგოს ვინ მოუვლის, ბიჭო, ცოლად წამიყვანე, კაცი არა ხარ, მთელი სიცოცხლე მოწყვეტილი ვარსკვლავივით გელოდები. ერთი მაგ შენს დარბაზივით გაშლილ ქეერდზე დამადებინე თავი, იქნებ არ მკაცრულობ, ნახე რა ტანი მაქვს და რა საცვლები მაცვია, — მარგომ ცალი ხელი თეძოზე შემოიდო, — მეორეთი კი კაბა აიწია და თეთრი ქათქათა მოქარგული საცვალი გამოიჩინა, — ხვალ კრებორეტისა მეცმეცა! — მარგომ ქუჩა გადმოჭრა და ბიჭებთან მივიდა.

— წადი, მარგო, გენაცვალე და დაისვენე, ჩემი დასაწუნი რა გჭირს, — მხარზე ხელი მოხვია ქოფაკამ.

— ჩემთვის სულ ერთია, ბიჭებო, გინდათ ყველას გამოგყვებით ცოლად, ყველა ერთნაირად მიყვარხართ. შენ რას იცინი, ბერძენ, შენ მაინც არ წამოგყვები, ძალიან ფხუკიანი ვინმე ხარ, სიცოცხლეს გამიშწარებ. აი, ციცკა მესმის, ინტელიგენტია...

— აკი ყველას წამოგყვებითო, მარგო? — ჰკითხა ბაჩანამ.

— ვა, შენც აქა ხარ, ჩემზე ობოლო? შენ წაგყვები, ოდონდ იცოდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაწს დაგბან, თმეს დაგვარცხნი, შარვალს დაგიუთოვებ, პერანგებს დაგირეცხავ და ისევ უკან წამოვალ, რას გავხარ, ბიჭოოო, სარკეში არ იხედები?

— კარგი რა, გეყო რა, მარგო, ხალხი შეგროვდა, წამო, მე გაგაცილებ... — სთხოვა ქოფაკამ და ხელი მკლავში გაუყარა.

— ხალხის დედაც ვატირე, ვერელ ბიჭებს გაუმარჯოს! — მერე ქოფაკას ახედა, გაუღიმა, წელზე ხელი მოხვია, თავი მკერდზე მიაყრდნო და ღიღინით გაჰყვა:

წავიდეეეთ, ერთ�ვია-როოოთ,
ქვეყანაااა შემოოოთ-ვიااااა-ტროووووتو...

ქოფაკამ პეტრიაშვილის კუთხემდე მიაცილა მარგო, გზაზე დააყენა, ერთხანს უყურა, და როდესაც დარწმუნდა, რომ მარგო ნამდვილად სახლში წავიდა, ბიჭებთან მობრუნდა.

— ჰა, ქოფაკ, პანაშვიდი არ იყოს! — გაუჯავრდა ციცკა, მისი მჟავე სიფათი რომ დაინახა.

●

პეტრიაშვილის ქუჩის ბოლოში, ნახევრად სარდაფში ცხოვრობდა მარგო. ორი, გისოსებიანი ფანჯარა უნათებდა ნესტიან ოთახს. შესასვლელი ეზოდან ჰქონდა, ოთხი საფეხურით უნდა ჩასულიყავი დაბლა, შერე კარს შეაღებდი და ოთახში შეხვიდოდი. ერთი გრძელი მაგიდა ედგა მარგოს, თეთრ ზეწარგადაფარებული. ერთი რკინის საწოლი, თავში და ბოლოში ჟანგშეუტმული ნიკელის რგოლებით, ორი სკამი და ერთი კარადა. ერთ სკამზე უთო იდგა, მეორეზე საუთაო. ეს იყო და ეს. გარედან კარზე ცარცით ეწერა:

— „მიეკი მარგო!“ — ეზოს ბავშვების ნახელავი იყო. მარგო არც ბრაზობდა, არც შლიდა წარწერას. ასე ამბობდა:

— ჯერ ერთი, ანგელოზის ხელით არის დაწერილი, მერეც მეორე — მართალია.

მამით ობოლი, დედისერთა იყო მარგო. პირმშვენიერი, ტანად სრულქმნილი და ვერის უბნის სიამაყე. 1936 წლის წყალდიდობის დროს, ნახალთვალა რომ პლეხანოვზე ჩამოიტანა, პესკის წისქვილები რომ დახვეტა და გოგირდის აბანოებში ხალხი ამოახრჩო, იმ წელს და იმ დღეს ჩაქრა მარგოს მზე. იმ დღეს შეტრიალდა მისი ბედის ბორბალი უკუღმა და კისრისტეხით დაეშვა თავქვე.

სოლოლაკელი ოჭრომჭედლის გოგისა ბიჭს, ბიჭს კი არა, ნაბიჭვარ ვანოს, გაურიგეს იმ წელს მარგო დედაკაცებმა. მაშინდელი წესის მიხედვით ჯვრის წერის წინ მულ-დედამთილს აბანოში უნდა ენახათ სარძლო, დედიშობილი, რამე ხინჯი რომ არ ჰქონოდა და გონჯი არ გამომდგარიყო.

მარგოს ცოდვა მიეცათ მის სულწაწამედილ მულ-დედამთილსა და ბედამშვენ დედამისსაც, აბა, მარგოს გასასხეკრა სპირდა, დაფეთებული შელის ნუკრივით ჩამოირბენდა ხოლმე პეტრიაშვილზე და მელიქიშვილზე რომ გაივლიდა, პირდაღებული გამყიდველები და მყიდველებიც დუქნებს ტოვებდნენ და მოძრაობა ჩერდებოდა თუ რმე.

კვირა დღეს, დილით, საერთოში შეიყვანეს მარგო თურმე და იმ, მის მუშტრის თვალით მომზირალ შავ ყვავებში, თეთრი მარმარილოს ქანდაკავით რომ დადგა დედიშობილა. მკვრივ და მაღალ მკერდზე ყორნისფერ თმებჩამოშლილი, მისი სილამაზით და აღნაგობით განცვიფრებულ დედაბრებში ანგელოზივით მკლავები რომ გაშალა, სწორედ მაშინ შემოვარდა თურმე ნარიყალადან მომსკდარი წყალი და აბანოს მიწისქვეშა სარდაფებში შეეკრიბნილა. შეშინებული ქალები წვიალ-კივილით, თმების გლეჯითა და ლოყების ხოკვით მივარდნიან კარს და იმის ნაცვლად თავისკენ გაეღოთ, იქეთ მიწოლიან და თვითონვე დაუგმანავთ გასასვლელი. და როდესაც სარდაფები პირთამდე გაივსო შლამიანი

ნოდარ დუმბაძე
ჟურნალისტის კანონი

და მღვრიე წყლით და როდესაც სარდაფებში წვიფლ-კივილი შემწყდარა, საშველად მოვარდნილი კაცები მმახვდარნან, რომ გოგირდის აბანოებში სიცოცხლე გათავდა... სწორედ მაშინ დაუნახავს ვიღაცას აბანოს ჭერში დატანებულ გისოსებიან ფანჯარაზე ხელებმიკიბული, შეშლილთვალებიანი ქალიშვილი. გამოუტეხიათ ის ფანჯარა და გისოსებზე ხელი რომ ვერ გააშვებინეს, ასევე გაშეშებული და დამუნჯებული წაუყვანიათ სასწრაფოში.

ერთი თვე იწვა მარგო სასწრაფოში, არც დედის, არც მულ-დედამთილის დასაფლავება არ გაუგია. ის შემზარავი წარღვნა საერთოდ ამოუვარდა მეხსიერებიდან. ვერა და ვერ ათქმევინეს, ვერ მოაყოლეს, ვერ გაახსენეს ექიმებმა ვერაფერი. ერთი თვის შემდეგ ფსიქიატრიულში გადაიყვანეს მარგო. ნახევარი წელიწადი იქ ჰყავდათ. ბოლოს, როდესაც ხმა ამოიღო და სიცოცხლეს დაუბრუნდა, ამ ქვეყანას აღარ იყო. იმ ნაბიჭვარმა ვანომ, ერთხელ არ ინახულა, ერთხელ არ მიაკითხა. ერთი მაწეთით არ გაუმართა ხელი ღვთის ანაბარად დარჩენილ გოგოს.

საავადყოფოდან სახლში დაბრუნდა მარგო. ერთი კვირა სახლში იჯდა, გარეთ არ გამოსულა. არავის არ იკარებდა, არც მეზობელს, არც ამხანაგს. ერთი კვირის თავზე სიმღერა გაიგონეს მეზობლებმა მარგოს ოთახში, კარი შეაღეს და... მარგო მაგიდასთან იჯდა, წინ ორი ბოთლი საფერავი ედგა, ერთი სავსე, ერთიც ცარიელი და ტკბილად ღიღინებდა თავისთვის:

> ბარახოდო, ვინ რა იცის რა ხარო,
> თუ დაგჭირდა, სიზღვაგარეთ გახვალო,
> ჩამთიტან კაეკრაოტის ნაბერსა,
> დაფრიგებ გაკოტრებულ ვაჭრებსა.
> . . . . . .
> ბარახოდით მოვიარე ეზი

— დაიძახა და დაუკაკუნებლად შევიდა. ბაჩანა მაგიდას უჯდა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვას ამზადებდა. ოთხშაბათს გამოიცდა ჰქონდა.

— რა იყო, მარგო? — ჰკითხა და კონსპექტი გვერდზე გადადო.

— სარეცხი გაამზადე! — უთხრა მარგომ და კონსპექტს დაუწყო თვალიერება.

— რა სარეცხი გაეკამზადო, ქალო, რაც მაქვს, ზედ მაცვია! — უპასუხა ბაჩანამ და კონსპექტი გამოართვა.

— რაპე გექნება! — არ მოეშვა მარგო. ბაჩანამ კარადა გამოაღო, ორად ორი საფელოგაცვეთილი პერანგი და საჯდომზე გაცრეცილი შარვალი გადმოყარა იატაკზე.

— თუ ქალი ხარ, ფრთხილად გარეცხე, ისედაც დამდნარია, — გაიფრთხილა და ისევ კონსპექტს მიუჯდა.

— დავიჯერო, ეხლა ისე საინტერესოა, რომ ერთი წუთით თვალს ვერ გლიჯავ? — ჰკითხა მარგომ და განჯინის კარი გამოაღო.

— ძალიან საინტერესოა, თან ოთხშაბათს ვაბარებ. — უპასუხა ბაჩანამ.

— ბრიყვო, ეგ რომ საინტერესო იყოს, მაგის სწავლაში ფულს ვინ მოგცემს, იქით წაგართმევდნენ, — თქვა მარგომ და ცარიელი განჯინის კარი უკმაყოფილოდ მიიკახუნა, — ეგ ჩვენი გასტრონომივით ცარიელი განჯინა რომ დაგიდგამს შუა ოთახში, გარეთ მაინც გადგი, ტყვილი ადგილს იკავებს, — ისწავლა ბაჩანას, — დასალევი რამე არა გაქვს? — ჰკითხა უცებ.

— ვალერიანის წვეთები! — უპასუხა ბაჩანამ.

— ვალერიანის წვეთები შენს პროფესორს დაალევინე შენი გამოცდის წინ, — თქვა მარგომ და იატაკიდან სარეცხის ასაღებად დაიხარა. რომ გაიმართა, სახე დაემანჭა და მუცელზე მოისვა ხელი, — მომკლა ამ ოხერმა, — თქვა. მერე ერთ პერანგს დახედა და თავი გადაქანქანა.

— ბიჭო, პერანგია თუ სტოლსაფარი, ტანცა-გეორქას დუქნის მენიუ სულ ზედ ასხია, არა გრცხვენიან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მრცხვენიან რომელია, მარგო, მაგრამ რა ვქნა?

— ცოლი ითხოვე, ბემფურაზო, ცოლი!

— მერე რა ვაჭამო?

— ერთმანეთი ჭამეთ! — ასწავლა მარგომ.

— კარგი, ეგრე ვიზამ! — დაპირდა ბაჩანა.

— ხვალ საღამოს დაუთავებულს მოგართმევ, ხუთი მანეთი გაამზადე, — უთხრა მარგომ და კარისაკენ წავიდა. გასასვლელში შედგა, უცებ კაბა აიწია და კრეპჟორჟეტის მოქარგული ლამაზი საცვალი გამოაჩინა.

— აბა თუ მიხვდები, ვისი ცოლის ნიფხავი მაცვია? — ჰკითხა ბაჩანას ღიმილით. ბაჩანამ მხრები აიწურა.

Министр культуры путей сообщения иностранных дел! — თქვა ამაყად და ოთახიდან გავიდა.

●

„ხვალ საღამოს“ — მარგო არ მოვიდა. — ალბათ სადმე ხელს გადაყვა და სძინავს, გადაწყვიტა ბაჩანამ და თავად წავიდა მარგოსთან. კარი ღია დახვდა და სინათლეც ანთებული. მარგო ლოგინზე იწვა. მკერდმოქარგული ვარდისფერი პერანგი ეცვა, სახე ალეწილი ჰქონდა, თვალები უპრიალებდა.

— ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, ჩემზე ობოლო! —გაუღიმა მარგომ, მერე თერმომეტრი ამოიღო იღლიიდან და ბაჩანას გადასცა. — აბა, ნახე ერთი, რამდენია, თვალებში სულ ყვითელი რგოლები დამიდის, ვერა ვხედავ. — ბაჩანამ თერმომეტრი გამოართვა, დახედა და შიშისაგან ტანზე ბუსუსებმა დააყარა. თერმომეტრი ოცდაცხრამეტს და ცხრას უჩვენებდა.

— რა მოგივიდა, მარგო?

— არ ვიცი, ბაჩან, ვიღაცა გახურებული შამფურებით მეუღრავება მუ-

ნოდარ დუმბაძე
ვარაქიანობის ქანონი

ცელში, სალამომდე გავუძელი, არც ღვინომ, არც არაყმა არ უშველა, ეღლა კიდევ წამაქცია, რამდენია?—ჰკითხა და თერმომეტრს შეხედა.

— ბევრია! — თქვა ბაჩანამ და თერმომეტრი მაგიდაზე დადო.

— მაინც?

— ოცდათვრამეტი!...

— შენი შარგალ-პერანგი მაგიდაზე დევს, დაუთოვებული, ვიდრე წაიღებდე, ის განჯინა გამოაღე, ძმარი აიღე, შიგ ცოტა წყალი გაურიე, ეგ ტილო დაასველე შიგ და შუბლზე დამადე, დადგა, ისედაც დამდნარი ეს ოხერი ტვინი... — ბაჩანამ ყველაფერი გააკეთა.

— წავალ, ვინმეს მოვიყვან! — უთხრა და კარებისაკენ წავიდა.

— ვის? — ჰკითხა მარგომ.

— ექიმს!

— ჩემთან ვინ წამოგყვება, ბიჭო, მაგათ გიჟი და ოხერი კი არა, ჭკვიანი ხალხი უკვდებათ უპატრონოდ. — გაეცინა მარგოს.

ბაჩანამ აღარაფერი უპასუხა, ოთახიდან გავარდა და პეტრიაშვილზე კისრისტეხით დაეშვა.

ბიჭები აფთიაქთან იდგნენ და რაღაცაზე ხმამაღლა დაობდნენ.

— იგვიანებ, მეგობარო! — გაუჯავრდა ციცა ბაჩანას და საათზე დაიხედა.

— მარგო კვდება, ბიჭებო! — თქვა სირბილისაგან გულამოვარდნილმა ბაჩანამ.

— როგორ, გუშინ აქ არ იყო? — გაუკვირდა თენგიზს.

— კვდება! — გაიმეორა ბაჩანამ.

— როგორ თუ კვდება! — შეანჯღრია კოპლიკამ.

— კვდება, კვდება!

— რა სჭირს? — ჰკითხა ციცკამ.

— მუცელი სტკივა, ორმოცი აქვს სიცხე.

— რა უნდა იყოს, დათიკო? — ჰკითხა ქოფაკამ.

— აბა, რა ვიცი, თენგიზ, მაგას ექიმი უნდა, ქირურგი!

— შათირიშვილთან! — იყვირა უცებ ვანკამ.

— შათირიშვილი კრეტინია, უფუ-ლოდ არ წამოგყვება, თან უკვე სძინავს ალბათ, — თქვა ბერძენმა და ზიზღით გააფურთხა გვერდზე.

— ისე წამოგყვება, როგორც დაგიბარებია, დედას ვუტირებ, ლოგინიანად წამოვიღებ... — თქვა ვანკამ და ისე დაებერა კისრის ძარღვები, თითქოს შათირიშვილი უკვე მოჰყავდა ლოგინიანად ხელში ატაცებული.

— ვახტანგის მამასთან, ეგნატესთან, ნადი კაცია! — თქვა ციცკამ და ადგილს მოსწყდა. ბიჭები აირივნენ.

ხუთი წუთის შემდეგ ყველანი მარგოს ოთახში შელადგნენ და მუნჯებივით დადგნენ საწოლთან. სიცხიანი მარგო ლოგინში წრიალებდა. ბიჭები რომ დაინახა, განცვიფრდა, ჯერ იდაყვებზე წამოიწია, მერე თავი ბალიშზე გადაადგდო და ცრემლი წასკდა. ბოლოს სიცილი აუვარდა, ნერვიული და ბედნიერი სიცილი...

— თქვენ განცვალეთ, ბიჭებო, განა არ ვიცოდი, რომ მნახავდით. ცოტა დაიშალეთ, მწკრივში ნუ დგეხართ, თორემ პანაშვიდი მგონია... თქვენ შემოგვეღოთ გიჟი მარგოს ჯანი...

პარახოდთ მოვიარე ბაზა.
მოდით, ნახეთ, მარგო რა ლამაზია...

— ნუ გეშინია, მარგო, ციცკა ეხლავე ექიმს მოიყვანს. — ძლივს ამოღეჭა თენგიზმა.

—ექიმი რად მინდა, ბიჭო, აწი რა მომკლავს, ჯაბ, სიცხე გაქრა, ტკივილი გაქრა, — მარგომ ტილო მოიძრო შუბლიდან, ოთახში მოისროლა და ტაში შემოჰკრა. ბაჩანამ ტილო დაასველა და ისევ დაადო შუბლზე.

— ჩემზე ობოლო, შენ დაფრთხე ეს ბიჭები? ეხლავე მუხლებში ჩაუვარდი და პატიება სთხოვე, ვაჰ, ვაჰ, რომელ ავადმყოფს, ისიც გიჟს, ღირსებია ეგეთი მნახველები, ყოჩაღ, მარგო! — მარგომ ისევ ტირილი დაიწყო, ბიჭები იდგნენ თავჩაქინდრულები და არ იცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ, ხელები და თვალები სად წაეღოთ. ცოტა რომ დამშვიდდა, ბაჩანას დაუძახა.

— აი, იქ, კარადაზე რომ პატარა ხის ყუთი დევს, აქ მომეცი, — ბაჩანამ ყუთი მიუტანა. მარგომ ყუთი მკერდზე დაიდო, დიდხანს ასე ედო, რაღაცას ფიქრობდა, დაძაბულად, მერე ყუთი ყურთან მიიტანა და გაახაჭუნა. კმაყოფილმა გაიღიმა და ყუთი გახსნა. იგი სავსე იყო იაფფასიანი ბეჭედებით, სამაჯურებით, საყურეებით, ზიზილპიპილებითა და ბროლილალითი.

— ეს პატიოსანი თვალი, ავღანეთის სატახტო ქალაქ ქაბულიდან ჩამოტანილი თვალია, თამარ დედოფლისათვის... — თქვა მარგომ და ყუთიდან ორმანეთიანი ზურმუხტისფერი შუშით გაწყობილი სპილენძის ბეჭედი ამოიღო, — შენთვის მიჩუქებია, ჟენფაკ, ცოლს რომ შეირთავ, მარჯვენა ხელის შუათითზე გაუკეთე, უთხარი, მარგომ დაგიტოვა-თქო, თან ისიც უთხარი, ეგრე თქვა მარგომ, ცოტა ადრე დაბადებულიყო ქოფაკა, ცოლად ვის შეირთავდა, იმასაც ენახავდი-თქო... — დამილოცნეხარ! — მარგომ გაიცინა და ბეჭედი თენგიზს გადასცა. თენგიზმა ბეჭედი გამოართვა და დაძაბულობისგან ყვრიმალები აუთამაშდა.

— ეს შენ ცოლს, თავადო ეოკა ამირეჯიბო, ინდური მარჯნის საყურეები, პირთვთრი, გიშრისთმიანი, მწკანეთვალება ქალი შეირთე, დახატავს... გამომართვი, ნუ იპრანჭები! — მარგომ კაპიკიანი საყურეები ჩაუყარა გამოწვდილ ხელში ეოკას.

— ეს კიდევ შენ, ბერძენ, ოქროს ვარაყიანი ვერცხლის სამაჯური. დღესტნის ოსტატების ნახელავია. ამას ვრძელმკლავება, აშოლტილი, მკერდმაღალი და თვალებბრიალა ქალი მოუხდება, — მარგომ ბერძენს ეონსერვის კოლოფიდან გამოჭრილი პრილა სამაჯური გადასცა. ბერძენამ სასოებით ჩამოართვა სამაჯური და ბიჭებში რომ არ შერცხვენილიყო, ოთახიდან გაიპარა.

— ეს კიდევ, მე, — თქვა მარგომ და მკერდზე ვერცხლის ორშუბრიანი ნეკაფა აკიდო დაიფინა. ჩემი ყმაწვილქალობა ამაში გამიტარებია, ამიტომ არავისთვის არ მემეტება. არ ვეწყინოთ, მოდი აქ, ბაჩანა! — ბაჩანა მივიდა.

— ეს სპარსული ფირუზი შენ, ობოლი და უბედური ქალი შეირთე იცოდე, სხვა შენ ვერავინ გაგიგებს, — შენც დამილოცნეხარ! — ბაჩანამ მავთულგაყრილი ლურჯი პერანგის ღილი გამოართვა მარგოს, — დანარჩენი შენ თვითონ დაარიგე... — თქვა და ყუთი ბაჩანას გადასცა. ბაჩანამ ყუთი ბიჭებში ჩამოატარა. ყველამ ამოიღო თითო რაღაც ყუთიდან ისე, რომ შიგ არ ჩაუხედავთ.

— დავიღალე, ეს ოხერი დადის და დადის შამფურებით... — თქვა მარგომ და თავი უდონად გადაადგო ბალიშზე.

— ნუ გეშინია, მარგო, ეხლავე მოვა ექიმი! — თქვა კოპლიკამ და აკანკალებული ნიკაპი ხელით დაიჭირა.

— ვინ გითხრა, რომ მეშინია? — ჰკითხა მარგომ, — მეშინია კი არა და მზის ამოსვლასავით ველოდები ათი წელიწადია ამ დღეს. მოდი რა, დალოცვილო, მოდი... — მარგომ ჭერს მიაპყრო თვალები, საფეთქლებზე და ღაწვებზე ცრემლი ჩამოსდიოდა ღვარად.

— მოვიდა! — თქვა ვიღაცამ.

ოთახში პროფესორი და ეიცკა შემოვიდნენ. პროფესორი თავის დაქნევით მიესალმა ოთახის კუთხეში შეყუჟულ ბიჭებს და პირდაპირ ავადმყოფისაკენ წავიდა. ვიღაცამ სკამი მიაწოდა. პროფესორი ჩამოჯდა და ავადმყოფის მაჯა აიღო ხელში. შემდეგ გავარვარებულ შუბლზე დაადო. მარგომ თვალი გაახილა.

— გამარჯობათ, ქალბატონო! — გაუღიმა პროფესორმა. მარგომ თვალები გაიმშრალა ხელისგულებით და შოსულს დააკვირდა.

— ღმერთმა გამარჯვებული გატა-

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როთ, ბატონო ეგნატე! — გაუღიმა მარგომაც.

— თქვენ ჩემი სახელი საიდან იცით?

— თქვენი სახელი ვინ არ იცის, ნახევარი საქართველო საიქიოდან გყავთ დაბრუნებული. — თქვა მარგომ.

— ცოტა ნაკლები! — გაეხუმრა პროფესორი, — აბა, ეხლა მითხარი, გენაცვალე, რა გტკივი?

— ამ ავაზაკებმა თქვენი შეწუხება როგორ გაბედეს ამ შუადამეში. — აწრიალდა მარგო.

— მაგაზე ნუ სწუხხართ, ჩემი ხელობა ეგ არის, სამაგიეროდ, დღისით მძინავს, — დაამშვიდა პროფესორმა, — ეხლა კი მომიყვეთ, რა გტკივთ, — მარგომ შუბლზე დაიდო ხელი...

— ცეცხლი მიკიდია, ექიმო...

— როდის დაგეწყოთ?

— დღიდან, არა, უფრო ადრე, გუშინ, გუშინწინ, ცოტა არაყს რომ დავლევდი, მიყურდებოდა, დღეს წამაქცია...

— აბა, საბანი გადაიხადეთ! — სთხოვა პროფესორმა. მარგომ ჯერ ბიჭებს შეხედა, შემდეგ პროფესორს.

— გიჟი კი ვარ, ბატონო, მაგრამ მანც მრცხვენია... — გაუღიმა მარგომ.

— ჩვენ ყველანი გიჟები ვართ მეტ-ნაკლებად და არაფრის არ გვრცხვენია. — ჩაილაპარაკა თავისთვის პროფესორმა და თვითონ გადახადა საბანი. ბიჭები ეკედლისკენ შებარუნდნენ. პროფესორი ფრთხილად შეეხო ავადმყოფის მუცელს. ოთხი თითით აწვებოდა, თან ეკითხებოდა — აქ გტკივა?... აქ?.. აქ?.. — მარგო ტუჩებს იკნეტდა ტკივილისაგან და როდესაც ექიმმა ხელი აუშვა, მაშინღა თქვა:

— ყველგან მტკივა, ექიმო, ისე მტკივა, სიცოცხლე არ მინდა... — პროფესორმა ახლა მთლიანად გადახადა საბანი, მარჯვენა ფეხი მუხლში მოუხარა და ფრთხილად მოზიდა ზევით, მუცლისკენ. მარგომ შეჰკივლა, პროფესორმა სწრაფად გაუმართა ფეხი და წამოდგა.

— ვის აქვს აქ ტელეფონი? — იკითხა უცებ.

— მარგო?! — თქვა ციცამ.

— დუგლაძეებს, — ამოიკვნესა მარგომ.

— ეხლავე დაურეკეთ სასწრაფოში. უთხარით, ეგნატე ჯიბიას დავალებით ვრეკავ-თქო, ეხლავე, ეხლავე აქ გაჩნდნენ!!! — ციცა მეზობელთან გავარდა.

— მივდივარ, ექიმო? — იდაყვებზე წამოიწია მარგო.

— არ გაინძრე, გენაცვალე, შენი განძრევა არ შეიძლება, — პროფესორმა თავი ბალიშზე დაადებინა მარგოს და ლოყაზე ხელი მოუთათუნა, — სად იყავი, დალოცვილო შვილო, ამდენ ხანს? — ჩაილაპარაკა თავისთვის.

— სიკვდილი ჩემთვის მაირამობაა, ბატონო ეგნატე, ხელობას ნუ გიფუფუებთ, — თქვა მარგომ. პროფესორი ადგა და მაგიდას მიუჯდა, არც ბლანკი ამოუღია, არც რეცეპტი გამოუწერია, უბრალოდ, დაჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

კოკამ შეუმჩნევლად ფული ჩაუცურა ჯიბეში. პროფესორს არც გაუხედავს კოკასკენ, ისე ამოიღო ის ფული უკან ჯიბიდან და მაგიდაზე დადო. მერე უბის ჯიბიდან ერთი დასტა თუმნიანები ამოიღო, იმ ფულს გვერდით დაუდო, ადგა და ოთახიდან გარეთ გავიდა, ბიჭებიც თან გაჰყვნენ.

— ბატონო ეგნატე, გადარჩება? — ჰკითხა ბერძენამ. პროფესორმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— სულ არ არის იმედი? — ჰკითხა ახლა თენგიზმა.

— ერთი პროცენტი, უკვე გვამის ლურჯი ლაქები აქვს სხეულზე.

— რა სჭირს, ბატონო ეგნატე?

— პერატონიტი, სამი დღეა გახეთქილი ბრმა ნაწლავით დადის...

ოხუთმეტ წუთში სასწრაფო მოვიდა. ვათანგული მარგო მანქანაში შეასვენეს საკაცით. ოთახიდან რომ გაყავდათ, ბიჭებს მიუბარუნდა.

— მშვიდობით, ვერელებო, თქვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზეს ვინაცვალე... — მერე უცებ შეშინებულმა წამოიწია საკაცეზე და მუდარით თქვა:

— გოგირდის აბანოებში არ იაროთ, ბიჭებო, არასდროს არ იაროთ, თქვენი სიცოცხლის ჭირიმე, ეგ არის ჩემი ანდერძი!

●

იმავე სასწრაფოს პროზექტურიდან გამოასვენეს მარგო, რომელშიც 1936 წლის წყალდიდობის დროს მიიყვანეს. სამშაბათი დღე იყო, მთელი ვერა, მელიქიშვილის და პეტრიაშვილის ქუჩები გაჭედილი იყო ხალხით. უფრო მეტი ცნობისმოყვარე იყო, ვიდრე ჭირისუფალი.

ვერის აღმართით ამოასვენეს ბიჭებმა უზარმაზარ ხის საკაცეზე დასვენებული და ყვავილებში ჩაძირული მარგოს სასანხლე. კუბო რვა კაცს მოჭქონდა, რვა ეცვლებოდა. კუბოს წინ მანქანა მიუძღოდა, ისიც ყვავილებით გაწყობილი. ისე გაწყობილი, რომ მანქანა არ ჩანდა და გეგონებოდათ, უზარმაზარ ვარდების ვეირგვინს ფეხი აუდგამს და თავისით მიდის ვაკის სასაფლაოზეო.

მელიქიშვილის ქუჩაზე მოძრაობა გაჩერდა. იდგნენ ტრამვაები, ავტობუსები, და მანქანები. პეტრიაშვილის ასახვევთან ბიჭებმა კუბო შეაჩერეს და ხუთი წუთი იდგნენ. უცებ ერთმა მანქანამ მისცა საყვირი, მერე მეორემ, მესამემ და მთელი უბანი მანქანების გულისწამღებმა, გაბმულმა გუგუნმა აავსო.

— მეორედ მოსვლაა? — იკითხა პროცესიას შემთხვევით გადაყრილმა მძღოლმა და თავი კაბინიდან გამოყო. — აღარ გაგვატარებენ?

— საყვირი მიეცი! — უთხრა უბნელმა ბიჭმა.

— რად უნდა მივცე? — გაუკვირდა მძღოლს.

— რომ გეუბნები მიეცი, ალბათ, საჭიროა.

— როგორ თუ საჭიროა? — გაჯიუტდა მძღოლი.

— აი ეგრე... — ასწავლა უბნელმა ბიჭმა და საყვირზე თითი დაუჭირა.

— ხელი აიღე, აკუმულატორი დაჯდება! — ხელი აუქნია მძღოლმა.

— არა უშავს, მოგაწვებით! — უპასუხა ვერელმა ბიჭმა ისე, რომ საყვირზე ხელი არ აუღია...

— ვინ არი რო, საყვირს მაძლევინებთ? — ისევ გამოყო ჯარხალებული თავი კაბინიდან ზოფერმა.

— ვერელი მარგო!

— ვინა?

— საყვირი მიეცი, სანამ ხელი მომმიტვრევია... — უთხრა ბიჭმა და თავი ისევ კაბინაში შეაყოფია გაჯიუტებულ მძღოლს. მძღოლი მიხვდა, რომ ბიჭი არ ეხუმრებოდა და საყვირს გამეტებულად დააჭირა ხელი. ბიჭი მეორე მანქანისაკენ წავიდა, რომელიც აგრეთვე საყვირს არ იძლეოდა. ერთ წუთში ის მანქანაც აბდაგლდა.

— რა მოხდა, ჟანა დარკია?! — იკითხა მეორე მძღოლმა, ბიჭი რომ მოსცილდა.

— გიჟ-მარგოს მარხავენ ვერელი ბიჭები, — უპასუხა პროცესიის მონაწილემ და კუბოს გაჰყვა.

— გიჟს და ეგრე მარხავენ?

— ეგრე მარხავენ!

— ეგრე ვმარხავთ! — უთხრა მის გვერდით მდგომმა ვერელმა მძღოლმა.

— საღოლ, ბიჭებო, ასეთ უბანში კი ღირს სიკვდილი! — აღტაცებით წამოიძახა მძღოლმა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, საყვირს დაჰწვა.

●

საღამოს, ტანც-გეურქას დუქანი სავსე იყო ვერელი ბიჭებით. მაგიდებზე ღვინო, პური, მარილი, ყველი და ბოლოკი ეწყო მხოლოდ. თამადა არ აურჩევიათ, ყველა რომ დაჯდა და სარდაფში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა,

---

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

მაშინ ციცა ადგა. ჭიქა გაავსო ღვინით, რამდენიმე წვეთი დაეკცია პურზე და სიტყვა თქვა:

— ჩვენი უბნის მწუხარებას, ჩვენი უბნის ცრემლიან ეშხს, ჩვენი უბნის დაკარგულ სილამაზეს და სევდას გაუმარჯოს! — ყველა ადგა და უხმოდ დასცალეს ჭიქები.

იმ დღეს ტანც-გეორქას ღუქანში მეტი არც სიტყვა თქმულა, არც ღვინო დალეულა.

●

— სუსტად ხარ მომზადებული, რამიშვილო! — უთხრა ბაჩანას პროფესორმა და მისი მატრიკული უხალისოდ გადაშალა. ბაჩანას ხმა არ ამოუღია.

— რა მოგვიდა, რამიშვილო? — ჰკითხა, პასუხი რომ ვერ გაიგონა.

— ავად ვიყავი, პატივცემულო პროფესორო, ვერ მოვასწარი მომზადება.

— ავად კი არ იყავი, რამიშვილო, იმ ბიჭის კუბოს მისდევდი გუშინ დიდი ჭირისუფალივით, შენ გგონია, ვერ დაგინახე? — უთხრა პროფესორმა.

— გიჟი არ იყო, პატივცემულო პროფესორო! — სიტყვა შეუბრუნა ბაჩანამ.

— მაშ რა იყო, მეფე ერეკლე იყო, მთელი ქალაქი რომ გადარეიეთ და ორი საათით მოძრაობა გაჩერეთ?

— ავადმყოფი იყო, სულით ავადმყოფი! — თქვა ბაჩანამ, ყელში მოჯენილი ბურთი ძლივს გადაყლაპა და ფეხზე წამოდგა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა ლექტორმა.

— სხვა დროს მოვალ, პატივცემულო პროფესორო, — თქვა ბაჩანამ და თავი ჩაღუნა.

— შენი რამე ხომ არ იყო? — ბაჩანა დიდხანს დუმდა, მერე თავი აიღო და პროფესორს თვალებში შეხედა.

— და იყო ჩემი!

პროფესორმა თვალი თვალში გაუყარა, ბაჩანამ ვერ გაუძლო მის მზერას და ისევ ჩაღუნა თავი. ისევ დუმილი ჩამოვარდა, კარგა ხნის შემდეგ პროფესორმა მატრიკული გაეცა და ბაჩანას დაუბრუნა.

— წადი, რამიშვილო! — თვითონ ადგა და ფანჯარასთან მივიდა.

ბაჩანამ მატრიკული ჯიბეში ჩაიდო და დერეფანში გამოვიდა.

— რა მიიღე? — შემოესივნენ ბაჩანას სტუდენტები. ბაჩანამ არაფერი არ უპასუხა, დერეფანი გაიარა, კიბეზე ჩავიდა და უნივერსიტეტის ბაღში ცარიელ სკამზე დაჯდა განმარტოებით. ასე იჯდა თითქმის ერთი საათი. მერე ჯიბიდან მატრიკული ამოიღო და სხვათა შორის გაშალა.

ეს იყო პირველი ხუთიანი, რომელიც ბაჩანამ მიიღო მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ბაჩანამ ცივად დახედა მატრიკული. და ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც კვლავ გაშალა მატრიკული, იგი ვერაფერს ვეღარ ხედავდა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. ბაჩანა ტიროდა.

12

ბულიკას გარდაცვალების შემდეგ, პროფესორის განკარგულებით, ბაჩანასა და მამა იორამის პალატაში ავადმყოფი ალარ შეუყვანიათ. საწოლი კი გაიტანეს, რათა ავადმყოფებს მღელვარებისა და ფიქრის მიზეზი არ ჰქონოდათ, მაგრამ ცარიელი ადგილი უფრო შემზარავი აღმოჩნდა, ვიდრე ცარიელი საწოლი.

გაიღვიძებდნენ თუ არა, ბაჩანასაკ და მამა იორამსაც თვალი უეჭველად იმ ცარიელი ადგილისაკენ გაურბოდათ და გული ეკუმშებოდათ; რამეზე თუ კამათობდნენ, უცებ შეჩერდებოდნენ, ბულიკას მხარეს გაიხედავდნენ და ქვეცნობიერად მის ლაზიანდარულ რეპლიკას ელოდნენ. ასე გასტანა დაახლოებით ორი კვირა, მერე დრომ თავისი გაიკეთა და ავადმყოფები თანდათან შეეჩვივნენ უმისობას...

ერთ დღეს ახლად გაღვიძებულმა მამა

იორამმა ბაჩანას ჰკითხა მოულოდნელად.

— თქვენ, ბატონო ბაჩანა, ალბათ, დიდუბის პანთეონში დამმარხავენ, არა?

ბაჩანას ჯერ გაეცინა, მერე შეწუხდა.

— რამე ცუდი სიზმარი ხომ არ ნახეთ, ბატონო იორამ?

— ვნახე, მაგრამ თქვენზე კი არა, ჩემზე, — უპასუხა დაღონებულმა მოჯიღვარმა.

— მაშინ ის უნდა გეკითხათ, მე სად დამმარხავენო; რაღაცას მატყუებთ, მამაო იორამ. — არ დაუჯერა ბაჩანამ,

— სწორედ მაგიტომ გკითხეთ, ვიფიქრე, მაგას თუ დიდუბეში დამარხავენ, მაშინ იქნებ მეც ეკლესიის ეზოში დამმარხონ-მეთქი...

— მაგ პრინციპით მე მწერალთა კაბინეტის ეზოში უნდა დამმარხონ, — გაეცინა ბაჩანას. — მაგრამ თუ თქვენ დიდუბის ეკლესიის წინამძღვრად გადმოხვალთ, ადვილი შესაძლებელია, გვერდიგვერდ მოგვაწიოს წოლა.

— ესე იგი, რადგან ასე ხუმრობთ, დარწმუნებული ხართ, რომ დიდუბის პანთეონში დაგმარხავენ, — დაასკვნა მამა იორამმა.

— სრულებითაც არა! — თქვა ბაჩანამ.

— რატომ? — დაინტერესდა მღვდელი.

— ვერტიკალურად თუ დამმარხავენ, მამაო, არ ვიცი და, ისე, დიდუბეში კარგა ხანია ადგილი აღარ არის. ერთ რამეში კი ვარ ღრმად დარწმუნებული. არც თქვენ და არც მე დაუმარხავს არავინ. დავგტოვებს. — მამა იორამმა ღრმად ამოიოხრა.

— მაინც რა ნახეთ ასეთი, მამაო? — ჩაჰკითხა ბაჩანამ.

— ყველა მიცვალებული, ვინც დღემდე გამოსტყვრებია და ვისთვისაც წესი ამიგია, ორთაჯალის სამების ეკლესიის ეზოში იდგა მდუმარედ და ჩემს გამოსვლას ელოდა...

— მერედა, რა ჰქენით, გამოდით?

— როგორც უკანასკნელი მათხოვარი, გლახაკი, მშიშარა და მხდალი, სიკეთეს უკან დავიმალე. რომ მახსენდება, ისე მრცხვენია, თავის მოკვლა მინდა...

— პიროვნების ავტონომიის დემონსტრირების უმაღლესი ფორმა თვითმკვლელობაა, მამაო, მაგრამ, საუბედუროდ, თქვენი რელიგიის მიხედვით, თვითმკვლელობა აკრძალულია, რამეთუ წაწყმედდა და უდიდესი ცოდვა. — უთხრა ბაჩანამ.

— რამდენადაც ვიცი, თვითმკვლელობისათვის არც თქვენ უკრავთ ტაშს მიცვალებულს. — უპასუხა მღვდელმა.

— რაღაცეებში ჩვენი მოსაზრებები ემთხვევა, მამაო, იმიტომ გითხარით, ამას წინათ, თქვენგან კარგი კომუნისტი გამოვიდოდა-მეთქი, — გაახსენა ბაჩანამ.

— მაშინ, რამდენადაც მახსოვს, მე გიპასუხეთ, რომ პირიქითაც შეიძლება მომზდარიყო-მეთქი, — თავის მხრივ გაახსენა მღვდელმა.

— მაგას ნუ ინატრებთ, მამაო, თორემ მთელ თქვენს სამწყსოს კომუნისტებად მოვაქცევ, — გაეცინა ბაჩანას.

— მაგის იმედი კი მაქვს თქვენგან, კომუნისტი, ისიც მწერალი, ას მრწამდელზე უარესია, ერთადერთი იმედი სულთა გადანაცვლებისა მაქვს, მეორედ რომ მოხვალთ ამ ქვეყანაზე, იქნებ მაშინ მაინც იწამოთ ჭეშმარიტი ღმერთი. — მამა იორამმა პირჯვარი გამოისახა.

— მწერალი ხალხის ერთგული ძაღლია, მამაო, მე არ მჯერა სულთა გადანაცვლებისა, მაგრამ ასეთი რამ თუ მართლა არსებობს, ჩემი სული უეჭველად ძაღლში გადასახლდება, ასე რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ თუ ქუჩაში უპატრონო და მაწანწალა ძაღლი აგეკიდოთ, ქვა არ ესროლოთ, ბატონო იორამ, რა იცით, იქნებ ის ძაღლი მე ვიყო?!

— ლამაზად ლაპარაკობთ, ბატონო

ნოდარ ფუფუნაძე
მარადისობის ბანერი

ბაჩანა, მაგრამ ყველა მწერლის სული, სიკვდილის შემდეგ თუ ძალუძს გადასახლდა, კარგად წავა ჩვენი საქმე...

— ირონიულად გაიღიმა მამა იორამმა.

— არც ისე ცუდად, თუ თქვენი სულები მგლებში გადასახლდა.

— კინ გითხრათ, რომ მგლებში გადასახლდება ჩვენი სული?

— საკუთარ მრეკვალ რომ კაცი საკურთხეველის უკან დიმალება, არა მგონია, იმის სული ლომში გადასახლდეს, — უკბინა ბაჩანამ.

მღვდელმა ვერაფერი უპასუხა, ლოგინში აწრიალდა და კედლისაკენ გადაბრუნდა.

— ნუ გეშინიათ, მამამ იორამ, თქვენ ისეთი სიზმარი გინახავთ, ეს წელიწადს არ მოკვდებით, — დაამშვიდა ბაჩანამ.

მამა იორამი ისევ გადმობრუნდა.

— ბატონო ბაჩანა, თქვენი ადმინისტრაციული იერარქიის მიხედვით, ჩემი წოდება და თანამდებობა თქვენს რა თანამდებობას შეესაბამება? — ჰკითხა უცებ მამა იორამმა.

— რამდენი მორწმუნე გყავთ თქვენს საეკლესიაში?

— ჩვენ მორწმუნეთა აღრიცხვას არ ვაწარმოებთ.

— ეკლესიის შემოსაწირავი რამდენი გაქვთ წელიწადში?

— იმდენი, რომ ეკლესიის შესაკეთებლად არ გვყოფნის.

— მაშ, ფული საიდან მოგაქვთ?

— სახელმწიფო გვაფინანსებს.

— კომუნისტები? — შეიცხადა ბაჩანამ.

— კომუნისტები! ამხელა მრევლი წაგვართვეთ და ფულის გადახდაც არ გინდათ? — ამოიოხრა მღვდელმა.

— მაშინ თქვენი ჩინი და თანამდებობა, მამაო, ჩვენი ადმინისტრაციული იერარქიის მიხედვით, სოფლის კლუბის გამგეს შეესაბამება, — გადმოუხტრდავა ბაჩანამ მღვდელს მისი თანამდებობა.

— დამკვინით, ბატონო ბაჩანა?

— რატომ, მამაო?

მაშ, სასულიერო სემინარია ტყვილა ბაბილონი ეროვნული ბიბლიოთეკა

დავამთავრე?

— ჩვენი კლუბის გამგეების უმრავლესობას უმაღლესი სასწავლებელი თუ არა, სპეციალური განათლება მაინც აქვს მიღებული, ასლა წოდებები ნახეთ: რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწეო, კულტურის დამსახურებული მუშაკო, რა გინდა, სულო და გულო, აბა, რესპუბლიკის დამსახურებული მღვდელი მე არ გამიგია ჯერ, — ნიშნის მოგებით უთხრა ბაჩანამ.

მღვდელი აშკარად დაღონდა.

— ნუ გეშინიათ, ბატონო იორამ, თქვენ ოღონდ გადმოდგით ჩვენს ბხარეს და პირობას გაძლევთ, რაიკომის ინსტრუქტორად დაგნიშნავთ, — დაპირდა ბაჩანა.

— ბატონო ბაჩანა, თქვენ აქ ჩემ გასაკრეკად ხართ მოსული თუ ინფარქტის მოსარჩენად? — გაბრაზდა მღვდელი. — თქვენ გადმოდით ჩვენკენ და მე მოგაწყობთ დიაკვნად, თუ გნებავთ.

— რა გაბრაზებთ, მამაო, თუ თქვენი მოძღვრეება ეუშარატია, სიკვდილის შემდეგ სულ თქვენ ხელში არ ვიქნები? — უთხრა ბაჩანამ სიცილით.

— მე მგონი, ჩვენ იქ შეხვედრა არ მოგვიწევს, ბატონო ბაჩანა, — გადაუწურა წყალი მოძღვარმა.

— რატომ, მამაო? — შეწუხდა ბაჩანა.

— როგორც კომუნისტებს გიყვართ ლაპარაკი: თქვენი ყველა ანკეტური მონაცემების მიხედვით, მე მგონი, ჯოჯოხეთში მოგიწევთ ყოფნა, — გაწირა მღვდელმა ბაჩანა.

— მაშ, ჩვენი მეკობრობა არაფერს ნიშნავს? ნუთუ პროტექციას არ გამიწევთ? — დაანამუსა ბაჩანამ მოძღვარი.

— თქვენ, ისეთი მსუყე ლუკმა ხარო სატანისათვის, არა მგონია, ჩემმა პროტექციამ გიშველოთ.

— აღსარება რომ მივიღო?

— აღიარებთ კი დანაშაულს?

— თუკი არ მაქვს?

— საიდან გექნებათ, დალოცვილო, ქვეყანა თქვენია და რასაც აკეთებთ, ყველაფერი, ეს მეშარიტება გგონიათ?.

— ხელი ჩაიქნია მდედელმა.

— ნეტარ არიან მორწმუნენი, რამეთუ სჯერათ... ჩვენ გვჯერა ჩვენი საქმის, ბატონო იორამ. — უპასუხა ბაჩანამ.

პალატაში ექთანი ქენია შემოვიდა. ავადმყოფებმა მექანიკურად სახნები დადაიხადეს, ეხმოდ გადაბრუნდნენ და საჯდომები გაიშიშვლეს. ქენიას ფულიანად გაეცინა ავადმყოფების პირობით რეფლექსზე. იგი ამჯერად ხელცარიელი შემოვიდა.

— დაიფარეთ საბანი, ბატონო ბაჩანა, მნახველია თქვენთან მოსული, იქნებ გინდათ, ასე ვიიოოთ?

— რა უნდა? — იკითხა ბაჩანამ და საბანი გადაიფარა, მამა იორამმაც გადაიფარა საბანი.

— თქვენი ჯანმრთელობა ინტერესებს, დამის ქოთანი გავიტანო, თუ ისევ დაგჭირდებათ? — ჰკითხა ქენიამ სიცილით და საწოლის ქვეშ შეიხედა.

— კაცია თუ ქალი? დაინტერესება ბაჩანა.

— ქალია, თან იძახის, ძალიან ახლობელი ვარო, — უპასუხა ქენიამ.

— მაშინ დატოვეთ! — თქვა ბაჩანამ და ვიზიტისათვის მოემზადა.

— კეთილი! — უპასუხა ქენიამ და გავიდა.

პალატაში შუახნის ენერგიული, ოდნავ შეშაფარავებული ქალი შემოვიდა. ხელში საკმაოდ მსუქანი საქაღალდე ეჭირა. იგი შუა პალატაში გაჩერდა, მიიხედ-მოიხედა და მცირე ყოყმანის შემდეგ პირდაპირ მამა იორამისაკენ გაემართა.

— გამარჯობათ, მე თქვენი ახლობელი ნინა სანებლიძე გახლავართ, — უთხრა მან განცვიფრებულ მდედელს და წინ დაუჯდა.

— საიდან? — ჰკითხა მამა იორამმა.

— თქვენი მამა ვლადიმერი და მამაჩემი ლაზარე 1915 წლიდან 1916 წლამდე ერთად სწავლობდნენ ბაქოს ინდუსტრიალურ ტექნიკუმში, სულ ფინ შორის...

— თქვენ ვისთან ხართ, ქალბატონო? — ჰკითხა გაოგნებულმა მოძღვარმა და ბაჩანას გახედა. ბაჩანამ ყელი გამოიგლიჯა და ანიშნა, საუბარი განაგრძეო. ქალს გაუკვირდა მდედლის საქციელი.

— როგორ თუ ვისთან, თქვენთან ვარ, ბატონო!

— აღრე თუ მიცნობდით ან გინახავართ? — ჰკითხა უკვე როლში შესულმა მდედელმა.

— თქვენს ცნობას და ნახვას რა უნდა, ბატონო, წადებულია თვალი და ყური ბაჩანა რამიშვილით. ტელევიზია გინდათ, რადიო გინდათ... ისე მართალი გითხრათ, კი გაბეჭერდა ცოტა თქვენი ცნობა, წვერი მოგიშვიათ, ბატონო ბაჩანა...

— დიახ, ცოტა სიცივეა პალატაში. — უთხრა მამა იორამმა, — წვერს ჩამოისვა ხელი და საბანში გაუჭვია.

— ასე იცის მაგ ავადმყოფობამ, — კვერი დაუკრა ქალმა.

— რა გნებავთ, ქალბატონო? — მოთმინება დაეკარგა მამა იორამს.

— როგორ ბრძანდებით?

— გმადლობთ, ახლა არა მიშავს, თქვენ როგორ ბრძანდებით?

— დაღუპული, დაქცეული, დანგრეული, წყალწაყრეული და გაუბედურებული! — ჩამოთვალა ყველა თავისი ავადმყოფობა ნინა სანებლიძემ.

— რით შემიძლია, დაკეზმაროთ? — შესთავაზა სამსახური მამა იორამმა.

— დამეხმაროთ კი არა, უნდა მიშველოთ! — კატეგორიულად თქვა ქალმა.

— რომ ვერ გიშველოთ? — ჰკითხა მდედელმა.

— თქვენ, ბაჩანა რამიშვილი... ჰა-ჰა-ჰა, — ყელბად გაიცინა ქალმა — თქვენი ერთი სიტყვა, ერთი დარეკვა, ერთი წერილი...

ნოდარ ფუფაძე
ბაკურიანის კანონი

— თუ არ შეტყვით, რა გჭირთ. როგორ დაგეხმაროთ, ბატონო? — უსაყვედურა მამა იორამმა და უნებურად შეამჩნია, როგორ ეძსგავსებოდა თანდათან ამ ქალთან მისი საუბარი, ბაჩანასა და იმ კომპინატორის საუბარს.

— ორ აგვისტოს, დღისით, მზისით, საქვეყნოდ ჩემს შვილს ყელი გამოჭრეს...

მდედელს სახე შეეცვალა.

— სად და ვინ? — ძლივს მოაბრუნა ენა იორამმა.

— უნივერსიტეტის ასმეშვიდე აუდიტორიაში კრეტინმა, დებილმა, უწიგნურმა და მექრთამემ... თქვენ გგონიათ, შეიცვალა რამე იმის შემდეგ? — ჰკითხა უცებ მოძღვარს.

— ვის შემდეგ? — გაუკვირდა მამა იორამს.

— იმის! — თქვა ქალმა და ჭერში იიხედა,—ორ აგვისტოს დილით გამოგვისვა ყელში დანა მეც და ჩემს შვილსაც, ბავშვი ხელით გამომტანეს აუდიტორიიდან. ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილი აიღო, სამ მეტრზე ხტება სიგიჟეში და ეტერსა და თვრამეტ სანტიმეტრზე სიმაღლეში...

— ჩემი ამბანაგი დაგეხმარებაო აგერ, ფიზკულტურის ინსტიტუტში. სპორტსმენია, ხათხა ეიოგა ი	il! — უთხრა მამა იორამმა და ბაჩანაზე მიუთითა. ბაჩანამ პირსახოცი მოიშორა და თავი დაიქნია თანხმობის ნიშნად.

ფიზკულტურის ინსტიტუტში რა უნდა ჩემს შვილს? — შეიცხადა ნინი სანგბლიძემ და ზიზღით გახედა ბაჩანას, — თხად კი არ ვზრდი?! — დაყოლა.

— რატომ, ქალბატონო, — ეწყინა ბაჩანას. — ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრეს დუმბაძემ, გოკიელმა, ხნიკინამ, ჯუღელმა...

— თქვენ სპორტსმენი ბრძანდებით? — შეაწყვეტინა ჩამოთვლა ქალმა.

— დიახ! — თავი დაუქნია ბაჩანამ.

— თქვენც ინფარქტი გაქვთ?

— დიახ.

— ახია თქვენზე! — უთხრა ქალმა.

ბაჩანას წყენის ნაცვლად სიცილი წასკდა.

— კია ახი, ქალბატონო! — უპასუხა.

ქალი მიხვდა თავის უტაქტობას და შეეცადა გამოესწორებინა შეცდომა.

— ღმერთმა კარგად გამყოფოთ!

— ღმერთი გწყმნი, ქალბატონო? — გაუხარდა მამა იორამს.

— ვისაც სწამს, იმას რა სიკეთე მოუტანა, მე რომ მწამდეს? — მიუბრუნდა ქალი. — დამეხმარეთ და თქვენ იქნებით ჩემი ღმერთიც, ხატიც და რჯულიც.

— არ შემიძლია და მომკალით! — ამოიკვნესა მამა იორამმა.

— თქვენ, დეპუტატს, ცეკას წევრს, რეფერენტორს თუ არ შეგიძლიათ, აბა ვის შეუძლია? — გაუკვირდა ქალს გულწრფელად.

— ქალბატონო, თქვენ ცეკას დადგენილება პროტექციონიზმის შესახებ არ წაგიკითხავთ? — ჰკითხა გაბრაზებულმა მოვდელმა.

— პროტექციონიზმი რას მიქვია, პროტექცია ისაა, სხვა ვინმეზე რომ გთხოვოთ, მე კი ჩემს შვილზე გეხვეწებით! — უკანასკნელად გაიბრძოლა ქალმა.

— არა, მით უმეტეს, რომ ორი უკვე დაწერილია! — მტკიცედ უპასუხა მამა იორამმა და კედლისკენ გადაბრუნდა.

— მაშინ სხვა რამეში დამეხმარეთ, — დაყარა ფარ-ხმალი ქალბატონმა ნინამ.

— რაში, მაგალითად? — გაიმტრიალა მოვდელი.

— პირველი მაისის რაიაღმასკომის თავმჯდომარის ნათლიმამაა, თქვენზე თქვეს, იქნება ბინის შემოერთებაში დამეხმაროთ. ჩვენი მეზობელი გადადის მალე სოლოლაკში, ოთხოთახიანი ბინა მისცეს, კაცაშვილმა არ იცის რაში, და იმის ოთახის შემოერთება გვინდა, ბიჭი იწერება, კოლონიიდან რომ დაბრუნდება, ქალის მოყვანას ვაპირებო და ცოტა ვიწროდ შევიენებით, თუ ახლავე არ დავიჭირეთ თადარიგი. მართალია, იმ ოთახზე სხვა მეზობელსაც აქვს პრეტენზია, მაგრამ ჩვენზე უფრო უპრიანია, იმიტომ, რომ იმის ლოჯია და ჩემი საშზარეულო, კარს თუ გავჭრი და გვერდიდან კიბეს თუ მივადგამ, საერთო აივნის გავლით, მეორე მეზობლის ორთოთახიან ბინას უერთდება, ის მეზობელი უკვე დადაგეყავს წერეთლის პროსპექტზე ოროთახიან ბინაში. მართალია, ცოტა შორსაა პლეხანოვიდან და ფართიც ნაკლებია ოთხი მეტრით და ცამეტი სანტიმეტრით, მაგრამ რემონტს უკეთებს ჩემი ქმარი და ტელეფონს უდგამს უფასოდ. მერე იქ, გვერდით, მარტოხელა ავადმყოფი ქალი ცხოვრობს, ერთოთახიან ბინაში, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და მალე მოკვდება, ალბათ, აბა, რას იზამს? შარშან გვიშვილა მე და ჩემი ქმარი, ჩვენ კუკლოსი ბიჭი თუ არ ჩაგეწერეთ, გვეკარგება ეს სიმწრით ნაშოვნი ოთახიც და ამდენი ამაგიც წყალში გვეყრება.

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

ერთი თქვენი დარეკვა, ბატონო ბაჩანა და, თქვენზე ვილოცებთ დღე და ღამე მთელი ჩვენი ოჯახი...

— ცოტა უხერხულად კი გამომდის, ქალბატონო, ყველაფერზე უარს რომ გეუბნებით, მაგრამ ამ ვიცნობ იმ თავმჯდომარეს, — ოფლი მოიწმინდა შუბლიდან მამა იორამმა.

— ის გიცნობთ! — ეცა პირში ქალი.

— ვეტყვობ, რომ მიცნობდეს! — თქვა მამა იორამმა და ბაჩანას გახედა, ამჯერად ნამდვილად სთხოვდა, მიშველეო. ბაჩანას შეეცოდა მამა იორამი და აქტიურად ჩაება საუბარში.

— ქალბატონო, ნამდვილად ვიცი, რომ არ იცნობს ალმასკოთის თავმჯდომარეს. — დაემოწმა ბაჩანა მღვდელს.

— არ მჯერა!

— დედას გეფიცებით! — თქვა ბაჩანამ და ბალზე დაიდო ხელი.

— მაშინ იქნებ თქვენ დამეხმაროთ? — ბუერგი შეაცქერა ქალბატონმა ნინომ იორაპს.

— მე მხოლოდ ფიზიკულტურის ინსტიტუტში შემიძლია... უთხრა ბაჩანამ.

— კარგი, ბატონო, გაისად ამთავრებს ჩემი უმცროსი ვაჟი, შშვენივრად ცურავს. ქობულეთში, ნაპირიდან ას მეტრზე, ქვა ამოაქვს ზღვიდან ყვინთვით. თუ თქვენ გვარს და სახელს ჩამაწერინებთ, გაისად შეგაწუხებთ, — თქვა ქალმა და ფანქარი ამოიღო საქალალდედან.

— გისამდე თუ ვიცოცხლე კი, ბატონო! — დაბარდა ბაჩანა.

— მე ისეთი დაწყევლილი იღბალი მაქვს, არაა გამორიცხული, მაგრამ მაინც ჩამაწერინეთ, რა გვარი ბრძანდებით? — ჰკითხა ქალმა და სწორედ აქ გაფუჭდა ყველაფერი. ბაჩანას დააციწყდა მთელი ეს ინსცენირება და დაუფარავი სიამაყით უთხრა:

— მე ბაჩანა რამიშვილი გახლავართ!

— ქალს ფანქარი გაუშშდა ხელში და ქვედა ყბა ჩამოუვარდა. ბაჩანას კი ცივმა ოფლმა დასცხო.

— რა ბრძანეთ?

— ბაჩანა რამიშვილი! — ვეღარ დაიჩემა უკან ბაჩანამ.

— მაშ, ეს ვიღა არის? — თქვა საქციელწამხდარმა ქალმა და მამა იორაპს გახედა.

— ეს მამა იორამია, ორთაჭალის სამების ეკლესიის წინაძღვარი, კანდელაკი. — ქალს მკლავები ჩამოუცვივდა, მიწისფერი დაედო და გაკვირვებულმა იკითხა.

— და ეს კაცი მეკითხებოდა მე, წუთის წინ, ღმერთი თუ გწამსო?!

— მთლად ჩემი ბრალი არ არაა, ქალბატონო! — დაიწყო თავის მართლება მამა იორამმა.

ქალი ადგა. პალატაში ძალიან უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეს არის თქვენი ჰუმანიზმი? — ჰკითხა მან ბაჩანას.

ბაჩანამ ვერაფერი უპასუხა, მხრები აიჩეჩა მხოლოდ და ვალიდოლი ამოიღო ენის ქვეშ.

— Комедианты! — თქვა ქალმა და პალატიდან გავიდა.

— მე მგონი, ცუდად მოვიქეცით, — თქვა მამა იორამმა.

— ძალიან ცუდად, — გამოტყდა ბაჩანა. — მაგრამ ყველაფერი ჩემი ბრალია, ბატონო იორამ, გთხოვთ, მაპატიოთ სულგრძელად.

— მიპატიებია, თუნდაც ამიტომ, რომ მე თავად ავყევით და რაც, მთავარია, მეცოდებით. ნუთუ ქვეყნად კაცი არ არსებობს, ბატონო ბაჩანა, ვისაც მხოლოდ თქვენი ჯანმრთელობა აინტერესებს? — ჰკითხა მამა იორამმა და ისეთი თვალებით შეხედა, ბაჩანას საკუთარი თავი შეეცოდა. — ალბათ, ძალიან ბევრი ხალხის დახმარება გიწევთ...

— თქვენ რა გიჭირთ, მამაო, თქვენთან მუზლზე დაჩოქილი მოდიან და მხოლოდ სულის ცხონებას გთხოვენ... — ბაჩანამ ხელი ჩაიქნია.

— დიდი ხანია, ასეთი დღეში ხართ?

— რაც გაზეთის რედაქტორი გავხდი. თუ გავედი აქედან ცოცხალი, ყველაფერს თავს დავანებებ. კაცის სახე დავკარგე, მამაო, რაღაც მოწყალების

კომიტატის თავმჯდომარედ ვიქეცი, ქვეყანას თავი მოვაბეზრე თხოვნებით...

— მოწყალება ღვთის დაკანონებული საქმეა! — თქვა მღვდელმა.

— ვიცი, მამაო, მთელი ჩემი ცხოვრება მეტს არაფერს ვაკეთებ, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, ეს ქალი სამოწყალო იყო?

— თვალთმაქცი იყო! — თქვა მაგა იორამმა.

— და როდესაც ასეთი მთხოვნელი მოდის, ხატს წინ უჩოქებს, სანთელს უნთებს და მოწყალებას თხოვს, თქვენ როგორ უყურებთ ამ საქმეს?

— ჩვენ თქვენგან განსხვავებით, ერთი უპირატესობა გვაქვს, ჩვენი მთხოვნელი უშუალოდ ღმერთს სთხოვს მოწყალებას, ბატონო ბაჩანა.

— ვიცი, მამაო, თქვენ გაქვთ ყოველსმომცველი და ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოკლებული უნივერსალური ფორმულა: „ღვთის ნება იყო“. ან „არ იყო“. ასე მოძღვრება ადვილია... ჩვენ კი ძალიან რთული და კონკრეტული ფორმულებით ვხელმძღვანელობთ. კერძოდ, „ეს უკანონობაა“ ან „ეს კანონიერია“. — შემდეგ კი ბრძოლა გვიხდება ერთის აღმოსაფხვრელად და მეორის დასამკვიდრებლად.. თქვენ დამნაშავეს ხატს გადასცემთ, ჩვენ კი — მართლმსაჯულებას.. იოლი ცხოვრება გაქვთ, მამაო იორამ.

მღვდელმა არაფერი არ უპასუხა, კიბლისაკენ გაიხედა და საბანი წაიხურა თავზე. ბაჩანაც დადუმდა.

— ... და მაინც სიკეთე უნდა თესოს ადამიანმა... — თქვა მღვდელმა დიდი ხნის დუმილის შემდეგ.

— ყველა საქმეს როდი ეტყობა, მამაო, თავიდან სასიკეთო ნაყოფს გამოიღებს, თუ არა. ერთ ამბავს მოგიყვებით ჩემი ცხოვრებიდან თუ გაიკეთრესებთ, ოღონდ ცოტათი ზღაპარსა ჰგავს.

— ბრძანეთ! — თქვა მამა იორამმა და საბნიდან ყური გამოაჭინა.

ერთ დღეს, ჩემმა მდივანმა შემოიტანა კაბინეტის კარი და მითხრა:

— ბატონო ბაჩანა, ვიღაც მაიმუნია მოსული და თქვენი ნახვა უნდაო.

— შემოვიდეს! — ვუთხარი.

კაბინეტში პატარა, ცალტვინა მაიმუნი შემოვიდა. მლიქნელის და გაიძვერასთვის დამახასიათებელი ოფლით გაჟღენთილი ცივი ხელი ჩამომართვა, მაგიდაზე ქაღალდები დამიწყო, ოთახის კუთხეში მიიყუჟა და მოლოდინით სავსე თვალები მომაპყრო. ქაღალდებს თვალი გადავავლე, ქარაგმული ნაკვესები აღმოჩნდა. მაიმუნის პირობაზე არა უშავდა.

— ვინ იცის, დარვინის მოძღვრების თანახმად, ამ მაიმუნისაგანაც გამოვიდეს კაცი-მეფე, გავიფიქრე და დავუბეჭდე რამდენიმე ნაკვესი. ერთი მთგანი ასეთი იყო: — კაცს მართლა სიცხე უნდა ჰქონდეს, ჩვენს აფთიაქებში თერმომეტრი რომ მოიკითხოსო.

— რას ერჩი! — წამოიძახა მამა იორამმა, გულიანად გაიცინა და ბაჩანასაკენ გადმობრუნდა.

— მეც ასე ვიფიქრე. ხელმეორედ რომ მოვიდა ის მაიმუნი რედაქციაში, ვერც ერთმა ვერ ვიცანით, — განაგრძო ბაჩანამ. — ზუსტად ისე ეცვა, როგორც ადამიანებს. მე თუ მკითხავთ, ცოტა უკეთესადაც. მოვიდა და ისევ ნაკვესები მომიტანა. წაიკითხე თუ არა, იმ წუთში ვიცანი სტილზე მაიმუნი.

— კაცო, შენ ის მაიმუნი არა ხარ, ამას წინათ რომ იყავი ჩემთან და ნაკვესები რომ დაგიბეჭდე? — ვკითხე.

— კი, ბატონო, ის მაიმუნი ვარ, მაგრამ ძალიან მინდა ადამიანობა და ვამმართეთ ხელიო. — მიხოვა.

— ცოტა მოითმინე, იშრომე, ხომ იცი, შრომამ რომ შექმნა ადამიანი!

— ვურჩიე მაიმუნს.

— ვიცი, ბატონო, ეგ ყველაფერი უკვე წაკითხული მაქვს, მაგრამ მე ისე-

---

ეიფელ ლუმბაკაძე
მარადისობის კანონი

თი მაიმუნი ვარ, მოთმინება არ მაქვს, მით უმეტეს, ადამიანების უმრავლესობას უკვე კაცი ვგონივარ, — მიპასუხა მაიმუნმა.

— კარგი, დაგიბეჭდავ, მაგრამ ეგ რას გიშვილის, მაინც მაიმუნად დარჩები-მეთქი, — ვუპასუხე და ისევ დავუბეჭდე ნაკვესები. რომ მიდიოდა, მეთხოვა:

— ნუ გამამხელთ ხალხში, ბატონო, მაიმუნი რომ ვარო, — არ გავაპხილე, ჩემი კეთილი ბუნების გამო, თან ვიცოდი, რომ მშვენივრად ბაძავდა ხალხს ლაპარაკში და ქცევებში. წავიდეს, ვიფიქრე, იმაიმუნოს თავისთვის. ისეთს რას დაუშავებს-მეთქი. წავიდა და გავიდა ხალხში მაიმუნი.

— ნუთუ თქვენს გარდა ვერავინ შეამჩნია, ბატონო ბაჩანა, იმ კაცს მაიმუნობა? — ჰკითხა სმენადქცეულმა მღვდელმა.

— გამაიმუნებული ადამიანის ცნობა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე კაცადქცეული მაიმუნისა, მამაო იორამ. ამას წინათ ზოოპარკიდან სამი მაიმუნი გაქცევიათ. მილიციის უფროსს სასწრაფოდ მოუწვევია ოპერატიული ჯგუფი და სხდომა ჩაუტარებია, თუ როგორ შეეპყროთ გაქცეული მაიმუნები. ცოტა სიტყვა გაგრძელებია, მაშინ ერთ-ერთი მილიციელი ამდგარა და უფროსისათვის უთქვამს:

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ცოტა სიტყვა შეამოკლე, თორემ ის მაიმუნები ხალხში გაიფრენა და მერე ჩემს ფეხებს ვიპოვითო!

— მერე რა მოხდა? — დაინტერესდა მამა იორამი.

— ორი მაიმუნი უცებ დაუჭერიათ და ერთს, მგონი, ეხლაც დაეძებენ, უპასუხა ბაჩანამ. — ჰოდა, იმას ვიყვებოდით. გავიდა ხალხში ეს ჩემი მაიმუნი. რამდენიმე წლის შემდეგ ისევ მოვიდა ჩემთან. ამჯერად მოთხრობები მომიტანა, წაკითხე და გულზე შემომეყარა.

— ეს რა გიქნია, საბრალო მაიმუნო, ასეთი მაიმუნობა, მაიმუნსაც არ ეკადრება-მეთქი, ვუთხარი.

— რატომ, ბატონო, მე როგორე კრიტიკოსს, ძალიან მოპრწყინებულ მოთხრობებიო, — მიპასუხა წყენით.

— როგორ, შენ უკვე კრიტიკოსიც ხარ? — ვკითხე განცვიფრებულმა.

— კრიტიკოსიც ვარ, ხარისხიც დავიცავი და ლექციებსაც ვკითხულობ ტელევიზიაში, რადიოში, საზოგადოება ცოდნის ხაზით და ერთ-ერთი უმაღლეს სასწავლებელში, — მითხრა ნიშნიშნისმოგებით.

შემეცოდა მაიმუნის სტუდენტები, მაგრამ რა მექნა? არც კათედრის გამგე ვიყავი, არც რექტორი, რომ უმაღლესი სასწავლებლიდან გამეგდო. კაცმა რომ თქვას, მაგის მორალური უფლებაც არ მქონდა, სხვა რომ არაფერი, ეს მაიმუნი ხომ ჩემი გამოყვანილი იყო ხალხში.

— ის მაინც გეთქვათ ხალხისათვის, რომ მაიმუნია, — გააწყვეტინა სიტყვა მღვდელმა.

— ვთქვი, მამაო, მაგრამ უკვე გვიანი იყო, შენ თვითონ ხარ მაიმუნი, — ასე მიპასუხეს.

— ახია თქვენზე! — გულზე მჯიდი დაირტყა მღვდელმა.

— ვიცი! — უპასუხა ბაჩანამ.

— მერე რა ჰქენით? — აწრიალდა ლოგინში მამა იორამი.

— რაც შემეძლო, ის ექნენ, უკან გავატანე მოთხრობები...

— მერე რაო?

— მწერალთა კავშირის წევრი რომ ვიყო, მაშინ ხომ დამიბეჭდავდი ამ მოთხრობებს, მაგრამ მალე გავხდები მწერალთა კავშირის წევრი და დედას გიტირებო! — დამემუქრა.

— შენისთანა მაიმუნს მწერალთა კავშირში რა უნდა-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ თავი შევიკავე...

— რატომ? — ხმას აიწია მამა იორამმა.

— იმიტომ, ბატონო იორამ, რომ აღრე მაგაზე დიდი მაიმუნებისათვის მქონდა ხმა მიცემული და რეკომენდაციაც ითამაგზის... თქვა ბაჩანამ და დადუმდა.

— მერე აღარსად შეგხვედრიათ? — ჰკითხა მამა იორამმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ არა, მწერალთა კავშირის წევრიც გახდა, დამიმეგობრდა კიდეც. სადღეგრძელოში სულ მამას მეძახდა. რამდენიმე წლის წინ, დეპუტატად რომ უნდოდათ ჩემი კანდიდატურის წამოყენება, რაიკომის მდივანთან მივიდა თურმე, სპეციალურად, მადლობის სათქმელად...

— არ გადამრიოთ, ბატონო ბაჩანა!

— კი, ასე უთხრა თურმე, — ბატონო ნიკოლოზ, მთელი ქართველი მწერლების, მკითხველი საზოგადოების და მისი რედაქციისა და მეგობრების სახელით, მადლობა მინდა მოგახსენოთ, ამხანაგ ბაჩანა რამიშვილის კანდიდატურის წამოყენებისათვის. მხოლოდ თქვენისთანა პრინციპულ, გამბედულ და კეთილშობილ კომუნისტს შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს საჩანა რამიშვილის წარსულს და მხოლოდ მისი ადამიანობის მიხედვით იმსჯელოს მის პიროვნებაზეო...

— რა წარსულსაო? — უკითხავს, ცოტა არ იყოს გაკვირვებულ რაიკომის მდივანს.

— ისეთს არაფერს, ბატონო ნიკოლოზ, თუნდაც ისეთ უბრალო ფაქტს, რომ არ იღებთ მზდეველობაში, მშობლები რომ ჰყავდა რეპრესირებული, თვითონაც რომ იყო ახალგაზრდობაში დაპატიმრებული, მართალია, გაუგებრობის ნიადაგზე, მაგრამ, ხომ იცით — ანკეტა მაინც ანკეტაა და... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამას წინათ მის გაზეთში ბოლშევიკების ნაცვლად მენშევიკები რომ ეწერა... კაცობა სწორედ იმაშია, ყველაფერ ამაზე თვალს რომ დახუჭავ და მაინც ამხელა ნდობას გამოუცხადებ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და არცთუ ისე დამსახურებულ კაცს. მხოლოდ თქვენისთანა ხელმძღვანელს შეუძლია ასეთი რისკი გასწიოს, ამიტომ ხალხებიც კი არ მყოფნის მადლობის სათქმელად. გმადლობთ, ბატონო ნიკოლოზ, კიდევ ერთხელ გმადლობთ! — ბაჩანამ ამბავი დაამთავრა.

— სად არის ახლა ის მაიმუნი? — ძლივს მოაბრუნა ენა გამშრალ პირში ბატონ მამა იორამმა.

— არ ვიცი, გამორიცხული არ არის, რომ ხვალ ჩემს სანახავადაც მოვიდეს, — გაიცინა ბაჩანას.

— ბატონო ბაჩანა! — თქვა დიდი ხნის დუმილის შემდეგ მამა იორამმა. — ქართლის ცხოვრებაში ჩვენთვის ერთი ფრიად არასასიამოვნო ამბავი წარია, თუ გახსოვთ. დავთან ალმაშენებლის მეისტორიე წერს:

— ...ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს, პირველითგანვე თვისთა უფალთა. რამეთუ რაჟამს განდიდდენ, განსუქდნენ და დიდება პოონ და განსუენება იწყებენ განზრახვად ბოროტისა...

ბაჩანას ახსოვდა დავითის ისტორიკოსის ეს სიტყვები და არაფერი ან უპასუხა მამა იორამს, სედექსენი დალია და კედლისკენ გადაბრუნდა:

13

ვიდრე რაიკომის მიუროზე გაიტანდნენ ბაჩანას პარტიის წევრობის კანდიდატად მიღების საკითხს, გასაუბრებაზე დუმახეს. არავინ წაყოლია პარტიელი კომიტეტიდან. მარტო მივიდა რაიკომში.

პარტკაბინეტში მიიწვიეს. შვიდა, საერთო სალაში თქვა და გრძელი ჰაგიდის ბოლოში დაჯდა. სამნი უსხდნენ მაგიდას. ორი ერთი მხრიდან, მესამე კი მოპირდაპირე მხარეს.

— ჩვენი საუბარი დღეს ფორმალურ ხასიათს ატარებს, ამხანაგო რამიშვილო, მიზანი, რა თქმა უნდა, ერთია, კარტიამ ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს, ვის იღებს თავის რიგებში. ამიტომ, თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, ცოტას გავესაუბრებით. იქნება თქვენც გქონდეთ რამე შეკითხვა ჩვენს მიმართ. — უთხრა ბაჩანას ერთ-ერთმა, რომელიც მაგიდას მარჯვნივ იჯდა და ბაჩანას პირადი საქმე ედო წინ.

— კი ბატონო, როგორც საჭიროა, ისე მოიქეცით, — უპასუხა ბაჩანამ და გული უჩვეულოდ აუჩქარდა. ეს გასაუბრება ძალიან ჰგავდა გამოცდას, მაგრამ ჩვეულებრივს კი არა, არამედ ისეთს, როდესაც არ იცი, რომელ საგანში გამოგცდიან. ბაჩანას საკუთარი გულის ბაგაბუები ესმოდა. დაძაბული იჯდა და შეკითხვებს ელოდა.

— უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთს გავეცნოთ. ჩვენ ძველი ბოლშევიკები ვართ. მე, ალექსანდრე მქვია იორდანიშვილი, ჩემს მეგობრებს — ამას — ვანო ბანძელაძე, ამას — დავით მანგაგაძე, — თქვა იმ კაცმა, რომელსაც ბაჩანას პირადი საქმე ედო წინ.

— ძალიან სასიამოვნო, გაბარჯობამ! — თქვა ბაჩანამ და ფეხზე წამოდგა.

— დაბრძანდით! — უთხრა იორდანიშვილმა. მას ნაყვავილარი სახე, ბოხი ხმა, თაფლისფერი თვალები ჰქონდა, ცხვირი კი ოდნავ კეხიანი და ლამაზი.

— ამხანაგო რამიშვილო, მე მაინტერესებს, ამდენ ხანს რატომ არ შემოდით პარტიაში? — ჰკითხა ალექსანდრემ.

ბაჩანა ელოდა ამ შეკითხვას და შაბლონური პასუხიც ჰქონდა მზად, — რომ ადრე არ თვლიდა თავს საკმაოდ მომზადებულად და ღირსად, რათა ასეთი საპატიო მისია ეკისრა, ხოლო ახლა, როდესაც იგრძნო თავის თავში საკმაო ძალა და ენერგია, ახლა, როდესაც ძირფესვიანად დაეუფლა... და ასე შემოდგა, მაგრამ რატომღაც ენა არ მოეტრიალდა.

— ადრე არ მღებულობდნენ, ბატონო! — მოკლედ თქვა ბაჩანამ.

— რატომ? — ჰკითხა ბანძელაძემ.

ბანძელაძე წოთური იყო, სახეფაღლაქა და ცხვირბრტყელი, თვალები იმდენად პატარა, წვრილი და მოძრაგი ჰქონდა, იმდენად მოძრაგი, რომ ბაჩანამ მათი ფერი ვერა და ვერ დაიჭირა.

— განცხადებაში მიწერია ყველაფერი. — თვალით ანიშნა ბაჩანამ პირად საქმეზე.

იორდანიშვილმა ბაჩანას პირადი საქმე გაშალა, მის განცხადებას გადაავლო თვალი, მაგრამ არაფერი არ თქვა.

— მშობლები მყავდა რეპრესირებული. — განმარტა ბაჩანამ, რაღაი იორდანიშვილმა ხმა არ ამოიღო.

— ახლა ორთავე რეაბილიტირებულნი! — დაუმატა იორდანიშვილმა და თავის მეგობრებს შეხედა.

— კომკავშირში როგორია მიგიღეს? — ჰკითხა დავით მანგაგაძემ.

მანგაგაძეს კაკვასიური ნაგაზივით უზარმაზარი, ბანჯგვლიანი, ჭაღარა თავი ჰქონდა და საოცრად ალერსიანი გამოხედვა.

— დავმალე, რომ რეპრესირებული მყავდა მშობლები. — თქვა ბაჩანამ.

ძველმა ბოლშევიკებმა გაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს.

— კი მაგრამ, არავინ იცოდა, ვინ იყავით? — ჰკითხა მანგაგაძემ.

— იცოდა, სკოლის კომკავშირის მდივანმა.

— და არ გაგიმხილათ?

— დიახ!

— რატომ?

— მეგობარი იყო ჩემი... — დუმილი ჩამოვარდა. — ომის წლები იყო, ძალიან მძიმე წლები, მაშინ ტყუილად და მოსაჩვენებლად არავინ შეიდიოლა კომკავშირში. ეს იცოდა ჩემმა მეგობარმა... — თქვა დუმილის შემდეგ ბაჩანამ.

— სხვამ არავინ იცოდა? — ჰკითხა ბანძელაძემ.

— თითქმის ყველამ, არ იცოდა მხოლოდ რაოკომმა.

— და არავინ არ თქვა?

— არა, არავინ არ თქვა. — იორდანიშვილმა ბაჩანას პირადი საქმე დახურა და გვერდზე გადადო.

— როგორ ფიქრობთ, მიგიღებდნენ თუ არა, რომ სცოდნოდათ?

— არა, არ მიმიღებდნენ! — თქვა ბაჩანამ.

— მშობლების გამო რამე წყენა ხომ არ გაქვთ ან გქონდათ პარტიის მიმართ? — ჰკითხა ბანძელაძემ.

ბაჩანამ იცოდა, რომ სწორედ ახლა უნდა ეთქვა, — როგორ გეკადრებათ,

ბატონო, მაგრამ მართლის თქმა არ ნიშნავს:

— კი მქონდა! — თქვა და ათრთოლებული ხელით პაპიროსი ამოიღო კოლოფიდან.

— მომაწვეინეთ, თუ შეიძლება! — სთხოვა ბაჩანაზე არანაკლებ აღელვებულმა მანაგაძემ და ხელი გაუწოდა. ბაჩანამ ასანთი და პაპიროსი გადასცა.

— და შემიძლია გაგიიარათ ამ წყენამ, თუ?... — ჰკითხა ბანძეულაძემ და მანაც ამოიღო ბაჩანას კოლოფიდან პაპიროსი. ისევ დუმილი ჩამოვარდა.

— გამიარა, მაგრამ შემდეგ, დიდი ხნის შემდეგ კვლავ გამიჩნდა ეს გრძნობა. — ბაჩანამ პაპიროსს მოუკიდა.

— როდის?

— რეაბილიტაციის შემდეგ, ჩემთვის მოულოდნელად, სიხარულის ნაცვლად წყენა გამიჩნდა... — ბაჩანამ პაპიროსი ასანთის კოლოფს დააჭყლეტა. მერე უცებ ახალი პაპიროსი ამოიღო და გაბოლა. — გამიჩნდა, იმიტომ რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში თურმე სულ ტყუილად, არაფრის გამო გადავიტანეთ ამდენი სიდუხჭირე, დამცირება და უფიდურება.

— ახლა სად არიან თქვენი მშობლები? — ჰკითხა იორდანაშვილმა.

— აღარ არიან, — უპასუხა ბაჩანამ.

— და თქვენ ახლა ასეთი გრძნობით შედიხართ პარტიაში? — ჰკითხა ბაჩანას ბანძეულაძემ. ბაჩანა დაფიქრდა. პასუხი დაუგვიანა. ბანძეულაძემ ნერვიულად დაუწყო პაპიროსს ღეჭვა.

— მე ვიცი, — დაიწყო ბაჩანამ. — მე ვიცი, რომ ისტორია სავსეა პარადოქსებით, რომ ადამიანები ხშირად ცდებიან, ნებით თუ ენებლიეთ, შემდეგ ასწორებენ თავის შეცდომებს. ზოგი გვიან, ზოგი ადრე, ზოგი ისე მიდის ამქვეყნიდან, დარწმუნებულია თავისი შეცდომის სისწორეში. ასეთი ადამიანების შეცდომების გასწორება მომავალ თაობებს მოუწევთ.. ადამიანებმა, რომლებმაც მე ტკივილი მოვაყენეს, უკვე აგეს პასუხი და თითქმის აღარ არიან. ახლა სახელმწიფოს მმართველობაში ჩემი თაობის ხალხი მოდის, ჩემი თანატოლები მოდიან, მე არ მაქვს შურისძიების უფლება, პირქელფიქრალებული ვარ მხარში ამოვუდგე მათ, თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი შეცდომა არ განმეორდეს... მით უმეტეს, რომ მე საოცრად მჯერა მათი საქმის, ეს საქმე მე საკუთარ საქმედ მიმიჩნია... და კიდევ ერთი რამ, რაც ყველაზე მთავარია, მწერალს არ აქვს უფლება სუბიექტური იყოს... თუ მწერალი ობიექტური არ არის, კაპიკია მისი მწერლობის ფასი...

ბანძეულაძემ კმაყოფილებით დაიქნია თავი.

— ცნობილია თუ არა თქვენთვის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის წერილი: „ზეგრბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტებისადმი? — ჰკითხა იორდანაშვილმა.

ბაჩანამ დიდხანს იფიქრა... ბოლოს კითხვა შეუბრუნა იორდანაშვილს:

— ბატონო ალექსანდრე, ამხანაგი ლენინის ეს წერილი და კიდევ სხვა რომელიმე, რომ არ ვიცოდე, მიჭიდებთ თუ არა პარტიაში?

იორდანაშვილი შეწუხდა და პასუხი დაუგვიანა. მაშინ ბაჩანამ ისევ შეუბრუნა კითხვა:

— თქვენ მხოლოდ იმას მეკითხებით, რაც თვითონ იცით, თუ იმას, რაც სავალდებულოა?

— რისი ცოდნაც სასურველია, ამხანაგო რამიშვილო, ამ წერილის ადრესატება მე და ჩემი მეგობრები ვიყავით...

ბაჩანამ ძალიან უხერხულად იგრძნო თავი, ფეხზე წამოდგა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ იორდანაშვილმა არ აცალა.

— ნახვამდის, ამხანაგო რამიშვილო. — თქვა მან და თავადაც წამოდგა. ბაჩანას ჟრუანტელმა დაუარა ტანში, „სვეტიცხოვერი გამოვდა". — გაიფიქრა მან და გული გაუჩერდა. იგი უცებ დაჯდა და მარცხენა ძუძუზე დაიდო ხელი.

ნოდარ ლომბაძე
მარადისობის კანონი

— რა მოგვივდათ? — ჰკითხა შეწუხებულმა ანანგაძემ. ბაჩანამ ძალი მოიკრიბა და ისევ წამოდგა ფეხზე.

— არაფერი, ბატონო დავით, მე თვითონაც არ ვიცი, რა მომივიდა, გაბიარა უკვე! — ბაჩანამ კვლავ გაიგონა საკუთარი გულის დაგადგუგი და გაეღიმა.

— ხვალ, პირველ საათზე, თქვენი საკითხი გავა რაიკომის ბიუროზე, მე მგონი, ყველაფერი კარგად იქნება... იმ წერილს მაინც გადაავლეთ თვალი, დროს თუ გამონახავთ... — ურჩია იორდანიშვილმა.

— ბატონო, ალექსანდრე, — აღელვებული ხმით დაიწყო ბაჩანამ. — ის წერილი ამხანაგმა ლენინმა 1921 წლის 14 აპრილს დაწერა, ხოლო 1921 წლის რვა მაისს იგი „პრავდა გრუზიის“ ორმოცდამეთხუთმეტე ნომერში ვამოქვეყნდა...

— უცნაური კაცი ხარო, რამიშვილო, — უპასუხა იორდანიშვილმა და გაიცინა, — ნახვამდის!

— ნახვამდის და დიდი მადლობა! — თქვა ბაჩანამ და სამთავეს ხელი ჩამოართვა.

— კიდევ ერთი, — თქვა ბანქელაძემ და ბაჩანას ხელით ანიშნა, პაპიროსი მომეცით, ბაჩანამ პაპიროსი მიაწოლი და სმენად იქცა...

— კიდევ ერთი, რამიშვილო, მაგ „ბატონოს“ თუ გადაეჩვევთ და „ამხანაგოს“ მიეჩვევით, არ იქნება ურიგო.

— კი ბატონო! — დაპპირდა ბაჩანა. სამთავეს გულიანად გაეცინა.

ბაჩანა პარტკაბინეტიდან გავიდა.

●

პირველ საათზე ბაჩანას დაუძახეს. მან ფრთხილად შეაღო რაიკომის პირველი მდივნის კაბინეტის კარი. არავისთვის შეუხედავს სახეში, ისე მიესალმა გრძელი მაგიდის გარშემო მსხდარ ბიუროს წევრებს და მარცხენა კედელთან ჩამწკრივებულ სკამებს გაჰედა. არ იცოდა, რომელ სკამზე დამჯდარიყო, ან დამჯდარიყო თუ არა საერთოდ.

— დაბრძანდით! — გაიგონა ქალაქის ნაცნობი ხმა.

ბაჩანამ თავი ასწია და მხოლოდ ახლა დაინახა საწერ მაგიდასთან მჯდარი რაიკომის ახალგაზრდა მდივანი. მარჯვენა თვალის ზედა ქუთუთო ოდნავ მოეჭუტა და ისე უღიმოდა ბაჩანას, ბაჩანა შუა რიგში დაჯდა. რაიკომის მდივანი წამოდგა.

— მე მგონი, ბევრი ახსნა-განმარტება არ არის საჭირო, ჩვენ ყველანი ვიცნობთ ბაჩანა რამიშვილს. იგი დღეს ჩვენი დიდი ოჯახის წევრი უნდა გახდეს, — რაიკომის მდივანმა ისევ გაიღიმა. — განცხადებას, რეკომენდაციებს და ანკეტას ახლავე გაგაცნობთ.

— არ არის საჭირო! — თქვა ვიღაცამ. რაიკომის მდივანმა ბაჩანას პირადი საქმე გვერდზე გადადო და ბიუროს წევრებს გადახედა.

— შეკითხვები ხომ არ გაქვთ?

— მე მაქვს! — თქვა მოულოდნელად ბიუროს ერთ-ერთმა წევრმა.

ბაჩანამ მუხლებში სისუსტე იგრძნო. ყველა შემკითხველს მიაჩერდა. რაიკომის მდივანს ოდნავშესამჩნევმა გაკვირვებამ გაუელვა თვალებში.

— ბრძანეთ! — თქვა მან მცირე პაუზის შემდეგ და დაჯდა. ხუთი წამით სიჩუმე ჩამოვარდა და ეს ხუთი წამი ხუთ საათად მოეჩვენა ბაჩანას.

— ამხანაგო რამიშვილო, რატომ შემოდიხართ პარტიაში?! — ჰკითხა ბიუროს წევრმა ბაჩანას.

მთელი ბიურო ახლა ბაჩანას მიაჩერდა. ბაჩანა ძლივს წამოდგა სკამიდან. ისევ დუმილი ჩამოვარდა. ამჯერად დუმილი გაცილებით დიდხანს გაგრძელდა. ბაჩანამ ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან და შუბლი მოიწმინდა. ბაჩანამ იცოდა, რა ეპასუხა შემკითხველისათვის. მას უნდა ეთქვა, რომ: — იგი მთლიანად იზიარებს პარტიის წესდებასა და პროგრამას, რომ იგი მზად არის უყოყმანოდ შეასრულოს პარტიის ყველა დავალება და თავი შესწიროს მის საქმეს, რომ მას სურს გახდეს კომუნიზმის აქტიური მშენებელი... — ყველაფერი

ეს ალილუიასავით ზეპირად იცოდა ბაჩანამ, მაგრამ უცებ, რატომღაც, ძალიან სასაცილოდ და უადგილოდ მოეჩვენა ამის თქმა, რადგან, რასაც ფიქრობდა, ამისათვის სრულებით არ იყო სავალდებულო კომუნისტობა და, რაც მთავარია, აქ, ბიუროს წევრებში, ალეს ვერ ხედავდა ხელისშემშლელს... ბაჩანამ ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი. ბიუროს წევრები სულგანაბული ელოდნენ პასუხს.

— მინდა, რაც შეიძლება მეტი პატიოსანი კაცი იყოს პარტიაში! — თქვა მან, თავი ჩაღუნა და დაჯდა.

კაბინეტში წამით გაკვირვებამ გაიმრავლა, თითქოს ნიავმა დაუბერაო და ისევ სამარისებური სიხუმე ჩამოვარდა. ბაჩანა ვერაფერს ვერ ხედავდა. მან მხოლოდ იგრძნო, როგორ წამოდგა რაიკომის მდივანი.

— ამხანაგებო, მე ბავშვობიდან ვიცნობ ბაჩანა რამიშვილს. იგი სულით ხორცამდე კომუნისტია, მე მას დიდი ხანია კომუნისტად ვთვლი და ახლაც მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას. ვინ არის მომხრე, რომ ბაჩანა ვლადიმერის ძე რამიშვილი მიღებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად, გთხოვთ ასწიოთ ხელი.

...და აქ მოხდა ისეთი სასწაული, რომელიც, ალბათ, არც ერთი პარტიის ისტორიაში არ მომხდარა. სხვებთან ერთად ბაჩანა რამიშვილმაც ასწია ხელი.

14

ორი დღე თოვდა თბილისში განუწყვეტლივ. ორი დღე ბარდნიდა მშრალად. ქალაქში ტრანსპორტის მოძრაობა ჩაკვდა და ქუჩები ხმაურით, სიცილით, კისკისით, ფეხდაცურებული მოქალაქეების შემკრთალი შეკივლებით, დაგუნდული გოგონების წიოკოებით და სახეგაღაღაქებული ბიჭების რიხრიხით აივსო. ჰაერი განიწმინდა, გაიფილტრა, მსუბუქი და საოცრად გემრიელი გახდა. თეთრი თბილისი ულამაზესი დედოფალივით დასეირნობდა საკუთარ ქუჩებში და ნაადრევი, მოულოდნელი ჰაღარით თავს აწონებდა და მოქალაქეებს.

საღამოს ცხრა საათი იყო. საყელოაწეული და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ბაჩანა ვაკის პარკში მიდიოდა. ნელა, აუჩქარებლად მიდიოდა ბაჩანა, არაფერზე არ ფიქრობდა. მიაღწევდა ციდან ჩამოშვებულ ამ ღმერთის ხელით მოქარგულ ფიფქის ფარდას, სახეს რომ უხუსხავდა საამოდ და მიდიოდა...

მოსაშვილის ქუჩის კუთხეში ქალი შეეფეთა. ისე მოულოდნელად ვამოვიდა კუთხიდან, ბაჩანა შეკრთა. ქალიც შეკრთა მოულოდნელობისაგან. ასე, თითქმის ერთმანეთზე აწებებულები იდგნენ ერთხანს და უმზერდნენ ერთმანეთს. ქალი უზარმაზარ, ბრიალა თვალებს დააცეცებდა ბაჩანას სახეზე. ბაჩანამ ფრთხილად შეახო მკლავზე ხელი და გვერდზე გადგა.

— მაპატიეთ, ქალბატონო!

მერე, რატომღაც მოეჩვენა, რომ ქალი გაცილებით ახალგაზრდა იყო, ვიდრე ქალბატონი და შეცდომა გამოასწორა.

— მაპატიეთ, ქალიშვილო!

— არა უშავს. — უპასუხა ღიმილით ქალიშვილმა და გაიარა.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ბაჩანა შედგა და უკან მიიხედა.

— თუ სადმე სამართალი და შინაგანი ალღო არსებობს, უნდა მოიხედოს. — გაიფიქრა ბაჩანამ და ქალმა მოიხედა. ბაჩანა ნელი ნაბიჯით დაიძრა მისკენ. ქალმაც იგივე გააკეთა. როდესაც სულ ახლოს მივიდნენ ერთმანეთთან, ბაჩანას, რატომღაც, სუნთქვა შეეკრა და იგრძნო, რომ ქალსაც იგივე მოუვიდა.

— გამარჯობათ! — თქვა ბაჩანამ. იგი ცდილობდა როგორმე აღელვება დაეფარა, მაგრამ ხელები სად წაეღო, არ იცოდა. უცებ ჯიბიდან ტყავის ხელთათმანები ამოიღო და სწრაფად დი-

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის ქანონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყო მათი გაცვებულ ხელებზე წამოცმა.

— გაგიმარჯოს! — უთხრა ქალმა და ხელი გაუწოდა.

ბაჩანამ სწრაფად გაიხადა ხელთათმანი და ხელი ჩამოართვა ქალს. ქალს ხელი რბილი და თბილი ჰქონდა. ბაჩანამ თვალებში შეხედა და მიხვდა, რომ ქალიც დელავდა.

— სად მიბრძანდებით? — ჰკითხა ბაჩანამ, სხვა რომ ვერაფერი მოიგონა.

— სახლში! — მშვიდად უპასუხა ქალმა, ხელი გამოართვა ბაჩანას და კვლავ ქურქის ჯიბეებში ჩაიწყო.

— რა ლამაზი ხართ! — უთხრა ბაჩანამ და გაწითლდა.

— ვიცი! — თქვა ქალმა წყნარად.

— ალბათ, ძალიან სასიამოვნო გრძნობაა, როდესაც იცის ადამიანმა, რომ ლამაზია, არა? — ჰკითხა ბაჩანამ.

— რა მოგახსენო! — მხრები აიწურა ქალმა.

— მაინც სასიამოვნოა, ალბათ, — დასძაკვნა ბაჩანამ, — ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან მსიამოვნებს ლამაზი ქალის ცქერა, — ენად გაიკიფა ბაჩანა.

— შეგატყვეთ, — ღიმილით დაეთანხმა ქალი.

— ხომ არ გაცდენთ და გაწუხებთ ამდენი სულელური შეკითხვებით?

ქალმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია და გაიცინა.

— როგორ ჰგავხართ ბაჩანა რამიშვილს! — თქვა უცებ.

— ძალიან ვგავარ! — უპასუხა უზომოდ გახარებულმა ბაჩანამ და რაღაც ფარულმა სიამაყის გრძნობამ გული აუჩქროლა.

— ალბათ, სხვებიც გეუბნებიან? — ჰკითხა ქალმა.

— თითქმის ყველა, ვინც მიცნობს.

— საოცარი მსგავსებაა. — გაუკვირდა ქალს.

— იმდენად საოცარი, რომ პასპორტშიც ბაჩანა რამიშვილი მიწერია, — გაიცინა ბაჩანამ.

ქალმა დაეჭვებით შეხედა.

— აბა, ქუდი მოიხადეთ!

ბაჩანამ დაფიფქული ქუდი მოიხადა და მუხლზე დიბერტყა.

— ღმერთო ჩემო! — გაეცინა ქალს. — მართლა ბაჩანა რამიშვილი ყოფილხარო!

— რა გქვია, ქალიშვილო? — გათამამდა ბაჩანა.

ჩემს ქალიშვილს მაია ჰქვია. — გაუცინა ქალმა.

ბაჩანას უხერხულობისაგან საქციელი წუხდა.

— ალბათ, ერთი წლისაა, — სცადა ხუმრობა ბაჩანამ.

— ჩვიდმეტის! — დაუზუსტა ქალმა.

— მატყუებთ! — თქვა ბაჩანამ.

— მაიას გეფიცებით!

— თქვენ რა გქვიათ?

— მარიამი.

— რა ლამაზი ხართ, მარიამ! — თავიდან დაიწყო ბაჩანამ.

— თქვენც! — უპასუხა ქალმა.

ბაჩანა ისევ გაწითლდა.

— ისევ მატყუებთ.

— მაიას გეფიცებით! — ისევ დაიფიცა ქალმა.

— ან შვილი არ გყავთ, ან ტყუილზე იფიცებთ, — არ დაუჯერა ბაჩანამ.

— რა ვქნა, მე ასე მეწვენება, — უპასუხა სერიოზულად ქალმა. — ნახვამდის! — თქვა უცებ და შეტრიალდა.

— მოიცაო! — სთხოვა ბაჩანამ. ქალი გაჩერდა. — გაგაცილებთ!

— ძალიან შორს ვცხოვრობ.

— სად?

— ვორონცოვის ჩიდთან.

— მართლა შორს ყოფილხართ, თუ ნებას მომცემთ, გაგაცილებთ.

— არა, მარტო მინდა ვიარო! — თქვა ქალმა, თავი მაღლა ასწია და საოცრად ლამაზი სახე თოვლის ფიფქს შეუშვირა.

— არ გეშინიათ?

ქალმა თავი გაიქნია და გზას გაუდგა.

მარტოდ დარჩენილი ბაჩანა მონუსხულივით იდგა და მშრალ თოვლზე დარჩენილ ქალის მსუბუქ ნაკვალევს თვალს არ აცილებდა. ქალი მოკლე ქურქში

იყო გახვეული და მაღალყელიანი ჩექმები ეცვა. ისე ამაყად, გოროზად და მოხდენილად მიდიოდა, ვერც ძველი ქურქი, ვერც გაქუცული საყელო, ვერც გაცვეთილი ჩექმები ვერ ფარავდნენ მისი სხეულის დიდებულებას. ქალი ქუჩის კუთხეს მიეფარა.

— გვარი მაინც მეკითხა, კრეტინს. — გაიფიქრა ბაჩანამ. უცებ ადგილს მოსწყდა და ჭაკვავიის პროსპექტზე ამოვარდა, მაგრამ პროსპექტზე რომ გავიდა, უცვე გვიანი იყო. ქალი აღარსად ჩანდა. იგი ღიმეში, ცხელ ხელისგულზე დაცემული ფიფქივით გამქრალიყო.

ბაჩანა სახლში დაბრუნდა. ფეხის საწმენდის ქვეშ გასაღები მოძებნა. თოვლი ჩამოიფერთხა, კარი გააღო და პირველად მის სიცოცხლეში იგრძნო, როგორ შევიდა უზარმაზარ სიცარიელეში.

25

ორი კაცი მიიდო იმ დღეს ბაჩანამ — ერთი გენიოსი, მეორე გიჟი. ეს მერე გამოიარკვა. თავიდან ბაჩანასაც და მდივანსაც ორთავე ნორმალური ეგონა.

პირველი გენიოსი შევიდა ბაჩანასთან. ბაჩანა თავის მაგიდას უჯდა და ხვალინდელი ნომრის ფელეტონს ასწორებდა. ფელეტონი, რომელიღაც ბეწვეულის კომბინატის მმართველის თვითნებობას, გარყვნილებას და თაღლითობას ეხებოდა. მასალა მკაცრად იყო დაწერილი, მაგრამ კარგად. ფელეტონი სენსაციური იყო და ამიტომ მისი არსებობა მხოლოდ მან და მისმა კორესპონდენტმა იცოდნენ. ფელეტონში ერთი უცნაური და თითქმის დაუჯერებელი ამბავი იყო აღწერილი:

მატარებელში, საერთაშორისო ვაგონით ერთ კუპეში ორი ქალბატონი მგზავრობდა თურმე. ერთ მათგანს სიასამურის ქურქი ეცვა. კუპეში რომ შევიდა, ქურქი გაიძრო, საკიდზე დაკიდა და თავის ადგილზე დაჯდა. ქალები მალე გაეცვნენ ერთმანეთს. ის იყო ჭორიკნობის ამოთეთეზს მიაღწიეს და ვიღაც ფრანგი სპეკტაკულიერი პირის სახლის კარებზე წითელი ფარანი ჩამოჭიდეს, რომ ერთ-ერთ მათგანს საშინელი ხველება აუვარდა და სულის ხუთვა დაემართა. გადაფიჩინებულ ქალს სასწრაფოდ მოჰგვარეს შემადგენლობის მორიგე ექიმი. ძლივს მოაბრუნა ექიმმა, ათასი ნესვეებითა და წვეთებით ავადმყოფი და როდესაც გონს მოსულს ჰკითხა, რა დადგმართაო, გაგუდულმა მეზობელი ქალის სიასამურის ქურქს მიაპყრო თვალი და ამოიკვნესა:

— კატა, კატის ბეწვი! — და ისევ დაეწყო შეტევა.

— რა კატა? — ჰკითხა გაკვირვებულმა ექიმმა.

— ალერგია მაქვს კატის ბეწვის მიმართ! — ამოილუღლუღა ქალმა.

— გაიტანეთ, ქალბატონო, კუპედან თქვენი კატის ბეწვის ქურქი, — სთხოვა ექიმმა მეორე ქალს.

მეორე ქალი გადაირია თურმე.

— რას მიქვია, კატის ბეწვი, სიასამურის ბეწვისაა ჩემი ქურქი და ოთხიათას ხუთასი მანეთი მაქვს შიგ მიცემული...

— რამდენიც არ უნდა გქონდეთ მიცემული, ქალბატონო, ცოტა ხნით გაიტანეთო. სთხოვა ექიმმა. ქურქი გამცილებლის კუპეში გაიტანეს და მოხდა სასწაული, ავადმყოფმა თვალში გამოიხედა. გამოიხედა და აქედან დაიწყო ყველაფერი.

მატარებელში აგორებულმა ბურგმა იგორა, იგორა და ბეწვეულის სარეწველო კომბინატში მიიყვანა ექსპერტი.

ახლა ამ კომბინატის მმართველი იდგა ბაჩანას წინაშე და ქონში შეცურებული თვალებით ულიმოდა. ბაჩანამ ჯერ არ იცოდა, ვინ იყო ეს კაცი, მაგრამ რატომღაც მოეჩვენა, რომ იგი ზედმიწევნით იყო დარწმუნებული თავის დაუსჯელობაში. თვითკმაყოფილებასთან ერთად საოცარი თვითდაჯერება და განუსაზღვრელი თავხედობა ჰქონდა დაბუდებული თვალებში. ამას ალბათ, მისი აღნაგობაც უწყობდა ხელს. კაცი მთასავით დიდი იყო და ნა-

ჯახით გამოჩორკნილი ჯირკივით ძარღვიანი.

— გამარჯობათ! — თქვა მან და დაუპატიჟებლად დაჯდა ბაჩანას წინ. ბაჩანამ ფელეტონი გვერდზე გადადო და მოსასმენად მოემზადა. მოსული ხმას არ იღებდა.

— გისმენთ, ბატონო! — უთხრა ბაჩანამ, რაღაი მოსული ხმის ამოღებას არ აპირებდა.

— პირიქით, მე გისმენთ, ბატონო. — გაუღიმა მოსულმა.

— უკაცრავად, ვერ გაგიგეთ?! — გაუკვირდა ბაჩანას.

— მე ბეწვეულის საწარმოო კომბინატის მმართველი გახლავართ, — თქვა მოსულმა და თვალი თვალში გაუყარა ბაჩანას. წყლიანი, ყვითელი თვალები ჰქონდა. „აღლაბ, ნიღლის ბუშტი ტკივა“ — გაიფიქრა ბაჩანამ.

— რა გვარი ბრძანდებით?

— სანდრო მაღლაფერიძე გახლავართ მე. გაგონილი გექნებათ ჩემი გვარი და სახელი. — ხმა ბოხი და ხრინწიანი ჰქონდა მაღლაფერიძეს.

— პირველად მესმის, — იცრუა ბაჩანამ. — რისთვის მობრძანდით, არც ის ვიცი, მე თქვენ არ დამიბარებიხართ.

— მე ჩემი კომბინატის გარშემო ატეხილი აყიოტაჟის გამო გეახელით. მინდოდა მერჩია თქვენთვის, სხვის ტლოკინს და მაიმუნობას არ აჰყოლოდით და თუ რაიმე გაინტერესებდათ, პირადად ჩემგან მოგესმინათ, — უთხრა მაღლაფერიძემ ბაჩანას დამრიგებლის ტონით.

— მე არაფერი არ ვიცი. — ცივად უთხრა ბაჩანამ.

— ყველაფერი იცით, ბატონო ბაჩანა. იმაზე მეტიც იცით. რაც უნდა იცოდეთ, მაგრამ ეგ ჩემი თანამშრომლების ბრალია და იმათ მე მოვუელი. — თქვა მაღლაფერიძემ და თვალები უფრო გაუყვითლდა. — „როგორ მელაპარაკება ეს თავხედი“, — გაიფიქრა ბაჩანამ, მაგრამ თავი შეიკავა.

— აკი გითხართ, არაფერი არ ვიცი —მეთქი, — იქნებ თქვენ ამიხსნათ, რაშია საქმე? — უპასუხა მშვიდად ბაჩანამ.

— მაშინ მე იმას კი არ გეტყვიან, თქვენ იცით, ბატონო ბაჩანა, მე იმას ვეტყვით, რაც მე ვიცი. — გაუღიმა მაღლაფერიძემ.

— ბრძანეთ!

— თქვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში, ბატონო ბაჩანა, უნდა გამოქვეყნდეს ფელეტონი სათაურით: „კატის ტყაოსანი“, მაგის დამწერ თქვენს კრეტინ ლიტმუშაკს, მაგის დაწერას „ვეფხისტყაოსანი“ წაეკითხა, ის ერჩია. იქ ფრიად საყურადღებო სტრიქონები უწერია დალოცვილ რუსთაველს:

ხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჯირსა არ დამრიდათო —

და შემდეგ.

...იგი წყვა და სხვა მოვა
ტურფასა სამაღნაროსთ...

დარწმუნებული ვარ, თქვენთვისაც ცნობილია ეს სტრიქონები. — ისევ გაუღიმა მაღლაფერიძემ.

— მოხსნას ხომ არ გვიპირებთ, ბატონო სანდრო? — ღიმილითვე უპასუხა ბაჩანამ.

— როგორ გეკადრებათ, მე უბრალოდ, მინდოდა, გამეფრთხილებინეთ, რომ იმ კაცს, რომელიც ზემდგომ ორგანოებში კეტირებას უწევს ჩემს წარმოებას, ვაითუ არ ესიამოვნოს ხვალინდელ გაზეთში გამოქვეყნებული უნიჭო ფელეტონის წაკითხვა.

— თქვენ საიდან იცით, რა წერია ამ ფელეტონში?

— ვიცი, ბატონო ბაჩანა, ყველაფერი ვიცი, — თავი გაუქნია მაღლაფერიძემ. — მაგ უნიჭო ფელეტონში წერია, რომ მე საყვარელი მყავს, რომ მე ვარ თაღლითი, აღწერილია, რაღაც კატისა და სისასმურის ბეწვის გარშემო ატეხილი მისტიკური ალერგია... თავი მოგეკვრებათ, ბატონო ბაჩანა, გაეფრთხილდით თქვენს ახალგაზრდა ავტორიტეტს, ის სკამი, რომელზედაც თქვენ ზიხართ, ახლა, არც ისე მძიმეა, თქვენ რომ გგონიათ, მოსინჯული მაქვს მე მაგ სკამის სიმძიმე...

ბაჩანას ცეცხლი წაეკიდა სახეზე, მაგრამ კვლავ თავი შეიკავა. მაღლაფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიძეს არ გამოპარვია ბაჩანას მღელვარება.

— რას მირჩევ, ამხანაგო მაღლაფერიძე; როგორ მოვიქცე? — ჰკითხა ბაჩანამ, რაც შეეძლო მშვიდად.

— თქვენ ახლა ღელავთ, ბატონო ბაჩანა, არც მე ვარ დამშვიდებული. დღეგანდელი ჩემი ვიზიტი თქვენთან, ჩემთვის, ცოტა თავის დამამცირებელია. ასეთ დროს რედაქტორებთან, სხვა შემთხვევაში, მე, როგორც წესი, ბელადტერს ვაგზავნი ხოლმე. თქვენ პირველი რედაქტორი ხარ, რომელთანაც თხოვნით მოვედი.

— ბედნიერი ვარ, რომ პატივი დამდეთ! — მოწიწებით დახარა თავი ბაჩანამ.

— არ გინდათ ირონიზირება, ბატონო ბაჩანა, აქ მე თქვენმა პატივისცემამ მომიყვანა და, საერთოდ, ირონია ჩემი მოგონილია...

— სულ ტყუილად კარგავთ დროს, ბატონო სანდრო! — ცივად უთხრა ბაჩანამ.

— ფელეტონი უნდა ამოიღოთ! — მოკლედ მოუჭრა მაღლაფერიძემ.

— არ გამოვა!

—ისეთი კაცი დაგირეკავთ, გამოვა!

— მამა ღმერთმა რომ დარეკოს, არ გამოვა, ნომერი უკვე აწყობილია, მაგის დაშლა ორმოცდაათი ათასი მანეთის ზარალს მისცემს სახელმწიფოს. ასე რომ მაგ საქმეს ვერაფერი ვერ უშველის, ბატონო სანდრო.

— რამდენი მანეთის ზარალს? — გაიცინა სანდრომ.

— ორმოცდაათი ათასი მანეთის ზარალს, — ხაზი გაუსვა ბაჩანამ.

— მე დავფარავ მაგ ზარალს, სახელმწიფო რომ არ დაზარალდეს.

— თქვენი სამათხოვრო არაფერი არ სჭირს სახელმწიფოს, ბატონო სანდრო, — უპასუხა ბაჩანამ.

— სახელმწიფო, ბატონო ბაჩანა, ჩემნაირი და თქვენნაირი ადამიანებისაგან შესდგება და ერთმანეთს თუ არ ამოვუდექით მხარში, დაინგრევა სახელმწიფო. ეს კი უნდა იცოდეთ, თქვენ.

ბაჩანას აგიყებდა ამ კაცის თვითდაჯერებული ღიმილი, რომელიც ამ ბნელ ამ ხნის განმავლობაში სახიდან არ მოსცილებია.

— თუ თქვენ მხარში ამოდგომა თანლითობა და ფულის აღებ-მიცემობა გგონიათ, სცდებით, ბატონო სანდრო, ყველაფერი ფულზე არ იყიდება და არ ხურდადება.

სანდრო მაღლაფერიძე ფეხზე წამოდგა.

— თქვენ ჯერ გამოუცდელი და ახალგაზრდა ყვინჩილა ბრძანდებით. ბატონო ბაჩანა, ახალდაწყებული გაქვთ ყინვილი და ვიდრე დეზრები ამოგვიდოდეთ, ნაბეტანს ნუ იზამთ, ხმა არ ჩაგიხჩეთ.

— თქვენს ზრუნვას და დარიგებას მივიღებ მხედველობაში.

—კიდევ ერთი რამ იცოდეთ, ბატონო ბაჩანა, მოემი ამბობს: იმ ხუთი გრძნობის გარდა, რომლებიც ადამიანებს გაგვაჩნია, კიდევ არსებობს ერთი — მეექვსე გრძნობა, რომლის გარეშეც ყველა დანარჩენის ფასი, კაპიკია...

— მაინც რა არისო ის მეექვსე გრძნობა, მოემმა? — ჰკითხა დაცინვით ბაჩანამ.

— ფული, ბატონო ბაჩანა, ფული! — დაცინვაზე დაცინვით და იმავე შემზარავი ღიმილით უპასუხა მაღლაფერიძემ.

— და მიუხედავად ამისა, ეს ფელეტონი, — ბაჩანამ გაშლილი ტორი დაადო ფელეტონს, — ხვალ გაზეთში იქნება და რეაგირებისათვის სათანადო ორგანოებს გაეგზავნება.

— და პასუხსაც დაელოდებით, არა?

— დიახ!

— როგორ მეცოდებით, ბატონო ბაჩანა, რომ იცოდეთ, როგორ მეცოდებით! — თქვა სანდრო მაღლაფერიძემ და კარებისაკენ წავიდა. ბაჩანამ პირი დააღო, რომ ეყვირა მისთვის, გაეთრიეო, მაგრამ მაღლაფერიძე გაცილებით

ნოდარ ფუმბაძე
მაგადილობის კანონი

უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა, ვიდრე ბაჩანას ეგონა. მან სასწრაფოდ გაიხურა კარი და ბაჩანას ღრიალი თვითონ ბაჩანას გარდა, არავის არ გაუგონია.

●

გიჟი ერთი საათის შემდეგ შევიდა ბაჩანას კაბინეტში. თითქოს მის დამშვიდებას ელოდებოდაო. გიჟს გიჟისა არაფერი არ ეცხო და ბაჩანამ იგი დიდის მოწიწებით მიიღო. პირიქით, მიხრა-მოხრა და ქცევა საოცრად ზრდილი ადამიანისა ჰქონდა. თვალები — ჭკვიანი, მშვიდი და კეთილი.

— გამარჯობათ, პატივცემულო რედაქტორო! — ბაჩანა ფეხზე წამოდგა და ხელი გაუწოდა. მოსულმა მაგრად ჩამოართვა.

— დაბრძანდით. — სკამი შესთავაზა ბაჩანამ. მოსულმა ქუდი მოიხადა, პორტფელი მაგიდაზე დადო და დაჯდა.

— მე, ბატონო რედაქტორო, სტატისტიკის მთავარი სამმართველოს თანამშრომელი ბახლავარო, გალაქტიონ მთვარაძე! — გაეცინო იგი ბაჩანას.

— ძალიან სასიამოვნო, რაზე შეწუხებულხართ, ბატონო? — ჰკითხა ბაჩანამ.

— ჩემი შეწუხება რა სათქმელია, ბატონო, მე იმას ვწუხვარ, რომ თქვენ გაწუხებთ და ძვირფას დროს გართმევთ, მაგრამ ვითვალისწინებ თქვენს კულტურულ მერეკებას და ნებას ვაძლევ ჩემს თავს, ნახევარი საათი წაგართვათ, — მოსულმა საათს ერთი ხელი.

— ნებავთ, ერთი საათი! — უთხრა ბაჩანამ.

— თქვენი გონება და ყური რომ არ დავქანცო ამ უცნაური, თქვენთვის უცნაური ისტორიით, — ხაზი გაუსვა გალაქტიონ მთვარაძემ. — პირდაპირ საქმეს შევუდგები... ოღონდ, გთხოვთ, სიტყვა არსად გამაწყვეტინოთ და თუ აუცილებლობით არ იქნება გამოწვეული, შეკითხვებსაც ნუ მომცემთ. გთხოვთ აგრეთვე, გააფრთხილოთ თქვენი ჰარადი მდივანი, ჩვენი საუბრის მომენტში, არავინ შემოუშვათ კაბინეტში, — ბაჩანამ ელექტრო ზილას დაეჭირა თითი. კაბინეტში მდივანმა შემოიხედა.

— ქალბატონო ელენე, არავინ შემოუშვათ! — მდივანმა თავი დაუკრა და კარი გაიხურა. — გისმენთ! მიუბრუნდა ბაჩანა მთვარაძეს. თან ფანქარი მოიმარჯვა.

— არ ჩაიწეროთ! — გაფრთხილა მთვარაძემ. ბაჩანამ ცივად გადადო ფანქარი.

— მაშ ასე, — დაიწყო მოსულმა. — მე, ჰუმანოიდი ვარ!

ბაჩანას ყურანტელმა დაუარა ტანში და თმები ყალყზე დაუდგა.

— რა ბრძანეთ?

— მე ჰუმანოიდი ვარ! — დაუდასტურა გალაქტიონმა. ბაჩანას შიში უცემ სიბრალულით შეეცვალა, მაგრამ რადგან შეპირებული იყო, მთვარაძეს სიტყვა აღარ გააწყვეტინა. — ჩვენ, პლანეტა ჰომოსის მკვიდრნი, დედამიწაზე მოვედით ანფრომედეს ნისლოვანებიდან და თქვენს უკაცრიელ პლანეტაზე სიცოცხლის თესლი დავთესეთ. დრო, როდესაც ეს მოხდა, ადამიანის წარმოდგენებს არ ექვემდებარება, ამიტომ, თქვენს გონებას ამ ციფრთა კორიანტელით აღარ დავტვირთავ. ესე იგი, თქვენს უკაცრიელ პლანეტაზე სიცოცხლის თესლი დავთესეთ. ეს გახლდათ კოსმოსში ჩატარებული ჯერ არნახული ექსპერიმენტი. ექსპერიმენტი შედგა. სიცოცხლე აღმოცენდა და ნაყოფიც გამოიღო.

— ერთი შეკითხვა! — ხელი ასწია ბაჩანამ.

— მხოლოდ საკითხის გარშემო! — გააფრთხილა გალაქტიონმა.

— მითხარით, ბატონო გალაქტიონ, თქვენ თვითონ როდის ჩამობრძანდით ჩვენს პლანეტაზე და რითი?

— ვიცოდი, რომ ასეთი კითხვა დაგებადებოდათ. ჩვენმა ცივილიზაციამ პრაქტიკულად გააჩერა დრო და მოსპო მანძილი, ორთავე აბსოლუტურ ნოლზე დაიყვანა და იგი სურვილს გაუთანაბრა. ესე იგი, საკმარისია ისურ-

ვო, და ყოველგვარი კოსმოსური ხომალდების, მფრინავი თეფშებისა და საწვავის გარეშე აღმოჩნდები იქ, სადაც საჭირო არს, ამას ისე, სხვათა შორის, მოგახსენებთ, რადგან ამას ვერც გიგებთ, ვერც მიხვდებით და ვერც დაიჯერებთ. რაც შემეხება პირადად მე, არსაიდან არ მოვსულვარ. ექსპედიციამ, რომელმაც თქვენს პლანეტაზე სიცოცხლის თესლი დათესა ზოგიერთ მოაზროვნე ორგანიზმში, გენეტიკურად ჩასვა და დააპროგრამა ჩვენი, ანუ, ჰუმანოიდების აღმოცენება, ეროდიდრო სიცოცხლის განვითარების რეგულირების მიზნით. ეს მეთოდი საშუალებას აძლევს ორგანიზმებს, თავად გამონახონ თავიანთი განვითარების გზები...

— თქვენ თავად ვიღამ გითხრათ, რომ ჩემი ფუსმანილი ხართ?

— ამას ჩვენ, განვითარების რომელიღაც საფეხურზე, ბიოტოკების საშუალებით და სპეციალური კოდით გვაგრძნობინებენ ხოლმე ჩვენი პლანეტის სამეცნიერო დაწესებულებები...

— თქვენ პირადად როდის მიიღეთ ეს კოდი?

— სულ ახლახან, უფრო ზუსტად, გასულ კვირას, მე დავიძინე, როგორც ჩვეულებრივმა ადამიანმა და გამოვიღვიძე, როგორც ჰუმანოიდმა.

— ყველაფერი გასაგებია! — თქვა ბაჩანამ.

— მე ვიცი, რომ თქვენთვის არაფერი გასაგები არ არის და გიჟი გგონივართ, მაგრამ მადლობას გიხდით ტაქტისათვის, — შეაქო ბაჩანა მთვარაძემ. ბაჩანას შერცხვა და თავი დახარა.

— მაშ ასე! — განაგრძო ჰუმანოიდმა, — ჩვენი ექსპერიმენტის მიზანი იყო დაგვედგინა, შეიძლება თუ არა კოსმოსში, სხვა პლანეტაზე, აღმოცენდეს პლანეტა ჰომოსზე არსებული ცივილიზაციის მსგავსი ცივილიზაცია.

— და რა დასკვნამდე მიხვედით?

— შეიძლება! — თქვა გალაქტიონმა.

— მადლობა ღმერთს! — გაუხარდა ბაჩანას.

— მაგრამ თქვენი ცივილიზაცია დიდი ზიგზაგებით ვითარდება. იგი ძალიან ჰგავს თქვენივე გულის კარდიოგრამას. ყოველივე ამის გამო თქვენ დღენიადაგ ატანჯვებით, რადგან უამრავ ფუქე და ზედმეტ სვლებს აკეთებთ. კაცობრიობა ტორტმანებს და როდესაც თქვენ არასწორი გზით წარმართავთ გენეზისს, იწყება ომები, ეპიდემიები, შიმშილი, სულიერი სიღატაკე და კატასტროფები...

— მერედა, დალოცვილო, რატომ არ გვასწავლით, როგორი გზით წავიყვანთ ჩვენი ცხოვრება, მაშ, რაღაში გამოიხატება თქვენი ჰუმანოიდობა?.. —ისევ გაიწყვეტინა სიტყვა ბაჩანამ.

— არსებობს საერთო კოსმოგონიური ჩაურევლობის კანონი, ყველა ცოცხალმა ორგანიზმმა თავად უნდა მიაკვლიოს ცივილიზაციის უმაღლეს ფორმას.

— ეს უსამართლოობაა, ბატონო გალაქტიონ, რაღაი თქვენ დაგყენეთ ექსპერიმენტი, კიდევაც უნდა შეუწყოთ ხელი მის სწორ განვითარებას.

— ჩვენი დახმარება მხოლოდ ხელის შეშლაში გამოიხატება, ბატონო ბაჩანა. როდესაც კაცობრიობა სწორ გზას ასცდება, ჩვენ ვუკეტავთ მას იმ გზას. ესპობთ თესლს, რომელიც **არასწორი** გზით ვითარდება. — აუხსნა **გალაქ**ტიონმა.

— მაინც რაში გამოიხატება ეს თქვენი შეშლა-ხელისშეწყობა? — ჰკითხა აზარტში შესულმა ბაჩანამ. იგი ამ წუთში ნამდვილ ჰუმანოიდს ედავებოდა დაჩაგრული კაცობრიობის სახელით.

— ჩვენ უკვე ორჯერ გადავარჩინეთ გზასაცდენილი კაცობრიობა — ერთხელ, როდესაც სოდომისა და გომორის ცოდვა დატრიალდა, ხოლო მეორედ, როდესაც წარღვნა მოვევლინა კაცობრიობას. თქვენ ამას ბიბლიაში, როგორც ღვთის რისხვას, ისე ხსნით, მაგრამ ჩვენთვის სულ ერთია, საღილი ერქმევა ვახშამს თუ ვახშამი საღილს. — გაეღიმა გალაქტიონს.

ნოდარ ფეიგაძე
მარგალიტების კანონი

— ნუთუ სულ აღებული გაქვთ ხელი კაცობრიობაზე და არავითარ სულიერ და ზნეობრივ დახმარებას არ უწევთ, გარდა იმისა, რომ სჯით და ამით არასწორი განვითარების გზებს უჩვენებთ? — გულწრფელად შეეკითხა ბაჩანას კაცობრიობაცა და საკუთარი თავიც.

— როგორ არა, პლანეტა ჰომოსის ცივილიზაცია უშუალოდ არ ერევა თქვენს განვითარებაში, ისე კი, გენეტიკურად კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყველა დროსა და ფორმაციაში იღვიძებს ჰუმანოიდის გენი და ცდილობს კაცობრიობას განვითარების სწორი გზები უჩვენოს. ასეთი ჩარევა ჩვენ დასაშვებად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

— ამ ჰუმანოიდთაგან, თქვენს გარდა, კიდევ ვინმეს ხომ ვერ დამისახლებთ, ბატონო გალაქტიონ? — მორიდებით ჰკითხა ბაჩანამ.

— სიამოვნებით. ყველას ვერ ჩამოგითვლით, მაგრამ ზოგიერთს გაგახსენებთ. მაგალითად: ჰომეროსი, დანტე, სერვანტესი, ბახი, ბეთჰოვენი, მოცარტი, რუსთაველი, შექსპირი, გოეთე, ფიერდოუსი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი, ბოკაჩიო, არქიმედი, ჯორდანო ბრუნო, გალილეო გალილეი, ჟანა დარკ, ვან-გოგი, ტოლსტოი, პუშკინი, მეფე ფარნავაზი, დავით აღმაშენებელი, აბრაამ ლინკოლნი, ფოლკნერი, თომას მანი, ჰეგელი, კანტი, ვლადიმერ ულიანოვი, ბლოკი, პასტერნაკი, აინშტაინი, ჩარლი ჩაპლინი... გალაქტიონი, ვეფ, აკაკი, ილია... რომელი ერთი ჩამთვითვალოთ, ძალიან ბევრი...

— როგორ ფიქრობთ, ბატონო გალაქტიონ, ახლა როგორ ვითარებაშია კაცობრიობა, მიდის თუ არა სწორი გზით?

— უჭირს ახლა კაცობრიობას! — თქვა გალაქტიონმა. — თავის დროზე ჩემ მიერ ჩამოთვლილი ჰუმანოიდებისთვის რომ კარგად ვეცნობოთ ყური ადამიანებს, ახლა თქვენი საქმე გაგიცლებთ უკეთ იქნებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ადამიანმა კოსმოსს მიაპყრო თვალი, ჩვენ, ჰუმანოიდებს, დიდი იმედი მოგვეცა. ადამიანებმა საკუთარ თავში აღმოაჩინეს საოცარი ენერგია — ცნობისმოყვარეობა — დიახ, სწორედ ადამიანთა ამ სახელგატეხილმა თვისებამ შეძლო გაერღვია დედამიწის კოლოსალური მიზიდულობის ძალა და კოსმოსში გასულიყო...

— და, თქვენი აზრით, კაცობრიობას აღარ ელის სოდომ-გომორი და წარღვნა?

— მხოლოდ მაშინ, თუ კაცობრიობა ინტერესს დაჰკარგავს ჩემ მიერ ზემოთჩამოთვლილი ჰუმანოიდების მიმართ და იტყვის, მათი მოძღვრება და საქმე მოძველდაო... მხოლოდ მაშინ ელის კაცობრიობას წარღვნა და, ეფიქრობ, ასეთი კატარზისი საჭირო და სასარგებლო იქნება თქვენთვის. ამიტომ გაეფრთხილდით ამდენი სისხლით, ოფლით და ცრემლით მოპოვებულ და შექმნილ ცივილიზაციას, ეფრთხილდით, ნუ გადაყრით წყალში... — გალაქტიონმა საათზე დაიხედა და ფეხზე წამოდგა.

— მე დავამთავრე ჩემი ძირითადი სათქმელი, ბატონო ბაჩანა. უზომო მადლობას გიხდით ყურადღებისათვის. — გალაქტიონმა მოწიწებით დაბარა თავი ბაჩანას წინაშე და მკერდზე დაიდო ხელი.

— კიდევ ერთი შეკითხვა, ბატონო გალაქტიონ, ჩემთან რატომ მობრძანდით ამ აღსარებით, რატომ მაინცდამაინც მე გამანდეთ ეს საიდუმლო? — ჰკითხა ბაჩანამ.

გალაქტიონს ღვთიურმა, საათნო ღიმილმა გადაუარბინა. სახეზე და ბაჩანამ მხოლოდ ახლა დალანდა მის თვალებში სულით ავადმყოფი კაცის შემაძრწუნებელი ელვა.

— ნუთუ ჩემი სახელი და გვარი არაფერს გეუბნებათ, ბატონო ბაჩანა? გალაქტიონი — გალაქტიკა! მთვარაძე — მთვარე! მე ხვალ ვუბრუნდები ჩემს მშობლიურ პლანეტას, ჰომოსს. დედამიწაზე მე ჩემი მისია შევასრულე.

ახლა, ამ წუთში, მე ვასრულებ ჩემი პლანეტის მკვიდრთა დავალებას. მე თქვენთან მოვედი იმიტომ, რომ მოგახსენოთ და გაცნობოთ, თქვენც ჰუმანოიდი ხართ!

ბაჩანას ბურთი მოაწვა ყელში და ტირილი მოუნდა.

— მშვიდობით, ჩემო ძმაო და მეგობარო, თქვენ უკვე იცით თქვენი მისია! — თქვა გალაქტიონმა და ათრთოლებული ხელებით მკერდში ჩაიკრა ბაჩანა, შემდეგ შეტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

ბაჩანას არც გაუგონია და არც დაუნახავს, როგორ შემოვიდა მდივანი კაბინეტში და როგორ დაუწყო მაგიდაზე წერილები. ივი ფანჯარასთან იდგა. უეზრად იღიმეზოდა და თვალებიდან ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები.

●

მთელი ღამე არ უძინია ბაჩანას. დილით, როგორც კი სამსახურში მოვიდა, იმ წუთში სტატისტიკურ სამმართველოში დარეკა. ყურმილი მმართველის მდივანმა აიღო. ახალგაზრდა და ლამაზი ხმა ჰქონდა.

— ალო, გისმენთ?

— სტატისტიკური სამმართველოა?

— დიახ.

— გალაქტიონ მთვარაძე თუ მუშაობს თქვენთან?

— გალაქტიონ მთვარაძე... იცით რა, ბატონო?..

— რა მოხდა, გოგონა?..

— ვინ კითხულობს?..

— მე მეგობარი ვარ მისი.

— გალაქტიონ მთვარაძე ერთი კვირაა უგზო-უკვლოდ დაიკარგა...

ბაჩანას ყურმილი შეაცივდა ხელში.

— ალო, ალო!.. — ბაჩანამ ყურმილი დაკიდა.

16

თოთხმეტ ივლისს დაიბადა ბაჩანა რამაშვილი. ეს თარიღი მსოფლიოს ყველა კალენდარში იყო აღნიშნული, მაგრამ, არა როგორც მისი დაბადების დღე, არამედ, როგორც პასტილიის დაცემისა და საფრანგეთის რესპუბლიკის დაბადების დღე.

ბაჩანას წინ ედო კალენდარი და ღიმილით დასცქეროდა ღირსშესანიშნავ თარიღს. — ალბათ, ვინც საფრანგეთში ამ დღეს დაიბადა, რა ზარ-ზეიმით იხდის თავის დაბადების დღეს, — გაიფიქრა ბაჩანამ. მისი დაბადების დღე კი დედამიწაზე კაცისშვილს არ ახსოვს, უკეთ არავინ იცის. იცის, ალბათ, კადრების განყოფილებამ, სადაც ბაჩანას პირადი საქმე ინახება და კიდევ მილიციის სპასპორტო განყოფილებამ, ამას წინათ ახალი უვადო პასპორტი რომ მისცა ბაჩანას, მაგრამ ცოდნა ერთია და დამახსოვრება მეორე. ცხრა წლის იყო ბაჩანა, როდესაც უკანასკნელად გადაუხადეს დაბადების დღე. და მისმა სკოლის მეგობარმა, ვახტანგ ელბაქიძემ თვითმავალი წითელი სახანძრო რაზმის მანქანა მოუტანა საჩუქრად. იმის შემდეგ სულ სამჯერ გაიგო ბაჩანამ თავის დაბადებასთან დაკავშირებული ხატოვანი ეპითეტები: — „რატომ არ დაიქცა შენი დაბადების დღე“, „სულ რომ არ დაბადებულიყავი, ის ჯობებდა“ და „რატომ მუცელში არ გაუწყალდი დედაშენს“.

პირველი — როდესაც პირველად თუთუნი მოსწია.

მეორე — როდესაც პირველად დათვრა.

მესამე — როდესაც პურის წიგნაკი დაკარგა.

ეს სხვადასხვა ხალხისაგან სხვადასხვა დროს გაიგონა ბაჩანამ, მაგრამ იმ ხალხის მიმართ წყენა არასდროს არ ჩაუდვია გულში, რადგან იცოდა, რომ პირველ ორ შემთხვევაში, იმ ხალხს მისი ჯანმრთელობა აწუხებდათ. მესამე შემთხვევაში კი — მოსალოდნელი შიმშილის აუწერელი შიში. დღესაც უზომო სინანულით მოიგონა ბაჩანამ ის ადამიანები, რადგან სწორედ იმ ადამიანებს ახსოვდათ ბაჩანას დაბადების დღე და აღარ იყვნენ

დღეს ამ ქვეყანაზე. ბაჩანა იმით უხდიდა ამ კეთილშობილ ადამიანებს დაუფასებელ ამაგს, რომ ყოველ წელს რეგულარულად დადიოდა სასაფლაოზე და მოკრძალებით ამკობდა მათი საფლავის ქვებს ეებით, ვარდებითა და მიხაკებით.

ბაჩანა ღიმილით დასცქეროდა კალენდარში საკაცობრიო მნიშვნელობის თარიღს და ფიქრობდა: — ამ დღეს, ალბათ, მილიონობით კაცია დაბადებული და იმდენივე გარდაცვლილი. ალბათ, რამდენი მილიონი კონა ყვავილით შეიმკობა დღეს საფლავები და რამდენი მილიონი კონა ყვავილი გადაეცემა ბედნიერი ღიმილით სახეგაბადრულ ოებილარებს. რამდენი ათასი კაცი დაუფეავს დღეს სამუდამოდ თვალებს და რამდენი ათასი ბავშვი გაახელს თვალს. ბაჩანას უცვე უზარმაზარი, გაჩირაღდნებული კარუსელი წარმოუდგა თვალწინ, რომელიც სიცოცხლის ხესავით დახუნძლული იდგა დედამიწის სფეროს შუაგულში და საოცარი სისწრაფით ტრიალებდა. მის თვალწინ უამრავი ნაცნობი და უცნობი სახე კრთოდა, ციმციმებდა, ღიმილიანი, გაკვირვებული, ტანჯული, აღტაცებული. სევდიანი, ბედნიერი სახეები. მერე როგორ ჩერდებოდა კარუსელი. როგორ ჩამოდიოდნენ სათამაშო გემებიდან, ცხენებიდან, მანქანებიდან, შუშხუნებიდან, თვითმფრინავებიდან თავგრუდახვეული, დაბარბაცებული ადამიანები და როგორ იკავებდნენ მათ ადგილებს კარუსელზე სხვები.

ბაჩანას მოეჩვენა, რომ იგი სწორედ ის კაცი იყო, რომელიც ახლახან ჩამოვდა კარუსელიდან და თავბრუდახვეული, დაბარბაცებული წამოდგა, სარკმელთან მივიდა და ხელის მსუბუქი ბიძგით გაფეთქა. ოთახში საღამოს გრილი ნიავი შემოვარდა. ბაჩანამ ახლა კარი გააღო და დერეფანში გაიხედა. რედაქციაში არავინ არ იყო, მის გარდა. ადრე გაუშვა დღეს ბაჩანამ გაკვირვებული და გახარებული თანამშრომლები. რაღაცით უნდოდა თავისი დაბადების დღე აღენიშნა და ეკეთებინა ვერაფერი მოიფიქრა. ისევ მიეჯდა ფანქარი მაგიდას. უკრი გამოაღო და კორესპონდენციას ჩახედა. „რატომ იძინებენ ღამურები თავდაყირა", — წაიკითხა ბაჩანამ ერთ-ერთის სათაური. მერე ამოიღო და „ნაბეჭდ" ფურცელზე დარეკა. ბაჩანას გაუკვირდა, ნეტავ ვინ იცის, რომ ამ ვარ, ან ამ დროს, რა საქმე აქვს, — გაიფიქრა და ყურმილი აიღო.

— გისმენთ, ბატონო! — ხმა არავინ გასცა.

— გისმენთ, ბატონო! — გაიმეორა და ყურმილში რაღაც სუნთქვის მაგვარი შრიალი გაიგონა. ცოტა ხანს აცალა და ხმა რომ არავინ გასცა, ყურმილი დაკიდა.

ნეტავ, რატომ იძინებენ ღამურები თავდაყირა? — სერიოზულად გაიფიქრა ბაჩანამ და ისევ სტატიას დახედა. ოღონდ არ წაიკითხა, რატომღაც მოუნდა, თვითონ მიმხვდარიყო ინტუიციით, რატომ იძინებენ ღამურები თავდაყირა და შემდეგ შეემოწმებინა საკუთარი მოსაზრება სტატიის მიხედვით.

...ალბათ იმიტომ, რომ... ბაჩანა ბევრჯერ დაკიდებული ღერძზე ბავშვობაში თავდაყირა, ფიზკულტურის მასწავლებლის აღტაცებაც და მოწონებაც კი დაუმსახურებია, მაგრამ ახლა რომ გიახსენა, მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას ისე თავდაყირა ყოფნა არასდროს არ ანიჭებდა. ერთხელ ქობულეთში მოუწია თავდაყირა ყოფნა ათი თუ თხუთმეტი წუთი. აჭარელმა მეთევზეებმა გამოათრიეს ღელვიდან წყალნაყლაპი და გაგდოდეს. არც მაშინ მიუღია დიდი სიამოვნება, პირიქით, სიკვდილს ნატრობდა... მაშ რაღად სძინავთ ღამურებს თავდაყირა? ბაჩანამ ვერაფერი სახეირო რომ ვერ მოიგონა, ისევ სტატიას მიუბრუნდა და ის იყო კითხვა უნდა და ეწყო, რომ კაბინეტის კარი გაიღო და უსაშველოდ ლამაზი, მხრებზე შავთმადაფენილი, მკერდმაღალი და თვალებბრიალა ქალი შემოვიდა.

— მოვედი! — თქვა მან.

ბაჩანა თვალებს არ უჯერებდა. მის წინ მარიამი იდგა. დაბრძანდითო, უნდოდა ეთქვა ბაჩანას, მაგრამ ენა დაება. ადგომა უნდოდა ბაჩანას, მაგრამ მუხლები მოეკვეცა, გაღიმება უნდოდა ბაჩანას, მაგრამ სახე გაუშეშდა. ბაჩანა წამით დაყრუდა, დამუნჯდა და მოკვდა. ქალი იდგა გაფითრებული, აღელვებული მკერდი უღელავდა და ყელი წითელი ლაქებით ჰქონდა აფორაჯგებული.

— მე დაგირეკეთ! — თქვა მან წუთის შემდეგ.

— სუნთქვა გავიგონე თქვენი! — გონს მოვიდა ბაჩანა.

— სახლში არ იყავით, ამიტომ დაგირეკე აქ.

— რით შემიძლია ვემსახუროთ! — თქვა ბაჩანამ გაზეპირებული, სავალდებულო ფრაზა.

— წავიდეთ! — თქვა ქალმა.

— სად? — ჰკითხა გაკვირვებულმა ბაჩანამ.

— სადაც გნებავთ! — ბაჩანა ისევ დაყრუდა და დამუნჯდა...

— დაბრძანდით. — სთხოვა ცოტა ხნის შემდეგ ქალი არ დაჯდა. მიტაცლივით თეთრი სახით, სიხლივით წითელი ტუჩებით. შავი თმით, მწვანე კოფთით და ტანზე შემოსალტული თეთრი ქათქათა ქვედაწელით შემოსილი. ოთახში ღია სარკმლიდან შემოსულ გაზაფხულს ჰგავდა.

— წავიდეთ! — გაიმეორა მან და მწვანე ჩანთა ნერვიულად დაატრიალა ხელში. ბაჩანა უხმოდ წამოდგა და მხოლოდ ახლა შეამჩნია, მწვანე, წვრილქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა ქალს მოხდინილ ფეხებზე. უხმოდ გავიდნენ კაბინეტიდან.

ბაჩანამ ტაქსი გაიჩერა.

— საით? — ჰკითხა მძღოლმა.

— საითაც გინდა! — უპასუხა ბაჩანამ და ქალს შეხედა, ქალმა გაიღიმა.

ბაჩანა და მარიამი კომკავშირის ხეივნის პატარა დუქნის აივანზე ისხდნენ. ოფიციანტმა მენიუ დაუდო წინ ბაჩანას და სადღაც წავიდა.

— რას მიირთმევთ? — ჰკითხა ბაჩანამ.

— შემწვარ კარტოფილს!

— სხვას?

— სხვას არაფერს.

— ღვინოს რომელს დალევთ?

— სულ ერთია!

— კონიაკს ხომ არ მიირთმევთ?

— არა.

— მაშინ ტიბაანი დავლიოთ.

— როგორც გნებავთ. ბაჩანამ ოფიციანტის მოლოდინში სიგარეტი ამოიღო და გააბოლა, მარიამსაც მიაწოდა.

— არ ვეწევი, გმადლობთ! ისევ დუმილი ჩამოვარდა. ბაჩანა სიგარეტს აბოლებდა და დროდადრო თვალს გაატარებდა ხოლმე ქალისაკენ, ერთი აზრი უღრღნიდა ტვინს, ნატავ რამ მოიყვანოს ეს ქალი... საქმეზე, იმ ღამის შეხვედრამ თუ... დაბადების დღის მოსალოცად რომ არ მოსულა, ეს ბაჩანასათვის მზესავით ნათელი იყო. მაშ რამ მოიყვანა?... ბაჩანას უნდოდა ეკითხა ქალისათვის, თუ რისთვის იყო მოსული, რა აწუხებდა ან რამ გაახსენა ბაჩანა, მაგრამ რაღაც აკავებდა. ეს არ იყო არც ზრდილობა, არც ტაქტი, არც ეთიკა. ბაჩანას ეშინოდა იმედის იმ პატარა ნაპერწკლის გაჭრობისა, რომელიც გულში ჰქონდა სადღაც მიყუჟული და სასოებით სულს უბერავდა, იმ დღიდან, პირველად რომ შეხვდა იმ ქალს ქუჩაში. ამიტომ დუმდა ახლა ბაჩანა, დუმდა ქალიც. ისინი ღიმილით უცქერდნენ ერთმანეთს და არც ერთმა არ იცოდა, თუ რაზე ფიქრობდა თითოეული მათგანი ცალ-ცალკე. ბოლოს დაადგა საშველი და ოფიციანტი მობრუნდა.

— რა გაქვთ? — ჰკითხა ბაჩანამ და შვებით ამოისუნთქა, რაკი ლაპარაკის საშუალება მიეცა.

— ჩიტის რძე, — მოკლედ მოუჭრა ოფიციანტმა.

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის ანანი

— მაშინ მოიტანეთ შემწვარი კარტოფილი და ტიბაანი,

ოფიციანტს გულზე შემოეყარა.

— ბატკნის მწვადი, ხბოს მწვადი, შემწვარი წიწილი, სუკი, ჩაქაფული, აფხაზური, ცოცხალი, მუჟუჟი, თათარიანი, ნადუდი, მუსადი, ყველი, წნილი, ნიგოზი არ გნებავთ? — ჩამოთვალა სხაპასხეპით.

—შემწვარი ბულბულის ენა გაქვთ?

— გაუცინა ბაჩანამ.

— ბულბულის ენის შეწვა სად გაგონილა, ბატონო, მოხარშულს მოვართმევთ, — გაიკრიჭა ოფიციანტი.

— მაშინ ყველაფერი მოიტანე! — უთხრა ბაჩანამ.

— ნიგოზი და ტიბაანი! — თქვა მარიამმა.

ოფიციანტმა მორჩილად დახარა თავი და წავიდა.

— ქალბატონო მარიამ, თქვენმა ქმარმა თუ იცის, რომ ჩემთან ერთად ზეხართ ახლა ამ დუქანში? — ჰკითხა უცებ ბაჩანამ და თვითონ გაუკვირდა, საიდან დაებადა ასეთი სულელური კითხვა.

— მე ვიცი, ბატონო ბაჩანა, რომ თქვენ არ გყავთ ცოლი და ამიტომ არ გკითხეთ იგივე, — უპასუხა ღიმილით ქალმა.

— ქმარი არა გყავთ? — დაასკვნა რატომდაც ბაჩანამ.

— აღარ მყავს. — თქვა მარიამმა.

— რატომ? — ჰკითხა ბაჩანამ და მიხვდა, რომ ისევ სულელური შეკითხვა მისცა.

ქალმა არ უპასუხა. ბაჩანას შერცხვა.

— მე მინდოდა მეკითხა, თქვენს გოგონას თუ ჰყავს მამა-მეთქი, — სცადა უხერხული შეკითხვის გასწორება ბაჩანამ.

— მამაც ჰყავს და ქმარიც! — უპასუხა მარიამმა.

ბაჩანამ ისევ სიგარეტი გააბოლა. ოფიციანტი ხელცარიელი დაბრუნდა.

— ბატკნის და ხბოს მწვადი გთავეაბულა, ბატონო, წიწილი ინკუბატორიისა, სუკი დღეს არ მოუტანიათ, ტიბაანი და შამპანური საერთოდ არ არის ხოლმე ჩვენთან, ყველი გვაქვს მარტო, შვეიცარული, როსტოვის გამოშვება, საერო და ბოლოკი...

ბაჩანა სახტად დარჩა.

— ჩიტის რძე? — ჰკითხა მარიამმა.

— აპრილა, ბატონო! — გაელაღდა ოფიციანტი.

მარიამს ისე ხმამაღლა გაეცინა, მთელი დუქანი მთკენენ მოტრიალდა.

— დირეკტორი სად არის თქვენი? — ჰკითხა ბაჩანამ.

— არ გახლავთ, ბატონო და, რომ მოვა, მოვიყვან!

— ან მიცნეს, რომ რედაქტორი ვარ და ბაზრიდან შემოტანილ პროდუქტს მიმალავენ, ან ეს ოფიციანტი კრეტინია, — გაიფიქრა ბაჩანამ.

— წავიდეთ, სადმე სხვაგან. ჩვენს პირველ შეხვედრას ნუ აღვნიშნავთ ბოლოკით და საეროთი. — სთხოვა ბაჩანამ მარიამს.

— რა მნიშვნელობა აქვს მაგას. რაც აქვთ, ის მოიტანოს, — თქვა ეულურფელად მარიამმა. — დავჯდეთ და ვუყუროთ ერთმანეთს, ვითომ ლენინგრადის ბლოკადაში ვიმყოფებით. ეს საღამო სამუდამოდ დაგვამახსოვრდება.

ბაჩანას კვლავ შეუჩნდა ეჭვის ჭია. — ნეტავ რა უნდა ამ ქალს, რისთვის მოვიდა, ვინ მოგზავნა, ნუთუ თავისით მოვიდა, მხოლოდ ბაჩანას ნახვის სურვილით... ბაჩანამ თავი ასწია და თვალებში შეხედა ქალს, მარიამი სადღაც ბაჩანას ზურგს მიღმა იყურებოდა. ბაჩანამ ფრთხილად გააპარა თვალი იქეთ. მათი ოფიციანტი ყურმოკვრილ მონასავით იდგა ვიღაც ჩაფსკვნილი კაცის წინ და მექანიკურ სათამაშოსავით უქნევდა თავს. ყოველ სიტყვაზე.

— რაღაცა შეთქმულება მზადდება, თქვენს წინააღმდეგ, — უთხრა მარიამმა.

ბაჩანამ მხრები აიწურა.

— თუ თქვენს წართმევას მიპირებენ, ტყუილად ირჯებიან! — გაიცინა ბაჩანამ და ალუმინის გაღუნული დანა აიღო მაგიდიდან.

— მაგით ვერ დამიცავთ! — გაეღიმა მარიამს.

— მაშინ, კბილებით. — თქვა ბაჩანამ და თვალი ისევ ოფიციანტისაკენ გააპარა, მაგრამ არც ის კაცი, არც ოფიციანტი, იქ აღარ იდგნენ.

ბაჩანა კვლავ თავის ამოუხსნელ ამოცანას მიადგა; ნეტავ რა უნდა ამ ქალს ჩემგან?!

— ქალბატონო მარიამ, გასაკვირია, ოხერი თავი ფიქრისაგან, მითხარით, რამ მოგიყვანათ ჩემთან, რა გინდათ? — აეკრა ბაჩანას მოთმინების ფიალა.

— განა ეთხოვეთ რამე? — გაუკვირდა მარიამს.

— ძალიან რთული ამოცანა მომეცით, მარიამ... ან ამიხსენით, ან მომკალით.

— უმარტივეს ამოცანასთან გაქვთ საქმე, ბატონო ბაჩანა. მე ხვალ მივფრინავ ქუთაისში და, უბრალოდ, ასეთი ჩვეულება მაქვს, გაფრენის წინ ყოველთვის, ჩემთვის ძალიან ახლობელ ადამიანებს ვემშვიდობები ხოლმე, — აუხსნა მარიამმა. ბაჩანა დაიბნა.

— რატომ?

— რატომღაც ყველა გაფრენის წინ მგონია, რომ თვითმფრინავი დაიღუპება და ძვირფას ადამიანებს უკანასკნელად ვხედავ, — თქვა მშვიდად მარიამმა და თავი დახარა.

— და მე იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი? — ჰკითხა განცვიფრებულმა ბაჩანამ.

მარიამმა თავი დაუქნია, ისე რომ მაღლა არ აუხედავს.

— რატომ? რა დამსახურებისათვის?

— ეგ რომ ვიცოდე, მაშინ რა მიჭირს...

— ბევრი გყავთ ასეთი ადამიანი? — ბაჩანას პასუხის მოლოდინში გული აუფართხალდა.

— დღემდე მარტო ჩემი გოგონა იყო, მაია, ახლა თქვენც გაჩნდით. —

„ეს ქალი ან სატანაა, ან სიზმარი“: — გაიფიქრა ბაჩანამ. მარიამმა უცად თავი ასწია და აღელვებული ხმით დაიწყო:

— მე ვიცი, თქვენ ან ბიჭი გგონიართ, ან ავანტიურისტი, მაგრამ, რასაც ახლა ვამბობ, ჩემგან დამოუკიდებლად მოხდა. უკვე ერთი წელია ჩემს თავს ვებრძვი, მაგრამ მე ძლიერი ქალი ვარ, ახლა ავდგები და წავალ! — მარიამი ადგა.

— ახლა რომ თქვენ წახვიდეთ, მე ალბათ მოვკვდები! — თქვა ბაჩანამ და ქალის ყინულივითა ცივ თითებს შეეხო. ქალი მიხვდა, რომ ამ წუთში ბაჩანა საოცრად გულწრფელი იყო. ბაჩანაც მიხვდა, რომ ქალმა დაუჯერა და ხელზე აკოცა.

— ვმადლობთ! — თქვა ქალმა და დაჯდა.

ოფიციანტი თოვლისბაბუასავით დახუნძლული დაბრუნდა. ბაჩანა გაკვირვებული უცქერდა, როგორ აწყობდა იგი მაგიდაზე ნაირ-ნაირ ხორაკს.

— რაშია საქმე? — ჰკითხა ბაჩანამ.

— დირექტორი მოვიდა, ბატონო, და რომ დაგინახათ, ენზედან გასცა, — აუხსნა მომტანმა.

— ვინ არის თქვენი დირექტორი?

— თვითონ გეახლებათ, ბატონო! — გაუღიმა მომტანმა.

— მიცნობს?

— გიცნობთ კი არა, კინაღამ მოიხსნა თქვენი გულისთვის, მაგრამ უნდა მაპატიოთ, ბატონო, შუბლზე არც ერთს არ გაწერიათ, ეს ოხერი, ვინ ხართ და რა ხართ! — მოიბოდიშა ოფიციანტმა და წავიდა.

ბაჩანა გახალისდა. ხმაურით გახსნა შამპანური და განგებ ისე დაასხა ჭიქაში, ქაფი რომ გადმოღვრილიყო.

— ერთ საიდუმლოს გაგანდობთ, მარიამ, — თქვა ბაჩანამ და ჭიქა ასწია.

— პირველი სადღეგრძელო ჩემია, — თქვა მარიამმა და ჭიქა აიღო. ბაჩანამ თავისი ჭიქა აღგილზე დადგა და სმენად იქცა. მარიამმა ჭიქაში ქაფს დაჯდომა აცალა და ნარიყალას თავზე ყვითელ ჯიღასავით ამოწვერილ ნამგალა მთვარეს გახედა ჭიქიდან. ბაჩანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე გაკეთა. მთვარე ჯერ ჭიქის მიღმა აცახცახდა, მერე თანდათან შემოცურდა ქარვისფერ ღვინოში და გალღვა. ბაჩანას მოეჩვენა, რომ გრილი და ქარვისფერი მთვარე ეჭირა ხელში.

— თოთხმეტი დღისაა დღეს მთვარე... — თქვა მარიამმა, — მთელმა კაცობრობამ იცის რამდენი დღისაა, რამდენი საათისაა, როდის, რომელ წუთზე ჩადის და ამოდის იგი, მაგრამ არავინ იცის, როდის გაჩნდა მთვარე ქვეყანაზე, როდის დაიბადა... მე იმ ადამიანების სადღეგრძელოს ვსვამ, რომელთა დაბადების დღე დავიწყებულია.

— მარიამმა ჭიქა მიუჯახუნა ბაჩანას ჭიქას. მთვარე კვლავ აცახცახდა ბაჩანას ჭიქაში, მერე გალღვა და ქარვისფერ სითხედ იქცა. ორივემ გამოსცალა სასმისი და როდესაც ბაჩანამ კვლავ გახედა მთვარეს, იგი ცაზე აღარ იყო, ღრუბელს ამოფარებოდა.

— ჩვენ ახლა მთვარე შევსვით! — თქვა ბაჩანამ და ეს საოცარი დამთხვევა ბავშვივით გაუხარდა.

— მთვარის ასაკი მოგცეს ღმერთმა, დაბადების დღეს გილოცავთ! —გაუღიმა მარიამმა და ჭიქა დადგა, — წეღან არ გაცალეთ, რაღაც საიდუმლოს გამხელა გინდოდათ, — გაახსენა მერე. ბაჩანას უცებ ტირილი მოუნდა ამ საოცარი ქალის მკერდზე.

— წეღან მინდოდა მეთქვა, რომ რა ლამაზი ხართ, მარიამ, შეიძლება გაკოცოთ?

ქალმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ გაუღიმა. ბაჩანა გადაიხარა მაგიდაზე და ვეებერთელა ცრემლიანი თვალები დაუკოცნა. როდესაც დაჯდა, შეამჩნია, რომ მათი მაგიდისაკენ ის ჯმუხი კაცი მოდიოდა, ცოტა ხნის წინ ოფიციანტს რომ რაღაცას უქადაგებდა. კაცი მაგიდას მოადგა.

— გამარჯობათ! — თქვა მან ხრინწიანი ხმით.

— გაგიმარჯოთ! — მიესალმა ბაჩანა უცნობს.

— თუ ნებას მომცემთ, ბატონო ბაჩანა, ერთი წუთით დავარღვევ თქვენს მყუდროებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაბრძანდით, ეს ჩემი მეგობარი, მარიამია, გახლავთ, — უცნობმა ხელზე აკოცა მარიამს და დაჯდა.

— ვერ მიცანით, ბატონო ბაჩანა! —თქვა უცნობმა და მაგიდაზე სამი კოლოფი ვინსტონი დადო. ერთი თავად დაიტოვა, ერთი ბაჩანას მიართვა და ერთიც მარიამს. ბაჩანა ცოტა ხანს დაფიქრდა, თითქოს რაღაც გაახსენდა, მაგრამ ფიქრს თავი ვერ მოაბა და უხერხულად შეიშმუშნა.

— კი გიცანით, მაგრამ ვინ ბრძანდებით, ვერაფრით ვერ გავიხსენე, — მოუბოდიშა უცნობს.

— მე სანდრო მაღლაფერიძე გახლავართ, ბეწვეულის კომბინატიდან...

— აა! — გულწრფელად გაუკვირდა და გაუხარდა ბაჩანას, — რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, როგორ ხართ, სად ხართ, რას აკეთებთ, ბატონო სანდრო...

— გმადლობთ, არა მიშავს...

— თუ სასაყვედუროდ მობრძანდით, ბატონო სანდრო, გთხოვთ დღევანდელ ბედნიერ დღეს ნუ გამიხუნებთ. დღეს ჩემი და საფრანგეთის რესპუბლიკის დაბადების დღეა, — სიცილით სთხოვა ბაჩანამ და სავსე ჭიქა მიაწოდა.

— როგორ გეკადრებათ, პირიქით, მადლობის სათქმელად მოვედი, ბატონო ბაჩანა, რამდენი წლის გახდიან? — ჰკითხა და ჭიქა ჩამოართვა მაღლაფერიძემ.

— ორმოცდახუთის.

— ღმერთო ჩემო, ჯერ კიდევ რამდენ სიყვარულს მოილევთ ქვეყანაზე... ლამაზ სიყვარულს, — დააყოლა მაღლაფერიძემ და მარიამს შეხედა. მარიამი გაწითლდა, — გილოცავთ დაბადების დღეს, ღმერთმა სულ ბედნიერად გამყოფოთ, თქვენ ისეთი ადამიანი ბრძანდებით, ძალიანაც რომ მოინდომოთ, ბოროტება ხელიდან არ გამოგივათ.

— თქვენ ასე გგონიათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენი გაზეთის გამოსვლის შემდეგ ძალიან პოპულარული გავხდი, მთელმა საქართველომ გამიცნო...

ბაჩანას გაეცინა.

— ასეთ პოპულარობას მტერს არ ვუსურვებ, — თქვა ბაჩანამ.

— პოპულარობა პოპულარობაა, ბატონო ბაჩანა, პოპულარობამ დაბადა ჰიროსტატეს კომპლექსი ქვეყანაზე. თქვენმა ფელეტონმა ბევრ ეშემარიტებას გაუკაფა გზა და ბოროტებას ახადა ფარდა.

— ეჰვი არ მეპარება, — თქვა ბაჩანამ, რაღაც უსიამო გრძნობამ დაუარა სხეულში და მიხვდა, რომ ეს კაცი მარტო მადლობის სათქმელად არ იყო მოსული.

— დიახ, თქვენი ფელეტონით დაინტერესებულმა საგამომძიებლო ორგანოებმა დაადგინეს, რომ ის ქალი თაფლითი აღმოჩნდა, ხოლო კაცი, რომელსაც თქვენ ფელეტონი რეაგირებისათვის გადაუგზავნეთ, — დიდი პატრიოტი და მამულიშვილი.

— რანაირად? ჰკითხა ბაჩანამ მაღლაფერიძეს და ინანა, დაჯდომა რომ შესთავაზა.

— თქვენი გაანგარიშებით, გაზეთიდან ფელეტონი რომ ამოვეღოთ, სახელმწიფო 50 ათას მანეთ ზარალს ნახავდა, არა? მან კი ეს ზარალი 25 ათას მანეთზე დაიყვანა...

— ბაჩანა სულ დაიბნა. მაღლაფერიძე მიხვდა, რომ ბაჩანა დააბნია და მშვიდად განუმარტა.

— უმარტივესი ოპერაცია ჩაატარა, ბატონო ბაჩანა, თქვენი ფელეტონი რეაგირების გარეშე დატოვა.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ მან 25 ათასი მანეთი ქრთამი გამოგართვათ?

— რას ეძახით, ბატონო ბაჩანა, თქვენ ქრთამს? ადამიანი რომ ადამიანს ხელს გაუშვერთავს და სამსახურს გაუწევს, **იმას?** ვანა რუსთაველის ზნეობრივი კოდექსებით არ ვხელმძღვანელობთ ჩვენ დღესაც? აბა, გაიხსენეთ, **რას ეუბნება** ავთანდილი ვეზირს?

— როგორი წყაროებით გაქვთ დამუშავებული და გამაგრებული თქვენი ბინძური ფილოსოფია, ბატონო სანდრო, — უთხრა ბაჩანამ დაცინვით.

— ო, კლასიკური ლიტერატურა უკვდავი საქმეა. რუსთაველს მე სახარებასავით ვკითხულობ ყოველდღე... სხვათა შორის, თქვენს წერებსაც ვკითხულობ და შიგ ბევრ ჩემთვის სასარგებლო რამეებს ვნახულობ... რა ლამაზი მეგობარი ყოვათ, ბატონო ბაჩანა, — უცებ შეცვალა საუბრის თემა მაღლაფერიძემ. — პირველად ვხედავ ასეთ ლამაზ ქალს სამკაულების გარეშე.

ბაჩანა არ ელოდა საუბრის ასე შეტრიალებას და დაიბნა.

— თქვენს მეუღლეს, ალბათ ძალიან ბევრი სამკაულები აქვს? — ჰკითხა მარიამმა მაღლაფერიძეს და მიეღლვარება რომ დაეფარა, ღვინო მოსვა.

— საკმაოდ ბევრი, მაგრამ მე ახლა მეუღლეებს არ ვგულისხმობ, არიან ქალები, რომლებიც ოჯახის მიღმა ამშვენებენ ჩვენს ცხოვრებას. — მარიამს ცეცხლი წაეკიდა სახეზე.

— და თქვენ იმ ფელეტონის შემდეგ, არაფერი არ გითხრეს? — სცადა ბაჩანამ საუბრის თემის შეცვლა.

— როგორ არა, ბატონო ბაჩანა, რადგანაც ის წარმოება დაიწვა მოძველებული ელექტროგაყვანილობის გამო, ხოლო ის, ჩემი ვეზირი, პენსიაზე გავიდა და ახლა ვაჭრობის სისტემაში მუშაობს, თან წამიყვანა. მე და მან ახალი რესტორნების გაერთიანება შევქმენით და ავაღორძინეთ ძველი წარმოების ნაგზვავებზე. ჩვენი საქმე ფერფლიდან აღსდგა, ნერონის მეერ დამწვარი რომივით. — მაღლაფერიძემ შემზარავად ჩაიხითხითა.

— ძალიან ნიჭიერი **და საშიში** გაიქცერა პრძანდებითა, ბატონო სანდრო, **მე კიდევ მივუბრუნდები** თქვენს საქმეს.

ნოდარ დუმბაძე
ჟურნალისტის ანგელი

ფუ საშუალება მომეცა... — თქვა გაწითლებულმა ბაჩანამ.

— არ ველოდი თქვენგან ასეთ პასუხს, ბატონო ბაჩანა. მე მეგონა, ამ ხნის განმავლობაში დეზებიც ამოგივიდათ და ყივილიც ისწავლეთ, თქვენ კი ისევ ძველებურად ყივით. ხომ იცით, რას უშვრებიან მამლებს, რომლებიც უდროოდ ყივიან? — ჰკითხა მაღლაფერიძემ.

— მაშინებთ? — გაფითრდა ბაჩანა.

— როგორ კადრულობთ ამ ნაძირალასთან ლაპარაკს?! — ჰკითხა უცებ მარიანმა ბაჩანას.

მაღლაფერიძე ფეხზე წამოდგა და გალურჯდა. ფეხზე წამოდგა მარიამიც.

— წადით აქედან! — თქვა დაკარგული ხმით გაფითრებულმა ბაჩანამ და ისიც წამოდგა ფეხზე.

— ნუ აყვებით, ბატონო ბაჩანა, დედაკაცის ვნებებს, მაკედონელმა როსკიამა ქალებმა დაიწვეინეს მეოთრეს მსოფლიოში ულამაზესი ქალაქი პერსოპოლისი... — თქვა მაღლაფერიძემ და ნაოვლით ჩაყვითლებული თვალები ზიზღით მიაპყრო სახეალეწილ მარიამს. და უცებ, ვიდრე ბაჩანა თვალს შეასწრებდა, გაისმა საშინელი ლაწანი, მარიამმა სილა გააწნა მაღლაფერიძეს, სახტად დარჩენილი მაღლაფერიძე გათეთრდა. მთელი დუქანი ბაჩანას სუფრისკენ მოტრიალდა, მაგრამ ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ არავის არაფერი არ დაუნახავს. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა ბაჩანას სუფრაზე... ბაჩანამ უცებ იგრძნო, როგორ აიწია მაგიდა იმ მხრიდან, საიდანაც მაღლაფერიძე იდგა. ბაჩანა მთელი სიმძიმით დაეწვა მაგიდას. მაღლაფერიძეს კიდევ ერთხელ სცადა აეყიროვებინა მაგიდა, მაგრამ ბაჩანა ისე აწვებოდა მაგიდას, რომ ძვრა ვერ უყო. ერთი წუთი მაინც გაგრძელდა ეს უხმო, შინაგანი ჭიდილი. ორთავეს, ბაჩანასაც და მაღლაფერიძესაც, სისხლით აევსოთ თვალები და კისრის ძარღვები დასკდომამდე დაეპერათ...

— არ გაბედო! — თქვა ბაჩანამ ბოლოს შემზარავი ჩურჩულით და მაღლაფერიძემ უცებ გადაიფიქრა. მას კვლავ დაუბრუნდა ადამიანის ფერი. დაბერილი ძარღვები დაუცხრა. სახეზე ისევ დამცინავი ღიმილი აუთამაშდა და მაგიდას ხელი გაუშვა.

— ვმადლობთ, ქალბატონო, არ დავივიწყებ თქვენს პატივისცემას. — დაჰპირდა მაღლაფერიძე.

მარიამი იდგა გაფითრებული და ხმას ვერ იღებდა.

— წადით, მაღლაფერიძე! — თქვა მშვიდად ბაჩანამ და თავად გაუკვირდა, საიდან მოვიდა უცებ ეს სიმშვიდე. მაღლაფერიძე ეატრიალდა და წავიდა.

ცოტა ხანს კიდევ იდგნენ გაოგნებული მარიამი და ბაჩანა ფეხზე, მერე დასხდნენ. უხმოდ ისხდნენ დიდხანს, ბაჩანამ დაარღვია სიჩუმე.

— მარიამ, მაჩვენე შენი თვითმფრინავის ბილეთი, — სთხოვა მან.

მარიამმა ჩანთა გახსნა, ეორთოლებული ხელით დიდხანს ეძება ბილეთი, ბოლოს მიაგნო და ბაჩანას გადასცა. ბაჩანას არც დაუხედავს ბილეთისათვის, ისე გახია ზუაზე, მერე სუფრაფულზე დადო და ცეცხლი წაუკიდა.

— ნუ დამტოვებ, მარიამ, მარტო! — თქვა ბაჩანამ, ბილეთი რომ მთლიანდან დაიფერფლა. მარიამმა ოდნავ დაუქნია თავი. ბაჩანამ ორი ჭიქა შეავსო და ოფიციანტს დაუქახა.

— მიანგარიშე, — უთხრა.

— გადახდილია, ბატონო! — თქვა ოფიციანტმა. ბაჩანა მიხვდა, ვინ გადაიხადა ნახარჯი და მაინც ჰკითხა:

— ვინ გადაიხადა?

— ჩვენმა დირექტორმა, მაღლაფერიძემ, ბატონო!

ბაჩანას გაეცინა.

— ესეც შენი ზასტილიის აღების დღე, 14 ივლისი! — თქვა მან და მარიამის ჭიქას თავისი ჭიქა მოუჭახუნა. — შენ გაგიმარჯოს, მარიამ!

მარიამი ადგა, მაგიდას შეამოუარა, ბაჩანასთან მივიდა და ლოყაზე აკოცა.

— გმადლობთ, ბატონო! — უთხრა

ჯემალ ხუციშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარ
მ. ჯიჟურაშვილის პორტრეტი

ნატურმორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ფშაველა

მეცხვარე

ოჯახი



ბრონჯეულის
ყვავილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა ოჯახი

მოხუცები

ჯემალ თუშურაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

არაგველები

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ᲗᲔᲜ ᲮᲐᲠ ᲕᲔᲜᲐᲮᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფალავანი

თავის ადგილზე დაბრუნდა. მერე მან თავი ჩარგო ხელებში და მხრები აუთრთოლდა. მარიამი ტიროდა.

●

მთის კორტოხზე შემდგარი შავნაბადას ეკლესია, მართლაც, შავნაბადწამოსხმულ ფეხის წვერებზე აწეულ, შუბლზე ხელმოჩრდილულ მეცხვარეს ჰგავს და თითქოს მტკვრის, მაშავრას, ალგეთის, ხრამის ჭალებსა და ველებში გაფანტული ცხვარს უთვალთვალებს, ფერხთით კი ზანტად გაშხლართული ქოფაკებივით უწვანან რუსთავი, მარნეული, ბოლნისი და ენაგადმოგდებულებს დაბჩენილი ხახა-ნესტოებიდან ორთქლი და ოხშივარი ამოსდით.

ზღაპარივით ლამაზია გგიან შემოდგომით მთაზე ნისლიდან ამოცურებული და გუმბათით ცას მიბჯენილი შავნაბადა.

კვირა დღეა. შავნაბადასაკენ მიმავალ ვიწრო საურმე გზაზე მანქანა მიბობდავს. ირწევა აქეთ-იქით მთვრალი კაცივით, მოსახვევში შედგება, ცოტას დაფიქრდება, უკან დაიხევს, ქანს აიღებს და ისევ შეუდგება ალმართს.

ბოლო მოსახვევში მანქანა შედგა, ბაჩანამ მანქანა პირველ სიჩქარეში ჩაგდო და ნელა აუშვა ფეხი კოხუსიდან. უკანა ბორბლები აცურდნენ დაცვარულ ხრეშზე და წვრილი ქვიშა გვერდზე გაყარეს, სიჩხუბრად მომზადებული, გაავებული ნაგაზივით. ახლა აქსელატორს დააჭირა ფეხი ბაჩანამ ბოლომდე, საურავებმა გაშმაგებით მოთხარეს ხრეში და დამწვარი რეზინის სუნი დააყენეს გარშემო.

— ჩავალ! — თქვა მარიამმა.

— იჯექი, სწორედ იმიტომ ბუქსაობს, რომ მსუბუქია, — აუხსნა ბაჩანამ. და მანქანას უკან დაახვევინა, მერე ისევ პირველში ჩართო, უცებ აუშვა ფეხი აქსელატორს და მანქანა გიეივით ავარდა ალმართზე. ბაჩანამ მანქანა ეკლესიის ეზოში შეიყვანა და ხის ძირში გაიჩერა.

— მოვედით! — უთხრა მარიამს,

მარიამი ჩამოვიდა. ფეხსაცმელები გაიხადა, მანქანაში შეუყარა, ძოლზე გაკრა ბინა, შუა ეზოში გაჩერდა, მკლავები გაშალა და პატარა გოგოსავით დატრიალდა ფეხის წვერებზე. კაბა მარაოსავით გაეშალა.

— აუ, რა ახლოს ვართ ღმერთთან! — წამოიძახა, ფეხი მოიხოხა და ექსტაზში ჩავარდნილი მლოცველივით ჩაჯდა ეკლესიის წინ, მუხლებში თავჩარგული. ბაჩანამ მანქანიდან საუზმე გადმოალაგა და ხის ძირას გამართულ თუთიაგადაკრულ მაგიდაზე დაალაგა, ნერე მივიდა და გვერდით მიუჯდა მარიამს.

— მარიამ, თქვი რამე ლოცვა! — უთხრა და მხრებზე ხელი მოხვია სიცილით.

მარიამი მუხლებზე დადგა, ხელები ტუჩების წინ შეიტაუბა, თვალები დახუჭა და ჩურჩულით დაიწყო:

ზეშ, ჩემო დედო იმედო,
კომკო ნაგებო კირითა,
კარეფის მოჭრილო ისარო
ქალაქს ნალფბი ინთიან!
წითელო მოვის ბერანგო,
ზვიდგან შეკრული ღილითა,
ცაგ წმინდაგ ვარსკვლავეთნო,
მზეგ დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროო.
ნადენო თქროს ძილითა
შენთანაც ყოფნით გამაძღეო
შენთანამც წოლა-ძილითა...

მარიამი დადუმდა.

ბაჩანას ასკერი მაინც ჭერნდა მოსმენილი ეს ლექსი, მაგრამ ასე თუ ჰგავდა ლოცვას, აზრადაც არ მოსვლოდა ალანდროს. გულში გაულღია რაღაც ბაჩანას და სითბოდ ჩაეღვარა მთელ სხეულში. მან ყელზე მოხვია ხელი მარიამს და თავისკენ გადმოხარა.

— ეს ლოცვაა თუ ნატვრა, მარიამ?

— რამ გაგჰყო ნატვრა და ლოცვა, ბატონო?! — თქვა მარიამმა და ისევ დაიწყო:

ზეშეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები მთას,

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

ლამაზი ქალი დამზრალა,
მიუალერსე მას...
მიუალერსე, უთხარი,
რომ სიყვარული გელავს,
თორემ ქალია, იცოდე,
წაგა, გაპაჟვება სხვას....

და თითქოს ბუნებამ მარიამის ვედრება შეისმინაო, კაკასიონზე უზარმაზარი ბზე ამოგორდა, გავარვარებული მკლავებით შემოეხვია ეკლესიას და შავნაბადას კალთაზე დაღვრილი ნისლი რძესავით შესცვა... მარიამი უცებ ყელზე შემოეკვდო ბაჩანას, მკერდზე მიეკრა და თითქოს ლოცვას აგრძელებსო, ისე დაუწყო ვედრება:

— ჩემო ბაჩანა, არ მიმატოვო, არასდროს არ მიმატოვო, ბოჭო... არ მიმატოვო, შენ, ჩემო დიდო იმედო, სად იყავი ამდენ ხანს, რამდენ უბედურებას გადამარჩენდი, ბიჭო, არ მიმატოვო, ჩემო ბაჩანა... ყველაფერზე უარი ვთქვი იმ დღიდან, შენ რომ ვნახე... ყველაფერზე... აღარაფერი არსებობს ჩემთვის, ღმერთივით გამომეცხადე, ბიჭო, და ნუ მიმატოვებ ახლა, ნუ დამაბრუნებ უკან, აღარ მინდა, დავიღალე... შენკენ მოვდივარ... გიახლოვდები, ბაჩანა, უკვე მოვედი თითქმის და ხელი-ნ გეხები... შენთან ვარ და ნუ მიმატოვებ, ბიჭო... — მარიამს გული ამოუჯდა, ბაჩანა გაკვირვებული უგდებდა ყურს და ცდილობდა, როგორმე დაეწყნარებინა გულამომჯდარი ქალი.

— რა მოგვიდა, მარიამ, დაწყნარდი, მარიამ, ვინ გითხრა რომ მიგატოვებ?!. დაწყნარდი, შენი ჭირიმე... კარგი ახლა, გეყოფა, კარგი, მარიამ. არასდროს არ მიგატოვებ.. — და როდესაც შეატყო, რომ მარიამი ნელ-ნელა მშვიდდებოდა, ფრთხილად მოიცალა, ბალაზზე დაეწვინა, თვითონ წამოდგა და ფეხაკრეფით შევიდა ღია ეკლესიაში.

თვითონაც აფორიაქებული იყო მარიამის უეცარი აღელვებით და როდესაც ცოტათი დამშვიდდა, ეკლესიის კედლებს მოავლო თვალი. სინუსტესა და ობს შეეჭამა კედლები. არც ერთი ფრესკა, არც ერთი ხატი... იკონოსტასი ფანჯრებჩამტვრეულ, საღებავჩამცვენილ შუშაბანდიგით იდგა გაძარცული, დასავლეთის კუთხეში იდგა პატარა ფეხებმორეყული ხის მაგიდა, გაცრეცილი მწვანე საფარგადაფარებული. ზედ სუთთავიანი წვრილი შანდალი იდგა და ღვთიშობლის ხატი ესვენა კუთხეში მიყუდებული, ვიღაც ულმერთოს ხელით დახატული. შანდალში სამი სანთელი ბუუტავდა, თითქმის ბოლომდე ჩამწვარი. მაგიდაზე ერთი შეკერა თაფლის სანთელი ეწყო და მათ გვერდით კიდევ ერთი გაცრეცილი სამმანეთიანი ეგდო.

— ჰეი! — დაიძახა ბაჩანამ.

— ჰეიი! — უპასუხა ექომ. გუმბათზე მოღუღუნე ქედნები უცებ დაფრთხნენ და კედლებში ჩატანებული ვიწრო სარკმლებიდან ერთმანეთზე მიყოლებით გაფრინდნენ გარეთ. აღმოსავლეთის კედელი აქა-იქ სანთლის ნამწვავებით იყო ატრუსული ადამიანის სიმაღლეზე. რამდენიმე ადგილას კედელზე შეწირული ცხვრის დაგრეხილი ჯღა იყო დაქედებული. ზოგან შეუყვარებულთა და ეკსკურსანტთა მთელი სია იყო ჩამოწერილი ალფაბეტის მიხედვით, თავისი მისამართებითა და შეხვედრის თარიღებით. სამხრეთის კედელზე მაცხოვრის ერთადერთი თვალდათხრილი და სახედაფხეკილი ფრესკის ქვეშ ვიღაც ლაზარანდარა ათეისტს მუშაირა ჭერნდა გამართული თვითონ მაცხოვართან.

უცხვირპირო და უთვალო,
როგორ გიწამო, უფალო?!

— კომკავშირელი ათეისტი. ასე აწერდა ხელს ლექსის ავტორი. ცოტა ქვევით უფლის პასუხი იყო, აგრეთვე ლურსმნით ამოკაწრული

კომკავშირელო, თუ არ გწამს,
სახარება და ღმერთიო,
ამ სიმაღლეზე მეორედ,
გთხოვ, აღარ ამოეთრიო!

— იესო ქრისტე. ასე აწერდა ხელს პასუხის ავტორი.

ბაჩანას ხმამაღლა გაეცინა, უფალი აშკარად ჩაგრავდა შაირობაში ათეისტს.

ბაჩანა გარეთ გამოვიდა. მარიამი ეკლესიის წინ ადარ დახვდა, გული შეეკუმშა ბაჩანას, მარტო როგორ დავტოვეო.

— მარიამ, სადა ხარ, მარიამ?! — დაიძახა შეწუხებულმა.

— ...სადა ხარ, მარიამ?! — გაიმეორა ცარიელმა ეკლესიამ. ბაჩანამ ეკლესიას შემოუარა. მარიამი ხის ძირში გაწყობილ მაგიდას უჯდა და ვიღაც მოხუც გლეხს ესაუბრებოდა მშვიდად.

— სადა ხარ, გული გადამიტრიალდა! — საყვედური უთხრა ბაჩანამ და მაგიდასთან მივიდა.

— გამარჯობათ! — მიესალმა მოხუცს.

— ღმერთმა გაგიმარჯოს! — თუშური ქუდი მოიხადა მოხუცმა.

— ხომ არ გვესაუბრა? — ჰკითხა მარიამს ბაჩანამ და გვერდით მიუჯდა.

— კი, ძალიან მომშივდა, — გაუცინა მარიამმა, — ძია კაციც დაგვეწვევა.

— რატომაც არა, მეცა მაქვს ჩემი ხმიადი წამოღებული, — თქვა გლეხმა და ხელჩანთას პირი მოხსნა. ერთი დედას პური, გუდის ყელი, მოხარშული ხორცი, ნივრის წნილი, ნახევარი ბოთლი არაყი ამოალაგა და მაგიდაზე დააწყო. ბაჩანამ ერთი ბოთლი ღვინო მოიტანა მანქანიდან.

— ჯერ არყით დავილოცოთ, შვილებო! — თქვა გლეხმა და ჩანთიდან პატარა ყანწი ამოიღო, სული შეუბერა, მერე ავავსო არყით და ბაჩანას გადასცა.

— აბა ერთი დაილოცე, თან ნახე, როგორია, თუთისაა, დალოცვილი, — შეაქო გლეხმა არაყი. ბაჩანამ ყანწი ჩამოართვა.

— სიმწარე გვაშოროს და სიტკბო მოგვცეს! — თქვა და ყანწი გამოსცალა, გამოცდილი დეგუსტატორივით იცალა, ვიდრე არაყი სხეულში დაბინავდებოდა და მერე კმაყოფილი შეძახილით შეაფასა:

— აუჰ, მართლა კარგი ყოფილა! — თან ნივრის წნილი აიღო.

სახეგაბადრულმა გლეხმა ახლა თავისთვის გაივსო ყანწი.

— სიმწარეც მოგვცეს და სიტკბოც, ოღონდ გვაცოცხლოს, — თქვა გლეხმა, — სიცოცხლეს არაფერი სჯობია!

მერე დალია და გაუპარსავ სახეზე გემრიელად ჩამოისვა ხელი. ახლა მარიამს დაუსახა:

— აბა, ერთი შენც დაილოცე, შვილო. ისეთი ლამაზი გაუჩენიხარ შამქნელსა, სიტყვაც ლამაზი გექნება, — მიუფერა. მარიამმა ყანწი ჩამოართვა.

— რამდენი წლისა ხარ, ძია კაცო? — ჰკითხა.

— სამოცდაათს გადაცილებული, — ხელი აიქნია მოხუცმა.

— ერთი მაგდენი კიდევ იცოცხლე! — დალოცა მარიამმა.

— ბევრია, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ, ძალიან მინდა სიცოცხლე და რა ვქნა? — არ დამალა მოხუცმა.

ბაჩანას გაეცინა.

— რა გქვია, ძია კაცო? — ჰკითხა.

— გიორგი მქვია და თუშმალიშვილი ვარ გვარადა.

— სადაური ხარ?

— გალმა სოფლიდან.

— აქ რას აკეთებ?

— საქონელსა ვმწყემსავ, — თქვა გლეხმა და გალმა ფერდზე შეფენილ ორ ძროხასა და სამ ცხვარს გახედა.

— შენია? — ჰკითხა ბაჩანამ.

— ჩემია.

— რამე შემოსავალი თუ გაქვს?

— რა შემოსავალი უნდა მქონდეს, შვილო, ეგ ძროხები და ცხვრები ერთმანეთს ძლივს არჩენენ — უპასუხა ღიმილით.

— მაშ, რაღად გინდა?

— ხანდახან ცოტა რძეს მოვპარავ ხოლმე და ყველს ამოვიღებ, ცოტა მატყლს მოვპარავ, ნაკელს მოვპარავ, თუ კარგად იმრავლა, ხორცსაც მოვპარავ ხოლმე, ეგ არი და ეგა. აი, ორი მაგდენი მაინც რომ მყავდეს, კიდევ საქონელი ერქმეოდა, აბა ახლა რა საქონელია, მგელს ვახშმად არ ეყოფა.

— სახელმწიფოს თუ აპარებ რამეს?

ნოდარ ფუფუკაძე
მარადისობის კანონი

— მაშ?

— სიიდან?

— აი, იმ მოპარული რძიდან, ხორცი-დან და მატყლიდან, წეღან რომ გითხარი.

— ორი ამდენი რომ გყავდეს?

— მაგას ანგარიში რად უნდა, შვილო, ორი იმდენი მეყოლება, — ორ იმდენს ჩავიბარებ, სამი მეყოლება, — სამ იმდენს და ეგრე მიყოლებით. სხვა-გან სად წავიღებ, ან სახელმწიფოს ჩა-ვიბარებ, ან ბაზარში გავიტან...

— კოლმეურნეობაში არ მუშაობ, ძია გიორგი?

— ჩემი შვილები მუშაობენ, მე სა-დღა შემიძლია, ის კი არადა, შვილები ამ საქონლის მწყემსვასაც მიშლიან. მე-უბნებიან, თავს რათა გეგჭრიო, შენი და-სასაქმებელი რა გვჭირს, ხორცს და რძეს, თუ დაგვჭირდა, მაღაზიიდან და ბაზრიდანაც კარგად მოვიტანთ უშენ-ოდათ. მაღაზაში და ბაზარში ვიღა მი-იტანს, იმას აღარ კითხულობენ, ამამაძ-ღლები — თავი გადაიქნია მოხუცმა.

— ძია გიორგი, ამ ეკლესიას პატრო-ნი არა ჰყავს? — ჰკითხა უცებ მარიამ-მა.

— ერთი სოფლის დედაკაცი უყენია, შვილო, იმასაც შენსავით მარიამი ჰქვია. ის ღვთაშობელიც იმის დახატულია. კურთხეული მარჯვენა აქვს, დალოცვ-ილს. ახლა ავად არი, საცოდავი, ძვე-ლებურად ვეღარ ხედამს. კვირაში ერ-თხელ თუ ამოვა...

— ის სანთლები ვინ აანთო? — ჰკი-თხა ბაჩანამ.

— ვინ აანთებდა ამ დილაადრიან, მე ავანთე! — თქვა გიორგიმ სხვათა შო-რის.

— ის ფული ვიღამ დადო?

— ის ფულიც მე დავდე, სანთლისა...

— ღმერთი გწამს, ძია გიორგი? — ჰკითხა მარიამმა.

გიორგი დაფიქრდა. მერე ეკლესიას თვალი შეავლო ზემოდან ქვევით, თა-ვი მოიფხანა და ისევ ეკლესიას შეხე-და.

— აბა, რა ვიცი, ძალიან გულახდ-ილად რომ გითხრათ, მაინცდამაინც დიდი მორწმუნე ვარ-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ მთელი დღე, რომ ამ უდაბნოში მარტოდმარტო ვარ, უნებ-ლიეთ მიხდება ხოლმე ღმერთზე ფიქ-რი, — თქვა გიორგიმ და ცაში აიხედა.

— მაინც რას ფიქრობ, ძია გიორგი? — ჩაეკითხა მარიამმა.

გიორგიმ ისევ ეკლესიას ახედა და ჩაფიქრდა.

— მე იმას ვფიქრობ, რომა... კაცი რომ სხვის სალოცავს დაანგრევს, თა-ვისი სალოცავი იმაზე მაღალი, იმაზე მედგარი და იმაზე ლამაზი უნდა ააგოს... აი, ეს ეკლესია, ვისი სალოცა-ვია წესიერად არც კი ვიცით, ვიღა არ მოდის თელეთოსაკენ აქ სალოცავად, სომეხი გინდაო, თათარი გინდაო, ბე-რძენი გინდაო, რუსი გინდაო, ებრაე-ლი გინდაო, ქართველი ხო თავისთავ-ადა... შედიან და ლოცულობენ. მე თუ მკითხავ, ეგეთ ეკლესიაში ლოცვას მი-ნდორში ლოცვა ჯობიან, თუ სადმე ღმერთია, იქ უფრო არ დაგინახავს, და გაგიგონებს? აბა, ამ დანგრეულ ეკ-ლესიაში რა უნდა გისმინოს, თუკი კაცს შიგ შეხედვა ეზარება... ამას რა-ზედ გეუბნებით, შვილმა, აი, ეს ეკ-ლესია დგას მიტოვებული, მაგის მაგიერი კი არაფერი არ აშენებულა.

— რას გულისხმობ, ძია გიორგი? — ჰკითხა ბაჩანამ.

— რას ვგულისხმობ, შვილო, და წინათ კაცი რომ ეკლესიაში მისულიყო, დიდი აღმართი უნდა აეარა, ან გალავანი გა-დაევლო შიგ რომ შესულიყო, ქედი უნდა მოეხარა, ხატთან რომ მივიდოდა, სანთელი უნდა აენთო... თან ქუდი უნ-და მოეხადა... ჩემგან აბი რა გესწავლ-ებათ, ათი უმაღლესი გაქვთ, ალბათ, დამთავრებული, მაგრამ ეგ ჩვენი სოფ-საბჭო რომ მარკოზაანთ დაქირავებულ სახლშია გაწყობილი, ქედმოხრილი შე-ვა შიგ კაცი? ქედმოხრილი კი არადა, სულ დედ-მამის სულის გინებით შედ-იან და გამოდიან, მე თუ მკითხავ, სოფ-საბჭოზე მაღალი და ლამაზი სახლი სო-ფელში არ უნდა იდგეს. თქვენ რა გგო-

ნიათ, განა წინათა, გლეხს არ შეეძლო ეკლესიაზე მაღალი სახლის აშენება? — შეეძლო, მაგრამ არ შეიძლებოდა: ეხლა კიდევ, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ოთხი სოფ-საბჭოს ხელა სახლი აქვს წამოჭიმული. შოფერ მიტუას კი, ჩვენი კლუბისოდენა გარაჟი უდგას. აბა, ეხლა, თქვენ თვითონ თქვით, შეავა ეგეთ სოფ-საბჭოში კაცი სალოცავად? — არ შეავ! — თვითონვე უპასუხა მოხუცმა თავის კითხვას. — განა ლატაკები ვართ, სოფელი ძლიერი გვაქვს, პური გინდაო, ხორცი გინდაო, ვაზი გინდაო, ხელი გინდაო, ბოსტნეული გინდაო, მაგრამ კაცი ღორისაგან რითი განსხვავდება? რაც ხეზეა, ის კაცისაა, ხიდან ჩამოცვენილი — ღორისა, ესე იგი, დროზე თუ არ მიხედე და მოუარე, ღორსა რჩება. ვეუბნები დიმიტრის, ჩვენი სოფ-საბჭოს თავმჯომარეა: — ბიჭო, მთავრობა შენა ხარ და თავმჯდომარე, ერთი ხეირიანი სოფლის საბჭო ააშენე, რომ მოვიდე, შეუხედო და შიგ შემოსვლა გამიხარდეს-მეთქი.

— რითი ავაშენო, ფული მე არა მაქვს და ლიმიტიო.

— ლიმიტი რაღა ოხრობაა-მეთქი, — ვეკითხები, — აგურიაო, — მეუბნება. ვეუბნები, თუ ლიმიტი და აგური არაა, მა იმ კოლმეურნეობის თავმჯდომარის სახლი და მიტუას გარაჟი რიღათი აშენდა-მეთქი? მე რა ვიცი... — კარგი, წვერი მაინც გაიპარსე ან ბოლომდე მოუშვი და მეღდელივით სუფთად იარე, კაცმა რომ დაგინახოს. შენი რიდი და მოკრძალება იქონიოს -მეთქი: — არ უნდა. არ უნდა და იყოს, იმ ჩემ ძროხას, აი, იქ რომ ბალახობს, მაგაზედ დიდი ავტორიტეტი აქვს სოფელში. იმიტომა, რომა სუფთაა და რვა ლიტრას იწველის... — თქვა გიორგიმ და ღვინო დაასხა.

— იქნება ცუდად ვფიქრობ, ჰა, მითხარით, შვილებო! — იკითხა უცებ.

— კარგად ფიქრობ, ძია გიორგი, მაგრამ ეგ რაც ეხლა მითხარი, სოფლის კრებაზე თუ გითქვამს როდესმე? — ჰკითხა ბაჩანამ.

— ვთქვი ერთხელ...

— როდის?

— შენ რამდენი წლისა ხარ?

— ორმოცზე მეტის!

— მე კიდევ მაშინ, ოცდაათისა ვიყავი და კინაღამ ციმბირი უკან დამატოვებინეს.

— ახლა სხვა დროა, ძია გიორგი.

— სხვა დროა და სხვამა სთქვას...

— აკი კიდევ დიდხანს მინდა სიცოცხლეო? — ნიშნისმოგებით უთხრა ბაჩანამ.

— სიტყვა მოსწრებული იცით ეხლანდელმა ახალგაზრდობამ, ცოტა საქმე გიგვიანდებათ, — უპასუხა მოხუცმა და ჭიქა ასწია, — შენა, შვილო რაიკომიდან ხომ არა ხარ? — ჰკითხა უცებ ბაჩანას გიორგიმ. ბაჩანას გაეცინა.

— არა, მწერალი ვარ, გაზეთის რედაქტორი.

— ჰოდა, თუ რედაქტორი ხარ და მწერალი ხარ, ადექი და დასწერე შენს გაზეთში, რაც გითხარი.

— დავწერ! — დაჰპირდა ბაჩანა.

— დაწერ? — ეჭვით შეხედა გიორგიმ.

— რატომაც არ დავწერ, ეგრე დავწერ, გიორგი თუშმალიშვილმა თქვა-მეთქი.

— მე გინდა დამაბრალო? — დადარაჯდა გიორგი.

— რათა, კაცო, დავწერ, იმან თქვა, მეც ნაწილობრივ მხარს ვუჭერ-მეთქი.

— მაშ ნაწილობრივ?

— ნაწილობრივ.

— მაშ ბოლომდე არ მამდევ?

— არ მოგდევ!

— ჯანდაბას, ნახევარში ხომ მამდევ?

— ნახევარში კი!

— მაშ დაწერე! — დათანხმდა გიორგი.

— უეჭველად დავწერ!

— აღდგომა და ხვალაო, — თქვა

ნოდარ დუმბაძე
ბარადიზოების-ანონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგიმ, მერე მაინც დაეჭვდა და მარიამს მიუბრუნდა. — მართლა დაწერს?

— მართლა დაწერს! — თავი დაუქნია სიცილით მარიამმა.

— თქვენა, ერთმანეთისა რა ხართ? — ჰკითხა უცებ გიორგიმ.

მარიამი არ ელოდა ასეთ შეკითხვას, ოდნავ შეკრთა, მერე მხრები აიწურა და ბაჩანას შეხედა, კითხვით სავსე თვალებით.

— ჩვენ, ძია გიორგი, ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და აქ ჯვარის დასაწერად ამოვედით, მაგრამ მდედელი რომ არ არის, ჯვარს ვინ დაგვწერს? — უთხრა სიცილით ბაჩანამ.

— ჯვარის წერას მღვდელი რად უნდა, შვილო, თუ ერთმანეთი გიყვართ, ჯვარს მე დაგწერთ, მირონსაც მე წაგცხებთ და გვირგვინსაც მე დაგადგამთ! — უთხრა გიორგიმ და ფეხზე წამოდგა. — აბა წამოდექით ზეზე! — აიყვნა მარიამი და ბაჩანა.

— შენი სახელი, შვილო?

— ბაჩანა!

— შენი ვიცი, მარიამია! — გიორგიმ ხელები აღაპყრო, მარჯვენა ხელში სავსე ჭიქა ეჭირა.

— შვილო მარიამ და შვილო ბაჩანა! ეს ცვრიანი დილა იყოს თქვენი მირონი, ეს მაღალი მზე იყოს თქვენი გვირგვინი, ეს ბებერი ეკლესია და დალოცვილი მიწა იყოს მოწმე თქვენი სიყვარულისა. მე, გიორგი თუშმალიშვილსა დამილოცნიხართ თქვენ, ისე ვითარცა მამაზეციერმა დალოცა ნოე და შვილნი მისნი. გამრავლდით, მოეფინეთ ქვეყანასა და თქვენმა ნამრავლმა აამაღლოს და ასახელოს ჩვენი ქვეყანა. სიყვარული იყოს მუდამ თქვენი ცხოვრების თანამგზავრი, უღლის გაწევაში, არასოდეს გეღალტნოთ ერთმანეთისთვის. თქვენ გენაცვალეთ, ამინ!.. ქორწილი არ გამამაპარო! — გიორგი ლოცვა დამთავრა. ღვინო გამოსწურა ბოლომდე, ტუჩები სახელოთი გიიმშრალა, მივიდა და ორთავეს შუბლეზე აკოცა ხმაურით.

— წავიდეს ეხლა და ვინც გინდა მღვდელმა დაიტრაბახოს, გიორგი თუშმალიშვილზე კარგი ლოცვა დაგვრთოს! — წერა ვიცი! — დააყოლა სიცილით და გულზე მჯიღი დაიბრახუნა.

— გმადლობთ, ძია გიორგი! — უთხრა ბაჩანამ.

მარიამი იდგა თავდახრილი და ხმას არ იღებდა.

— ძალიან ლამაზი შვილები გეყოლებათ, ბევრი გაიჩინეთ — სთხოვა გიორგიმ ბაჩანასა და მარიამს. მერე ცარიელი ხელჩანთა აიღო და წასასვლელად მოემზადა.

— მიდიხარ, ძია გიორგი? — გული დასწყდა ბაჩანას.

— წავალ, თორემ, ის სამგლე, კოლექტივის ყანაში გადავა და მეველე ჭირს მამჭამს, — თქვა ძია გიორგიმ და საქონელს გახედა, — მშვიდობით შვილებო, აქ თუ კიდევ ამოხვიდეთ ოდესმე, გაიხედ-გამოიხედეთ, სადმე სერზე ვიქნები და მნახეთ...

— მშვიდობით, ძია გიორგი, ვინც შენ ამ უდაბნოში თანაგრძნობას გიწევს, ქალი იქნება თუ კაცი, იმას გაუმარჯოს! — უთხრა ბაჩანამ და ხელი გაუწოდა. გიორგიმ მაგრად ჩამოართვა ხელი და წავიდა. უცებ მოტრიალდა და ნაწყენი ხმით დაიძახა:

— მარიამ, შენ ხომ არ დამემდუღე, ქალო, იქნებ ცუდად დაგწერე ჯვარი, ჰა?! — მარიამი ადგილს მოსწყდა, გიორგისთან მიიბმინა, ყელზე ბოჭვება და ბანჯგვლიანი სახე დაუკოცნა. მერე შემოტრიალდა და სირბილით ეკლესიაში შევარდა.

ძია გიორგიმ ღიმილით გადაიქნია, თავი და გზას გაუდგა. ბაჩანა ერთბანს თვალით მიაცილებდა თავდადმართში მიმავალ გიორგის, მერე მოტრიალდა და ეკლესიაში შევიდა.

მარიამს სამი ახალი სანთელი აენთო შანდალში და მუხლმოყრილი იდგა ღვთისმშობლის ხატის წინაშე.

ბაჩანა დიდხანს იდგა მარიამის უკან და ყურს უგდებდა მის ჩურჩულს. მას სიტყვები არ ესმოდა, მაგრამ მიხვდა, რომ ეს იყო ვედრება.

ბაჩანამ ფრთხილად დადო ათი მანეთი მაგიდაზე სამმანეთიანის გვერდით და უხმოდ გამოვიდა ეკლესიიდან.

17

კუპეში რომ შევიდა ბაჩანა, ფანჯარასთან უკვე იჯდა ორი კაცი და საქმიანად საუბრობდა ერთმანეთთან. ერთი აშკარად პროვინციელი იყო, მეორე — ქალაქელი. ბაჩანამ სალაში თქვა და თავისი ადგილი მოძებნა, მერე ხელჩანთა ზემოთ შემოდო, ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, დაჯდა და კითხვა დაიწყო. მართალია, გაზეთს კითხულობდა, მაგრამ ძალაუნებურად ესმოდა მეზობლების საუბარი.

ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა პროვინციელი.

— თოფიანი კაცი და მტირალი დედა არ გვინდა ჩვენ, ბატონო როლანდი. რამე ისეთი გვინდა, კაცი რომ შეხედავს, ქვა რომ უდევს გულში და იგი კიდევ რომ ატირდეს!.. — თქვა პროვინციელმა.

— მაგას ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო უნდა, ბატონო ხუტა! — უთხრა ახალგაზრდამ.

— მიქელანჯელო და ლეონარდო და ვინჩი არ ყოფილა ის კაცი, მარნეულში რომ ძეგლი დადგა — „კიდევაც და ვაზრდებიანო“, მაგრამ ერთი სიცოცხლე გავათავე, მკლავზე ხმალგადებული, ფეხებგაბიჯგული ის ტიტლიკანა ბოვშები რომ დავინახე, — უპასუხა ბატონმა ხუტამ. ახალგაზრდამ თავი გადაიქნია ეჭვით, — ისეთი გაგვიკეთე და ჩვენი ლეონარდო და ვინჩიც შენ იქნები, — დააყოლა სიცილით.

— ჩემი ესაბინი ნახეთ თქვენ, ბატონო ხუტა, და მე მგონია, მოგეწონათ?! —თქვა წყენით ახალგაზრდამ.

— იქ, სამხატვრო საბჭოზე იმიტომ ვთქვი, კარგია-თქვა, რომ გადავაკეთებო დამპირდი, მანამდე, მერე ფულს ვინ მოგცემდა ისე? ახლა დაპირებული უნდა შეასრულო. სიტყვა-სიტყვაა, ჩემო როლანდი! თოფიანი კაცი და მტირალი დედა არ გვინდა ჩვენ!

— ზარები და გამხმარი ხეები არ გინდათ, ლომზე შემკდარი შიშველი ჭაბუკი არ გინდათ; დაკრეული არწივი არ გინდათ; მტირალა დედა არ გინდათ; თოფიანი ჯარისკაცი არ გინდათ; ჯარისკაცი, რომ ჩექმით გველს თავს უსრესავს, არ გინდათ; ეველარ გავიგე, ბოლოს და ბოლოს, რა გინდათ?! — გაშალა ხელები როლანდომ. — სხვანაირად როგორ უნდა ავხსნა აბა შინმოუსვლელთა და სამამულო ომის თემა?!

— ომის დროს რამდენი წლის იყავი შენ, ჩემო როლანდი? — ჰკითხა ხუტა ბატონმა.

— სულ არ ვიყავი! — უპასუხა ახალგაზრდამ.

— მაშინ ის გაგვიკეთე სწორედ, სულ რომ არ იყავი და ომი რომ არ იცი რა არის, — გაუხარდა ხუტას.

— როგორ? — გაუკვირდა ახალგაზრდას.

— როგორ და ჩემმა შვილიშვილმა, პატარა ხუტამ, ამას წინათ, ჩემი მუზარადი იპოვა ომისდროინდელი — — „ეასაა“ და ფისი ქნა შიგ, მამაძალმა! ჯერ ყური ავახიე, მაგას მე და მერე კი შემრცხვა, თქვენ ნუ მომიკლებით, მთელი ღამე არ მიძინია..

— ისეთი ძეგლები არ არსებობს მსოფლიოში, ბატონო ხუტა... და საერთოდ, თუ მოსულა თქვენთან როდისმე მოქანდაკე და სიმინდის თოხნა თუ უსწავლებია? — დაკარგა მოთმინება ახალგაზრდამ.

— არა, მაგრამ თუკი იცის და მასწავლის, რა არის ამაში ცუდი? — გაუკვირდა ბატონ ხუტას. — თქვენ რას იტყვით, ბატონო? — მიუბრუნდა იგი უცებ ბაჩანას.

ბაჩანამ გვერდზე გადადო გაზეთი.

— უკაცრავად, ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი, რაზე საუბრობთ, — იცრუა ბაჩანამ, რადგან შეატყო არც ერთი მხარე არ იყო თავისი პოზიციების დამომობი და ამიტომ ჩაურევლობა არჩია.

ნოდარ ფუფუნაძე
ნარკვევი ბერეზ ანონი

— საქმე იმაშია, ბატონო, რომ... — მიუბრუნდა ახალგაზრდა ბაჩაანა, — ... მე, ამათი სოფლიდან, საკიწიაოდან დაკვეთა მივიღე. ბატონი ხუტა შელია კოლეგურნეობის თავჯდომარეა საკიწიაოში. უნდა შემექმნა დიდი სამამულო ომის ამსახველი მემორიალი. ახლა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, სამუშაო რომ დაწყებულია და ფული მთლიანად დახარჯული, ახალი ვარიანტი მომთხოვეს. საიდან? რაც მაგათმა ამ საქმეზე ფული გაიღეს, უკეთესი არ გაკეთდება, მაგათმა რამდენიც საჭიროა, იმდენი ფული მომცეს და ეიფელის კოშკს ავუგებ, ფულის საქმე არ არის? ბოლოს და ბოლოს, ფულის გულისთვის ღონარდო და ვინჩი ჩეზარე ბორჯიასთან მუშაობდა, ყველაზე ბინძურ კაცთან მსოფლიოში, კაცთან, რომელიც საკუთარ დედასთან და დასთან...

— ვაშინერს! — თქვა უცებ ხუტა შელიამ და ფეხზე წამოდგა. ახალგაზრდამ გაკვირვებით შეხედა ხუტა შელიას, მაგრამ ვერაფერს ვერ მიხვდა და განაგრძო, — ხელოვნება და ფული ისეთი რამ არის, რომ ჩეზარე ბორჯია...

— ვაშინერს! — დაარტყა ხუტა შელიამ ხელიდაზე ხელი.

— რა შია საქმე, ბატონო ხუტა? — ჰკითხა ინცვიფრებულმა ახალგაზრდამ.

— ვაშინერს, ბიძიკო, ვაშინერს! — თქვა უცებ შშვიდად, საკუთარი სიფიცხით დარცხვენილმა ხუტამ და დაჯდა.

— რას ნიშნავს ვაშინერს? — ჰკითხა ახალგაზრდამ.

— მაგას არ აქვს თარგმანი, როლანდი ბიძია, ვაშინერს — ყველაფერი ის არის, რისი არც თქმა, არც გაგონება, არც გაკეთება, არ შეხედვა, არ გაფიქრება არ შეიძლება. აკრძალულია, ტაბუა მაგი! რასაც შენ ამბობ ახლა, სამამულო ომის მემორიალთან დაკავშირებით. ვაშინერს! ვიცი მე ვინ იყო ჩეზარე ბორჯია, — ვაშინერს!

— რა ვთქვი ასეთი, ბატონო! — თქვა ახალგაზრდამ და გაწითლდა.

— მე ვერ გავიმეორებ მაგას და არც შენ გიმეორო მაგი მეორეჯერ, — ხუტამ სიგარეტი ამოიღო და გააბოლა.

— ბოდიში, ბატონო! — თქვა ახალგაზრდამ, ადგა და კუუპედან გავიდა.

— ბატონო ხუტა, თავის მხრივ ეს ახალგაზრდაც მართალია, თუკი მცირე თანხით არის დაფინანსებული მემორიალი, რა ქნას ამ კაცმა? — გამოექომაგა ბაჩანა.

— თქვენი გვარი და სახელი მაჩუქეთ, თუ შეიძლებოდეს, ბატონო!

— ბაჩანა რამიშვილი!

— ცოტა ფული რას ნიშნავს, ბატონო ბაჩანა? ჩვენ მაგას ბევრი ძეგლების გაკეთება კი არ ვთხოვეთ, კარგს ვთხოვთ. ათი შაურის იყოს და კარგი...

— თუკი ვერ აკეთებს, მოეშვით და სხვას მიეცით! — ურჩია ბაჩანამ.

— სხვას კი მივცემთ, მაგრამ ის ფული შეშმულია უკვე და ხალხს რა პირით შევხედო მე მერე?.. — თქვა ხუტა შელიამ, — ...ახლა მომყავს საკიწიაოში და თვითონ ელაპარაკოს ხალხს, მაგისგან ან კაცს გამოვიყვან და გავაკეთებიებ, რაც მინდა, ან არადა, კვარაცხელიას ხარს რომ არ უმუშავია, იმდენს ვამუშავებ ჩაიში და თუთუნში, სანამ სულ არ გამოვუქვითავ იმ ფულს. მაგი კი არა, ტარასი დარასელიას ბიჭი შოვარჯულე მე... — ხუტა შელიას თვითონვე გაეცინა თავის ნათქვამზე და ეშაყოფილმა სიგარეტი მიაწოდა ბაჩანას. ბაჩანამ ჩამოართვა სიგარეტი, მაგრამ არ მოუკიდა.

— თქვენ მაინც როგორი ძეგლი გინდათ, ბატონო ხუტა? — ჰკითხა ბაჩანამ.

— მე ისეთი ძეგლი მინდა, ბატონო ბაჩანა, კაცმა რომ ვერ ვერ ჩაუაროს, გაჩერდეს და ის კი არ იკითხოს, რა არის ესო, არაფერი რომ არ იკითხოს და ისე რომ გაჩერდეს, ის მინდა მე...

— მართლა ძნელი ამოცანა მიგიცეთ. — გაეცინა ბაჩანას.

— ადვილი ის იყო, ბატონო ბაჩანა, ამას წინათ კომპლექსი ავაშენეთ ხეცხოველეობის, მოვიყვანე მხატვარი, შე-

სასვლელი გამიფორმე და მომიხატეთქვა, ვთხოვე. გავიხედე და მთელი კედელი ძროხებით, ღორებით, თხებით და გოქებით არ მომიხატა?!

— რა არის ეს-მეთქი, — ვკითხე.

— პირველად ვხედავ თავმჯდომარეს, ღორებს და ძროხებს რომ ვერ ცნობდესო, — ასე მითხრა.

მე ვუთხარი:

— ბოდიშმი მომითხოვია, შე მამაძაღლო, ძროხები და ღორები შიგ ცოტაა, ვითომ კედელზე რომ არ გამოგეტანათქვა?

— აბა რა დავხატოთ? — ასე მკითხა.

— ჯერ ის წაშალე, რაც დახატე ღა მერე ვილაპარაკოთ-თქვი! — ასე ვუთხარი, ძალიან წაშალა მაგი.

— მერე? — ჰკითხა ბაჩანამ.

— მერე არაფერი. პატარა გოგო და ბიჭი დავახატვინე, სულ შიშველი, ჩიქებით ხელში. ძროხას ეხვეწებიან წითელ-ყვითელ ყვავილებით მოჩითულ მინდორში, რძე მოგვეცით...

— ძროხა რას ეუბნება? — ჰკითხა სიცილით ბაჩანამ.

— ბალახი მომეცით და მოგცემო, ეუბნება ძროხა! — სიცილითვე უპასუხა ხუტა შელიამ, მაგის ყურებას არაფერი არ ჯობია, ბატონო ბაჩანა, ის კი არა, მომენატრება ხანდახან და სპეციალურად მივდიკარ სანახავად. ისე კარგად დახატა ის მამაძაღლმა. ლეონარდო და ვინჩი რად უნდა მაგას? მე რომ მინდა, ისე ნუ დახატავს, მაინცდამაინც, მამაცხონებული. როგორც უნდა ისე დახატოს, მაგრამ მე რაც მინდა, ის დახატოს... ხომ ვარ მართალი, ბატონო ბაჩანა? — ჰკითხა ხუტამ.

— ალბათ, მართალი ხართ, ბატონო ხუტა, მაგრამ მხატვარს თავისი მოსაზრებები აქვს, ხელოვნება ძალიან რთული საქმეა...

— რთული რომაა და ძნელი რომაა, იმის ვამბობ მე. ოორიმ ძროხის ხატვა მეორე კლასში მასწავლა ანტონა გეგუნავამ, ხატვის მასწავლებელი იყო მაგი ჩემი... ისე ხატავდა თვითონ ძროხას, მოწველა მოგინდებოდა. დაუჩემებია აწლა მაგას — როლანდზე გეუბნებით — გინდა თუ არა, თოფიანი ვიყავ-კეთებო. თოფიანი კაცი რომ მინდოდეს, მე მთლად ცოცხალ კაცს დავაყენებ იქ, ნამდვილი თოფით ხელში. მე შენ გეტყვი ეა, უსაქმო კაცს ვერ ვიშოვი სოფელში... — ხუტა შელიამ ისევ გაიბოლა სიგარეტი, ამჯერად ბაჩანამაც მოსწია.

როგორც ჩანს, ახალგაზრდას გარეთ ყოფნა მობეზრდა, თუ წყენამ გადაუარა, კუპეში შემოვიდა და თავის ადგილას დაჯდა უხმოდ.

— მოდი, ბიძია, საწყენი არაფერი არ მითქვამს მე შენთვის, — მოეფერა ხუტა შელია და თავზე გადაუსვა დაკეცილი ხელისგული. — ახლანდელ ახალგაზრდობას, ბატონო ბაჩანა, ყველაფერი მზამზარეული უყვარს, ჩემმა შვილმა სკოლა რომ დაამთავრა იმ წელს, ორბაშვილინი ქალი მოიყვანა ცოლად. ბავშვის გაკეთება კიდო ეზარებათ, აბ, ბოდიში მომითხოვია და მამაძაღლებს... თქვენ რამდენი შვილი გყავთ, ბატონო ბაჩანა? — ჰკითხა ხუტა შელიამ.

— მე უცოლშვილო გახლავართ.

— ოო, ვერ მოგიწონეთ მაგი საქციელი თქვენ, ბატონო ბაჩანა.

— თქვენ რამდენი გყავთ, ბატონო ხუტა?

— მე ის ერთი მყავს, წეღან რომ გითხარით, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის, ომიდან დაბრუნებულს აღარ დამჰვდა უბედური ჩემი მეუღლე. ეს ბიჭი კიდო არ არის ცუდი ბიჭი, მაგრამ გამრავლების საკითხში არ მეთანხმება მაგი ვეუბნები, ბიჭო, ეს ორი სხვისია და ერთი შენი გააჩინე. საქონელმა როგორ უნდა გაჯობოს-თქვა. აგერ ჩვენს თხას სამი თიკანი გაუჩნდა ერთად.

— თხა და ძროხა, მამაჩემო, ბალახის მეტს არაფერს არ ჭამს და ტანსაცმელი კიდო არ ჭირდება, პირდაპირ დუღლონკიან და ჩექმებიან შვილებს ბად-

ნოდარ დუმბაძე
მარგანიტოგრის ქანონი

ებსო და მე საიდან მოვიტანო მაგი, მარტო ერთი ჯინსი ღირს ორას ორმოცდაათი მანეთი სპეკულანტებმო, — ასე მითხრა...

— სწორი უთქვამს! — ჩაერია ლაპარაკში როლანდი.

— შენ რამდენი გყავს, სხვის დასაცავად რომ იქაჩები?! — მიუბრუნდა ხუტა შელია.

— მე, ბატონო, ოცდაათი წლისა ვარ, სამი შვილი მყავს და ჩემი ცოლი მეოთხეზეა ფეხმძიმეო! — თქვა ნიშნის მოგებით როლანდმა და ფანჯარაში გაიხედა.

— მალადეც! — ტაში შემოჰკრა ხუტა შელიამ, კაცი შენ ყოფილხარ და გმირი მამა. ცოტა ცუდად ვილაპარაკე შენზე წეღან და ახლა ბოდიში უნდა მოგიხადო მაგისთვის!.. — შეწუხდა ხუტა შელია.

— არა უშავს! — თქვა მშვიდად როლანდმა.

— ბოდიში, ბიძიკო, ნამეტანი ბოდიში! — ვეღარ მოისვენა ხუტა შელიამ.

— არა უშავს, ბატონო! — შეწუხდა ახლა როლანდი, — თქვენ სად მიბრძანდებით, ბატონო ბაჩანა? — ჰკითხა უცებ ბაჩანას, საუბარი სხვა თემაზე რომ გადაეტანა.

— სოხუმში მივდივარ მივლინებით!

— ბედნიერი კაცი ხართ, იბანავებთ ზღვაში...

ბაჩანამ თავი დაუქნია და გაუცინა.

— ახლა როგორ იქნება ჩვენი საქმე, ჩემო როლანდი? — ჰკითხა ხუტა შელიამ.

— რომელი საქმე? — ისე ჰკითხა როლანდმა, თითქოს ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდნენ.

— ძეგლის საქმე.

— მოვიფიქრე, ბატონო, მოვიფიქრე, მაგრამ თქვენ რომ გინდათ, ისე კი არა, მე რომ მინდა, ისე! — თქვა გაბრაზებულმა როლანდმა და ისევ ფანჯარაში გაიხედა.

— როგორ? — ჰკითხა დადარაჯებულმა ხუტამ.

— როგორ და მაინც თოფიან კაცს გავაკეთებ, თოფიან და მუზარადიან ჯარისკაცს, რომელსაც მხარში ახალგაზრდა დედა ედგომება ფეხშიშველი და კაბის კალთაზე ოთხი ტიტლიანა, შეშინებული ბავშვი ეყოლება ჩამოკიდებული. ასე გავაკეთებ... — თქვა სახეგაწითლებულმა როლანდმა, შეკრული მუშტები მაგიდაზე დაიწყო და საჩხუბრად მოემზადა.

— აბა, მე რას გთხოვდი შენ? — თქვა გახარებულმა შელიამ, მერე წამოდგა, მაგიდაზე დაიხარა და გაკვირვებულ მოქანდაკეს შუბლზე აკოცა, — მერე ბაჩანას მიუბრუნდა: — მე რა გითხარით, ბატონო ბაჩანა, თქვენ? ფიქრი ეზარება ახლანდელ ახალგაზრდობას და ყველაფერი გახაზირებული უნდა, თორემ პატარა რომ იფიქროს და ტვინი გაანძრიოს, რა დაუდგება მაგათ წინ?!

●

ბაჩანა სასწრაფოდ გამოიძახეს მივლინებიდან რედაქციის საქმეზე.

ცეკას ინსტრუქტორმა დარეკა, სასტუმროში:

— მდივნის დავალებით ვრეკავ, ხვალ, დილის 10 საათზე მასთან უნდა იყოთ!

— რა საკითხზე? — ჰკითხა ბაჩანამ, მაგრამ იქეთა მხარეს ყურმილი უკვე გაბმულ ზუმერს იძლეოდა.

ძალიან მოკლე საუბარი ჰქონდა ბაჩანას ცეკას მდივანთან.

ამ აუდიენციას არც კი შეიძლებოდა საუბარი დარქმეოდა, რადგან ბაჩანა იჯდა მხოლოდ და ყურს უგდებდა მდივნის მკაცრ ლაპარაკს.

კაცმა რომ თქვას, სალაპარაკო არც არაფერი ჰქონდა. მეტი საგანგაშო მდგომარეობის წარმოდგენა ძნელი იყო.

მისმა თანამშრომელმა დღისით-მზისით, ქრთამი აიღო შიგ რედაქციის შენობაში.

დღის ორ საათზე საგანგებო ჰარტიული კრება მოიწვია ბაჩანამ. რედაკ-

ლეგიის წევრებისა და რედაქციის თანამშრომლების გარდა, კრებას ცეკას ინსტრუქტორი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ის თანამშრომელი ესწრებოდა, რომელმაც აღნიშნული ოპერაცია ჩაატარა.

კრება პარტკომმა გახსნა:

— ვიდრე რომელიმე ჩვენთაგანი რამეს იტყოდეს, მე ვთხოვ ბატონ შალვა ხელაიას, აგვიხსნას და მოგვიყვეს თუ როგორ და რა ვითარებაში მოხდა ქრთამის აღება, ჩვენი თანამშრომლის, შოთა წულაძის მიერ, — პარტკომი დაჯდა.

შალვა ხელაიამ მუშტში ჩაახველა, შაკი ჰალსტუხი გაისწორა და დაიწყო:

— ორი თვის წინ ჩვენმა განყოფილებამ მიიღო სიგნალი იმის შესახებ, რომ თქვენი რედაქციის თანამშრომელი შოთა წულაძე ცდილობს ფული გამოსძალოს მოქალაქე კალიანს, რომელზეც თქვენს რედაქციაში მამხილებელი ანონიმური წერილი იყო შემოსული...

— ორი თვის წინ მიიღეთ სიგნალი და ახლა მეუბნებით ამას, ამხანაგო ხელაია? — სისხლი აუვარდა თავში ბაჩანას.

ხელაია უხერხულად შეიშმუშნა.

— ჩვენ სიგნალის სისწორეს ვამოწმებდით, ბატონო ბაჩანა, ამიტომ წინასწარ არ ჩავთვალეთ საჭიროდ თქვენთვის გვეცნობებინა, რადგან სიგნალი შეიძლებოდა არასწორი ყოფილიყო, და რედაქციასაც და თანამშრომელსაც უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდებდით...

— აბა, ის ჯობია ახლა ციხეში რომ ზის ის კაცი და მთელი რედაქცია ლაფშია ამოსვრილი? — ჰკითხა ბაჩანამ.

ხელაიამ ისევ უხერხულად ჩაახველა.

— ასე გამოვიდა... ფაქტი ფაქტად რჩება... წულაძეს ფული ხელში დავუჭირეთ, — თქვა ხელაიამ.

— თქვენ რა გაინტერესებთ, ამხანაგო ხელაია, კაცმა ქრთამი რომ არ აიღოს, თუ როგორმე დაიჭიროთ კაცი? — ბაჩანა ძლივს იკავებდა თავს.

— ამხანაგო რედაქტორო, მე ძალიან დიდ პატივს გცემთ, მაგრამ რატომ იცავთ ასე თქვენს მექრთამე თანამშრომელს? — უპასუხა ბაჩანას ხელაიამ.

— აბა, ვინ უნდა დაიცვას, მე თუ არა? — გაუკვირდა ბაჩანას.

—იმ შემთხვევაში უნდა დაიცვათ, თუ მართალია, — უთხრა ხელაიამ.

— როგორი მტყუანიც არ უნდა იყოს წულაძე, ის რაც თქვენ ჩაიდენეთ, უკვე შეცდომაა, — თქვა ბაჩანამ.

— ამხანაგებო, მე აქ ინფორმაციისათვის ვარ მოსული მგონია და, თუ წულაძის მაგივრად მე მიპირებთ პარტიიდან გარიცხვას, მითხარით... — წყენით თქვა ხელაიამ და კრების მონაწილეებს შეხედა.

— უკაცრავად, ცოტათი აცდელდი. — თქვა ბაჩანამ და სიგარეტს მოუკიდა. ხელაიამ საქაღალდე გახსნა და იქიდან ერთი ფურცელი ქაღალდი ამოიღო.

— აი, ის ანონიმური წერილი, რომელიც შემოვიდა რედაქციაში თქვენს სახელზე, ბატონო ბაჩანა.

—თქვენთან საიდან გაჩნდა? — გაუკვირდა ბაჩანას.

—დაკავებული წულაძიდან ამოვიღეთ. ქრთამის აღების შემდეგ კალიანის თვალწინ უნდა დაეხია.

— მითხოვეთ! — ხელი გაუწოდა ბაჩანამ, ხელაიამ წერილი გადასცა.

— ხმამაღლა წაიკითხეთ, თუ შეიძლება, ბატონო ბაჩანა, — სთხოვა რედკოლეგიის ერთ-ერთმა წევრმა.

ბაჩანამ,როგორც კი დახედა, იმ წუთშივე იცნო ანონიმური წერილი და თავისი რეზოლუციაც. წერილი მოკლე იყო და ოთხკუთხედი ასოებით დაწერილი, მაგრამ იმდენად ღელვადა, მიხვდა, რომ თვითონ ვერ მოახერხებდა წაკითხვას და წერილი პარტკომს გადასცა.

— წაიკითხე! — უთხრა.

პარტკომმა წერილი ჩამოართვა და ხმამაღლა დაიწყო:

„ძვირფასო რედაქტორო!

ურბნელის ქუჩაზე ძალიან ბნელი საქმეები კეთდება. №571-ში მცხოვრები გიორგ კოსტას ძე კალოიანი (მაღაზიის გამგე) და იმავე ქუჩაზე, იმავე ნომერში მცხოვრები მისი საყვარელი ქსენია გაბრიელის ასული ვართაგავა (იმავე მაღაზიის მოლარე) მეთოდურად სწამლავენ სიკვდილის მიზნით (საკვებ ნივთიერებაში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ოდენით, სხვადასხვა საწამლავის სისტემატური გამოყენების გზით) კალოიანის ცოლს, ლილი გერასიმეს ასულ ამანათიძეს (ამჟამადაც მოწამვლის გამო საავადმყოფოში მწოლიარეს).

პატივცემულო რედაქტორო!

როდემდე უნდა იბოგინონ ქვეყანაზე გარყვნილმა ტერორისტებმა? როდემდე უნდა იყოს წუდიადით მოცული ეს შავბნელი საქმე?

გთხოვთ იჩქაროთ და თქვენი ბასრი კალმით ამხილოთ ორი ზნედაცვმული და გათახსირებული მკვლელი.

პატივცემით, ჭუმანისტი!"

პარტკომმა კითხვა დაამთავრა.

— რედაქტორის რეზოლუცია თუ ადევს? — იკითხა ისევ რედკოლეგიის წევრმა.

პარტკომმა წაიკითხა:

— ამხ. შ. წულაძეს! გთხოვთ წერილი რეგიონებისათვის გადაუგზავნოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს. — ბაჩანა რამიშვილი.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ბაჩანამ პარტკომს წერილი გამოართვა და ხელაიას დაუბრუნა.

— წულაძემ აღნიშნული წერილი არ გადაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს, — ხაზგასმით თქვა ხელაიამ.

ბაჩანამ არაფერი უპასუხა. იგი ყველაფერს მიხვდა. წინასწარ იცოდა უკვე, რას მოყვებოდა ხელაია, მაგრამ იძულებული იყო ყველაფერი დაწერილებით მოესმინა.

ხელაიამ განაგრძო:

— ... შოთა წულაძემ არ გადაუგზავნა წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს. იგი თავად ეწვია კალოიანს სახლში და ანონიმური წერილის შინაარსი გააცნო. კალოიანმა, რა თქმა უნდა, ქვა ისროლა და თავი შეუწვინა. იგივე ქნა ქალბატონ ვართაგავამაც, მაგრამ წულაძემ მოახსენა ორთავეს, რომ რედაქცია მოვალეა, საქმეს მსჯელობა მისცესთ და წავიდა.

ამ გარემოებით დამფრთხალმა კალოიანმა, რათა არასასიამოვნო პროცედურისათვის თავი აერიდებინა წულაძის ჭუთასი მანეთი შესთავაზა იმ პირობით, რომ წულაძე წერილს გაანადგურებდა. წულაძეს ეს თანხა ეცოტავა, მაშინ კალოიანი კიდევ ხუთასს მანეთს შეჰპირდა. წულაძეს ეს თანხაც ეცოტავა და კალოიანს ორი ათასი მანეთი სთხოვა...

როგორც სჩანს, ეს თანხა კალოიანისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა და ამიტომ მან ჩვენ, ორგანოებს მოგვმართა განცხადებით, რომ გაზეთის ლიტერატორ წულაძე მის და მის თანამშრომელ ქალს შანტაჟს უწყობს ფულის გამოძალვის მიზნით...

დაინიშნა ოპერატიული ჯგუფი. დანიშნულია ორი ათასი მანეთი მიეცა კალოიანს, წულაძისათვის გადასაცემად. ხოლო თავად წულაძე აყვანილ იქნა მეთვალყურეობის ქვეშ. — შალვა ხელაიამ ახლა სხვა საბუთი ამოიღო საქალალდედან და წაიკითხა:

— 17 სექტემბერს უნივერსალურ მაღაზია „გოლიათთან", დღის სამ საათზე, კალოიანმა ფული მიუტანა წულაძეს. შეხვედრა და საუბარი №2 სადარბაზოში შედგა. კალოიანის განცხადებით, წულაძემ ფულზე უარი თქვა იმ მოტივით, რომ რედაქტორი დაკონებით თხრულობს მასალის შესწავლასა და გამოქვეყნებასო.

— უკაცრავად, ბატონო შალვა, თქვენთვის ცნობილი იყო თუ არა, რომ რედაქტორი ამას არ ითხოვდა? — ჰკითხა ხელაიას გაზეთის პასუხისმგებელმა მდივანმა.

— არა, რადგანაც ხელთ არ გვქონდა წერილი, რედაქტორის რეზოლუციით.

— გამოდის, რომ მთელი ამ ოპერაციის განმავლობაში თვითონ რედაქტორიც ეჭვის ქვეშ იმყოფებოდა?

— არა, არც ერთი წუთით, რადგან

წულაძე ამბობდა, რედაქტორი დაკინებით მოითხოვდა მასალის შესწავლასა და გამოქვეყნებასო.

— როგორ ფიქრობთ, რისთვის სჭირდებოდა ეს სკლა წულაძეს?

— მაზანდის ასაწევად! — თქვა ხელაიამ.

პასუხისმგებელი მდივანი დადუმდა. ხელაიამ განაგრძო:

— ზუსტად ათი დღის შემდეგ ჩვენ გაეიმეორეთ ცდა. პაემანი დაინიშნა კუს ტბის ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ არსებული ეთნოგრაფიული მუზეუმის ერთ-ერთ შენობაში.

წულაძემ არც ახლა გამოართვა ფული კალოიანს, იმავე მოტივით... თუმცაღა შეკპირდა, იქნებ რედაქტორს როგორმე გადავთქმევინო და ეს წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროში გადავგზავნიო და იქ შენ თვითონ მიხედე შენს საქმესო...

27 ოქტომბერს, იმ მოსაზრებით, რომ რედაქტორი მივლინებაში იმყოფებოდა და წულაძეს ხელ-ფეხი გახსნილი ჰქონდა, ჩვენ გამოცდა გავიმეორეთ. ჩვენი ვარაუდი გამართლდა, დილის ათ საათზე, რედაქციის შენობაში, წულაძემ ფული აიღო!..

— და ეს დადასტურებულია? — იკითხა ცეკას ინსტრუქტორმა.

— დადასტურებულია. ფული ამოღებულია. დამნაშავემ აღიარა თავისი დანაშაული, თუმცაღა გუშინ გადათქვა, და ახლა ამბობს, აღნიშნული თანხა ვისესხე კალოიანისაგანო. — თქვა ხელაიამ და საქაღალდე დაკეცა.

თავზარდაცემული ბაჩანა მკვდარივით იჯდა მაგიდასთან და ხმას ვერ იღებდა.

— ბატონო შალვა, — თქვა დიდი ხნის დუმილის შემდეგ ბაჩანამ. — თქვენ ბრძანეთ, რომ სამჯერ ვცადეთ ფული გადაგვეცა წულაძისათვისო და მხოლოდ მესამედ აიღოო, აბიბსენით თუ შეიძლება, რატომ გაუმეორეთ გამოცდა, თუკი ერთხელ არ აიღო ფული, იქნებ გონს მოვიდა კაცი და ხელი აიღო ბოროტმოქმედებაზე, ამაზე არ გიფიქრიათ?

— ბატონო ბაჩანა, თქვენ არ იცნობთ ჩვენი მუშაობის სპეციფიკას, ამიტომ ცდილობთ ყველაფერი კეთილშობილური მოსაზრებებით ახსნათ, მაგრამ ყველაფერი ისე როდია, თქვენ რომ გგონიათ. წულაძეს თავიდან ვაჭრობა რომ არ დაეწყო კალოიანთან, იქნებ ჩვენც ასე გვეფიქრა, მაგრამ იგი აშკარად მაზანდას უწევდა საქმეს.

— როგორ უწევდა მაზანდას საქმეს, ბატონო შალვა, თუკი კალოიანმა ზუსტად იმდენი ფული მოუტანა, რამდენსაც სთხოვდა წულაძე?!

ხელაია შეიშმუშნა.

— და მე მაინც მგონია, რომ მაზანდას უწევდა. — თქვა ხელაიამ, — მაზანდას უწევდა და ამიტომ გამოვცადეთ სამჯერ!

— მე არ ვიცი, თქვენ რას ეძახით გამოცდას, მე მგონი, თქვენ აცდუნეთ წულაძე.

— ჩვენი მიზანია მოვსპოთ ბოროტმოქმედება! — თქვა ხელაიამ მტკიცედ.

— მე კი მგონია, რომ თქვენი მიზანი იყო მხილება და არა ცდუნება, — თქვა ბაჩანამ. — თქვენ რომ ჩემთვის დროზე გეცნობებინათ ყველაფერი, მე მას მოგხსნიდი სამსახურიდან და ბოროტმოქმედება თავისთავად აღიკვეთებოდა.

— ბატონო ბაჩანა, ჩვენ არ გვაქვს დრო და საშუალება მეგრთამეებს ველოლიავოთ და ვეფეროთ.

— კალოიანს? — ჰკითხა ბაჩანამ.

კალოიანის საქმეს სხვა ოპერატიული ჯგუფი სწავლობს, ბატონო ბაჩანა, და, თუ დადასტურდა წერილში აღნიშნული ფაქტი, თქვენ იცით, რა მოელის კალოიანს.

— გმადლობთ, ბატონო შალვა, ინფორმაციისათვის... — უთხრა ბაჩანამ და ფეხზე წამოდგა. ხელაიაც წამოდგა. კრებას დაეშშვიდობა და ჩჩარი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

— რას იტყვით, ამხანაგებო? — იკითხა პარტკომმა.

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის ანარეკი

— მე მაქვს სიტყვა, — თქვა მოტლოდნელად ბაჩანას მოადგილემ.

— ბრძანეთ! — სთხოვა პარტკომმა.

მოადგილე ფეხზე წამოდგა. წინ ქალაქები ეწყო, ეტყობა, სიტყვა წინასწარ ჰქონდა მოამზადებული. სახე გაფითრებული ჰქონდა, ოღლავდა.

— ჩვენ აქ დღეს გვესწრება, — დაიწყო მოადგილემ, — ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, ამიტომ მე არ შემიძლია, როგორც კომუნისტმა გულწრფელად არ ვილაპარაკო.

ჩვენ დღეს, რა თქმა უნდა, გვიჩანაგავთ წულაძეს კომუნისტური პარტიის რიგებიდან. რაც გაკეთებით ადრე უნდა მომზადარიყო, მას ძლიერი მფარველი და პროტეჟე რომ არ ჰყოლოდა ჩვენი რედაქტორის სახით.

წულაძემ ლაფში ამოსვარა საბჭოთა ჟურნალისტის წმიდათაწმიდა სახელი.

დღეს ჩვენი რედაქცია, კომპრომეტირებულია მთელი საზოგადოების თვალში, ამიტომ ვიმეორებ: მე, როგორც კომუნისტს, არ შემიძლია პირუთვნელად არ ვთქვა, რომ მთელი პასუხისმგებლობა მოიზღარი ამბის გამო უნდა დაეკისროს ამხანაგ რამიშვილს...

რამიშვილმა თვითონ მოიყვანა წულაძე რედაქციაში, ყოველგვარი დამსახურების გარეშე, როგორც მისი მეგობარი, მფარველობდა მას უკანასკნელ დღემდე და თუ ატყობთ, ახლაც... სწორედ ჩვენი რედაქტორის ამ „აღმზრდელობითმა“ მუშაობამ ჩაგვყარა ჩვენ ყველანი ამ დღეში...

ვინ იყო, ბოლოს და ბოლოს, წულაძე?

ცუდი მეგობარი, თუმცა მე მისი მეგობარი არასდროს არ ყოფილვარ, ცუდი შვილი, ცუდი ძმა, ცუდი მამა, უნიჭო ლიტერატორი და, რაც მთავარია — მექრთამე...

მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი მისი რედაქციაში მიღებისა და ეს არ მოხდებოდა, მე რომ რედაქტორი ვყოფილიყავი... მე თავის დროზე განვაცხადე ცენტრალურ კომიტეტში და შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომ წულაძე ყოველგვარ პასუხისმგებლობას და კანონმეკრთამეა... ამიტომ მე ვიხსნი თავიდან ტეგორიულად მოვითხოვ, მთელი პასუხისმგებლობა ამხანაგ რამიშვილს დაეკისროს. — მოადგილემ შარვლის ჯიბიდან ქათქათა ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლით გაზეთილი შუბლი და ნიკაპი მოიწმინდა, ფრთხილად აიწია დაფთოფუბული შარვლის ტოტები, მუხლებთან რომ არ გამობერვოდა და ჩარხალივით სახეალეწილი დაჯდა.

ვიღრე იგი ლაპარაკობდა, ბაჩანას თვალწინ მთელმა მისმა სტუდენტობის ხანამ გაირბინა. ბაჩანას გაახსენდა, როგორ მეგობრობდნენ ის, მისი მოადგილე და წულაძე, როგორ გამოდიოდნენ ერთად უნივერსიტეტის სცენაზე, როგორ იკრიბებოდნენ უნივერსიტეტის კლუბში, როგორ იყოფდნენ უნივერსიტეტის სასადილო — „რესტორან ნაუკაში“ — უკანასკნელ ლუკმას, როგორ უტოვებდნენ ერთმანეთს პაპიროსის ნამწვავებს, როგორ დადიოდნენ ერთად ექსკურსიებზე უძოსა და შიომღვიმეში, როგორ უყვარდათ სამთავეს ერთი გოგო, როგორ მიადწიეს ყველაფერს იმის, რასაც დღეს მათი სახელი ეერქვა; ყველაფერი ეს გაახსენდა ბაჩანას და უცებ ტირილი მოენდა, ისე ხმამაღლა ტირილი, რომ ყველას გაეგონა, ყველას, ვისაც მათი ახალგაზრდობა ახსოვდა...

— კიდევ ვის სურს აზრის გამოთქმა? — იკითხა პარტკომმა.

— მე მაქვს შეკითხვა ამხანაგ გიგისთან! — ხელი ასწია ლიტმუშაკმა.

— რა შეკითხვა? — გაუკვირდა მოადგილეს.

— აი, შენ რომ ამბობ, ვიცოდი, წულაძე მექრთამე იყოვო, მაინც რამდენი წელია, რომ იცი?

— ხუთი. ექვსი! — დაუფიქრებლად უპასუხა მოადგილემ.

— მაშინ, ერთი წლის წინ რატომ მიეცი წულაძეს პარტიაში რეკომენდაცია?

მოადგილე გაფითრდა, მერე ნერვიულობისაგან გამშრალი ტუჩები აილოკა და ლიტმუშაკს მიუბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს რა შეკითხვაა? ჯერ ერთი, მე არ მახსოვს, ვის და როდის მივეცი რეკომენდაცია და მერეც მეორე, პარტიაში მისაღებ და უცხოეთში წასასვლელ რეკომენდაციებს ჩვენ, უმეტეს შემთხვევაში, ფორმალურად ვიძლევით...

— ბატონო გივი, ხუმრობთ თუ მართლა ამბობთ? — ჰკითხა განცვიფრებულმა ცეკას ინსტრუქტორმა.

— თქვენ რა, ყველა გახსოვთ, ვისაც რეკომენდაცია მიეცით? — შეუბრუნა კითხვა ინსტრუქტორს მოადგილემ.

— რა თქმა უნდა! — ხელები გაშალა ცეკას ინსტრუქტორმა

— მე მაქვს ერთი შეკითხვა, — თქვა პარტკომმა. — კარგი, რეკომენდაცია არ გახსოვს, როდის მიეცი, მაგრამ თუ იცოდი, რომ ყაჩაღი იყო, ერთი თვის წინ რატომ წაყევი მივლინებაში?

მოადგილე ისევ დაიბნა.

— მე არ შემიძლო, რედაქტორის ბრძანება არ შემესრულებინა! — ნახა გამოსავალი მოადგილემ.

— სად იყო მაშინ რედაქტორი, რედაქტორიც შენ თვითონ იყავი და მივლინებაც შენ თვითონ გამოწერე. რედაქტორი შვებულებაში იყო, — გაახსენა პარტკომმა.

— იმიტომ წავყევი, რომ ქრთამი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალიად მიმაჩნია... მე არ მინდა ამით როგორმე მევამსუბუქო პასუხისმგებლობა...

სწორად თქვა აქ ჩემმა მოადგილემ. მთელი პასუხისმგებლობა მე უნდა დამეკისროს და მე ვკისრულობ მას...

ბაჩანა დაჯდა და მდივანს წყალი სთხოვა...

...ტკივილი მარჯვენა მხრიდან დაეწყო, უცებ, გულის ფიცრისაკენ დაიძრა და მარცხენა ძუძუს ქვეშ გაჩერდა. მერე, თითქოს ვიღაცამ მკერდი გადაუხსნაო, შიგ დაკოჟრილი ხელი ჩაუყო და გული ყურძნის მტევანივით დაუწურა... ისე დაუწურა, სისხლის ნატამალი აღარ დატოვა შიგ და ასე დამშრალი და დაჭყლეტილი მიაგდო კუთხეში — გული გაჩერდა.

18

სულ უპატრონო არც მამა იორამი ღმერთნდა. ერთი მნახველი მასთანც მოვიდა. მათი საუბარი მოკლე, ბუნდოვანი და შემზარავი იყო.

— მამაო! — უთხრა მოკითხვის შემდეგ მნახველმა, — თქვენს მეგობრებს, რომლებმაც იმ ღამით სიკვდილს გადაგარჩინეს, ძალიან გაუხარდებოდათ, თუ თქვენ მათ გვარსა და სახელს დაიგონებდით!

მოსული ზურგით იჯდა ბაჩანასაკენ და იგი მისი სახის გამომეტყველებას ვერ ხედავდა, მაგრამ მამა იორამის სახის გამომეტყველების მიხედვით ხვდებოდა, რომ მოდელს თავზე მკვლელი და ავაზაკი ადგა.

— ჯვარი? — ჰკითხა მამა იორამმა.

— მისამართსაც, მამაო! — უპასუხა სანახევად მოსულმა.

— მისამართი, ალბათ, სასწრაფო დახმარებამ იცის, — თქვა გაფითრებულმა მამა იორამმა.

— სასწრაფო დახმარებამ თქვენ ქუჩაში იგიყვანათ, მამაო. სასწრაფოში კი ავტომატიდან დარეკეს.

— ესე იგი, ყველაფერი საათივით გაქვთ აწყობილი, არა? — ჰკითხა მდგდელმა.

—საათივით, მამაო! — დაუდასტურა მოსულმა.

— ჯვარი? — ისევ ჰკითხა მღვდელმა.

— არ ვიცი, მამაო, რომელ ჯვარზე ლაპარაკობთ.

— კი იცით! — თქვა მამა იორამმა.

— მე მხოლოდ ის ვიცი, რასაც გეუბნებით, — თქვა მოსულმა.

— ესე იგი, ქვეყანა ჩალით ყოფილა დახურული, არა? — მწარედ გაიღიმა მამა იორამმა.

— კრამიტით, მამაო, მარსელის კრამიტით! — გაუსწორა მოსულმა.

— თქვით, რამდენად იყიდეთ ჯვარი იმ არამზადისაგან! — მამა იორამს ხმა აუკანკალდა.

— გულახდილად რომ გითხრათ, მამაო, ეს თქვენნი აკვიატებული ჯვარი ჩემთვის სრულიად გაუგებარია. თუ ეს თქვენი ავადმყოფობის რაიმე სიმპტომია ან პერსეკვერაცია გახლავთ, მე ვერაფერს გიშველით და თუ რამე ჯვარი გჭირდებათ ან ჯვრის გაყიდვა გნებავთ და პირდაპირ თქმას ვერ ბედავთ, მითხარით და დაგეხმარებით. ნუ მომერიდებით, ჩვენ ფულს არასდროს არ ვითელით. — მშვიდად უპასუხა მოსულმა.

— ვინ თქვენ? — ჰკითხა დაბნეულმა მღვდელმა.

— ჩვენ! — მოკლედ უპასუხა მოსულმა.

— თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით?

— მოციქული ვარ, მამაო, მოციქული...

— მე არ მსურს თქვენთან საუბარი.

— არც მე, მამაო!

— მაშინ, ნახვამდის, — თქვა მამა იორამმა და მოსულს თვალი აარიდა.

— ჩვენი ხელმეორედ შეხვედრა არ ივარგებს, მამაო, იძულებული ვარ, დაგემშვიდობოთ, — თქვა მოსულმა და ფეხზე წამოდგა.

— მაშინებთ?! — ჰკითხა მღვდელმა და ხმაზე შეეტყო, რომ უკვე შეშინებული იყო.

— გაფრთხილებთ, მამაო!

ბაჩანა მთელი ამ მისთვის თავიდან

ბოლომდე გაუგებარი საუბრის განმავლობაში დუმდა, მაგრამ მოსულის ბოლო სიტყვებმა სასტიკად გააღიზიანა და თავი ვეღარ შეიკავა.

— ახალგაზრდავ, ერთი აქეთ გამოიხედეთ! — სთხოვა მან მოსულს.

ბაჩანას მისი სახის დამახსოვრება უფრო აინტერესებდა ამ წუთში, ვიდრე მასთან საუბარი. მოსული ძალიან მძიმედ შემობრუნდა ბაჩანასკენ.

— ბატონო? — იკითხა მან საშინლად გამაღიზიანებელი ტონითა და მოგონილი თავაზიანობით.

ბაჩანა განცვიფრებული მიაშტერდა მოსულს. მას სახე არ გააჩნდა. არც ერთი ნაკვთი, არც ერთი ნაოჭი, არავითარი ფერი, არავითარი გამომეტყველება. მოსული უსახო იყო. თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე ჰქონდა: თვალი, ყური, ცხვირი, ტუჩი, ნიკაპი და მაინც უსახო იყო. აბსოლუტურად უსახო. ბაჩანა ისე შეეძრწუნა ამ უსახო სახეს, რომ ხმის ამოღება ვერ მოახერხა. ბაჩანა მიხვედა, რომ ასეთი ადამიანების დამახსოვრება შეუძლებელია, ისინი თავად მოგნახავენ, თუ ოდესმე საჭირო შეიქნა.

ბაჩანამ თვალები დახუჭა და ახლა ისე სცადა მის წინ უზარმაზარი კითხვისნიშანივით დარჭობილი კაცის დამახსოვრება და როდესაც არაფერი გამოუვიდა, კვლავ გაახილა თვალი, მაგრამ უსახო კაცი პალატაში აღარ იყო.

— ვინ იყო, ბატონო იორამ, ეს კაცი ადამიანის სახე რომ არ ჰქონდა და ადამიანს რომ ჰგავდა? — ჰკითხა ბაჩანამ ენაჩავარდნილ მეცდელს.

— სატანა! — ძალიან დიდი ხნის შემდეგ უპასუხა მეცდელმა და კედლისკენ გადაბრუნდა.

●

მამა იორამისთვის ეს ინფარქტი რიგით მეორე იყო. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს პირველი ინფარქტი მას „დეკამერონის“ ხოლო მეორე ბალთასარ კოსას ბიოგრაფიის კითხვის დროს დაემართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა იორამი მისთვის სრულიად მოულოდნელი შემთხვევის მსხვერპლი გახდა.

1970 წელს საფრანგეთში, კერძოდ, პარიზში, 90 წლის ასაკში გარდაიცვალა ემიგრაციაში მყოფი თავადი საურმაგ ამირეჯიბი. იგი თავის ანდერძში ითხოვდა, რათა მისი ნეშტი საქართველოში წაესვენებინათ. ორთაბალის ეკლესიაში მისთვის პარაკლისი გადაეხადათ, ხოლო მისი ზურმუხტის პატიოსანი თვლებით გაწყობილი ოქროს ჯვარი, რომელიც სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე გულზე ეკიდა, იმავე ეკლესიის ღვთისმშობლის ხატისათვის შეეწირათ.

საურმაგ ამირეჯიბის შვილთაშვილმა ქეთევან ანდრონიკაშვილმა-ძიროლუბსკაიამ შეესრულა ნოსტალგირებული დიდი პაპას ანდერძი. თბილისში ჩამოასვენა, პარაკლისი გადაუხადა. საქართველოს მიწას მიაბარა კუკიის სასაფლაოზე მისი ნეშტი, ხოლო ზურმუხტის ჯვარი მამა იორამს გადასცა ანდერძისა და სათანადო ანოტაციის თანხლებით.

ჯვრის ანოტაციაში, გარდა მისი აღწერილობისა და ფასისა, საოცარი რამ ეწერა, კერძოდ ის, რომ:

ჯვარი იგი, ვახტანგ გორგასალის დასის, მირანდუხტის საკუთრებას წარმოადგენს და რომ 16 წლის გორგასალმა, როდესაც ალანეთი და ხაზარეთი დალაშქრა, ტყვეობიდან იხსნა თავისი დაი მირანდუხტი, კვლავ შეუყენა ქრისტეს რჯულს თავად დაჰკიდა მაშინ ეს ჯვარი გულზე დას.

არავინ იცის, რაზედნად შეეფერებოდა ეს ამბავი სინამდვილეს ან საიდან იქცა იგი ამირეჯიბთა საგვარეულო რელიკვიად, ყოველ შემთხვევაში, ჯვარი უძვირფასესი განძი იყო ორთაბალის სამების ლატაკი ეკლესიისათვის და ამიტომ მამა იორამმა იგი, როგორც ღვთის განუზომელი წყალობა, ისე მიიღო.

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

ჯვარძა სხელი და მრეკლი გაუმრავალი ეკლესიას.

იმ დღიდან, ყოველ წელს, მარიამობას, თერთო ხავერდის უსპეტაკეს ბალიშზე დასვენებული ზურმუხტის ჯვარი მამა იორამს სასრებით გამოჰქონდა სეიფიდან და ღვთისმშობლის ხატის წინ დებდა.

მლოცველები მუხლმოყრილნი მიდიოდნენ ჯვართან და ათრთოლებული ტუჩებით ეხებოდნენ მეხუთე საუკუნის სკვარამიდან ულამაზესი მწვანე თვალებით მზიანალ საოცრებას. მამა იორამი და მისი დიაკვანი აბელ არჯევანიძე კი მთელი ამ ცერემონიალის დროს გაფაციცებით აღევნებდნენ თვალყურს მლოცველებს, რათა რელიგიურ ექსტაზში შესული რომელიმე მლოცველის მრუდე ხელს ზედმეტი მორწმუნეობისა და გულმოდგინების გამო, თან არ გაპყოლოდა საფრანგეთის ისტორიულ სიძველეთა შემსწავლელი და შემფასებელი ექსპერტის მიერ 250.000 დოლარად შეფასებული ეს ზურმუხტის რელიქვია.

ასე ვრძელდებოდა 1973 წლის მარიამობამდე.

ერთი წლით ადრე, მარიამობის მეორე კვირას, როდესაც მამა იორამი თავის სენაკში იჯდა და თვალზე ცრემლმომდგარი მეასედ კითხულობდა მშვენიერი ოსებისა და ძმათა მისთა თავგადასავალს, სენაკის კარი დიაკვანმა აბელ არჯევანიძემ შემოაღო და თვალებდაღლმებულმა რატომღაც რუსულად მიმართა მამა იორამს.

— Привет Иорамчик! — მერე მხარზე ხელი დაჰკრა იორამს, დაასლაკინა და ყოველგვარი გამოცხადების გარეშე ჭკუიდან გადასული მღვდლის წინაშე სტრიპტიზი დაიწყო. ჯერ ჩაჩი ძოიხადა არჯევანიძემ და ქვის იატაკზე დაანარცხა, მერე სტიქარი მიაყოლა, სულ ბოლოს უზარმაზარი ვერცხლის ჯვარი მოიგლიჯა გულიდან. მამა იორამს კალთაში ჩაუგდო და მეფისტოფელივით გადაიხარხარა.

— განვედ ჩემგან, სატანავ! — თქვა ჩურჩულით შეშინებულმა მამა იორამმა და დიაკვანს მიაფურთხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლავე, — დაპპირდა არჯევანიძე და ვიდრე მღვდელი პირჯვარს ისახავდა, მთელი საქრისტიანო ანათემას ვადასცა:

— წყეული იყავი შენც, მღვდელო, შენი მამაც, შენი ძეც, შენი სულიწმიდაც და ეს თქვენი ბალავარდამპალი ეკლესიაც. მიჩუქნია თქვენთვის ეს ჩემი მყრალი სული! — არჯევანიძემ რაც შეეძლო, ღრმად ჩაისუნთქა და მერე შუბლითი ამოუშვა ფილტვებიდან ჰაერი. სენაკი ხინკლისა და ნარინჯოვანი არყის გულისამრევი სუნით აივსო. — — ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, ვნახოთ ერთი, რაში გამოიყენებთ. მივდივარ მე ახლა თქვენგან და გიტოვებთ ამ ყავთის ჩიხა-ახალუხს, — მან ჯერ დაადფურთხა ჩაჩსა და სტიქარს, მერე წიხლი ამოჰკრა და ჰაერში ააფრიალა.

— ეს ოროიანი ჯვარი კი შენ ჩამოიკიდე, მამამ იორამ, და იქა შედი მტკვარში, რამდენ კენჭია ფსკერზე, იმის დათვლაში მოგეხმარება...

— გონს მოდი, ბრიყვო, ღმერთმა არ გაგიგონოს და არ დაგამუნჯოს! — სცადა მღვდელმა გადეღებული დიაკვნის გაჩერება.

— ოცი წელიწადია არ ეყურება ჩემი და რაღა დღეს გამოიფხიკავს ყურებს. ყრუა, მამამ, შენი ღმერთი, ყრუ! რომ დამჯდარა სადღაც ღრუბლებში და იბრიქება ზევიდან, ის ურჩევნია, ჩამოვიდეს და პროფესორ ხიჩინაშვილს ეჩვენოს, იქნებ დააყენოს საშველი... შენც გირჩევ, მამამ, გიახადე ეს ანაფორა და ხორცს მისედე, ხორცს... მივდივარ ახლა მე, სესხი არ მაქვს თქვენი და ვალი, სული ვინდათ ჩემი? მიირთვით, ბატონო... — არჯევანიძემ ისევ ამოუშვა ფილტვებიდან ჰაერი შხუილით — ხორცი კი ჩემია, ჩემი და თან მიმაქვს, არავედერჩი!

დიაკვანმა ხელი დაუქნია მღვდელს, ჰაერონვანი კოცნა გაუგზავნა, მერე რიგრიგობით ყველა ხატსა და ფრესკას სიცხისაგან გაწითლებული და არყისაგან

გაბიკვინებული ენა გამოუყო, ჯიბეებში ჩაიწყო ხელი და არხეინი ღიღინით გამოვიდა ეკლესიიდან.

— ანშტანინზე მეტი ჭკუა ჰქონიაა.

ვისაც რომ ღვინო მაუგონიიაა!

მამა იორამი გულშეუხებელი იპოვეს. საკუთარ სენაკში, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ინფარქტი. მისმა კაეიენი გულმა ამჯერად გაუძლო ელდას, ეს ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ შოკი იყო.

ინფარქტი ცოტა მოგვიანებით ესტუმრა მამა იორამს. კერძოდ, 1973 წლის მარიამობის დღესასწაულის წინაღამით, როდესაც სასოებით გახსნა ეკლესიის სეიფი და ხავერდის ქათქათა თეთრ ბალიშზე მირონდურნისეული ზურმუხტის ჯვრის ნაცვლად, წითელი ბოლოკი დახვდა. ცხადია, მამა იორამს ეს ღვთის მიერ ჩაღენილ მორიგ სასწაულად არ ჩაუთვლია, ამიტომ იგი კელავ იპოვეს სეიფის წინ ქვის იატაკზე გაშხლართული, ოღონდ არა გულშეღონებული, არამედ ინფარქტით გულგაგლეჯილი.

●

პირველ ინფარქტს, რასაკვირველია, ნადიაკვნარი არჯევანიძის დაპატიმრება მოჰყვა თან, მაგრამ საქმე სასამართლომდე არ მისულა. ყველაფერი მამა იორამისა და აბელ არჯევანიძის დაპირისპირებისთანავე დამთავრდა:

საავადმყოფოდან გამოწერის ერთი კვირის თავზე გამოძიებელმა თავვადახოტრტილი ნადიაკვნარი ერთი მილიციელის თანხლებით სახლში მოუყვანა მღვდელს. მილიციელს უბრძანა, გარეთ მოეცადა, ეშვმიტანილი საწოლის წინ დაუსვა მღვდელს, თვითონ საწერ მაგიდას მიუჯდა და დაპირისპირება-დაკითხვის ოქმის შედგენას შეუდგა:

— ამხანაგო კანდელაკო, რაზე დასაზუსტებელი საკითხი ან შეკითხვა ხომ არ გაქვთ ეშვმიტანილ არჯევანიძის მიმართ? — ჰკითხა მან მღვდელს და კალამი მოიმარჯვა.

მამა იორამს ნიკაპი აუკანკალდა და თვალები ცრემლით აევსო.

— სატანის კერძო და ქრისტეს ძალას მტკვერელო, თქვი, ვის მიჰყიდე ზურმუხტის ჯვარი?! — ჰკითხა მამა იორამმა აბელს.

— პატივცემულო გამომძიებელო, რაც ახლა მაგან ჩვენს ენაზე მითხრა, თქვენს ენაზე დედის სულის გინებაზე უარესია, ამიტომ გთხოვთ პიროვნების შეურაცხყოფისა და საზოგადოებაში უმჯობესი სტატუსის ხმარებისათვის წვრილმანი ხულიგნობის მუხლი მიუყენოთ და თხუთმეტი ღღის პატიმრობა მიუსაჯოთ ამ კოშენისტური იდეოლოგიის ძირგამომთხრელს! — დაავალა გამომძიებელს შეურაცხყოფილმა ნადიაკვნარმა.

— არჯევანიძე, მოწმე თუ გყავთ, რომ ის ჯვარი თქვენ არ მოგიპარავთ? — არ ითხოვა ყური გამომძიებელმა.

— ღმერთია მოწმე! — წამოიძახა არჯევანიძემ და ცაღ ალაპარო ხელები.

— არ ახსენო ღმერთის სახელი, შეუბინდურო! — იმღალა მღვდელმა და ვალიდიდი ამოიღო ენის ქვეშ.

— თავს ნუ იგდებთ, არჯევანიძე, ღმერთის მოწმედ გამოძახების საშუალება ჩვენ არ გვაქვს, ვინმე ცოცხალი კაცი დაასახელეთ, — გაუჯავრდა გამომძიებელი.

— მღვდელი იორამ კანდელაკი! — თქვა ნადიაკვნარმა.

— მეე?! — გაკვირვებისაგან თვალები შუბლზე ეუვიდა მღვდელს.

— თქვენ, მამაო! — ირონიულად უპასუხა არჯევანიძემ.

მამა იორამს ნადიაკვნარის თავხედობისაგან თმები ყალყზე დაუდგა.

— ჰკითხეთ ერთი, პატივცემულო გამომძიებელო, მაგ ბრიყვსა და ცილისმწამებელს, მე რომ მაგას და ეკლესიას მივიფურთხე, რამდენი ხნის შემდეგ დაიკარგა ჯვარი?

გამომძიებელი მღვდელს მიუბრუნდა.

— როდის შეამჩნიეთ, ამხანაგო კანდელაკო, ეკლესიის სეიფის გაძარცვა?

ნოდარ ლეჟავა
მარადიზმის კანონი

— დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, რაც ამ ნაძირალას მძორში სატანა ჩასახლდა, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს. ჯვრის მოპარვა მაგას მანამდეც შეეძლო.

— ახლა ის ჭკითხეთ, პატივცემულო, — ჩაერია ლაპარაკში არკვევანიძე — სად ინახავს სეიფის გასაღებს?

— სად ინახავთ, ამხანაგო კანდელაკო, სეიფის გასაღებს? — ჭკითხა გამომძიებელმა.

მამა იორამმა მკერდზე დაიდო ხელი და ყელზე ჩამოკიდებული გასაღები მოსინჯა.

— აი, აქ! — თქვა მან, უბეში ხელი ჩაიყო, გასაღები ამოიღო და ხელისგულზე დაიდო.

გამომძიებელს არც კი გაუხედავს გასაღებისაკენ, ისე ჩაწერა ოქმში.

„ყელზე აქვს ჩამოკიდებული.“

— ახლა ის მითხარით, სეიფი გატეხილი დაგხვდათ თუ გაღებული?

— დაკეტილი! — უპასუხა მღვდელმა.

— ესე იგი, თქვენით გაღეთ?

— ჩემით!

— გითხოვებიათ თუ არა ოდესმე არკვევანძისათვის სეიფის გასაღები?

— არასდროს! — თქვა მამა იორამმა და უცებ მიხვდა, რომ ყველაფერი დამთავრებულია.

— ფიქრობთ თუ არა, რას ლაპარაკობთ, მამაო. იქნებ ცუდად გრძნობთ თავს, იქნებ შეეწყვიტოთ და სხვა დროისათვის გადაედოთ დაპირისპირება, — შეეცოდა მღვდელი გამომძიებელს.

— არავითარ შემთხვევაში! — წამოხტა ნადიაკვნარი.

— მაშინ ის მაინც მითხარით, განშორებახართ თუ არა ოღესმე სეიფის გასაღებს?

მამა იორამი დუმდა ისე, როგორც სამარე, რადგან სეიფის გასაღებს იგი ამბანოშიც კი არ იშორებდა ყელიდან.

— იქნებ სიმთვრალეში მოგეპარათ ვინმე და გასაღების ყალიბის გადაღება მოახერხა?

მამა იორამმა ვერ გაიხსენა ასეთი შემთხვევა, თუმცა არ მიაჩნდა ეს კითხვა საფუძველმოკლებულად. მაგრამ ვერ იკადრა, რაც არ იცოდა იმის თქმა და თავი გიჟნია უარყოფის ნიშნად.

— თქვი, ვის და რამდენად მიჰყიდე წმინდა ჯვარი, იუდავ, თუ სულ არ დაგიკარგავს ადამიანის სახე და პირუტყვად არ ქცეულხარ! — უკანასკნელად სცადა მღვდელმა ნადიაკვნარის გონს მოგება.

— პირუტყვის ხმა მესმის! — ნიშნის მოგებით უპასუხა არკვევანიძემ.

— რა ახსხრებით აიშენე სახლი გლდანში, როცა მე ეკლესიისათვის ორი კრამიტი ვერ გამომიცვლია.

— ის ჩემი სიმამრის სახლი გახლავთ, ბატონო და, რაც შეეხება ეკლესიას, თქვენისთანა ყაჩაღის ხელში, რაც აქვს, ის კრამიტიც რომ შერჩა, ისიც გასაკვირია!

მღვდელი გალურჯდა, გამომძიებელი შეშინდა და ნადიაკვნარს მიუბრუნდა:

— ეშვიტანილო არკვევანიძე, ეიდეე ერთი მაგისდაგვარი რეპლიკა და... — გამომძიებელი დფიქრდა, რა შეეძლო იმის მეტი გაეკეთებია პატიმრისათვის, რაც სჯირდა და ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა, თითი დაუქნია.

— თქვენ თვითონ ხომ შეამოწმეთ იმ სახლის საბუთები, პატივცემულო გამომძიებელო? — ჭკითხა ნადიაკვნარმა. გამომძიებელმა უხალისოდ დაუქნია თავი, — აბა რაღას მემუქრებით, იმის მაგიერად, რომ პატიოსანი კაცის ინტერესები დაიცვათ, ეკლესიას ექომაგებით? — გამომძიებელი დაიბნა.

— მანქანა? — ჭკითხა იორამმა, ფერი რომ დაუბრუნდა.

— ამხანაგო კანდელაკო, გამოძიებამ ყველაფერი დაწვრილებით შეისწავლა, თქვენ საქმის გარშემო ჭკითხეთ არკვევანიძეს რამე თუ გაინტერესებთ! — მიუბრუნდა მღვდელს გამომძიებელი.

— ეს საქმეს არ ეხება? — იკითხა დაღონებულმა მოძღვარმა.

— გამოძიება ჯვრის გარშემო მიმდინარეობს და აქ მანქანა არაფერ შუაშია, მით უმეტეს, რომ იგი ეშვიტანილის ცოლისაძმის საკუთრებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა იორამმა სინანულით დაიქნია თავი.

— ეღარ მაქვს შეკითხვები, ბატონო გამომძიებელო. — თქვა მამა იორამმა და ახალი ცალიდოლი ამოიღო ენის ქვეშ.

— თქვენ ხომ არ გაქვთ რამე შეკითხვა ამხანაგ კანდელაკის მიმართ? — ახლა არჯევანიძეს მიუბრუნდა გამომძიებელი.

— შეკითხვა მაქვს კი არა, დღევანდელი დაპირისპირების შემდეგ, მე როგორც ათეისტთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, რომლის სურათიც, როგორც ქრისტეს მოძღვრების ნებაყოფლობით დამგმობისა, ჩვენი ორგანიზაციის საღარაბაზო შესასვლელის მარჯვენა კუთხეში წოთელ დაფაზეა გაკრული, კატეგორიულად მოვითხოვ, რათა მდგადელი კანდელაკი, ეს ცრურმორწმუნეობისა და ბნელეთის წვერკანცარა მოციქული, გაუთანაბრ ცილისწამებისათვის დაუყოვნებლივ იქნას მიცემული პასუხისგებაში და სასტიკად დაისაჯოს. მე კი, როგორც განუკითხობის და ცილისწამების უმწიკვლო მსხვერპლი, აგრეთვე დაუყოვნებლივ ვიქნე განთავისუფლებული პირდაპირ აქედან და ჩემი დანაკარგი, ანუ გაცდენილი დღეების საფასურის ანაზღაურება, ბოროტმოქმედ კანდელაკს დაეკისროს! — არჯევანიძემ პირზე მომდგარი ქაფი სახელოთი მოიწმინდა და დაჯდა.

— ამას თქვენ არავინ არ გეკითხებათ, ვის როგორ მოექცეთ და რას დაკისრებს სახელმწიფო, ეს მართლმსაჯულების საქმეა. თქვენ შეკითხვა მიეცით, თუ გაქვთ, ამხანაგ კანდელაკს!

— კარგი, ბატონო! — ხელები ასწია მაღლა ნადიაკვნარმა და კვლავ ფეხზე წამოდგა, — მაშინ ადგეს და თქვის ამ ღვთის პირიდან გადავარდნილმა, თუ ჯერ კიდევ სწამს ღმერთი, რა უყო ქართველი ხალხის საკუთრება, უნიკალური რელიქვია, მირანდუხტის ზურმუხტის ჯვარი?! — თქვა პათეტიკურად არჯევანიძემ და დაჯდა.

გამომძიებელი მამა იორამს მიუბრუნდა, მაგრამ მისი სახე რომ დაინახა, ალარაფერი ჰკითხა, მხოლოდ კიბეზე სავსე თვალები მიაპყრო.

მამა იორამს უცებ თავისი ყრმობა გაახსენდა — სტადიონზე მიმავალს, დეზერტირის ბაზრათან ათ ნომერ ტრამვაიში როგორ ჩაუყო ხელი ჯიბგირმა ჯიბეში, როგორ დაიჭირა იორამმა იგი და ვიდრე რამეს მოისაზრებდა, როგორ დაასწრო ჯიბგირმა, როგორ გაიწია სილა და როგორ უთხრა ხმამაღლა მგზავრების გასაგონად:

— არც კი გრცხვენიათ, ახალგაზრდავ, ვინმემ რომ შეგხედოთ, კეთილშობილი ყმაწვილი ეგონებით და თქვენ ჯიბეში მიძვრებით?! არადა, ვინ იცის, როგორი წესიერი ოჯახიდან ხართ გამოსული!

იორამს გაახსენდა, როგორ შემოტრიალდა მისკენ მთელი ვაგონი. ისიც გაახსენდა იორამს, როგორ ჩამოხტა ტრამვაიდან. შერცხვენილი და თავლაფდასხმული. გაახსენდა ეს ყოველივე მამა იორამს და ის ლოყა აეწვა, ყმაწვილკაცობის დროს შერცხვენილი ლოყა, და თვალები ცრემლით აევსო.

— რას იტყვით? — ჰკითხა გამომძიებელმა, პასუხი რომ დაუგვიანდა.

მამა იორამი უხმოდ წამოდგა ლოგინიდან, მეორე ოთახში გაიდა ფეხშიშველი და ნიფხავ-პერანგის ამარა. კედლიდან პაპამისის ნაქონი ორარშინიანი სატევარი ჩამოიღო, პირკვარი გამოისახა, ქარქაშიდან ამოაძრო, ორთავე ხელი მაგრად ჩასჭიდა ვადაში, მარცხა ბრმართა და გიჟივით გავარდა იმ ოთახში, სადაც ნადიაკვნარი და გამომძიებელი ისხდნენ.

— მოკვდი, სატანავ! — ყიჟინა მან და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაქანცა სატევარი. ნადიაკვნარი გვერდზე გადავარდა. სატევარმა შუბლითან გააპო ჰაერი. სკამი, რომელზეც წამის წინ არჯევანიძე იჯდა, შუაზე გადაიხსნა

ნოდარ ლეშგაძე
მარადიოსტის ანონი

ყველივით და ხმაურით გადაკარდა აქეთ-იქით.

მღვდელს სატევარი მეორედ აღარ დაუქნევია.

— წადით! — თქვა მან შემზარავი ხმით. მერე მუხლმოკვეთილი დაეშვა იატაკზე და ბავშვივით ატირდა...

... და გამომძიებელი მიხვდა, რომ ახლა დაპირისპირება-დაკითხვის ოქმზე ხელის მოწერის დრო არ იყო, იგი ან უნდა წასულიყო სასწრაფოდ, ან ამ ხატებით გაჭედილ წმინდა ოთახში აღამიანის სისხლი დაიღვრებოდა. მიხვდა ამას გამომძიებელი და ეუმტანილთან ერთად სასწრაფოდ დატოვა ორთაჭალის სამების გაძარცვული ეკლესიის მწყემსის ბინა,

●

მეორე ინფარქტი. რომლის გამოც იგი ახლა ბაჩანას გვერდით იწვა, მამა იორამს ზუსტად ორი თვის წინ დაემართა, ერთ დიდად სახელგანთქმული კაცის ოჯახში, როდესაც იგი ამ სახელგანთქმული კაცის გარდაცვლილი სიმამრის სულის საცხონებლად და წესის ასაგებად მიიწვიეს ღამის პირველ საათზე, არალეგალურად.

ინფარქტმა მიცვალებულის სარეცელთან მისვლაც კი არ აცალა მღვდელს, მას გული სწორედ მაშინ გაუჩერდა, როდესაც კარი გაუღეს და ჭიპამდე დეკოლტირებული დიასახლისის ყელზე ვახტანგ გორგასალის დაის, მირანდუხტის ზურმუხტით გაწყობილი ოქროს ჯვარი დაინახა...

როდესაც თვალი გაახილა მამა იორამმა, მირანდუხტისეული ზურმუხტის ჯვრის ნაცვლად სასწრაფო დახმარების ექთნის თეთრ ყუთზე გამოსახული უზარმაზარი წითელი ჯვარი შერჩა ხელში, და ვიდრე საავადმყოფოში მიაგზავლებდნენ, საკმევლის სასიამოვნო სუნის ნაცვლად, ნიშადურისა და ქაფურის შემზარავი სუნი ახრჩობდა.

პირველი ინფარქტის მწარე გამოცდილების შემდეგ თავისი მეორე ინფარქტის მიზეზი მამა იორამს არ გაუგია. როგორც მორწმუნე კაცმა, მან ზეცისგან შეაქცია მართლმსაჯულებას და მოიმენებითა მისითა, სულითა და ხორცით მიენდო უზენაესის განაჩენს. მას სჯეროდა, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავდა და ადრე თუ გვიან ღმერთი თავად მოჰკითხავდა ცოდვილს თავის მოსაკითხავს.

ერთი რამ ჰკლავდა და აწვალებდა მხოლოდ მამა იორამს. რატომ მაინცდამაინც იგი და არა სხვა გიამეტა ასე უმოწყალოდ ღმერთმა და რატომ მიუჩინა ასეთი მძიმე სატანჯველი და გამოცდა.

●

ბაჩანა განცვიფრებული აკვირდებოდა მამა იორამს. უსახო კაცის გამოჩენის შემდეგ იგი საოცრად გამოიცვალა, თითქმის დამუნჯდა. შიში იყო ეს, აპათია, მელანქოლია თუ სხვა რამ, ამაში ბაჩანა კი არა, თავად მღვდელი ვერ გარკვეულიყო წესიერად. ერთი რამ კი მოხდა სასწაულისმაგვარი. მამა იორამს მართლა დაავიწყდა იმ ოჯახის მისამართიცა, მის ბინადართა სახელებიცა და გვარიც. ისე დაავიწყდა, თითქოს მის გონებაში ის იდგილი, სადაც ეს ამბავი იყო მოკალთებული, იმ უსახო კაცმა დიდი კოვზით ამოფხიკა და მის ადგილას აბსოლუტური სიცარიელე დასტოვა.

თავისი ავადმყოფობის ნამდვილი ისტორია, რომელიც აღსარებას უფრო ჰგავდა, მამა იორამმა საავადმყოფოდან გაწერის ერთი კვირით ადრე მოუყვა ბაჩანას. რა ღონე არ იხმარა ბაჩანამ. რამდენი არ ეხვეწა, რა ნამუსზე არ შეაგდო მღვდელი, მაგრამ ვერა და ვერ ათქმევინა იმ კაცის გვარი და სახელი, სადაც ზურმუხტის ჯვარი ნახა.

დაავიწყდა მამა იორამს იმ ოჯახის გვარიცა და სამყოფელიც... დაავიწყდა და მორჩა.

თბილისში გრიპის საშინელი ეპიდემია ბობოქრობდა. საავადმყოფოში ოცდღიანი კარანტინი გამოაცხადეს. პროფესორის ბრძანებით უცხო მნახველებს კი არა, ახლო ნათესავებსაც აუკრძალეს ავადმყოფებთან შესვლა.

დოლბანდით ცხვრიპირაკრული საავადმყოფოს თანამშრომლები, მოჩვენებებივით დაბორიალებდნენ დერეფნებსა და პალატებში. თვითონ პროფესორიც დოლბანდაკორული დადიოდა და ღღეში სამჯერ ამოწმებდა პალატებს.

საავადმყოფო მნახველთა აურაცხელი ჯარით ალყადარტყმულ ციხე-სიმაგრეს დაემსგავსა. ჩიტი რომ ჩიტია, ისიც ვერ ახერხებდა შიგ შეფრენას.

ბაჩანას გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც პალატის კარი გაიღო და შიგ ყურებამდე გალიმებული, მისი სიყმის მეგობარი, ვახტანგ ამბოკაძე შემოვიდა.

— ვახო! — წამოიწია საწოლზე განცვიფრებული ბაჩანა.

— ჰარიფების პრეზიდენტს, ბაჩოს გაუმარჯოს! — თქვა ამბოკაძემ, საერთო მაგიდაზე რაღაც შეფუთული დადო, ბაჩანასთან მივიდა, მხრებზე უზარმაზარი ტორები დაადო და ლოგინზე დაეწვინა ფრთხილად. — არ გაინძრე, პროფესორმა თქვა, მაგის ბევრი მოძრაობა არ შეიძლებაო. თქვენც გაგიმარჯოთ, ბატონო! — მიუბრუნდა იგი საწოლზე ტანსაცმელით წამოწოლილ მღვდელს.

— იცოცხლეთ, ბატონო! — მიესალმა მღვდელი.

— როგორ შემოხვედი, ბიჭო? — ბაჩანა თვალებს არ უჯერებდა.

— შე კაცო, სახელმწიფო ბანკში შედიან და მაყუთი გამოაქვთ, შენთან შემოსვლას რა უნდა? — გაეცინა ამბოკაძეს.

— მაინც საიდან, ვახო, ამბოკაძემ მღვდელს გახედა. — გაიცანი, ეს ჩემი პალატის მეგობარი, ორთაჭალის სამების ეკლესიის მოძღვარი, ბატონი იორამ კანდელაკი გახლავს, გააცნო მღვდელი ბაჩანამ.

— ვა, მღვდლებსაც ემართებათ ინფარკტი? რასაც მაგათ ღმერთი თავზე ხელს უსვამს, რატომ ორი გული არ აქვთ! — გაეცინა ამბოკაძეს და ლოგინზე წამომჯდარ მღვდელს ხელი ჩამოართვა.

— ვახტანგ ამბოკაძე! — თქვა მან.

— ძალიან სასიამოვნო! — გამოეხმაურა მოძღვარი.

— დაჯექი და მოყევი საიდან, როგორ ან ჩემი თავი რამ გაგახსენა... — ამბოკაძემ სკამი ბაჩანას საწოლთან მოშორებით დაიდგა, დაჯდა, ბაჩანას უყურა, უყურა, თავი გადაიქნია და დაიწყო:

— მოკალეო, ჩამოვედი თუ არა, უბნის ბიჭებმა მითხრეს, ქსიავი მიაქსო...

— რაო? — ჰკითხა ბაჩანამ.

— კვდებაო! — აუხსნა ამბოკაძემ. — მე ვთქვი, როგორ თუ კვდება-მეთქი! აი, ეგრეო, აფშირნი ინფარკტი დაირტყა, გულზე ხელები დაიკრიფა და კვდებაო. მე ვთქვი, მიჭკარამთ, ეგ ისეთი თუქსესია, საიფანდრობს, ჩემს უნახავად არ მოკვდება-მეთქი და წამოვედი. მალხაზამ წამომიყვანა. გარეთა დგას, არ უშვებენ.

— შენ როგორღა შემოგიშვეს?

— პირდაპირ პროფესორთან მივედი. ეეუბნები, პატივცემულო პროფესორო, ბაჩანა რამიშვილი უნდა მაჩვენოთ, თხუთმეტი წელია არ მინახავს-მეთქი! — შენ ვინა ხარო, მკითხა. მე ვუთხარი, არავინაც არა ვარ-მეთქი. — თუ არავინაც არა ხარ, მიდიო. ავდექი და მოვედი. კაცი ეგ ყოფილა. ეგეთი გამგებიანი პროფესორი ჯერ არ შემხვედრია...

— შენ კიდევ რამეს ეტყოდი, — დაეჭვდა ბაჩანა.

— ობოლი ვარ-მეთქი და ჩემი კვერი რომ გამოცხვება, ცოტას მოგიტე-

---

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

ხავ-მეოქი, დაკბილდი, — ბაჩანას გულიანად გაეცინა.

— თითარი ხარ!

— ვიცი, რომ თითარი ვარ. — ეხლა ის მითხარი, გული როგორა გაქვს, ხომ ალარ კვდები?

— მგონი, გამოკეკერი, ვახო...

— ერთად გამოვმძღვალეთ და ეგ არის, ეხლა ყური მიგდე, პროფესორმა სულ სამი წუთი მომცა სროკი. ეი ეს წამლები... ამბოკაძემ შეფუთული აღერო მაგიდიდან.

— მოიცა, თუ ძმა ხარ, რა დროს წამლებია, — სიტყვა გაგწყვეტინა ბაჩანამ. — სამ წუთს მე გაძლევ, ჩემი ფონტიდან, დაკეტე და მოყევი, სად იყავი, რას აკეთებდი, რამდენი ხნით ჩამოდი, რას ამბობ, ჩემი ლახმარება ხომ არ გინდა?..

— რა უნდა მინდოდეს. ბიჭო, შენი ჯანმრთელობა და სიცოცხლე მინდა. მეტი არაფერი. ვახო ამბოკაძის დამსმარე კაცი ჯერ არ დაბადებული დუნიაზე...

— კარგი, ისე დაკეტე მაინც, ცოტა გოყერო მინდა. კაცი არა ხარ? — თქვა ბაჩანამ.

— იცოდე პროფესორი, რომ მოვა, შენ ელაპარაკები, — გაიფრთხილა ამბოკაძემ.

— მიდი, პროფესორს მე ველაპარაკები. — დათანხმდა ბაჩანა.

— ... ის საქმე გახსოვს შენ... — ამბოკაძემ ისევ გახედა მღვდელს ირიბად.

— მიდი, მიდი, ჩვენია! — გაეცინა ბაჩანამ.

— ესე იგი, რაც ის საქმე გახსოვს, ლოტკინზი რომ გვარაბი გავიყვანე...

ბაჩანამ თავი დაუქნია.

— რა ადგილას? — ჰკითხა გაკვირვებულმა მღვდელმა, რადგან თბილისში იყო გაზრდილი და ასეთი გვარაბი არ გაეგონა ადრე.

— თქვენი ეკლესიიდან არა ჩანს, მამაო, — აუხსნა ამბოკაძემ.

ბაჩანას ხმამაღლა გაეცინა.

— იმ საქმეში ექვსი ათასიდან თორმეტამდე იყო დანიშნული პრემია და ოდგან ორნი გიყავით. — მე და ბაჩანა, ამბოკაძემ ექვს-ექვსი მოგაცეს თავისი საგზურებით არხანგელსკში. ოთხი წელიწადი იქ ვიყავი, ტყეული რა გამაჩერებდა, ნახევარი ტაიგა გავიხეხე... ძალიან დიდი შეღავათი მივეცი ხეტყის დამამზადებელ მრეწველობას. ოთხი წლის თავზე მარათონსკენ რბენაში ვიყიე მონაწილეობა. ათნი გიყავით. არხანგელსკიდან გავიქეცით და ყარაგანდოამდე ვირბინეთ.

— ფეხით? — გაუკვირდა მამა ოლრამს.

— ზოგი ფეხით, ზოგი მატარებლით. — უპასუხა ამბოკაძემ.

— მაინც ყოჩაღ!—შეაქო მღვდელმა.

— ეკან სტოლიპინის კოგონებით დავბრუნდით. ფინიშთან სამი კაცი მიველოთ. ამ საქმეში ოო-ორი ათასი პრემია მოგიღეთ. იქ ექვსი და იქაც ორი — რვა. მერე მოსკოვში გაიმოვეიდა. სამუშაოდ. როგორც გვირაბების სპეციალისტი ამხანაგებმა ერთ ძალიან დიდ საქმეზე მიმიწვიეს, იქაც გავთხარე, მაგრამ სულ ცოტა რომ აკლდა, გვირაბი ჩამოინგრა. სამი ჩემი ამხანაგი მოყვა შიგ. მე ერთი დაგრჩი ცოცხალი, ამიტომ, რაც პრემია იყო დანიშნული, სულ მე მერგო. თავის საგზურიანად სეირლოოსკში შევიდი ათასი... შვიდი და იქაც რვა — თხუთმეტი. გამოდის ანგარიში? — ჰკითხა ამბოკაძემ ბაჩანას.

— გამოდის! — თავი დაუქნია ბაჩანამ.

— ახლა თბილისში ვარ. სულ სამი დღეა, რაც ჩამოვედი. ჯერ საქმეში არ ჩავმდგარვარ. ამბობენ, ძალიან ბევრი სამუშაოა ჩემი პროფესიის კაცისათვის... მაგრამ ეფიქრობ, ხომ არ მიგაფურთხო ყველაფერს და ხომ არ გავიდე პენსიაზე. დავიღალე, იუზგარ... — ამოიოხრა ამბოკაძემ.

— მაგაზე უკეთესს რას. იზამ, ვახო, ოღონდ შენ პენსიაზე გადი და ოჯ მეორეკ გინდა, მიმსახურე, კაცი არა ხარ, გეყო რაჯ ბიჭო! საფლავში ჩამოგყვები,

ვისთანაც გინდა, მიგვყვები, სახლი არა გაქვს? ჩემს სახლში იცხოვრე... მინც მარტო ვაგდივარ, მიდი, რა, ვახო, ვადი რა პენსიაზე... შენი ჭირიმე — ბაჩანას მეზელვარებისაგან ხმა აუკანკალდა.

— რა დროს მაგის პენსიაა, ბატონო ბაჩანა, კაცი აწყვეტილ ბუღას ჰგავს?! — გადაარია მოვდელი.

— ძალიან მძიმე პროფესია მაქვს, მამაო, ორმოცდახუთი წლიდან ოცდაათი დახუოულში და მიწის ქვეშ მაქვს გატარებული. — მწარედ გაეღიმა ამბოკაძეს.

— ძნელი პროფესიაა, გვირაბთმშენებლობა, ბატონო, მაგრამ დიდად ეკეთილშობილი და სასახელო საქმეა. — შეუქო მოვდელმა ხელობა.

— არ იზამთ, მამაო, თორემ სიამოვნებით გაგიცვლიდით ხელობას, გაეცინა ამბოკაძეს.

— ვახო, უკვე მეორედ ამბობ მაგას... — გაახსენა ბაჩანამ.

— მორჩა, ბაჩან, დავიღალე, ამჯერად, მგონი, მართალს ვამბობ. იეთის გურჯის არ ეყოს, თბილისში სიკვდილი მომინდა.

> გამბარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო,
> დაკარგული შენი შვილი მოვედ...

— თქვა ამბოკაძემ და ფეხზე წამოდგა.

— სიტყვა სიტყვაა, ვახო!.. — თქვა ბაჩანამ.

—სიტყვა სიტყვაა, ბაჩო! — თქვა ამბოკაძემ და უცვებ წამოდგა, — მორჩა ბაზარი. ახლა წამლები; — ამბოკაძემ ფუთა გახსნა და ბაჩანას საწოლზე ფერად-ფერადი წამლები გადმოახვავა. ახვავებდა, თან ასახელებდა: — ეს კორდარონი, ეს პერიტარატი, ეს ათეროიდი, ეს ინტენსანი, ეს პერსანტინი, ეს ერალდინი, ეს პულსორმა, ეს გილურითმანი, ეს პანაგენი, ეს სუსტაკი, ესეც გიეების წამალი, ვალიუმი, მორჩა! — ამბოკაძემ ხელი ხელზე გაუსვა ქმაყოფილებით.

— გაგიჟდი, ვახო, საიდან ასეთი წამლები?! — პირი დააღო ბაჩანამ.

— ერთი ჩემი ცხოვრება ისე ვერ ავაწყვე, მამაო, რომ ეგ მურტალი შეკითხვა არ მომცენ, — მიუბრუნდა მოვდელს ამბოკაძე სიცილით, — თხუთმეტი წლიდან, სულ იმას მეკითხებიან, საიდან და საიდანო?! მე რა ვიცი, საიდან; საიდან და, საქულას დუქნიდან!

— ამას ძალიან ბევრი ფული უნდა, ვახო! — თქვა გაკვირვებულმა ბაჩანამ და წამლებში ისე ამოუარია ხელი, თითქოს წინ აურაცხელი განძი ეყარა და არ იცოდა, რომელი ერთი ამოეჩრა.

— ეგ იმან იდარდოს, ბაჩო, ვინც ფული მისცა, შენ სხვა რამე დარდი მითხარი, — სიტყვა ბანზე აუგდო ამბოკაძემ.

— თქვენც ინფარქტი გქონია, მამაო?

— მიუბრუნდა უცვებ იგი მოვდელს.

— თუ რამე უბედურებაა მსოფლიოში, ყველაფერი მჭირს, ბატონო! — უპასუხა მოვდელმა.

— მაშინ ეგრე, ბაჩან, წესი წესია, რადგან ერთ პალატაში ზიხართ და პურს ერთად სჭამთ, პატივცემული მოძღვარი წოლში უნდა გაიყვანო, ნახევარი წამლები მისია... აბა, წავედი! — ტაში შემოკარა ამბოკაძემ. — ჩემი დრო ამოიწურა, გრიპი-მრიპი არ ვიცი მე! — თქვა და ისე მხურვალედ ჩაიკრა გულში ბაჩანა, მამა იორამს გული აუჩუყდა და თვალები ცრემლით აევსო.

— მშვიდობით, მამაო! — მიუბრუნდა მოვდელს ამბოკაძე და კარებისაკენ წავიდა. კარებთან რომ მივიდა, ერთი წამით შეჩერდა, მერე ბაჩანას მიუბრუნდა. საოცრად ლამაზი, სევდიანი და გაღიმებული თვალები ჰქონდა.

— ჰა, ფუღუკ, არ მოკვდე თორემ... ხომ იცი, უბანში ერთი მწერალი გვყავხარ! — ამბოკაძემ ხმამაღლა ვაიცინა და პალატის კარი გაიხურა.

— ვინ იყო, ბატონო ბაჩანა, ეს ეკეთილშობილი ქრისტიანი, მადლობის თქმა რომ არ მაცალა? — ჰკითხა ბაჩანას გაოგნებულმა მოვდელმა.

— ქურდი, მამაო, პროფესიონალი ქურდი! — უპასუხა ბაჩანამ და ნერწყვთან ერთად ცრემლიც გადაყლაპა.

ნოდარ ფუფაკაძე
ბარანდიკოვის ანანური

ELIBRARY.GE

19

ბაჩანამ მანქანა გზის პირას გააჩერა.

სამადლოს ბორცვები და მინდვრები გაღმა-გამოღმა მუხლამდე თოვლით იყო გადაპენტილი. გარეშემო კაცის ჭაჭანება არ იყო, შორს სოფელში ბუხრის საკვამურებიდან კვამლის თეთრი ქულები ამოდიოდა და სარეცხავით კამკამა ცაზე ბილიკებად ისე მიიკლაკნებოდა, თითქოს სახლების ბინადართა სული სადღაც უსასრულოობაში მიაქვსო.

მინდვრებში აქა-იქ საჩრდილობლად დატოვებული გაძარცული ხეები თოვლის ამ თეთრ ზეწარზე ერთმანეთს მოსატრფეებულ და ერთმანეთისაკენ ხელებგაწვდილ, დარდისაგან ჩამომხმარ შეყვარებულებს ჰგვანან, ვიღაცა რომ ხელს უშლის და ერთმანეთთან მისვლის უფლებას და საშუალებას არ აძლევს.

ბაჩანა მანქანიდან ჩამოვიდა და საბურავებს დაუწყო თვალიერება. მარიამმა მანქანის კარი გააღო, ქუჩი გიიხადა, კაბინაში დატოვა, გზიდან დადავიდა და თოვლიან ველზე გიიქცა.

— სად მიდიხარ?! — დაუძახა ბაჩანამ.

მარიამმა ყური არ ათხოვა. შუა მინდვრისაკენ დაიძრა. გარბოდა, თან თოვლს მიარღვევდა. წითელი მაღალყელიანი ჩექმები ეცვა. ზემოდან ვეებერთელა თეთრი და წითელი ვარდებით მოქარგული შალი ჰქონდა შემოხვეული. შორიდან საოცარი სანახავი იყო, ეგეთნებოდათ, უზარმაზარ ყვავილს ფეი აუდგამს და თოვლში მიაბეჯნებსო. ბაჩანა სიამაყისა და სიხარულის გრძნობით უცქერდა თოვლიან ველზე მოსიარულე ამ ცოცხალ ყვავილს, რადგან იცოდა, რომ ეს ვეებერთელა, თოვლზე მოსიარულე ყვავილი მას ეკუთვნოდა და სხვას არავის.

მარიამი უცებ დაიხარა, ორთავე ხელი თოვლში ამოუტარა და თავზე გადაიყარა.

— ბაჩანა, მოდი! — დაუძახა მან.

ბაჩანამ ქუჩი გაიხადა და მარიამის კვალს გაჰყვა. რომ მიუახლოვდა, მარიამმა ისევ ამოუტარა თოვლში ხელი და ახლა ბაჩანას შეაყარა სახეში. თოვლმა გახურებული სახე დაუსუსხა ბაჩანას. მას უცებ ბავშვივით მოუნდა გუნდაობა და თოვლში კოტრიალი. იგი წელში ეცა მარიამს, ჯერ მაღლა იიტაცა, დაატრიალა, მერე კი მარიამიანად გაგორდა თოვლში და თოვლმა შთანთქა ორთავე. კვლავ რომ გამოჩნდნენ, თვალები, ყურები, თმები, უბე, პირი, სახე, ყველაფერი თოვლით ჰქონდათ სავსე და ოხშივარი ასდიოდათ. დიდხანს გორაობდნენ თოვლში. შემდეგ დაიღალნენ, დაიქანცნენ, არაქათი გამოელიათ და გულაძვა გადაცვივდნენ.

მარიამს თავშალი გადაძრობოდა, მკლავები აქეთ-იქით გადაეყარა, მკერდი გაღეღოდა, ყორანივით შავი თმა გაშლოდა, თოვლზე გადაფენოდა და ახლა ავი ნადირისაგან დევნილი, თოვლიან ველზე გავარდნილ და დაცემულ ფეოლს ჰგავდა...

ბაჩანამ ვერ გაუძლო მის ცქერას, ნიკარეებივით პატარა, სიცივით გათოშილ ყურებზე ხელისგულები დაიფარა და გავარვარებულ ტუჩებზე დაეკვდა. ახლა ისინი ერთმანეთის ფოლტვებით სუნთქავდნენ და ერთმანეთის სიცოცხლით ცოცხლობდნენ. ასე იწვნენ დიდხანს გატრუნულები და ყურს უგდებდნენ ერთმანეთის გადარეული გულების ბაგაბუგს.

— ადექი! — თქვა უცებ მარიამმა და ბაჩანა ორთავე ხელით მოიცალა მკერდიდან.

ბაჩანა გაკვირვებული წამოდგა.

— შებრუნდი! — უთხრა მარიამმა.

ბაჩანა შებრუნდა და როდესაც კვლავ შემოტრიალდა მარიამისაკენ, მარიამი დედიშობილა ოდგა მის წინაშე თოვლზე უსპეტაკესი და ანგელოზივით ღვთიური და დაუჯერებელი.

ბაჩანამ თვალებზე აიფარა ხელი და როდესაც მოიშორა, მკლავებგამლილი, და თვალებდახუჭული მარიამი გულაღმა იწვა თოვლზე. ბაჩანამ დაიჩოქა მარიამის წინ, ათრთოლებული ხელები ბე-

ჭეშმარიტ ამოუდო, მკერდი დაუკოცნა და ჩურჩულით უთხრა

— რას შვრები, მარიამ, გაცივდები, გოგო!

— ორი წელია ამ დღეს ველოდები, ძღიეს ვედირსე, გიუნე, ახლა მზესთან ვწევარ და რა გამაცივებს... — თქვა მარიამმა და ბაჩანას ყელზე მოხვია ხელი.

... მერე მზე ჩამოვიდა ფეხად დედამიწაზე. სამადლოს დიდ, თოვლიან მინდორზე გამოიარა, ადამის ორ ნაშიერს თეთრი, თბილი ზეწარი გადაფარა, სასთუმლად დაუწვა და მათთან იყო, ვიდრე უნეტარესი ძილი არ მოჰბეზარა, შემდეგ კვლავ დაუბრუნდა სარკესავით გამქვირვალე ცის კაბადონს.

ბაჩანა ადგა და შეშინებულმა გახედა მზის გულზე თეთრად აელვარებულ მინდორს. დედამიწაზე არავინ იყო მისი და მარიამის გარდა.

... და მზე იყო მათთან ერთად.

ბაჩანამ გიეივთ გაარღვია მუხლამდე თოვლი, მანქანიდან ქურქი გადმოიღო, უკან დაბრუნდა, შიგ მარიამი გაახვია და ასე ხელში ატაცებული მიიყვანა მანქანასთან.

მანქანა თბილისისაკენ დაეშვა, თოვლიანი, უკაცრიელი და თავისავე გაკვალული გზით.

გზაში ბაჩანას მარიამის ლოცვა გაახსენდა რატომღაც. შავნაბადას წინ მუხლმოყრილმა რომ თქვა პირველად:

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები მთას,
ლამაზი ქალი დამზრალა,
მიუალერს მას.
მიუალერსე, უთხარი,
რომ სიყვარული გკლავს,
თორემ ქალია, იცოდე,
წავა, გაჰყვება სხვას... .

მარიამი უკან იჯდა და ტიროდა, ბაგრამ ეს არ იყო უბედური და შერცხვენილი ქალის ტირილი. ეს იყო სულ სხვა რაღაც, იყო ბაჩანასათვის ჯერ უცნობის, გაუგებარისა და მიუწვდომელის სამუდამო გამოტირება. ბაჩანამ არ იცოდა ეს, მაგრამ გუმანით გრძნობდა რაღაცას და ამიტომ არც უცდია მარიამის დამშვიდება.

ერთი საათის შემდეგ კოჯრის ინტერნატიდან მომავალი, ზურგზე ჩანთებაწყალ-დაკიდებული პატარა გოგო და ბიჭი ნანცვიფრებულები შედგნენ სამადლოს თოვლიან მინდორთან.

— შეხედე, ნათია! — თქვა ბიჭმა და მინდვრისაკენ ხელი გაიშვირა. სამადლოს ველზე თოვლი იწვოდა, თოვლი იწვოდა ლურჯი და გამქვირვალე ალით.

●

სახლში დაბრუნებულ ბაჩანას წერილი დახვდა კარის სახელურზე გაჩრილი. რედაქტორის ალღომ უკარნახა ბაჩანას რატომდაც, რომ წერილი ანონიმური იყო. ბაჩანა არ აჩქარებულა, წერილი სახელურიდან გამოაძრო, ჯიბეში ჩაიდო, კარი გააღო და ოთახში შევიდა. საწერ მაგიდას მიუჯდა.

ალღოს ბაჩანასათვის არ უდალატნია. წერილი ანონიმური აღმოჩნდა. პორნოგრაფიული ფოტოდოკუმენტებით ილუსტრირებული. ათასმა ანონიმურმა წერილმა გაიარა ბაჩანას ხელში, მაგრამ ეს, რომელსაც ახლა ბაჩანა კითხულობდა, აღვირახსნილობისა და უსაზღვროების იმ საზღვარსაც კი იყო გადასული, რომელსაც ჩვეულებრივ ანონიმურ წერილებშიც კი იცავენ ხოლმე.

„ბატონო ბაჩანა! — ასე იწყებოდა წერილი.

მოგვილოცავს თქვენი სახლის კარზე წოთელი ფარნის ჩამოკიდება. მთელი თბილისელი როსკიპების რეპეტიტორმა, ბრუშმა დედაკაცმა კიდევ ერთი მეწვეელი რქიანი ძროხა იშოვა თქვენი სახით. (ბუღაალ, თქვენზე ვერ იტყვის კაცი), არ გაგიკვირდეთ, რომ ეს ვენერიულ დაავადებათა თაიგული ასე გულუხვად გკვებავთ „სიყვარულით“. სიყვარული მისთვის, ის კომბინირებული საკვები, რომლითაც მეცხოველეობის ფერმებში თქვენისთანა პირუტყვებს კვებავენ, რათა, რაც შეიძლება მეტი რძე გამოიწველონ. გაგითავდებათ „რძე“, ბატონო

ნოდარ დუმბაძე
მარადისობის კანონი

ბაჩანა, მერე ვვიანი იქნება იმ წითელი ფარნის ჩამოხსნა, რომელიც ახლა თქვენს სახლზე ჰკიდია და რომლის შუქზეც თქვენ ახლა ამ ანონიმურ, მაგრამ სულის სიღრმიდან კიენილად ამოვარდნილ წუხილს კითხულობთ. გაუფრთხილდით ავტორიტეტს...“

ბაჩანამ წერილი გადადო და შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა... სოცარი რამ ხდებოდა ბაჩანას გონებაში. იგი კითხულობდა წერილს და ყურში ხმა ესმოდა. უსაშველოდ ნაცნობი ხმა. წერილი, თითქოს ქალის ხელით იყო დაწერილი, მაგრამ ბაჩანას ზურგს უკან ძმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულის ჯიბეში ედო და მკერდს უწვავდა...

მარიამმა ჭიქა ავიღო.

— რატომ არაფერს არ მეკითხები, ჩემს წარსულზე, გიუნე? — ჰკითხა უცებ მარიამმა.

ბაჩანა ფიქრიდან გამოერკვა:

— რა მითხარი? — თქვა მან, თუმცა კარგად გაიგონა, რაც ჰკითხა მარიამმა, მაგრამ ეს დრო პასუხის მოსაფიქრებლად სჭირდებოდა ბაჩანას.

— რატომ არაფერს მეკითხები-მეთქი ჩემს წარსულზე? — უკვე მესამე წელია გიუყვარს ერთმანეთი და არც ერთი სიტყვა არ დაგიდგენია ჩემი წარსულის შესახებ, — გაუმეორა კითხვა მარიამმა.

— არ მაინტერესებს და იმიტომ! — უპასუხა ბაჩანამ და თვალი აარიდა.

— სტყუი, გიუნე, კვდები, ისე გაინტერესებს, მაგრამ არ მეკითხები.

— რატომ? — ჰკითხა ბაჩანამ და თვალებში შეხედა.

— ეღიდები მე თვითონ როდის მოგიყვები, ხომ მართალია?

ბაჩანამ თავი ჩაიქნა.

— გეშინია, გიუნე, გეშინია და მართალი ხარ... შენ კი არა, მეც მეშინია... — მარიამმა ღვინო მოსვა, მღელვარებისაგან გამშრალი პირი რომ გაელბო, — მე შენზე უფრო მეშინია, იმიტომ კი არა, რომ მიმატოვებ, არა, გახსენების შეშინია...

— ნუ გავაფუჭებთ საღამოს, მარიამ, — სთხოვა ბაჩანამ.

— იგი დილიდანვე გაფუჭებულია, გიუნე, მითხარი, რა მოხდა, მე ყველაფერს ვგრძნობ და ვხედავ.

—არაფერი, შენს თავს გეფიცები!

— ადვილად მიფიცებ, — გაღიმა მარიამს. ჭიქაში ღვინოს ჩააშტრდა, ერთხანს უყურა, მერე უცებ ასწია და სადღეგრძელო თქვა:

—მე და შენს შორის ვინც პირველი მოკვდება, იმას გაუმარჯოს, გიუნე!

— მარიამ თუ გიყვარვარ, პანაშვიდად ნუ გადაიქცევ ამ საღამოს. მშვენიერ ხასიათზე იყავი და რა მოგიციდა? — ჰკითხა ბაჩანამ.

— დალიე! — სთხოვა მარიამმა. ბაჩანამ დალია. მარიამმა მეორედ დაასხა.

— ახლა ყური მიგდე, გიუნე, — თქვა მარიამმა და ისე დაიწყო, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა: — ... მე ხუთჯერ გარდავიცავლე უკვე და ხუთჯერ მოვბრუნდი ამ ქვეყანაზე... პირველად მე გარდავიცავლე შიშით და აღვსდექი სიმარტოვეში... მეორედ მე გარდავიცავლე სიმარტოვით და აღვსდექი თვალთმაქცობაში... მესამედ მე გარდავიცავლე თვალთმაქცობთ და აღვსდექი უდარდელობაში... მეოთხედ მე გარდავიცავლე უდარდელობით და აღვსდექი სიძულვილში... მეხუთედ მე გარდავიცავლე სიძულვილით და აღვსდექი სიყვარულში... მე ახლა ვცხოვრობ უზომო, განუსაზღვრელი სიყვარულით და ვიცი, რომ სიყვარულით გარდავიცვლები... და ეს იქნება ჩემი უკანასკნელი გარდაცვალება, მე აღარაფერში აღარ აღვსდგები. მე დავრჩები მარადიულ სიყვარულში, ამიტომ ჩემთვის აღარ აქვს მნიშვნელობა, როდის მოკვდები... მე აღარ მეშინია სიკვდილის... მე ჩემი მეექვსე და უკანასკნელი გარდაცვალების საღდეგრძელოს ვსვამ, გიუნე!..

მარიამმა ჭიქა გამოსცალა და ბაჩანას თვალებში შეხედა. ბაჩანა გაოგნებული უცქერდა ამ გასაოცარ ქალს და არ იცოდა, რა ეპასუხა მისთვის. ძალიან უხერხული და შემაძრწუნებელი სიჩუმე ჩამოვარდა. ბაჩანას მოეჩვენა, რომ კუპე ორად გაიყო: მაგიდის იქითა მხარედ, სადაც მარიამი იჯდა და მაგიდის აქეთა მხარედ, სადაც თვითონ იჯდა. მან იგრძნო, რომ მარიამის მხარე სავსე იყო ჰაერით, სითბოთი, სიცოცხლით და სიყვარულით, მისი მხარე კი უსაშველოდ ცარიელი — ვაკუუმი... და ბაჩანას უცებ სული შეეხუთა და უჰაერობისაგან, რომ არ დამხვრჩალიყო, სწრაფად წამოდგა, მარიამის მხარეს გადაჯდა, შემოეხვია, როგორც სიცოცხლის ხეს და მკერდზე დაადო თავი... მარიამმა თმა-

ზე ჯოცა და ძალიან მშვიდად ჰკითხა:
— თქვი, რა გაწუხებს?

ბაჩანამ გულის ჯიბიდან ანონიმური წერილი ამოიღო და ათრთოლებული ხელით დაუდო წინ. მარიამმა დიდხანს უყურა წერილს, მერე გახსნა. ბაჩანასაგან განსხვავებით, მან ჯერ სურათები დაათვალიერა, შემდეგ წერილი წაიკითხა...

მთელი ამ ხნის განმავლობაში ბაჩანას თვალი არ მოუცილებია მარიამის სახისათვის. ნაკვთი არ გაქანებია მარიამის სახეზე და როდესაც მარიამმა წერილის კითხვა დაამთავრა და ბაჩანას ახედა, ბაჩანა მიხვდა, თუ რა საბედისწერო შეცდომა დაუშვა. მარიამის თვალებში აღშფოთების, ზიზღისა და სიძულვილის ნაცვლად მან ორი საოცრად პატარა ადამიანის, მისი და იმ წერილის ავტორის უზომო სიბრალული დაინახა.

მარიამი წყნარად წამოდგა.

— ქალს მარტოობა ამრუშებს, გიუნე, ქალსაც და კაცსაც, ამიტომ ეცადე, მარტო არასდროს არ დარჩე...

მარიამი კუპედან გავიდა.

●

ერთი, ორი, სამი საათი ელოდა ბაჩანა მარიამს, მაგრამ მარიამი უფრო ამაყი აღმოჩნდა, ვიდრე ბაჩანას ეგონა.

— თქვენი ქალბატონი დიდი ხანია წამბრძანდა, ბატონო! — უთხრა ცოცხალმკვდარ ბაჩანას ოფიციანტმა და უხერხულად შეიშმუშნა.

— ვიცი! — უპასუხა ბაჩანამ დაკარგული ხმით.

— თუ არ შეწუხდებით, ვხურავთ აწი რესტორანს და... — ოფიციანტი ისევ შეიშმუშნა.

— უკაცრავად, ახლავე წავალ! — ქვითარზე არ დაუხედავს, დანახარჯი ისე გადაიხადა. ოფიციანტი გავიდა, ბაჩანამ ანონიმური წერილი და პორნოგრაფიული სურათები საფერფლეზე დაყარა და ცეცხლი წაუკიდა, ჯერ პორნოგრაფიულ სურათებს მოეყო ალი. ბაჩანა თვალს არ აცილებდა უცნაურ სანახაობას, როგორ ლღვებოდნენ, დუღდნენ, ქრებოდნენ და ფერფლად იქცეოდნენ ფიგურები. საფერფლე მინიატურულ ჯოჯოხეთს დავმსგავსა და როდესაც ალი წერილს მოედო, ბაჩანამ კვლავ გაიგონა წერილის დამწერის ამაზრზენი ხმა და უცებ გაშტერდა. მან იცნო ხმა, ალმოდებული წერილი სანდრო მაღლაფერიძის ხმით ლაპარაკობდა.

20

მამა იორამი ორშაბათს გაწერეს, მაგრამ სამშაბათამდე საავადმყოფოდან ფეხი ვერ მოაცვლევინეს.

ის ღამე დაუვიწყარ და წარუშლელ ღამედ დარჩა ბაჩანას ცხოვრებაში. შუაღამისას მამა იორამი ფრთხილად ადგა და ბაჩანას საწოლთან მივიდა. ბაჩანამ თავი მოიმძინარა, მაგრამ თვალები ოდნავ გააღო, ისე რომ მამა იორამს არ შეემჩნია.

— ბატონო ბაჩანა! — ჩურჩულით თქვა მღვდელმა. ბაჩანა გაიტრუნა. იგი მიხვდა, რომ მღვდელს მასთან საუბარი კი არ სურდა, არამედ ამოწმებდა, სძინავს თუ არაო. როდესაც დარწმუნდა მოძღვარი, რომ ბაჩანას ეძინა, მან ჰკუნლი მოუყარა მის საწოლთან.

— მამაო ღმერთო! — წარმოთქვა მან ჩურჩულით და პირჯვარი გამოისახა. — მაცხოვარო და წმინდაო მარიამ. ჰა, მონა თქვენი ბაჩანა რამეშვილი წევს თქვენ წინაშე და თავად არ უწყის, რომ არის ძე თქვენი, სული თქვენი და სათნოება თქვენი. ნუ უწყენთ მას, რამეთუ იგი საქმეს თქვენსას სჩადის სხვისი სახელით. ნუ უწყენთ მას, რამეთუ თავად არ უწყის, რომ ღმერთი იგი, რომელიც მან იწამა. თქვენს წიაღშია ალმოცენებული და არ არს ნებისა თქვენისა გარეშე... ღმერთო ძლიერო, გადააფარე შენი მფარველი კალთა და გაუგრძელე ვადა შენთან ხლებისა, რამეთუ, რაც უფრო მეტ ყამს დაჰყოფს ეგი ამ ქვეყანაზე, მეტ სათნოებას და სიკეთეს დასთესს შენ მიერ შექმნილ ქვეყნიერებაზე და განა ღვთისათვის სულ ერთი არ არის, ვისი სახელით ივლის სიკეთე, პატიოსნება, სათნოება, უმანკოება და სამართა-

ლი დედამიწაზე?! და თუ უცილობელ არს უარყოფილ იქნას შენი სახელი, ხოლო საქმენი შენნი უკვდავ ქმნილი, დაე მოხდეს ასე... განა შენ, წმინდაო სამებავ, პატივმოყვარეობისა გამო დასთვესე თესლი სიცოცხლისა და ჩაუდგი სული უკვდავი ადამიანს, რათა მხოლოდ და მხოლოდ შენი სახელი ეტარებინა?! განა უარყოფილ არის შენ მიერ, ღმერთო, ადამის ძის სულისა და გონების განახლება?

ძლიერი არს ღმერთი, რომელსაც იგი ემსახურება, რამეთუ შეუძლებელია რწმენა იმ საქმისა, რომელსაც შესდგომია იგი, ღვთიური ძალის გარეშე... და აჰა, წევს ახლა იგი შენ წინაშე, მე კი მტვერი შენი და მისხალი შენი უსასრულო სულგრძელობისა, მუხლმოდრეკილი გეევდრები, შეიწყნარო იგი, აჯანყებული მონა შენი, ბაჩანა რამიშვილი და თუ მაინც განწირული გყავს იგი განკითხვად, აჰა, მიიღე სული ჩემი და ხორცი ჩემი მისი სულისა და ხორცის სანაცვლოდ, რამეთუ ვერ შევძელ დათრგუნვა მასში სხვა ღმერთისა და შემოქცევად შენდა!

მამა იორამი წამოდგა, ბაჩანას სამჯერ გადასახა პირჯვარი, მერე გულიდან პატარა ჯვარი მოიხსნა, ფრთხილად ამოუდო სასთუმალს და დაწვა.

ბაჩანას არ ახსოვს, როდის დაიძინა, მაგრამ როდესაც გაიღვიძა, მამა იორამი პალატაში არ დახვდა. იგი უთენია წასულიყო.

●

ბაჩანა მამა იორამის წასვლის ერთი კვირის თავზე გაწერეს საავადმყოფოდან.

გულის ამაჩუყებელი და ღიმილის მომგვრელი იყო მისი გამოთხოვება სამეფოცენო პერსონალთან, ყენია ექთანი და პალატის ექიმი ისე იცრემლებოდნენ, თითქოს ენანებოდათ ბაჩანას საავადმყოფოდან გაწერა და გამოჯანმრთელება.

წინა ღამით, ვიდრე გაიწერებოდა. ბაჩანასთან ყენია ექთანი შემოვიდა. მან სამი თეთრი მიხაკი შემოიტანა, ბაჩანას მაგიდაზე, ჭილაში ჩაიწყო და მოწიწებით დაჯდა, ბაჩანამ იფიქრა, ყენია გამოსამშვიდობებლად მოვიდაო, ამიტომ საწოლზე წამოჯდა და მოთმინებით ელოდა, რას იტყოდა ყენია. ყენია უხერხულად შეიშმუშნა.

— დაიწყე, ყენია, — გაუღიმა ბაჩანამ. ყენია შეიყოყმანდა.

— მაშინ მე დავიწყებ, — თქვა ბაჩანამ. ფეხზე წამოდგა, ყენიასთან მივიდა და ხელზე აკოცა, — ჩემო ძვირფასო ყენია, თუ სადმე სამართალია, ეს ყვავილები მე უნდა მომერთმია შენთვის, მაგრამ, იმედია, ჩემი კეთილი მოწყალებეს და აპატიებს მის გაუთლელ და უმადურ ავადმყოფს ენით აუწერელ უტაქტობას...

— ბატონო ბაჩანა! — გააწყვეტინა სიტყვა ყენიამ, — ვიდრე თქვენ ავად იყავით, ბატონო ბაჩანა, აქ ერთი ქალი დადიოდა ყოველდღე... ძალიან ლამაზი ქალი და თქვენს ჯანმრთელობას კითხულობდა... დიახ...

ბაჩანას გული შეუქანდა და სუნთქვა შეეკრა.

— ვინ ქალი, ყენია? — ჰკითხა. თუმცა მისთვის უველაფერი ნათელი გახდა.

— ხატზე მაფიცებდა, ბატონო ბაჩანა, თქვენთვის რომ არ მეთქვა...

— რა ჰქვია? — მაინც ჰკითხა ბაჩანამ.

— არ ვიცი, ბატონო ბაჩანა, მოდიოდა და ტიროდა, იქნებ თქვენ იცით, ვინ არის?..

— ვიცი, ჩემო ყენია!

— ძალიან უყვარხართ, ბატონო ბაჩანა. წერილი მომცა, მთხოვა, საავადმყოფოდან გამოწერის დღეს გადმომეცა თქვენთვის.

ყენიამ ჯიბიდან წერილი ამოიღო და ბაჩანას გადასცა. ბაჩანამ წერილი ჩამოართვა და მღელვარება რომ დაეფარა, მიხაკებს დაუწყო ყნოსვა...

— ძალიან უყვარხართ, ბატონო ბაჩანა!

ნოდარ ჯუმბაძე
მარაჯიოსების ჯანმრთელი

— გმადლობთ, ჩემო ყენია!

— ძალიან ლამაზი და კარგი ჭოლია, ბატონო ბაჩანა...

ყენიას რატომღაც ცრემლები მოადგა თვალებზე და შავად შეღებილი აპრეხილი წამწამები აიპარპალა.

— შენ ყველაზე ლამაზი და კარგი ქალი ხარ ქვეყანაზე, ყენია! — უთხრა ბაჩანამ და აკოცა ხელზე. ყენია სწრაფად წამოდგა და გავიდა პალატიდან. ბაჩანა საწოლზე წამოწვა და ათრთოლებული ხელით გახია კონვერტი.

„ჩემო ბაჩანა!

ახლა, როდესაც ღმერთმა ისმინა ჩემი ვედრება და კვლავ მაჩუქა შენი სიცოცხლე, არა შებრალებად, არა შეწყენარებად და არა მოწყალებად მინდა, შენს გასაგონად დავიტირო ჩემი ტკივილი, რომელსაც მთელი კაცობრიობის უბედურებათა საწყალი ვერ დაიტევდა, მეგონა და, ამ პატარა ქალღმა კი დაიტია...

ყველაფრის გახსენება და დავიწყება ისე ადვილ როდი ყოფილა, ჩვენ რომ ვგგონია და ვვეჩვენება ხოლმე...

ამ ოციოდე წლის წინ ულამაზესი და უნიჭიერესი ბავშვი ვიყავი, მაგრამ ცუდად გაზრდილი. ჩემს მშობლებს მილიონი ჰქონდათ და სულ იმაში დახარჯეს, რომ მე გავუბედურებინე... არავინ, არასდროს მცველად არ გამყოლია, არსად, არც სკოლაში, არც ქუჩაში... და იმ ერთხელ, როდესაც ჩავუჯექი ჩემს „გამცილებლებს“ მანქანაში, წაიშალა ჩემი ცხოვრება და არარაობად იქცა სიცოცხლე ჩემი... მერე, რაც მოხდა, ამის შესახებ არც ლაპარაკი შემიძლია დალაგებულად, არც წერა... დღეს პირველად ვყვები შენსა და ღმერთის წინაშე ამ ამბავს... ცივგომბორის პირმოქცეულ ტყეში ჯვარზე გამაკრეს და ახლაც იქ ჰკიდია გადარუჯულ ხეზე ჩემი ჩამომხრჩვალი ყმაწვილქალობა...

...მერე მე ძალიან ბევრი ვიცინე, ხელგაშლილი როკვით მოვყევი აქამდე გზას და უცებ შევდექი. ღმერთი გამახსენდა და პირჯვარი გამოვისახე. შენ წინ ვდგავარ ახლა ორთავე მუხლზე დაცემული... შეიწირე ყველა ჩემი სანთელი და მიიღე სული ჩემი...

მე ახლა ვხვდები, რომ მთელი ამ წლების მანძილზე შენსკენ მოიოლტოდა ქარბორბალასავით დატრიალებული და ჯოჯოხეთში გამოვლილი ჩემი სული... და მე ვლოცავ იმ ჯოჯოხეთს. რადგან გზა შენსკენ იმ ჯოჯოხეთზე იდო თურმე...“

იმ წუთში ვინმე ექიმი რომ შემოსულიყო და ბაჩანასათვის გულის კარდიოგრამა გადაეღოთ, ალბათ, ბაჩანას კიდევ დიდხანს მოუწევდა საავადმყოფოში წოლა.

ბაჩანამ ორი აბი სედუქსენი მიიღო და ისე სთხოვა საკუთარ გულს დამშვიდებულიყო, თითქოს ძალიან დიდი ხნის დაკარგული და უნახავ ნათესავს ეხვეწებოდა მეხლმოდრეკილი, აღარ წახვიდე, აღარ მიმატოვო...

ნახევარ საათში ბაჩანამ კვლავ ვარდისფერ ბურუსში შესცურა... და ეს იყო მისი პირველი უსიზმრო ძილი მთელი ავადმყოფობის მანძილზე.

●

დილით, ყველას რომ გამოემშვიდობა, ბაჩანა პროფესორთან ჩავიდა გამოსაშვიდობებლად.

პროფესორი უზარმაზარ საწერ მაგიდას უჯდა და რაღაცას ათვალიერებდა ლუპის ქვეშ გულმოდგინედ. ბაჩანა ჯერ კიდ მიხედა, რას ათვალიერებდა პროფესორი და როდესაც მიხვდა, საქციელი წაუხდა. პოფესორს მაგიდაზე ათამდე სხვადასხვა კონსტრუქციის, ფერისა და ზომის ხელოვნური გული ეყარა... ბაჩანა, გული რომ არ შეღონებოდა, იქვე კართან მდგარ სკამზე ჩამოჯდა. სკამი გახმაურდა. პროფესორმა თავი ასწია და გაკვირვებულმა შეხედა ბაჩანას. უცებ იცნო, ჰლასტმასის გული მაგიდაზე დადო და ბაჩანასაკენ გამოეშურა.

— ფრიად მოხარული ვარ, ბატონო ბაჩანა, რომ ჩემს კაბინეტში თქვენი ფეხით მოსული გიხილეთ, გამარ-

ჯობათ! — თქვა მან და ბაჩანას ხელი გაუწოდა. ბაჩანამ პროფესორს ყინულივით გაცივებული ხელი ჩამოართვა.

— რა მოგვივდა? — ჰკითხა შეშფოთებულმა პროფესორმა.

ბაჩანა თვალს ვერ აცილებდა პროფესორის მაგიდაზე გაგორებულ ხელოვნურ გულებს. პროფესორმა მაგიდას გახედა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე, სწრაფად მივიდა საწერ მაგიდასთან, შუა უჯრა გამოაღო, ხელის ერთი მოსმით გულები მაგიდიდან მოხეტქა და უჯრაში ჩაყარა.

— თუ შეიძლება, ვალერიანის წვეთები... — სთხოვა ბაჩანამ. პროფესორმა თაროდან წამალი გადმოიღო, პატარა ჭიქაში დაასხა და ბაჩანას მიაწოდა.

— დალიეთ და, თუ ღმერთი გწამთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ! — ბაჩანამ წვეთები მიიღო. პროფესორმა მაჯა გაუსინჯა.

— ნუ გეშინიათ, ახლავე გაგივლით, — გაუღიმა მან.

ბაჩანა თანდათან მობრუნდა და ფერი მოუვიდა.

— რა არის ეს, პატივცემულო პროფესორო? ჰკითხა ბაჩანამ, ცოტა სული რომ მოითქვა.

— არაფერი განსაკუთრებული, როგორა ხართ?

— მგონი, გამიარა.

— ძალიან კარგი, აი აქ დაბრძანდით და სხვა რამეზე ვისაუბროთ.

პროფესორმა ბაჩანა უზარმაზარ გადაწოლილ და რბილ საავარძელში გადმოსვა.

— ნუთუ მივა, პატივცემულო პროფესორო, კაცობრიობა მაგ ზომამდე? — ვერ გაექცა ბაჩანა ხელოვნურ გულებზე ფიქრს.

—მისულია, ბატონო ბაჩანა, უკვე ოთხი წელია, ხმო ხელოვნური გულით ცოცხლობს, ასე რომ ეს ფაქტი გულს კი არ უნდა გიღონებდეთ, პირიქით, უნდა გამხნევებდეთ. საქმე იმაშია, რომ ცოცხალი გულის ტრანსპლანტაციამ, მაინცდამაინც არ გაამართლა. თქვენი ავადმყოფობა, მიზეზი ითადად გულის დაავადება კი არა, სისხლძარღვთა დაავადებაა, ამიტომ გარკვეული დროის შემდეგ, ნებისმიერი გადანერგული ჯანმრთელი გული შეიძლება დაავადდეს მიოკარდის ინფარქტით და კორონალური უკმარისობით. ხელოვნური გული ჯერჯერობით ერთ-ერთი ყველაზე საიმედო გზაა, ეს თვით ქრისტიან ბეჭნარმაც აღიარა... მაგრამ ამაზე სხვა დროს. ცოტა უფრო რომ მოღონიერდებით, — ხელი აიქნია პროფესორმა. — გულახდილად რომ გითხრათ, მე უკვე წასული მეგონეთ და სადღაც გულში, მეწყინა კიდეეც, რატომ წასვლის წინ არ მინახულა-მეთქი, — პროფესორმა გაიცინა და ბაჩანას მუხლზე ხელი დაადო.

— სწორედ მაგისთვის გეახელით, პატივცემულო პროფესორო, ჯერ ერთი, უზომო მადლობა მინდა გადაგიხადოთ გულისხმიერებისათვის, შემდეგ ბოდიში მოგიხადოთ იმ უძილო ღამეებისათვის, რომლებიც ჩემს გამო გაგიტარებიათ და ბოლოს, მინდა დაგილოცოთ პროფესია და ოქროს ხელები, — ბაჩანას უცებ ადგომა და ამ კაცის კოცნა მოუნდა, რომლის მკაცრ და უხეშ სახეს სათნოებით სავსე ჭკვიანი თვალები ამშვენებდა, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა.

— სამადლობელი არაფერი გქონია, ბატონო ბაჩანა, ჭეშისათვის კი მადლობა მომიხსენებია.

— არც კი ვიცი, როგორ და რითი გადაგიხადოთ. ხანდახან ვფიქრობ ამაზე და იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ, რაც თქვენ ჩემთვის გააკეთეთ, იმის გადახდა არ შეიძლება, ამიტომ თუ ნებას მომცემთ, უბრალოდ მეყვარებით, როგორც ძმა და ძვირფასი ახლობელი...

— გმადლობთ! — თქვა პროფე-

ნოდარ ლუბაჟაძე
მარადიზიგის კანონი

სორმა და უზერხულობა რომ დაეფარა, მაგიდის შუა უჯრა გამოაღო, თითქოს რაღაცას ეძებდა, მაგრამ წუთის წინ მომხდარი ამბავი გაახსენდა და უჯრა სასწრაფოდ მიხურა. ბაჩანას გულიანად და ხმამაღლა გაეცინა.

— აი, ხომ ხედავთ, უკვე შეეჩვეთ. — უთხრა ნიშნის მოგებით პროფესორმა და მანაც გაიცინა.

— სხვა რა გზა მაქვს! — ხელები გაშალა ბაჩანამ.

— თქვენ ეს არ დაგჭირდებათ, ბატონო ბაჩანა, თუ რასაც გეტყვით, პირნათლად და უყოყმანოდ შეასრულებთ, — თქვა პროფესორმა და მაგიდას, იმ ადგილას, სადაც ხელოვნური გულები ეგულებოდა, ვეებერთელა ტორები დაადო.

— გისმენთ! — მორჩილად თქვა ბაჩანამ.

—სიგარეტი — არა! ღვინო — არა; არაყი — არა; ცხიმიანი საკვები — არა; ყავა — არა; ღამის თევა — არა; ქალები — არა...

— სიცოცხლე? — ჰკითხა დაღონებულმა ბაჩანამ.

— მიოკარდის ინფარქტი, მინუს ზემოჩამოთვლილი მამძაღლობები, უდრის სიცოცხლეს!—ჩამოუყალიბა პროფესორმა ბაჩანას მისი წილი დარჩენილი სიცოცხლის უმარტივესი ფორმულა.

— როდემდის, ექიმო — ჰკითხა წყალწაღებულმა ბაჩანამ, რომ გზაში სადმე ხავსს მოჰკიდებოდა.

— ორ წელიწადს, როგორც კანონი, შემდეგ ორ წელიწადს, როგორც რჩევა-დარიგება, შემდეგ ორ წელიწადს ნებაყოფლობით... კი არ გაშინებთ, ბატონო ბაჩანა, უბრალოდ გახსენებთ, რომ თქვენ გავრცობილი ინფარქტი გქონდათ, მაგრამ თუ მოეფერებით, გული მთლიანად აღსდგება და ერთ იმედს კიდევ გემსახურებათ, რამდენიც გემსახურათ, ოღონდ მოეფერეთ გულს, გულს მოფერება უყვარს...

— ნახვამდის, ბატონო პროფესორო! — ბაჩანა ფეხზე წამოდგა.

— მშვიდობით, ბატონო ბაჩანა, დავიოწყეთ ჩვენი საავადმყოფოს კარი, ღმერთმა ჩემი თავი ნუღარ დაგაჭირვოთ, — პროფესორიც წამოდგა.

—უზომო კმაყოფილების გრძნობით მივდივარ, ბატონო ნოდარ. თქვენთან გატარებული ეს ორი თვე ჩემთვის მთელი სიცოცხლის ბადალი აღმოჩნდა.

— არ მესმის, ბატონო ბაჩანა?!

— როგორც ჩანს, ერთი მძიმე ავადმყოფობა ყველა ადამიანმა უნდა გადაიტანოს ცხოვრებაში, რომ მთელ თავის განვლილ ცხოვრებას ანალიზი გაუკეთოს და მის მიერ განვლილი გზა ხელმეორედ გაიაროს უკვე დადინჯებული გონებით. ამ მხრივ თქვენმა საავადმყოფომ დიდი სამსახური გამიწია...

— არა მგონია, ბატონო ბაჩანა, თქვენი ცხოვრების გზა განმეორებით ანალიზს საჭიროებდეს. — უთხრა პროფესორმა.

— თქვენ ასე ფიქრობთ? — გაიღიმა ბაჩანას.

— ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანს. — მხრები აიწურა პროფესორმა.

— ეს ორი თვე ჩემთვის განსაცვიფრებელი აღმოჩენების დრო იყო.

— ისეთი რა აღმოაჩინეთ, ბატონო ბაჩანა, რაც ადრე არ იცოდით?!

— მარადისობის კანონი!

— რა ბრძანეთ? — გულწრფელად გაუკვირდა პროფესორს.

— მარადისობის კანონი! — გაიმეორა ბაჩანამ.

— რაკი მარადისობის კანონი აღმოაჩინეთ, ალბათ რაღა ფორმულაც აქვს ამ კანონს, — გაეცინა პროფესორს.

— დიახ, აქვს.

— ხომ არ გამანდობთ, ბატონო ბაჩანა, ჩემი იმედი გქონდეთ, არც მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გპპარავთ, — არც ავტორობაში შეგეზიარებთ. — გაეხუმრა პროფესორი.

— ამ კანონის აზრი იმაში მდგომარეობს, პატივცემულო პროფესორო, რომ... ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკედავყოთ ერთმანეთის სული. თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავგობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე...

პროფესორი გაკვირვებული უგდებდა ყურს ბაჩანას. ბაჩანა რომ დადუმდა, დიდხანს იდგა დაფიქრებული.

— ძალიან რთული კანონი აღმოგიჩენიათ, ბატონო ბაჩანა. — თქვა დუმილის შემდეგ პროფესორმა.

— რთული! — თავი დაუქნია ბაჩანამ.

— და თქვენ იმედი გაქვს მისი განხორციელებისა?

— ეს რომ ასე არ იყოს, მე მკვდარი ვიქნებოდი ახლა, ბატონო ნოდარ! — ბაჩანამ ხელი გაუწოდა პროფესორს, პროფესორი სულ ახლოს მივიდა ბაჩანასთან, ბაჩანამ თავი ვერ შეიკავა და გულში ჩაიკრა პროფესორი.

— დიახ... — თქვა დანრეულმა პროფესორმა, — ...თქვენ ხელოვნური გული არ გამოგადგებათ, ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ...

...და როდესაც ბაჩანამ საკუთარ ბეჭედზე პროფესორის ვეებერთელა ტორების ალერსიანი თათუნი იგრძნო, მიხვდა, რომ მარადისობის კანონი მოქმედებდა...

●

ბაჩანამ მის წასაყვანად მოსული მანქანა გაუშვა.

კლარა ცეტკინის ქუჩაზე ტრამვაის ლიანდაგი გადაჭრა და ოცდახუთი თვე ბერვლის ქუჩით პლეხანოვზე დაეშვა.

ქუჩაში სიარული გადაჩვეულს, თავბრუ ესხმოდა და მუხლები უთრთოდა ოდნავ. მიდიოდა ძალიან წყნარად და ფრთხილად.

თბილისი გუგუნებდა, ხმაურობდა, ყაყანებდა, ყვიროდა, იცინოდა, წუხდა, ღელავდა, ოხრავდა და გრიალებდა. პლეხანოვის გამზირი ორ პარალელურ მდინარესავით მიედინებოდა აღმა-დაღმა. მოქალაქეები დაცურებული მორბენივით მიჰყვებოდნენ მდინარეთა ამ თავაწყვეტილ დინებას. ერთმანეთს გვერდს უქცევდნენ, ეხეთქებოდნენ, აჩერებდნენ, რაღაცას ეუხსნიდნენ ერთმანეთს ხელებით, მერე კვლავ სცილდებოდნენ ერთმანეთს და კვლავ მიჰყვებოდნენ ამ აბობოქრებულ მდინარეს.

ბაჩანა ფრთხილად გადავიდა გადასასვლელზე და თვითონაც შესცურა ამ მდინარეში. იგი ცდილობდა, არავის დასჯახებოდა, არავის გაეჩერებინა და არავის შეეწყვიტა მისი მოძრაობა. მან პლეხანოვიდან მარჯანიშვილის ქუჩაზე ჩაუხვია და ახლა უზარმაზარი მდინარის ამ შენაკადს გაჰყვა. იგი გრძნობდა, ამ ორი თვის მანძილზე ქალაქის საერთო რიტმიდან ამოვარდნილი მისი გული როგორ უწყობდა თანდათან თავის არიტმიას ქალაქის მაჯისცემას, როგორ ცდილობდა, არ ამოვარდნილიყო კალაპოტიდან და ნაპირზე არ გარიყულიყო. და ბაჩანამ იგრძნო, როგორ იპოვა გულმა, ბოლოს და ბოლოს, რიტმი, როგორ ჩადგა მდინარის მთავარ კალაპოტში და როგორ გასცურა კვლავ. მართალია, ჯერ ფრთხილად, ძალიან ფთხილად, მაგრამ გაბედულად და მონდომებით.

მარჯანიშვილის თეატრთან შეჩერდა. აფიშა წაიკითხა. თეატრი ხვალ

ნოდარ დუმბაძე

ნარანდისოგის კანონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის სეზონს იწყებდა ახალი სპექტაკლის პრემიერით: „წმინდანები ჯოჯოხეთში“ — პიესა მისი მეგობრისა იყო. ბაჩანას რაღაც გაულღვა მკერდში და სხეულში მაცოცხლებელმა სითბომ დაუარა.

— წმინდანები ჯოჯოხეთში! — გაიმეორა თავისთვის და გაიღიმა.

ხიდთან დაღლილობა იგრძნო, მაგრამ ავადმყოფური და შემაწუხებელი კი არა, რაღაც უცნაური, საამო დაღლილობა.

ბაჩანამ ტაქსი გააჩერა და უკან დაჯდა, მარჯვენა კართან.

— საით? — ჰკითხა მძღოლმა და მრიცხველი ჩართო.

— მარიამთან! — თქვა ბაჩანამ.

— ვისთან?! — ჰკითხა გაკვირვებულმა მძღოლმა.

— მარიამთან!

გულრიფში, 1977 წ.

პესიმისტი

შემოფრინება მერცხლის,
მაინც სირუმე გულის—
როცა ნამდვილად ესმის
გრუხუნი გაზაფხულის;

ილუზიების მიღმა
დარჩენილ სხეულს ტირის,
ასეთი არის მისი
ცხოვრების ზკრთალი ფირი.

გალაკტიონს

იყავ სულით წმინდა
და მაინც
სულის გასაწმენდად
ბევრი გითევია ღამე.

მუსიკად ქცეულ ბალახის ჩრდილში
შველივით იწვა სიტყვა კრიალა
და შენი ფიქრის დაბურულ ტყეში
შველივით ჩუმად იხეტიალა.

და აცოფებდა ტელეფონს ზარი,
უღრანებიდან სევდამ იალა
და ბარბაცებდა მთვრალი სიზმარი,
ცაზე ჰკიდებდა მზეებს ბრდღვიალას.

და დედამიწის სიზმარი იწვის
და ალავერდი ელავს, —
შენ გადაანთე მსოფლიოს ცაზე
ვეფხვის ნახტომი — ულამაზესი
ქართული ცისარტყელა.

იყავ სულით წმინდა
და მაინც
სულის გასაწმენდად
ბევრი გითევია ღამე.

სადღაც ვეც ვიყავ ერთი

როცა მოცელავს აწმყოს
წარსულის ბასრი ცელი,
როცა შეგიპყრობს მალვით
მოგონებების სენი,

ნუ გაგიწყრება ღმერთი —
ნუ გამიხსენებ წყენით,
რადგან მეც ვიყავ ერთი,
ღიმილი რომ მხვდა შენი...

პ ო ე ტ ი

ჯერ კიდევ სუნთქავ, მაგრამ რატომღაც
გარდაცვლილებთან გააბი ძაფი,
არ დაიშურეს შენთვის ღმერთებმა
ვეფხვის გული და ეჭვები მძაფრი.

ისევ ატყვია მეხსიერების
დაბურულ ეკრანს ცივი თითები,
შენთვის ლოცულობს ყველა ტკივილი
და უსიკვდილოდ ვერ აინთები.

და როგორც წელში მოხრილი მთვარე,
სიზმრით მიათრევ დარდის ვაგონებს,
ო, რა ტკბილად შეჰყურებ ზეცას —
ვინ გაგაგონებს,
ვინ გაგაგონებს.

ჯერ კიდევ სუნთქავ, მაგრამ რატომღაც
გარდაცვლილებთან გააბი ძაფი,
არ დაიშურეს შენთვის ღმერთებმა
ვეფხვის გული და ეჭვები მძაფრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბნელი კუთხიდან მოციაგე ნიღბების გავლით
შენსკენ წამოვალ დაკარგული შენი სწორფერი,
(ენას ნუ იკვნეტ, მაინც იტყვი:) მე შენი კვალი
აღებული მაქვს — კოცნასავით ყაყაჩოსფერი.
მე დავიწყების ულრანიდან რად გადმოგცქერი,
მოკლული ლომი და რაინდი ფერგადასული...
შენ მზის ტყუპი ხარ და ციაგით შესამოსული,
წამოსაფრენი ცხრა კუბოდან — თეთრი ასული.

ᲡᲐᲦᲔᲓᲘᲤᲚᲝ

რა უსაშველოდ გაზარმაცდა კედლის საათი!
კუს ნაბიჯებიც აღარ ეთქმის იმის ბობღიალს.
ღამე ცისკარის მოლოდინმა გაასავათა,
ღამეს ლოდინით გული მოღლია.
პატარა გოგო ემზადება დედოფლობისთვის:
გაუადვილე, მოდი, სიზმარო!
ყველა ოცნებას ჩაგაბარებს, ერთად მოგითვლის,
პაწია გული უფრთხიალებს დედოფლობისთვის —
ცისფერ იმედით შეუმოსე, არ დაიზარო!

ᲘᲛᲠᲔᲡᲘᲝᲜᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲩᲐᲜᲐᲮᲐᲢᲘ

კორდზე გაშლილი ბალის ჩრდილები,
წყაროსთან კვალი შველის ჩლიქების,
დასველებული ქალიშვილები,
ლა-მინორივით მოლიკლიკენი.
ერთი წამია მაისის დილა,
მაისის დილა — სველი ქალწული,
სანამ ჩიტივით გადაფრენილა,
ფუნჯი აიღე და სულწასული
აალივლივე აკვარელები —
დე, გაიყინონ სამარადისოდ,
შველის ნუკრივით საყვარელები.

ᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲠ,
ᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲠ —
და ᲒᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ ᲨᲔᲖᲘᲪᲐᲡ ᲡᲢᲝᲕᲔᲑᲘᲜ...
ᲣᲚᲣᲠᲯᲘᲡ ᲚᲝᲚᲘᲡ,
ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲐᲓ ᲨᲚᲘᲚᲘ
ᲓᲦᲔ ᲒᲐᲬᲝᲚᲘᲚᲐ ᲚᲝᲛᲘᲡ ᲢᲝᲠᲔᲑᲖᲔ.
ᲦᲐᲛᲔᲣᲚ ᲯᲐᲜᲒᲔᲑᲡ ᲨᲔᲜᲗᲐᲜ ᲛᲝᲕᲘᲢᲐᲜ,
ᲚᲝᲧᲐᲖᲔ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲝᲪᲜᲐᲓ ᲐᲒᲔᲜᲗᲝᲗᲡ,
ᲒᲐᲠᲔᲗᲛᲣᲚᲘ ᲮᲐᲠ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲗᲐᲜ,
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲔᲛᲘᲛ, ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲝ!
ᲓᲐ ᲨᲕᲔᲑᲐ ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲪᲠᲘᲛᲚᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲒᲓᲘᲗ,
Ო, ᲓᲔᲓᲝᲤᲝᲤᲐᲚᲝᲛ! ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲛᲔᲓᲔᲓ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ.
ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲪᲠᲘᲛᲚᲘᲗ —
ᲛᲬᲧᲣᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲪᲐᲛᲓᲘᲡ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმოდებული აზია სუნთქავს.
აზიისფერი ჩემი სხეული
სხივს ელოდება... მიჯნაზე ვდგავარ...

და ჟამთა ვეშაპს თავდაღწეული
და შენი სულის განსაკითხავად
აღმოსავლეთით ამოდის თამარ...
ამოდის თამარ...

ნაადრევი თოვლი

რა ნაადრევად მოხველ,
ვით ნოემბერში თოვლი
და წამწამები სველი,
ისე, ვით ნაძვის წიწვი
კრთის დაბინდული ცისფრით
და უმწიფარი ხელი,
ვით ნაადრევი თოვლი,
თრთოლვით ეხება ლოყებს.

გაოცებაა ჩქარი —
კრძალულ სითეთრეს ვუმზერ,
არ მოველოდი ზამთარს
ასვ უცებ და ადრე.

ცრემლი დასცვივა ჭადრებს,
ფოთლებს ფიფქებით დამფრთხალს,
ველარ მიუსწრებს სულზე,
ვერ გადარეკავს ქარი.

რა ნაადრევად მოხველ,
რა უცნაური გასდა
ლოდინის დასრულება
და ასრულება ნატვრის.
ვდგავარ, შევყურებ ჭადრებს,
მიდამო ილულება,
რა ადრე დამიზამთრდა, —
რა ნაადრევად მოხველ.

ELIBRARY.GE
elib.nplg.gr

გურამ ასათიანი

პოეზია და „სხვა“

I

„დინოზავრების ნაკვალევზე სიარული აარძალულია!“

ეს გრანდიოზულად ახალი წარწერა სათაფლიის ნაკრძალში დიგვეხედა ოცდიდ წლის წინ, მე და ჩემს მეგობრებს — მაშინ ჯერ კიდევ საკლასებთა ახალგაზრდა ქართველ ლიტერატორებს.

დიდი ხანია გადაწყვეტილი მაქვს დავწერო წერილი ამ სათაურით.

პეტრე ჭავჭავაძეი — სათაფლეიელი პატრიარქი — პრეისტორიის დიდი მოსაარჩენე და მოყვარული — უთუოდ ბრძენი კაცია. ჩვენ ეუბედ გვაქვს, რომ მან ეს აბრა საგანგებოდ გამოკიდა იმ დღეს...

დინოზავრების ნაკვალევზე სიარული, მარილაც სახიფათოა. არა დინოზავრებისთვის, ცხადია, არამედ მათთვის, ვინც კვალში გაყოლის მოინდომებს.

პოეზიაში ადრე თუ გვიან აუცილებელი ხდება ახალი გზის გაკრა. ეს ძნელი საქმეა — ითასი ფათერაკით სავსე და საკმაოდ უმადური.

ხდება ისეც, რომ ბილიკის გამკვალავი განზე დგება და „შემდგომად მივალ“, გაცილებით ახოვან პიროვნებას უთმობს გზას.

გაკვალული ბილიკით სარკვევლობა თავისთავად სათაკილო საქმე არ არის. მაგრამ თუ გზაზე დინოზავრმა გაიარა...

გინახავთ პეტრე ჭავჭაკაანის სამფლობელო? დინოზავრების ნიფეხურები ქვადქცეულ ნიადაგზეა ამოტვიფოფული. ამ ქვაზე ხელმორეულ გაკვლა უბრალოდ არ ღირს. გინდ გაგიკვლია, გინდ არა. ქვა ქვად რჩება. სხვას აღარაფერს დამიწნევს.

ოერი ტინინოვმა წინა საუკუნის რუსი პოეტები ორ ბანაკად გაჰყო — „არქაისტებად და ნოვატორებად“. ასეთი დაყოფა ქართული ლიტერატურის კლასიფიკატორებსაც შეეძლოთ ერთი ბარამეოთხის გათვალისწინებით:

პოეზიაში მთავარია არა ის, რაც ახალია, არამედ ის, რაც ამავე დროს მარადიულია, ანუ სამუდამოდ რჩება (სათაფლიაში შემორჩენილი აღნაგებენი).

და კიდევ:

ის უცნაური არსებები იმისათვის არ გამოჩენილან ამ მიდამოებში, რომ სპეციალისტებისათვის სალექციო მასალა დაეტოვებინათ.

მათ გაიარეს ნაწვიმარ ქვიშაზე, უხსოვარ დროში არსებულ ოკეანის პირას. ალბათ სიამოვნებდათ კიდეც, როცა დაშაშოლ ფეხის გულებს ნამიან სილას ახებდნენ. წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომ მათ ზურგს უკან მარადისობა იყო ჩასაფრებული.

●

ჩვენი საუკუნის ქართულ პოეტიკაში კარდინალური გარდატეხა ათიანი და ოციანი წლების მიჯნაზე მოხდა.

ამის შემდეგ მოვლენები უფრო მშვიდობიანად გითარდებოდნენ.

მაგრამ პოეტური აზრი მაინც გამუდმებით მოძრაობდა, ახალი ნაპრიბისკენ ილტვოდა, ან სიღრმეში განგარძობდა დუღილს, მაშინაც კი, როცა ზედაპირზე უიმედო შტილი იყო გამეფებული.

ყველაზე გაბედული ცდა ქართული ლექსის გვიანდელი მოდერნიზებისა, რომელიც ჩემი თაობის მეხსიერებაში დარჩა, მუხრან მაჭავარიანს ეკუთვნის. მან შემოიტანა ენიშვნელოვანი ცვლილებები ინტონაციაში და ლექსიკაში.

ეფექტს აძლიერებდა ის გარემოება, რომ ეს იყო პირველი ცდა დიდი ინტერვალის შემდეგ.

ამით მე სხვა პოეტებს წვლილს არ უარვყოფ. უბრალოდ, ყველა ფაქტს და სიგანეს თავისი სახელი უნდა დაეჩქვა.

მაგალითად, ანა კალანდაძეს, რომელიც, პოეტური ჰარმონიის თვალსაზრისით, მიეწვდომელი ნამუშევრის ავტორია ომისშემდგომ დროინდელ ქართულ პოეზიაში, ასეთი როლი არ შეუსრულებია. მართალია, როგორც ჭეშმარიტად დიდი შემოქმედი, ისიც ფართო გაგებით ნოვატორია, ახალ ფასეულობათა შემქნელია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მისი ნოვატორობა მოღერნიზების გზით არ წარმართულა. მას არაფერი დაუნგრევია ახლის ასაშენებლად.

სხვა მაგალითი:

რეგეზ მარგანინი ჩვენი დროის ერთი იმ ოცნათა პოეტთაგანია, რომელთა ლირიკულ ამეტრებას თავისი განსაკუთრებული კოლორატიც მოპყვა თან. მან ნამდვილად გაამდიდრა ქართული ლექსი ახალი მელოდიებით, უწინარეს ყოვლისა მშობლიური სვანეთიდან ჩამოყოლილი, ჩვენი მკითხველისთვის მანამდე უცნობი ხმებით. და მაინც თანამედროვე ქართულ პოეტიკაში მას, ისევე როგორც მისი თაობის სხვა სახელოვან პოეტებს, გარდატეხის ეტაპი არ განუხორციელებია.

ლადო ასათიანს, ბერრა გელოვანს, ალექსანდრე სიჯაიას ქართულ პარნასზე გალაკტიონისა და ყანწულების მიერ გაწყობილი ჩანგი დაჰყოდათ. მათ ყმაწვილური ნდობით შეახეს ხელი ძის სიმებს და თავისი ახალი გულისნადები გაანდეს. ბევრი ხალასი, ჭაბუტური სიწრფოებით სავსე ჰანგი გამოსცა ამ საკრავმა მათ ხელში.

მაგრამ სიმართლისათვის უნდა ითქვას, რომ მათ ეს სიმები ახალ კილოზე არ გადაუწყვეტიათ.

დღეს ქართულ პოეზიაში სულ უფრო ხშირად გაისმის ღრმა ცვლილებათა მაუწყებელი ხმები.

განსაკუთრებით ახალგაზრდობის მხრიდან.

ზოგჯერ ეს ის ბგერებია, რომლებიც ორკესტრიდან კონცერტის დაწყებამდე მოისმის, ინსტრუმენტების მომართვისა და მოსინჯვისას. ყოველ შემთხვევაში მკითხველთა დიდი ნაწილი ამ ხმების სწორად ასე აღიქვამს. სიმბოლურია ამ მხრივ ერთი პოეტური კრებული სახელწოდება: „აუწყობელი გიტარები“ (თუმცა ამ წიგნის ავტორი უკვე ახალგაზრდა პოეტი. ალერ არის).

ყოველივე ეს, ჩემი ფერმრთა, სწორედ ხაზგასმა გადაწყობის მანიშნებელია.

რაღაც დიდი, პრინციპული ცვლილებებია მომზდგარი კართან. შესაძლოა, მათი ერთი ოდენ უკვე განხორციელდა, ჩვენ კი რატომღაც არ გვინდა დავიჯეროთ.

ამაზე ცოტა ქვემოთ.

●

ქართული ლექსის განახლებას ამკამად ახალგაზრდებზე არანაკლებ რამდენიმე უკვე ჩამოყალიბებული პოეტიც უწყობს ხელს. რევეგისა და ზენგის ინტენსიურობა მათ შემოქმედებაში სხვადასხვაგვარია. სიერთო ამ პოეტებს შორის ის არის, რომ ისინი მეტნაკლებად აახლოვებენ ლექსს ცხოვრებასთან („პროზასთან“), პოეზიის სამყაროს — რეალურად არსებულ სინამდვილესთან.

ზოგი ამას შეუნიღბავად აკეთებს, აშკარად პირდაპირი გაგებით.

მაგალითად — მურმან ლებანიძე.

მას არ ეშინია „პროზის“. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის ნამდვილი პოეტია. უკვე დიდი ხანია, დარწმუნებულია თავის პოეტობაში და სჯერა, რომ პროზა მას ვეღარ შეუშლის, ფრთებს ვეღარ ჩამოაყრევინებს.

მეორეც ის, რომ მას თან დაყვა ამ პროზის სიყვარული.

სიცოცხლე ყველა სულდგმულს იზიდავს. მაგრამ ადამიანების მხოლოდ ერთ ნაწილს ახასიათებს ისეთი სიყვარული, რომელიც ყოფიერების რაგნად-რაგვარი გამოვლინებისადმი თითქმის ერთნაირი ძალით მეოდგნდება (რა თქმა უნდა, თუ ამ გამოვლინებაში რამე ბოროტება არ არის ნაგულისხმევი).

უფრო მეტიც ასეთი თვისებით დაჯილდოებული პოეტთა რაოდენობა.

ამ პოეტებისათვის სიცოცხლე მშვენიერია არა მხოლოდ თავისი არსით („იდეით“), არამედ კონკრეტული ფორმებითაც.

მურმან ლებანიძის ტიპის პოეტები მუდამ რაღაცას დაეძებენ. მათი მთავარი საზრუნავი გარესამყაროს ხმათა და ფერთა შეკრება და შინ შემოტანაა. მათი გულისთქმაც მუდამ სიახლეს, ახალ-ახალ სივრცეებს ეტანება.

არსებობენ პოეტები, რომელთა მოძრაობა აღნიშნული მიმართულებით ძნელად შესამჩნევია. მაგალითად, ოთარ ჭილაძის მიერ ქართულ ლექსში შეტანილი ნოვაციები ისე ტკბილად არ ჩანს, როგორც მურმან ლებანიძისა. ეს იმიტომ, რომ ის შეგნებულად ეძიებენ სიტრელეს, ცხოვრებისმიერ ამორფულობასს, სიგრძიდ ყოველივე ემპირიულს. მისი მიდრეკილების მთავარი გზაა სუბსტანციისაკენ იხრება.

ამით მე მას არც ვეჭვებ და არც ვამცირებ. მხოლოდ მის თვისებას აღვნიშნავ.

ოთარ ჭილაძის (პოეტის) მზერა სულის სიღრმეებისაკენ არის მიმართული და არა გარე სინამდვილის სივრცეთა განფენილობისაკენ.

ის ძირითადად იმაზე წერს, რაც მატერიალურად არ არსებობს.

ნოვაცია აქ შემდეგნაირად ვლინდება:

ოთარ ჭილაძე ცდილობს, რაც შეიძლება ზუსტად, შეუღამაზებლად აღწეროს ადამიანის სულში და გონებაში მიმდინარე პროცესები.

ზუსტად, შეუღამაზებლად და ამავე დროს რელიეფურად, მთელი შინაარსობრივი სისავსით.

ხოლო ის ნიშნები, რომლებსაც პოეტი ირჩევს ამ მოძრაობათა განსასახიერებლად, სულ უფრო ხშირად ცილდებიან ტრადიციულ

ბუნამ ასათიანი
პოეზია და „სხვა“.

პოეტურობის ფარგლებს. „პოეტიზმების“ ადგილს აქ შინაგანი ფეცეიტგმლობით ნაკარნახევი ძნელი სიტყვა იკავებს.

უნდა ითქვას, რომ ჭარმაგი ოსტატები ჩვენში, როგორც წესი, ერიდებიან ამკარა ფორმალურ ექსპერიმენტებს. ეს უთუოდ ასაკის თვისებაა. მაგრამ არა მხოლოდ: ექსპერიმენტატორობა ახლა საერთოდ პატეგმი არ არის.

ასეა თუ ისე, საკუთრივ ფორმალური ცდებით დღეს მხოლოდ ორი სოლიდური ასაკის პოეტია გატაცებული: ტარიელ ჭანტარია და ვახტანგ ჯავახაძე.

ვახტანგ ჯავახაძის ბოლოდროინდელი ექსპერიმენტები უთუოდ ორიგინალურია. ის ძირითადად პოეტური ფრაზის ფოლკლორულ სტრუქტურას ეყრდნობა, კერძოდ, სიტყვების თვისებურ თამაშს, რაც განსაკუთრებით ქართული ზეპირსიტყვიანა დამახასიათებელი. ენამახვილობა და მახვილგონიერება აქ ერთმანეთს ეკიბრება. ვახტანგ ჯავახაძე დაჯერებულად გრძნობს თავს ამ სამყაროში. ხალხური სტილი მას ხშირად ეხმარება: სიტყვები სიტყვებს ბადებენ, ყოველ ახალ სიტყვასთან ერთად იბადება ახალი ფარადოგანი, ანრი ანრაში გადადის და ეს ხდება ბუნებრივად, თავისთავად, ენინიდან სიტყვებს აქვთ თავიანთი შინაგანი ცხოვრება, შინაგანი კავშირები, ურთიერთი მიზიდვანი და განშიდვის უნარი.

ვახტანგ ჯავახაძეს ცდებში ზოგჯერ ერთგვარი გადახარჯვა შეიჭრნება. „თამაშში“ თვითმიზნურ ხასიათს იძენს და აზოთს, შინაარსის ხარჯზე ხორცეიფლება. ასეთ შემთხვევაში შეიძლება თქვას, რომ პოეტი „ბოროტად იყენებს“ ხალხურ ხერხს, ზედმეტ ექსპლუატაციას უწევს ან საბოლოოდ ღლის სიტყვას. გაშმშვილული ხერხი მაყურებლის მიერ მხილებული მანიპულირობის მდგომარეობაში ვარდება.

ყველაზე გაბედულად და ყველაზე დიდი რისკით ქართული პოეტიკის გადასახლოსებლად დღეს ტარიელ ჭანტარია იღებს.

თავისი უკანასკნელი ლექსებით ის პოეტური აზროვნების თავისებურ „ირონიულ-ანალიტიკურ“ სტილს ამკვიდრებს (ეს გარემოება უკვე აღნიშნა ქართულ კრიტიკაში).

მოხდა თავისთავად უცნაური რამ: პოეტი, რომელიც გუშინ (რამდენიმე წლის წინ) შეუწყნარებელი სასსატკეთ ეკვეთი ტრადიციული „პოეტურობის“ ხელმყოფთ (გურამ პეტრიაშვილს), დღეს თვითონ ქვის ქვაზე არ ტოვებს ამ „პოეტურობიდან“. მხედველობაში მაქვს მისი ორი უკანასკნელი წიგნი: „დაწყვეტილი სერპანტინი“ და „აფუწყობელი გიტარები“.

მე არ უარვყოფ ტარიელ ჭანტარიას მიერ არჩეულ მანერას. უფრო მეტიც, ვფიქრობ, რომ ასეთი ლექსი დღეს განსაკუთრებით ესაჭიროება ქართულ პოეზიას, გამარილებულად და კანონზომიერად მიმიჩნია სინამდვილის ფხიზელი ანალიტიკური ხილვა და ირონიასთვის პოეზიის კარიბჭეთა ფართოდ გაღების ცდაც.

ირონიულ-ანალიტიკური აზროვნება პოეზიაში უადგილად იშვიათი ფენომენია (მხედველობაში მაქვს ასეთი აზროვნების სრულქმნილი ფორმა).

შესაძლოა, პოეტს ცხოვრებაში ჰქონდეს ამგვარი ნიჭი, გამოიჩეოდეს კიდეც სხვათაგან ამ მხრივ, მაგრამ როგორც პოეტი, როგორც შემოქმედი, სრულიად სხვა თვისებებით იყოს ძლიერი. მე ვფიქრობ, რომ აქ სწორედ ამგვარი შემთხვევეა.

ანრის ტარიელ ჭანტარიას უკანასკნელ ლექსებში კიდევ ერთი თავისთავად საგულისხმო ტენდენციაა: თანამედროვე ცივილიზაციის ზოგიერთი სპეციფიური ატრიბუტისა თუ აქსესუარის მოშინაურების, ქართული პოეზიის საყოფა-ცხოვრები გარემოში მათი შემოტანის ცდა (ე. ი. დაახლოებით ის, რასაც დღეანდელ რუსულ პოეზიაში ანდერეი ვოზნესენსკი აკეთებს).

ტარიელ ჭანტარია შეგნებულად ანდევეს ტრადიციული ლექსის სემანტიკურ კსნიელს და განარღვევს უცხო ძაფით ლამპავს.

მეცნიერულ-კულტურული სტატისტიკა ის მშრალ მონაცემებს და შესაბამის საერთაშორისო ტერმინოლოგიას აქ დაკისრებული აქვს უჩვეულო ფუნქცია — პოეზიისეული ჩვეულ კაზმულ-მეტყველებასთან კეთილშეზობლობა.

ეს გაბედული ცდაა.

დღეანდელ ქართულ პოეტიკაში ამ მიმართულებით (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოცანი წლების ზოგიერთ ექსპერიმენტს) ტარიელ ჭანტარია პიონერის მძიმე როლს ასრულებს. მაგრამ ყოველივე ეს მის შემოქმედებაში ჯერჯერობით ლაბორატორიული ცდების დონეზე რჩება. ეს არის თავისებური ვარსიფიკაციულ-მეტფორული „ტესტების“ სერია, რომელთაგან მხოლოდ ერთი რიგი იძლევა წინასწარ ნავარაუდევ პოზიტიურ შედეგებს.

საერთაშორისო პარალელებისა და ასოციაციების შესამჩნევი ნაწილი ამ ლექსებში მაინც უცხო სხეულად („ანტიპოეზიად“) გამოიყურება.

რაღაც შეცდომაა დაშვებული ამ რკალის ლექსებში (განსაკუთრებით იქ, სადაც „საფლავში“, „საფლეშეს“ ერიოშვილ, ან „ბლეში“ „ბლეფს“), რადაც შეუვალი კანონზომიერებაა დარღვეული, რის გამო ზოგჯერ მთელი ეს წამოწეული „ირაციონალური თამაშის“ შთამეგონდებას ტოვებს.

მიზნის ასხლეტილი ირონიაც უკუღმა ბრუნდება...

„ანტიპოეზია“ მხოლოდ მაშინ არის გამარილებული, როცა ის ძველი, ტრადიციული პო-

ეტორობის უარყოფის გზით ახალ პოეტურ ფასეულობას ქმნის.

სხვა შემთხვევებში ის მხოლოდ კლავს პოეზიას, თვითონ კი მისი საზღვრების მიღმა რჩება.

ამ განზოგადებას უკვე უშუალო კავშირი აღარა აქვს ტარიელ პანტერიასთან.

როგორც ხედავთ, მე ერთგვარი უღმობლობა გამოვიჩინე მის მიმართ. ამისი უფლება მისდამი ღრმა პატივისცემამ მომცა.

ტარიელ პანტერიასგან ჩემნაირი მკითხველი მოელის იმას, რაც ბევრ სხვა პოეტს არ მოეკითხება. გარდა ამისა, ყოველივე ზემოთქმული მისი ლექსების მხოლოდ ერთ რკალს ეხება.

ტარიელ პანტერია რამდენიმე ანთოლოგიური ლექსის ავტორია. მას შშვენივრად შეეძლო პოეზიაში გაცილებით უფრო მშვიდი, უხიფათო გზებით მოძრაობა, თან კი მოულოდნელად ყველაზე მჩიდრად დანაღმულ არეებს მიაშურა. საკვირველი არ არის, რომ მას ისე ხშირად უფეთქდება სტრიქონი, საოცარია მისი შეუპოვრობა, თითქმის უნიკალური მისი გულგრილობა საკუთარი პოეტური კეთილდღეობისა და რეპუტაციის მიმართ.

●

ქართველ კრიტიკოსებს ამის წინათ სამართლიანად გვესაყვედურეს ერთგვარი ტენდენციურობის გამო:

„ზოგ-ზოგებს" თავის ვალდებულებად მიაჩნიათ, ჩუმად აუარონ გვერდი უამრავ მდარე ლექსს, რომლებიც ჩვენში ე. წ. მარადიულ თემებზე იწერება. ხოლო, როგორც კი აქტიურ თემაზე დაწერილ სუსტ ლექსს წაიკითხავენ, მაშინვე წარმოუდგენელ აურზაურს ტეხენ ხმა გარშემო.

ასეთია ამ საყვედურის შინაარსი.

რა დასაშალია, „ზოგ-ზოგებში" მეც ვიცანი თავი.

„მარადიულ" თემებზე დღეს, მართლაც, უამრავი სუსტი ლექსი იწერება. ბუნებრივია, რომ ამის გამო თვით ეს თემატიკა ჭკვიანეს თავის გარდუვალ მნიშვნელობას და წარმაგალ, უძარცვი სახეებში ინთქმება.

უკანასკნელ დროს შესამჩნევია არა მხოლოდ ეგრეთ წოდებული მარადიული თემების, არამედ ასევე ფსევდო-მარადიული პოეტური ხერხების ბოძალებაც.

ვისაც ჩვენი ჟურნალ-გაზეთებისა და გამომცემლობების პორტფელში ჩაუხედავს, მისთვის ნათელი უნდა იყოს, რას ვგულისხმობ.

იყო დრო, როცა ყველა დამწყები ქართველი პოეტი „ირეებს" და „შთვრეებს" რითმავდა ერთმანეთთან. მოგვიანებით. მათი ადგილი „ოცნებებმა" და „სოფლებებმა" დაიკავეს. ახლა პოეზიას ახალი შტამპები მოეძალა.

ეპიგონობა ზოგჯერ ცრუ-ნოვატორობის ნიღბითაც გვეკლინება. ზოგიერთი დამწყები პოეტი, რომელსაც ჯერ თავისი ხელობის ბანდაჟი არ შეუთვისებია ხეირნიანად, იმთავითვე ტრადიციათა გადამსწყვეტელი როლს კისრულობს.

„ახალი ფორმა" მაშინ არის გამართლებული, როცა ის ლექსის შინაარსითაა ნაკარნახევი. როცა ახალი შინაარსი ძველ გარსში ვეღარ ეტევა. აქ კი ხშირად სხვა სურათია: ფორმის მოჩვენებითი სიახლე ძველი, ათასჯერ გადამღერებული შინაარსის საფარველად წარმოგვიდგება.

კითხულობ ამ ლექსს და ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს მტანარ ზღვაში იხრჩობოდე. თითქოს ესეც წყალია — ოგვე მოლეკულები, ოგვე ფერი... მაგრამ არც გემო აქვს, არც სურნელი და, რაც მთავარია, ადგილიდან არ იძვრის. გარშემო რომ ქვეყანა ინგრეოდეს, მის ზედაპირზე ერთი ტალღაც არ შექანდება.

ცხადია, მე მარადიულ თემებს არ უარვყოფ, რომც ვცადო, მკითხველი არ დამიჯერებს, უფრო მეტიც, მკრეხელობად ჩამითვლის ასეთ ცდას. ის მკითხველი, რომელიც გალაკტიონსა და ანა კალანდაძის უკვდავ სახეთა სამყაროსაა ნაზიარები.

მარადიულ შინაარსს მხოლოდ სამარადიოდ ნაწრთობი სტრიქონი უძლებს და ინახავს.

ეპიგონების პრაქტიკა განსაკუთრებული სიმკვეთრით ავლენს დროის ამა თუ იმ კრიზისულ სიმპტომს. სწორედ ის გვგიჩვენობენებს ამა თუ იმ ნივთიერების ამოძირიდელ ნაკლებობას და შესატყვის წყურვილის გვიღვიძებს.

ქართულ ლექსს დღეს აშკარად სჭირდება განახლება — მის შინაარსსაც და ფორმასაც, სხვანაირად რომ ვთქვით, მის მხატვრულ შინაარსს და შინაგან ფორმას (რაც არსებითად ერთი და იგივეა). ამით ის მინდა შევნიშნო, რომ საეჭვარია არა მხოლოდ ფორმალურ განახლებაზე, არამედ ძირეულზე, არსებითზე.

ქართული ლექსის მტევანი უფრო მჭიდრო უნდა დაიხუნძლოს იმ მზსიფერი ნაყოფთ, რომელიც თავის თავში ცხოვრების მიერ, ფფეთქვე, სიცოცხლით სავსე მარცვალს ატარებს — რაც ეშვიოტანლად ნამდვილია, ხორცქელია, წონადია (ოღონდ ისე, რომ ეიგო არ გადატყდეს და ზედმეტად დამძიმებული ვაზი უმწეოდ არ განერთხას მიწაზე).

არაფერი არ ეწერაგვის ისე ძალუმად განსაგნებას, როგორც სულისმეერი. არაფერს არ სწყურია ისე მძაფრად ამკამინდელი, როგორც მარადიული.

ეს საკმაოდ ძველი ჭეშმარიტებებია.

ქართულ პოეზიაში ამგვარი მოთხოვნილება დღითიდღე ძლიერდება.

გურამ ასათიანი
პოეზია და „სხვა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვანაირად რომ ვთქვათ, პოეზია ისწრაფვის პროზისკენ. ეს მისი ძველისძველი შიშია. პროზა მას ესაზიარება, როგორც საზრდო და საწვავი. ვინაიდან პროზა ამ კონტექსტში იგივეა, რაც სიცოცხლე, ცხოვრება.

უანასკნელ დროს ძვ ზშირად მიხდება „დამწყებ“ პოეტებთან საუბარი. და, ასევე ზშირად, ერთი და იგივეს გამეორება:

— თქვენი ლექსი საყვარდ მსუბუქია, საეჭვოდ გამჭვირვალე.

დიდ საეჭვოდ!

ვინაიდან პოეზიის ეს ორი სუბსტანციური თვისება (სიმსუბუქე და სიმჭვირვალე) მხოლოდ შეფარდებითია. აბსოლუტური გგგბით ისინი სიკვდილს და არარაობას მოსწავლენ. სიმსუბუქეს მაშინ აქვს ფასი, როდესაც ის დიდი ტვირთის დაძღეკას გულისხმობს და არა უბრალოდ განტვირთვას. მჭვირვალ საგანს კი მაშინ, როცა მასში ნათლად, აუმღვრეველად გამოსჭვივის რაღაც მნიშვნელოვანი, არსებითი. აბსოლუტური სიმჭვირვალე სიცარიელის თვისებაა და არა პოეტურობისა.

ქართულ ლექსში თანამედროვე მკითხველი ეძებს რეალობის მკაფიო ალნაბეჭდებს, დიდი ცხოვრების, მიწის, ნიადაგის ცხოველ სუნთქვას. ზოგი ამას „დამიწებას“ ეძახის, ეს რუსულიდან ნათარგმნი ტექნიკური სიტყვაა („заземление“). მე ამას არ ვეფლისხმობ, ვინაიდან „დამიწებაც“, სრული გაგებით, სიკვდილის სინონიმია.

პოეზია წარმოუდგენელია უფრთებოდ. ეს ყველამ ვიცით. მაგრამ ფრთები თავის მხრივ უაზრობაა სხეულის გარეშე და რაც უფრო მძიმეა სხეული, მით უფრო დიდ და ძლიერ ფრთებს მოითხოვს.

●

ამ წერილის საბოლოო მისამართი ჩვენი მწერლობის ახალთაობაა — ის პოეტები, რომლებმაც სულ უკანასკნელ დროს მიიქცევს მკითხველის ყურადღება.

მე უშესაფოდ წერა ვერ ვისწავლე. რაც დრო გადის, უფრო და უფრო მიტაცებს „ექსპოზიციური“ ნაწილი.

ი ი ა ბ ლ ა ვ ი:

ვიდრე ქართული პოეზიის „ახალმოსახლეობაზე“ მოგახსენებდეთ, მინდა რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვა იმ პოეტებზე, რომლებმაც უკვე მოასწრეს საერთო ფონზე გამოჩენვა და, თუ საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულან, ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც შემოლობეს თავიანთი სიცხოვრისი და სამომავლო არე.

ხუთი პოეტი მყავს მხედველობაში; — ხუთი „სამოცდაათიანელი“:

ბესიკ ხარანაული,
ია ორკოლიკიძე,
ლია სტურუა,
გურამ პეტრიაშვილი,
დავით წერეთელი.

ის, რაც მათ გაკეთეს ჩვენს თვალწინ (უკანასკნელი ათეოდე წლის მანძილზე), ქართული პოეზიის დღევანდელი მდგომარეობის, მისი ავ-კარგის განმსაზღვრელ მონაპოვართა რიგს განეკუთვნება და, რაც მთავარია, მათი შემოქმედება უაღრესად საგულისხმოა ხვალინდელი დღის, პერსპექტივის, მომავალი განვითარების თვალსაზრისით.

ბესიკ ხარანაული წუნარი ზნის პოეტია. მაგრამ მის გამოჩენას ლიტერატურულ კულუარებში მშვიდად არ შეხვედრიან. ვინაიდან ის მხოლოდ გარეგნულადაა წუნარი. შიგნით კი მუდამ წვალებაშია, გამუდმებით დუღს და ფეთქავს.

მეორე (მთავარი) მიზეზი ამ არამშვიდი შეხვედრისა ის იყო, რომ ახალი თაობის პოეტებიდან სწორედ ბესიკ ხარანაული დაუპირისპირდა ყველაზე კვეთრად უშუალო წინამორბედთ. უფრო მეტიც: ის ისე შემოეკიდა დარბაზში, თითქოს აქ არავინ დახვედროდეს, ისე დაიწყო თავისი მონოლოგი, თითქოს მის მოსვლამდე აქ არავის არც ერთი სიტყვა არ დაეძრახა.

ასეთი საქციელი, ცხადია, კაღნერად აღიქმება და შესატყვის რეაქციას იწვევს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს ყველა ნამდვილად თვითმყოფი პოეტის თვისებაა.

ყველა ხალასი პოეტი „თავიდან“ იწყებს: ბესიკ ხარანაულმა ყველაზე უბრალოდ, ყველაზე ბუნებრივად და ყველაზე რადიკალურად განაზორციელა ის, რასაც გურამ პეტრიაშვილი მოითხოვდა თავის გახმაურებულ წერილში (მხედველობაში მაქვს ალმანახი „ჭიკარტიკაში“ 1971 წელს დაბეჭდილი წერილი „ბიჭაზია და პოეტურობა“). მან მთლიანად (რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელი და დასაშვებია პოეზიაში) უარყო ძველი „პოეტურობის“ გარეგანი ნიშნები, ხელაღებით გაეძარცნა ყველაფერს, რაც ამ ცნების დაკანონებულ შინაარსში იგულისხმებოდა.

მოხდა ისე, რომ ამ პოეტის ლექსებს მე უფრო ადრე გავეცანი, ვიდრე სხვა მისი თანატოლების შემოქმედება. ამის გამო ის ჩემს თვალში მთელი თაობის მეჭიროშედ და პოეტური მრწამსის უპირველეს ალმასარბლად წარმოდგა.

ისტორია ზოგჯერ მოულოდნელი, ირონიით ამპვალეულს მოვლენათა წინააღმდეგობრივ შეაჯარსს: პირადად ჩემთვის ამკარა პარადოქსია, რომ ამ პოეტს ბესიკი ჰქვია.

თავისი ბუნებით ის სწორედ ამ ტიპის პოეზიას უპირისპირდება, რომელსაც ჩვენს წარ-

მოდგენაში ორი უკანასკნელი საუკუნის მანძილზე „სეზეის ბაღს შეეფენ“ და **„ტანონ-ტანონ“** განასახიერებდა.

„ბესიკური“ ტონალობას ჩვენში მეთოდურად ეძრძოდნენ, მაგრამ მისი ფესვიანად ამოგდება გერაფერ შეძლო. უფრო მეტიც: ამ პოეტიკას ბრნიალდ მისი ყველაზე ურჩი მოწინააღმდეგეები კი დიტტყვევებია. არაერთი „ბესიკური“ ლექსი აქვს დაწერილი, კერძოდ, მის პირველ (ყველაზე სასტიკ) კრიტიკოსს — იაკობ წერეთელს. ჩვენს საუკუნეში ქართული პოეზიის რეფორმაციაც ამით დაიწყო, რომ „ბესიკის ბაღში“ ბოდლერის ზმანიანი ყვავილების გადმორაგვა სცადეს. უფრო გვიანაა დაწერილი გიორგი ლეონიძის ცნობილი სტრიქონები:

ვიცი, დამდნარი ოფლის წკრიალი
ბესიკის ლექსზე უფრო ტკბილია...

ეს ლექსიც, აზრობრივად, ბესიკური სწყინს: დისკრედიტირების მორიგ ცდას წარმოადგენს (ბუნებრიობისა და სისადავის სასარგებლოდ). მაგრამ თავისი ემოციური ლოგიკით ეს რომ ამაკე ბესიკის აშკარა აპოლოგიაა! თქმა არ უნდა, რომ ამ სტრიქონების ავტორისთვის, ისევე როგორც მისი პლეადის სხვა გამოჩენილი ოსტატებისთვისაც (თითქმის ულაბლილ), ლექსის რიტმულ ნაგებობას და მუსიკალურ ორკესტრირებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა.

პოეზიის, როგორც „ყოფილი სიტყვის“, გაგება მოლიანად შენარჩუნებული ლადო ასათიანის თითის წარმომადგენელია პოეტურ ხელოვნებაშიც.

ჩოღო ყველაზე ნიშანდობლივი ამ მხრივ გალაკტიონ ტაბიძის ევოლუციაა, რომელიც „ნიკოლწშინდის“ დიდიდულად ორკესტრირებული საგალობლით დაგვრჩენია (ასეთი მოჩუქურთმებული ლექსი არსებითად უცხო იყო მისი ადრინდელი პოეტიკისათვის).

საკვირველი არ არის, რომ „ანტიბესიკური“ ტენდენციის მომძლავრება დღეს მტკვენეულად აღიქმება.

ბ. ხარანაულისა და მისი თანატოლების მოსულით ქართულ პოეზიას უკვე არა ნაწილობრივ, არამედ მთლიანად და თითქოს სამუდამოდ ტოვებენ ჩვენთვის მეტად ძვირფასი თვისებები, უწონარსს ყოველსა, მკაფიო რიტმი და მდიდარი ეფფონიური სტრუქტურა.

სიმართლისთვის უნდა ითქვას ისიც, რომ ქართულ ვერსიფიკაციაში ამჟამად გამქვინვარებული რეგვალს პროცესი არსებითად უკვე მოგზაურებული იყო ამ თაობის უფროსო წარმომადგენლების მიერ.

ამ საქმეში ხელი ურეკვიათ არა მხოლოდ აშკარად „ანარქისტული“ ბუნების პოეტებს — მურმან ლებანიძეს, მურნან მაჭავარიანს და ჯანსუფ ჩარკვიანს, არამედ, ნაწილობრივ, შოთა ნიშნიანიძესაც, რომელიც დღეს თეორი დიდად ვისუფალი ლექსის ნომერ პირველ მტრად ცვლილ ვლინება.

ეს „მოულოდნელი“ ცვლილებები ქართულ ლექსოწყობაში უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ზზადდებოდა. მართალია, რიტმი და რითმა ისე გადაკვრით არაფის უარუყვია. მაგრამ თანდათანობით იცვლებოდა მათი ეირი, დანიშნულება, გაბზარება.

რიტმი კარგავდა ჩვენულ სიმწყობრეს, ხოლო რითმა მუსიკალური გიფონრმეს (ეკეთილმოვნების) ფუნქციას. სულ უფრო მრავლდებოდა არიტმიის რეციდივები (რიტმული ლექსის შენგნთ), ღღითიდღე იზრდებოდა არაკეთილმზოვანი, ან, როგორც ვალერიან გიფრინდაშვილი იტყოდა, „ხეიბარი“ რითმების რიცხვი. რიდეკაც ოვიგე შითა ნიშნიანიძეს „ღიბერმან პინზერი“ „ღორბლიან პირმჩენ“-თან გარითმა, ამით მან ფაქტიურად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა რითმის კლასიკურ გაგებას, ვინაიდან, კლასიკური ეეფონიის თვალსაზრისით, ეს ისეთივე გადაბრაა, ისეთივე „უხეშია“ დარღვევა, როგორც ურითმო ლექსი.

და, აი, მოვიდა თაობა, რომელმაც პატივაჰდიდი ქართული რითმა თავისი ეზო-ბარემოდან დაითხოვა. რითმს თან წაყვა „წყობილი სიტყვა“, „მოვალ, მოვდიგარ და მოვიმღერი“, „სიტკბო“ და „ჭრიალი“.

პოეზიამ საბოლოოდ დაკარგა ამღერების („გალობის“) მნიშვნელობა, პოეტს კი ახლა მხოლოდ საქილაკოდ უწოდებენ „მგოსანს“.

ყოველივე ეს, მართალია, სედდის მოშვეტილია.

შესაძლოა, ის ნაჩვევი ხმები ერთხანს კიდევ შერჩნენ ქართულ ლექსს, ან ოღესმე ისევ დაგვბრუნდნენ, მაგრამ დღეს ჩვენი პოეზიის ყველა ცოცხალი სიმპტომი სწორედ მათი მზის გარდუვალ ჩასვენებას მოასწავებს. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ასეთი „კრახი“ ქართულ ვერსიფიკაციას მთელი მისი არსებობის მანძილზე არ განუცდია. ჩვენი საუკუნის ათიანი და ოციანი წლების ეპიზოდური შეტევები ამ მიმართულებით აშკარად მაცდება ამ ძირეულ ცვლილებათა ფონზე.

მართალია, ცისფეროანწყვლებსაც ჭკონდათ ტრადიციული ლექსოწყობის დარღვევის სეიროზული განზრახვა. მათ პირველ მანიფესტებში გარკვევით ეწერა, რომ ისინი ქართულ ლექსს „ხერხემლის გადამსხვრევას“ უპირებენენ. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს პოეტები ბოლოს და ბოლოს უფრო იმით ამაყობდნენ, რომ ჩვენი პოეზიის ისტორიაში პირველად დაწერეს სწორი სონეტი და სწორი ტრიოლეტი.

ახლაგზრდობას აქვს ნგრევის უფლება. ერ-

ბურაბ ასათიანი
პოეზია და „სხვა“.

თი პირობით: თუ მს მართლა აქვს რიმე ასაშენებელი.

ამ სიტყვებს ახლა სულ უფრო ხშირად იმეორებენ სხვადასხვა ვარიაციებით. მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, უმრავლესობა მაინც სინანულით შესაქერის ძველი ეტალონების ხელაღოფის სურთს.

ჩვენ გვახსოვს, როგორ დაუნდობლად „ბალტეა“ რუსული პოეზიის კლასიკური რიტმი და ჰარმონია ახალგაზრდა მაიაკოვსკიმ. ფრანგულ პოეზიაში მისზე ადრე დაახლოებით ასეთივე მტკივნეული ოპერაცია აპოლინერის სახელთანაა დაკავშირებული. კიდევ უფრო ადრე ინგლისურენოვან სამყაროში ამგვარი გარდატეხა უოტ უოტმენმა მოახდინა. ამ ფეთქებებს თან სდევდა ჯაჭვისებური რეაქცია (თუმცა პარალელურად კალიკიური ლექსის ერთგულმა პოეტებმაც ანაერით ბრწყინვალე გმირჯვება მოიპოვეს).

რდეევის სტიქია დღეს სულ უფრო ღრმად იჭრება პოეტურ აზროვნებაში და პოეტურ ტექნიკაში.

რაც შეეხება ქართულ ლექსს, აქ მისი მოქმედება ამჟამად ზენიტშია. ალბათ, როგორც ჩვეულებრივ ხდება, ამ შემოხვევაშიც მეცნიერული ბევრ ლაშა და ქვიშას დატოვებს, მაგრამ მისი ამობობერებული სიღრმიდან ნამდვილ მარგალიტებსაც უნდა მოველოდეთ.

როდესაც ბესიკ ხარანაულის თაობის პოეტები „ხერხემალს უმსხვრევენ“ ქართულ ლექსს, მით ალბათ სჯერათ, რომ გადატეხილი ძველი უფრო მაგრად შეკორძდება.

გარდა ამისა, ვერლინი (როგორც ტრადიციონალიზმის ყველაზე მძაფრი ანტითეზა თანამედროვე ვერსიფიკაციაში), ჩვენი აზრით, ერთ ფსიქოლოგიურ თავისებურებასაც გამოხატავს. ის თითქოს საერთოდ ყოველივე დაკანონებულის, მდგრადის, აუცილებლის ანტითეზაა და ამასთან ერთად ჩვენი დროისთვის დამახასიათებელ ანალიტიკურ მიდრეკილებათა ყველაზე მკაფიო ფორმალური გამოვლინებაც.

ყოველი ახალი თაობა განსაკუთრებული სიცხადით გამოხატავს თავისი დროის სულისკვეთებას. ეს უპირატესობა ექვემდებარეთ ამ გარემოების მიმართ ისტორიისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

თავისუფალი ლექსი დღეს უფორმობის, ამორფულობის ადეპტად გამოიყურება ტრადიციულად მოწესრიგებულ (ეგრეთ წოდებულ „კონვენციურ“ ანუ „შეთანხმებულ“) ლექსთან შედარებით. მაგრამ ეს კონტრასტი მხოლოდ შეფარდებითია. პოეზია ვერ ძლებს უფორმოდ. და ჩვენ დღითიდღე ვრწმუნდებით, თუ როგორ იბადება ძველი ფორმების ნამსხვრევებიდან არა ჭოილი, არამედ ახალი ფორმა, ახალი თანხმობა, ახალი კავშირები) იმ დროს როცა პოეზია ამა თუ იმ ნამდვილი პოეტის ხელით არ წყვეტს თავის შემშრეტ არსებობასაც.

თვით ბესიკ ხარანაულის შემოქმედებაში ამ ახალ თანხმობათა გამუდმებული ალმოცენება განპირობებულია ერთი არსებითი გარემოებით.

მის პოეტიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებს შინაგანი ფორმა, ანუ მეტაფორიული აზროვნება, რომელიც „შიგნიდან“ აწესრიგებს ნაცნობი ვერსიფიკაციული სიმეტრიებისგან და სამყაულებისგან გათავისუფლებულ ლექსს.

ხოლო ეს უკანასკნელი (მეტაფორიული, ხატოვანი აზროვნება, რომელიც ამ პოეტს ძალაში და რბილში აქვს გამყოფილი) თავისი ზარმაცალობით დაკავშირებულია ქართული სიტყვაკაზმული მეტყველების ყველაზე ღრმად მდებარე შრეებთან — ხალხურ შემოქმედებასთან, კერძოდ, მის უმდიდრეს ძარღვთან — საჭართველოს მთიელთა პოეტურ ზეპირსიტყვიერებასთან.

ანანკალება მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ბესიკ ხარანაული დაჯილდოებულია ამსოლუტური სმენით: ის იშვიათი სისასწაული გრძნობს ქართული სიტყვისა და ფრაზის შინაგან მუსიკალობას.

ამ ნიჭის სათავეც იმავე მიღამოებშია საძიებელი.

იბა ორჯონიკიძის პირველ წიგნს კრიტიკამ გულგრილად უარი გვერდი. ამ გულგრილობაში, შესაძლოა, სიფრთხილის მარცვალიც ერია.

ისეა თუ ისე, ამ პოეტზე გარკვევით ან სერიოზულად მხოლოდ მაშინ დაიწყეს საუბარი, როცა ის თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების პირველ გაზაფხულს ემშვიდობებოდა.

პირადად მე მისმა პირველმა წიგნმა მომხიბლა და გამოიცა: ეწერნარეს ყოველისა რამდენიმე სახის სიღრმით და სიზუსტით.

იბა ორჯონიკიძე მხოლოდ მაშინ აწყობს ლექსს, როცა ის პირიმდეი სავსე გრძნობით. ზოგიერთი მისი ლექსი შეკავებულ კიდევ გიგეს და თითქოს ამ კიდევის ჩასაბშობად ან დასამლავად არის დაწერილი.

ქართულ პოეტიკაში მას რაიმე თვალსაჩინო ალრეგა არ მოეხლინა. მაგრამ იმთავითვე გადაკრული განეფდა ეპიგონობის გზას.

„ქვის სასთუმლის“ ავტორი ცდილობს მიწესმიერი სიტყვებით გაამდიდროს თანმეფრონილი პოეტური ლექსიკონი.

ის შეეხებულად გაუტრნის ნაცნობ სამკაულებს, სხვათა მიერ დიდხანს ნატარებ და ამ ხანგრძლივი ხმარებით ფაღლილ თვალმარგალიტს. ყველ ძვირფას ქვაზე, ყველა თვალმაცდუნებელ ნაკეთობაზე მეტად, მას სოფლური ალვანზე შებმული „სარჩაკენო“, „ჯიხზე ძაფით ალინძული წეოელი ბალი“ და უბრალო „ნარიყი ქვა“ ჩიბლავს.

იბა ორჯონიკიძე განსაკუთრებული ყურადღებიერებით ეპყრობა უსახელო, დაგიწყებულ სი-

ტყვეს (მოთხრიბენთო რომ ელოდნენ თავიანთ დღეს), სათუთად აღლის მტვერს, ეფერება, ჩუმი ცრემლით ნამავს და ეს უსაზარი, უჩინო სიტყვები, როგორც წვეთის შემდეგ აკაწკაშებული ფერადი კენჭები, მოულოდნელი სხივით ავსებენ მის სტრიქონს.

ყოველივე ამას ის აკეთებს ზომიერად. ზოგჯერ მთელ ლექსში მხოლოდ ერთი ასეთი სიტყვა გვხვდება, მაგრამ სწორედ ის განსაზღვრავს მთელი ლექსის ფერწერულ ტონალობას. ასე ბზინავენ მისი „ხეირში თვალები", „ასკილის ლოპი", „ყვითელი ზეზი", და „ყაშა-ყაშა დამსკდარი ჩითი".

იზო ორჯონიკიძის ლექსის ფორმა, როგორც წესი, (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა), არსებითად კლასიკური, ტრადიციული. არა იმიტომ, რომ თავისი სულიერი წყობით ის ჩარმონიულ ან კონსერვატიულ პიროვნებათა რიგს ეკუთვნის, პირიქით: მისი ლექსების უმრავლესობას გარეგნოსან ან საკუთარ თავთან მწვავე კონფლიქტი ან ასევე მძაფრი უკმაყოფილობის გაწყდა უღიერს საფუძველად (ასეთი ემოციური ქვეტექსტი კიდევ უფრო აშკარად ჩანს მაშინ, როცა პოეტი „მშვიდზე მშვიდი" ინტონაციით წერს).

კლასიკური ფორმა აქ მოთხოვნილებას გამოხატავს და არა ხასიათს.

იზო ორჯონიკიძისთვის პოეზია არის ის სფერო, სადაც ადამიანის სული ჰარმონიას უნდა ეზიაროს, სრულიქმნას, დიახეეწოს, გამთლიანდეს.

ამიტომ ეკავეს ის კიდელს, ამიტომ ტოვებს ლექსის გარეთ ყველაფერს, რაც კი დისჰარმონიას, მოეწესრიგებლობას, გამოუსვლობის დღეთათა ლაბეჭდილი.

ბესიკ ხარანაულს და იზო ორჯონიკიძეს აქვთ ერთი საერთო თვისება: „ფეხვები". მათი მოძრაობა პოეზიაში წიაღიდან იწყება. მიწას წიაღიდან, სიცოცხლის პირველსწყისებიდან, უფრო უბრალოდ რომ ვთქვათ — სოფლიდან. მაშინაც კი, როცა ისინი ქალაქზე წერენ, მათი პოეტური ხილვები ეზის ფილაქნიდან ამოხეთქილ ჯიუტ ბალახს ჰგავს.

ამ სათავეთა მათი სიტყვის სიძლიერე და ჯვარიანობაა. ისინი მძაფრად გრძნობენ ქართული ენის პირველქმნილ ბუნებას და ჩვეულებრივ მის შინაგან კანონზომიერებებს მისდევენ.

ლია სტურუას და გურამ პეტრიაშვილის შემოქმედება თანამედროვე ქალაქის პირმშოა. ისეთია მათი პოეტური აზროვნება და მეტაფორების სტილი. „სათავეები" მათ მხოლოდ გონებით ახსოვთ და ყველა მათი ძირითადი ხილვა „შინაქალაქური" გარეგნოთია ნასაზრდოები.

ლია სტურუას ლექსების პირველ წყაროს ერქვა „ხეები ქალაქში". ეს თავისთავად ბრწყინვალე სიმბოლური სახეა. ქალაქში ხეები სხვა ცხოვრებით ცხოვრობენ, სხვანაირად ირხევიან, სხვა სიხმრებს ხედავენ დამლამობით.

ისინი თანამედროვე ქალაქის ისეთივე ენაპონენტებია არიან, როგორც ამწვეები, მეტრო, ტროტუარი, ლიფტი და ა. შ.

თანამედროვე ქალაქი კოლორიტის დაფინებელი მტერია.

ის უნივერსალური კონტურებისკენ მისწრაფვის. მისი იდეალი გეომეტრიაა და არა ფერწერა.

ყოველივე ამას პირდაპირი კავშირი აქვს ლია სტურუას პოეტიკასთან (თუ მხედველობაში მივიღებთ მთავარ ტენდენციას და არა ცალეულ, თუნდაც მკვეთრ გადახრებს, როდესაც პოეტი სწორედ სახეთა ფერწერულ გაზრდას მიმართავს).

ლია სტურუას პოეტური თვალსაწიერის ფარგლები და მისი პოეტიკის მთავარი მიღრეკილება ყველაზე მკაფიოდ (უკდურესი სახით) მის უკანასკნელ პოემაში, „ზღვის მოქცევაში" გამოვლინდა.

ქალაქის მოედნებზე ყოველ დღე თამაშდება კაცობრიობის ჭვეულისქვეო დრამები. თანამედროვე ქალაქი სავსეა ახალი, არანაკლებ მძაფრი კოლიზიებითაც.

ლია სტურუას შემოქმედებისთვის დამახასიათებელია განცდის დრამატიზმი, რაც თავისებურ ელფერს ანიჭებს მის სახეებს. მის ზოგიერთ ლექსში მართლაც ისმის დაკლული კერძლლის ხმა (რომელიც ზმაკაცის ხმით ტარის). ამავე დროს ისი სახეები ბაზგასმით გაუცხოებულია. „სიცრუის" (გამონაგონის) ზვედრითი წონა აქ მაქსიმუმამდე აღწევს. ამ გზას პოეტი შეგანებულად მიპყვება და ერთგან საგანგებოდ შენიშნავს კიდეც: „რომ მე არ მაქვს უფლება, ჩემი უცნაური და გაუგებარი სახეებით ხალხს თავბრუ დავასხა" — ასეთია მისი თვითბრალდება ან, უფრო ზუსტად, მისი ეჭვი საკუთარი ხელოვნების მიმართ. ამასვე ითქმევინებს პოეტი „ზღვის მოქცევაში" თავის წარმოდგენილ ოპონენტს: „სიცრუე, რომელსაც ის შთაგონებას ეძახის".

„სიცრუე", „უცნაურობა" ხელოვნების გაუნუოფელი ნიშანთვისებებია. მაგრამ ლია სტურუას ზოგიერთი პოეტური სახე მე წარმომიდგება უსაბრძნო სიცრუედ.

არა მხოლოდ ამის გამო, რომ ამ უცნაური სახეებიდან ბეტდა ძნელია რაიმე ასე თუ ისე ხელშესახები აზრის, ან, მითუმეტეს, „სასარგებლო იდეის" გამოწურვა (ამას პოეტებისგან გასული საუკუნის უტილიტარისტული კრიტიკა მოითხოვდა), არამედ იმ მიზეზით (პირველ რიგში), რომ ამ სახეებს აკლიათ ორგანულობა, აკლიათ ის ძალა, რომელიც მათი აღმოცენები-

ნა და არსებობის ნამდვილობას (მხატვრულ ნამდვილობას) გგიგრძნობინებდა.

„სიფრუის“ (ხელოვნების) სიბრძნე კი სწორედ იქიდან იწყება, როცა ჩვენ ვრწმუნდებით, რომ შეიმეცნოდა ახალი, თავისი საკუთარი კანონზომიერებით მოქმედი და მოძრაული სინამდვილე შექმნა, როცა პოეტური სახის ყოველი შემადგენელი ნაწილი ცოცხალ უჯრედად იქცევა. ერთი სტუკეთ, როცა „სიცრუე“ სიმართლის თვისებას იძენს.

პოეზია ვერ ბლეს უცნაურობის გარეშე. მაგრამ ამ უცნაურობასაც უნდა ჰქონდეს შინაგანი სიზუსტე. ან, თუნდაც ასეთი:

მე ვგეგვარ ზამთრით ფეხადგმულ ბუხარს
და კვამლიანი სულით ვლოცულობ...

სიცოცხლისა და ნამდვილობის ილუზიას ლია სტურუას მოეკრა რიგ (ზამთრის სიინტერესოდ, ზოგჯერ ბრწყინვალედ ჩაფიქრებულ) სახეებში ხელს უშლის ერთი არსებითი კომპონენტი. ეს არის პოეტის ენა.

ლია სტურუას მეტყველების მანერა ზედმიწევნით განწმენდილია, როგორც ღრმოშეპეუი ფერ-უმარუილისგან, ასევე ძველი ყაიდის მაღალფარდოვნებისაგანაც.

ეს უფლისაა სიმპტომატური და უთუოდ გამართლებული თვისებაა. გამართლებული **უწინარეს** ყოველისა თვით ცხოვრების, დროის, თანამედროვე მკითხველის მოთხოვნილებით.

მაგრამ ლია სტურუას პოეტური მეტყველება ამავე დროს განთავისუფლებული ჰისგანაც, რის გარეშეკ ენას (პირველ რიგში პოეტის ენას) სრულფასოვანი არსებობა არ შეუძლია. ეს არის მისი შინაგანი ეროვნული სტიქია, მისი იდუმალი მუსიკა, მისი მიმოქცევის იმანენტური კანონები.

დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს პოეზიაში არსებობს რაიმე სხვა ძალა, რომელსაც ენის უფიერულის კომპენსირება შეეძლოა. სხვათაშორის ამას ზოგჯერ ზემოიტირებული სტრიქონების ავტორზე ამბობენ. ეს წმინდა გაუგებრობის შედეგია. თუ სიმონ ჩიქოვანის სიტყვის აკლია ის ჯადარი და ხმიდანება, რაც, მაგალითად, გიორგი ლეონიძის ლექსის თვისებაა, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, თითქოს მისი პოეტური მეტყველება საერთოდ მოკლებული იყოს ამგვარ ღირსებებს (მეტნაკლებობა აქაც ბხოლოდ შეფარდებითია). მთელი რიგი მისი ლექსებისა ჩვენს მეხსიერებაში სწორედ ენერგიულად მოქნეული, ფერადოვანი ფრაზის წყალობით ცოცხლობს. არ უნდა დავგვიწყდეს, რომ პოეტური ნაწარმოების „გახმოვანებას“ ის იმთავითვე გადაწყვეტს მნიშვნელობას ანიჭებდა (ვიგისნენთ მისი ადრინდელი „ზაუმური“ ლექსები) და ეს ენება სიტყვისადმი არასოდეს გაწელებია.

ლია სტურუას უკანსკნელ პოემაში სიტყვა მოწყვეტილია ენის მთავარ სასიცოცხლო ძარღვს (ხალხურ სათავეს). ამის გამო მისი ფრაზა ზშირად უსისხლო, ანემიიურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

„ფარშევანგიანი შეფარული სახეები“ ფეჩმკრთალდებიან, ვინაიდან სიტყვა არ ეღერს, არ თრთის, ხოლო თუ ხილვის ენერგია სიტყვის ენერგიაში არ გადავიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ პოეზიის აქტი არსებობად არ შემდგარა.

შეიძლებოდა ყოველივე ეს აგვეხსნა კონკრეტული შემთხვევით, გვეთქვა, რომ ლია სტურუას არა აქვს თანდაყოლილი გრძნობა ენისა, რომ ეს მისი ინდივიდუალური ნაკლია.

სამწუხაროდ (ეა საბედნიეროდაც), მე ასე არ ვფიქრობ.

სამწუხაროდ — იმის გამო, რომ ეს თვისება დღეს ბხოლოდ ერთ პოეტს არ ახასიათებს. საბედნიეროდ კი იმიტომ, რომ მეკრძალ ენა სტურუასთვის ეს არის არა იმდენად თანდაყოლილი, რამდენადაც შეძენილი და, ასე გასინჯეთ, შეგნებულად გაფვიგებული ნაკლი. ეს არის მისი პოეტური პოზიციის შედეგი, იმ უკიდურესი პოზიციისა, რომელიც მას ამ სფეროში უჭირავს.

ლია სტურუას მეტყველების მანერა ინტელიგენტური მეტყველების მანერაა — თანამედროვე ქართველი ინტელიგენტისათვის დამახასიათებელი მანერა.

ეს მისი ენის საშუალი თვისებაა.

მაგრამ ინტელიგენტის ენას არ შეუძლია თავისთავადი არსებობა, ისევე როგორც თვით ინტელიგენტს არ ძალუძს (და უფლებაც არა აქვს) „თავისთავადი“ ცხოვრებით იცხოვროს.

ინტელიგენტის ენის მასაზრდოებელი წყარო ხალხის ენაა — საგნების ენა, ბუნების ენა, სიცოცხლის ენა.

მე ვფიქრობ, რომ ლია სტურუამ ჩემზე უკეთ იცის (ან, ყოველ შემთხვევაში, იცოდა) ეს. ამას მოწმობს მისი ლექსების რაკლი: „ვარიაციები ქართული ფოლკლორის თემებზე“. რა თქმა უნდა, ფოლკლორულ მოტივებზე უშუალო დაყრდნობა ენობრივი კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა არ არის. მთავარია, **ამ** სამყაროს სული შეითვისო. სული კი ხელოვნებაში განუყოფელად არის შეხორცებული მატერიასთან, ანუ ამ შემთხვევაში ენასთან.

თავის უკანასკნელ პოემაში ლია სტურუა ბეთლიანად განუდგა ამ სამყაროს. ის ზედმეტად ენდო „ფრთებს“ და სავსებით დაივიწყა „ფესვები“.

ფესვებმა შური იძიეს...

ლია სტურუა რამდენიმე წიგნის ავტორია, მაგრამ ის მაინც ახალგაზრდა პოეტია. მის წინ დიდი გზა დგას. ის ინერციით არ მისდევს ამ გზას. ზოგჯერ ნაბიჯს გზის საცდელად დგამს და არა მაინც და მაინც იმისთვის, რომ წინ წაიწიოს. მისი მოძრაობის მიმართულება ამყამად მრავალმხრივია, ზშირად მოულოდნელი, ზოგ-

ჯერ ნამღვილად საინტერესო — სიახლითა და უჩვეულოობით. მე მჯერა, რომ ბოლოს და ბოლოს ის მაინც მიაგნებს თავის ერთადერთ ბილიკს...

ჩვენი ახალთაობის პოეტებიდან ყველაზე მეტი აფიეტაჟი (შინაურობაში) **გურამ პეტრიაშვილის** დებიუტმა გამოიწვია. უნდა თქვას, რომ ამის მთავარი მიზეზი იყო არა მისი ლექსების პირველი წიგნი (1973 წ.), არამედ ზემოთაღსახელებული წერილი: „პოეზია და პოეტურობა".

აფიეტაჟის ორგანიზატორი გახლდათ ტარიელ ჯანტარია. მან არა მხოლოდ „დალოცა" ახალგაზრდა პოეტი, „შეაჩვენა" კიდეც. ეს კი ლიტერატურაში ზოგჯერ ერთსა და იგივეს ნიშნავს. ასეა თუ ისე, გურამ პეტრიაშვილის სახელი გარკვეულ მომენტში ლიტერატურულ ძვრათა და ღელვათა ეპიცენტრში აღმოჩნდა.

ტარიელ ჯანტარია წერს:

„ოსიპ მანდელშტამმა თქვა ერთი პოეტის შემოქმედებაზე: ეს არისო თარგმანები არარსებული ორიგინალიდან. იგივე შეიძლება ითქვას გ. პეტრიაშვილის ლექსებზე... ამ ლექსებს არაფერი აქვთ საერთო ქართულ სულთან".

ვიდრე იმაზე ვიტყოდეთ, მართალია თუ არა ტარიელ ჯანტარია, ერთი მაგალითით გავამაგრებ მანდელშტამის ციტირებულ სიტყვებს.

ანდრე მორუა (ქართული მკითხველისთვის კარგად ცნობილ ფრანგ მწერალს) აქვს ასეთი მოთხრობა: „ოფეტაურობა ესთეტების მხარეში".

მოგზაური ხვდება ტუნის კუნძულზე, სადაც სილამაზის მოყვარულები ცხოვრობენ. მათ აქვთ თავიანთი კონსტიტუცია, სახელმწიფოგანრიობა, ზნე-ჩვეულებები.

ამ კუნძულზე უცხო თვალს და ყურს მრავალი უცნაურობა აკვირვებს.

და, აი, მთავარი:

„დიდი მხატვარი თავის ტილებს მოდელების გარეშე ქმნის!" — ეუბნება მოგზაურს კუნძულ მაინს მოსახლეთა გემოვნების კანონმდებელი.

ცხადია, ასეთი კონცეფცია თავისი აბსოლუტური მნიშვნელობით მხოლოდ ერთი მიმართულებით წარმართავს მხატვრის შემოქმედებას.

ეს არის ხელოვნების კასტრირების გზა.

ეს გზა იმდენად მაცდუნებელია (განსაკუთრებით ჩვენს დროში), რომ ზოგჯერ ყალბი გაგებაში ატეხვასაც, შესაძლოა, ერთგვარი გამართლება ჰქონდეს.

პოეზია მხოლოდ ცხოვრებიდან იზრდება, ზოგჯერ ცხოვრების ეუფუღნანაც კი, როგორც ამ უკანასკნელის მოგვრიების, გარდაქმნის ან დამორჩილების შედეგი. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამას ისეთი მეფური ბუნების პოეტებიც კი აღიარებენ, როგორიც იყო, მაგალითად, ანა ახმატოვა: «Когда б вы знали, из какого сора растут стихи...»

თითქმის ყველა დიდი გზის შემოქმედი ბუნების წინააღმდეგ ამბოხით იწყებს და მხოლოდ გვიან ხვდება, რომ ეს მასში ამბოხებულ ბუნებასა

ELIBRARY.GE

ამბოხი იმაში მეღავნდება, რომ პოეტს სურს, ბუნების მოდელის გარეშე შექმნას თავისი დამოუკიდებელი სამყარო.

მაგრამ ყველაზე დიდი აღმოჩენა ის არის, როცა გრძნობს, რომ შენც (შენი მიკროკოსმით) დიდი სამყაროს ნაწილი ხარ და რომ ის შენსავით რთულია, შენსავით წინააღმდეგობრივი, მეამბოხე და ცვალებადი...

ტარიელ ჯანტარიასგან განსხვავებით მე ვფიქრობ, რომ გურამ პეტრიაშვილის ლექსებს აქვთ თავიანთი რეალურად არსებული „დედანი".

მთელი მისი პოეზია იმ თვისებების (სულერ თვისებათა ან ერთი რიგის) გამომხატველია, რაც პირადად მე ქართული ეროვნული ხასიათის ნიშნეულ, განუყოფელ თავისებურებად წარმომიდგება. ეს თავისებურება მარტო ჩვენს წარმოდგენაში ან სურვილებში როდი არსებობს. ის ისტორიულად ობიექტივირებულია და სავსებით ცხად რეალობად წარმოგვიდგება.

მხედველობაში მაქვს სიკეთე (სულს თავისებური სინერეკ), თვითგადადების ძმაფრი მოთხრობნილება და ირტისტიზმი („არტისტელ", ხელოვნებისმიერ სამყაროსთან ზიარების) თანდაყოლილი სურვილი.

ცხადია, ეს მხოლოდ ერთი რიგია იმ თავისებურებებისა, რომლებსაც ჩვენს ეროვნულ ხასიათს განსაზღვრავენ. მაგრამ... „ერთ საწყალ პოეტს ამაზე მეტი ნამუსით აღარ მოეთხოვება".

სხვადასხვა პოეტები ჩვეულებრივ მშობელი ერის სხვადასხვა თვისებებს ავლენენ. მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულთ ხელეწიფებათ მოლიანობის მოცვა და სრულქმნილი გამოხატვა.

რა ვუყოთ, რომ გურამ პატრიაშვილი მკვეთრად ტრანსფორმირებული სახით ვგვსურნოვებს ამ მშვენიერ თვისებებს.

ჩვენი სქმეა, ამ უჩვეულო სახეებში ვიცნოთ ის, რაც მათში ახალი ფორმით განაგრძობს თავის უწყვეტ არსებობას (ისევე როგორც თავის დროს „გაგარიანდილებულ პიერროში" განეკერტეთ ქართული პატრიოტიზმის ახალი ნაირსახეობა, ან უმწეო „ოფელიებში" ვიცანით მარადქალურობის ჭეშტალგან ნაცნობი იერი).

გურამ პეტრიაშვილმა თავისი მოთხრობების ერთი ციკლი ისე დასათაურა: „პატარა ქალაქის ზღაპრები". შეიძლება ითქვას, რომ 1976 წელს გამოცემული მისი ლექსების წიგნიც არსებითად ქალაქური ზღაპრების კრებულს წარმოადგენს.

გურამ ასათიანი
პოეზია და „სხვა".

ეს ახალი ტიპის ზღაპრებია: ეს არის ასოალტზე აღმოცენებულ, „ქალაქში, მტვერში“ დაზმანებულ უცნაურ ზმანებათა კრებული. ამაშია მათი სიძლიერეც და მათი სისუსტეც. სიძლიერის მიზეზი ის გახლავთ, რომ ქალაქში განსაკუთრებით მძაფრდება ამისი სურვილი, ამისი ნატვრა და იმაზე ოცნება, რასაც გავარვარებული გუდრონი და რკინაბეტონის ვეება ნაგებობანი დევნიან თავიანთი საშფოთველნაზან.

სწორედ ეს წყუხვილია ამოკითხული პოეტის მიერ „ზღვის სიშორით შეშლილი ჩიტის“ თვალებში (მთისა და მინდვრის ლაღი ბინადარნი ასეთი თვალებით არ იყურებიან).

სისუსტეც ამ ზღაპრებისა, უფრო სწორედ, მათი პერსონაჟების გულსატკენი უმწეობა იმით არის გამოწვეული, რომ ისინი უღიღიანი, ეფემერული არსებები არიან. მათ არა აქვთ საყრდენი იმ გარემოში, საღაც შესვლა და დამკვიდრება მოიწადინეს.

ამიტომაა, რომ ისინი ღღის სინათლეს ვერ უძლებენ.

ის, რაც გურამ პეტრიაშვილმა თქვა პოეზიაში, პირადად მე ძალზე მიგრნებს იმას, რაც ახალგაზრდა კინორეჟისორმა მიხეილ კობახიძემ ვვითხრა ეკრანიდან. მათი ნაწარმოებების სტილისტიკა უთუოდ მონათესავეა (მიუხედავად იმისა, რომ ბ. პეტრიაშვილისთვის უცხოა ვ. კობახიძის მხიარული იუმორი).

ეს თანამედროვე ქართული ხელოვნების ერთ-ერთი დიდად ნიშანდობლივი ეერსახეა, ნიშანდობლივი და ანგარიშგასაწევი. თვით ფაქტი ასეთი ხელოვნების აღმოცენებისა დაფიქრებას მოითხოვს ჩვენგან, ვინაიდან ის რაღაც არსებითის შედეგია.

ეს ხელოვნება მხოლოდ გარეგნულადაა კოსმოპოლიტური. მისი გულისგული, ჩემი ღრმა რწმენით, ქართულია, და ჩვენი დღევანდელი ეროვნული ყოფიერების ერთ საგულისხმო წარმონაკვეთად გვევლინება.

ყოველ ახალ მოვლენას თვითდამკვიდრების პროცესში თან ახლავს უკიდურესობისაკენ სწრაფვის ტენდენცია. მითუმეტეს, თუ მას წინააღმდეგობა ხვდება გზაზე.

გურამ პეტრიაშვილმა ამგვარი უკიდურესობა თავისი ლიტერატურული პოზიციით გამოხატა. რაც შეეხება პოეტურ პრაქტიკას, აქ მან (ჩვენნაირ სასიხარულოდ) ვერ შეძლო „ანტიპოეტურობის“ პრინციპების თანმიმდევრულად გატარება (ეს გარემოებაც პირველად ტარიელ ჭანტურიამ შენიშნა).

მიუხედავად ამისა, მე ვფიქრობ, რომ გურამ პეტრიაშვილს, როგორც პოეტს, მომავალში ელოდება ერთი სახიფათო მიჯნა: ენის ბარიერი.

ვერ ვიტყვით, რომ მას ქართული უჭირს. ის წერს იმ ენით, რომელიც მას ესაბიროება, საკმაოდ ზუსტად და ეკონომიურად.

მაგრამ გურამ პეტრიაშვილს მომავალში უსათუოდ მოუნდება თავისი გარემოდან გამოსვლა, მისი საზღვრების გარღვევა და აქ მას უსათუოდ დასჭირდება ახალი მეგზური.

ენა პოეზიაში მხოლოდ სამუალება არ არის, მას თავისთავადი მნიშვნელობაც აქვს. ენის წიაღში (მხედველობაში მაქვს ისეთი ისტორიისა და პრეისტორიიის მქონე ენები, როგორიც ქართულია) იმალება ფასდაუდებელი სიმდიდრე. ის, დედამიწის ძველისძველი ქანებივით, ინახავს აურაცხელ სიცოცხლეთა და მოძრაობათა აღნაგებულს.

ასეთი ენა ზოგჯერ თვითონვე ჰკარნახობს შემოქმედს გამოსავალს — ახალ გზებს, ახალ აზრებს, ახალ სახეებს. რაც უფრო ღრმად შედიხარ ენაში, მით უფრო ნათელი და გასაგები ხდება საგანთა ფარული კავშირი, მათი ოდინდელი ეშშმარიტი ურთიერთდამოკიდებულება, მათ შორის არსებული მუდმივი სიყვარული და ანტაგონიზმი.

ქართული ენა თავისთავად სიბრძნის წყაროა და ამასთან ერთად მშვენიერების ამოუწურავი საბადო.

დიდად საინტერესო ცნობა გამოაქვეყნა ამას წინათ თამაზ ჩხენკელმა (იხ. მისი წერილი „მცვალი ყოფილა ქართლისა“, „ლიტერატურული საქართველო“, 30 სექტემბერი, 1977). კონსტანტინე გამსახურდიას უთქვამს: „ენა საკუთარის ზღვარია. ის, რაც ქართულ ენის ყალიბში ბუნებრივად არ ჩაიდგრება, ამის თქმა არცაა საჭირო“ (ალგაჯა ბერძენიშვილის წაამბობე).“

ეს სიტყვები, თუ მათ სწორად გავიგებთ და მოეიხმართ, საოცარ ეეშშარიტებას გვაუწყებენ. მათა საფუძველი ამისი ღრმა რწმენაა, რომ ქართულ ენას თავის ყალიბში თანამედროვე ადამიანის ინტელექტუალური ცხოვრების ნებისმიერ მოძრაობათა დატევნა შეუძლია. აუცილებელია ოღონდ, ყოველთვის მზად ვიყოთ ამისათვის, რომ ეს სიბრძნე უკუღმართად არ მოიხმაროს ვინმემ და ენის ბუნებრიობაზე აპელაციით კარი არ დაუხშოს ამას, რაც მისი მუდმივი განვითარებისა და სრულქმნის მთავარი წყაროა. ქართულ ენას ამდენი რამ აქვს შეფასებული და მონელებული თავის წიაღში ათასწლეულების მანძილზე, რომ მის ბუნებას ვერაც ჩვენი საუკუნე დაეხიანებს. კ. გამსახურდიას სიტყვებში პირადად ჩემთვის მთავარი ამ „ბუნებაზე“ ზრუნვაა, მისი შესაძლებლობების ძალდაუტანებლად, მაგრამ მთელი სისავსით გამოყენებაა და არა ცხოვრების მიერ მოტანილი ახალი შინაარსისაგან უკუქცევა.

გურამ პეტრიაშვილის ბუნების პოეტები კიდევ ერთი ნიშნით განსხვავდებიან ბესიკ ხარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაულის ბუნების პოეტებისაგან — განვითარების მიმართულებით.

პირველთა განვითარება არსებითად ლიტერატურიდან იწყება, მეორეთა აღმოსავალი წერტილი ცხოვრებაა.

მოძრაობის მიმართულება თავისთავად არც ერთ მხარეს არ ანიშებს უპირატესობას.

ვინაიდან შემოქმედების ზეამოცანა ცხოვრებისა და ლიტერატურის შერწყმაა — „ფრთებისა“ და „ფესვების“ სრული თანხმობა. ასეთია იმ სრულქმნილი ჰარმონიის ფორმულა, რომელიც ქართულ პოეზიაში რუსთაველის მიერ შექმნილი მხატვრული სისტემის სახით განხორციელდა.

რამდენიმე სიტყვა **დავით წერეთლიანის** შესახებ. ამ პოეტის მიმართ ჩემი დამოკიდებულება მთლიანად აპოლოგეტურია და ამის გამო მოკლედ მოგახსენებთ.

დავით წერეთლიანმა თავისი „ირანოლა“-თი ქართულ პოეზიაში გააკეთა დაახლოებით იგივე, რაც თავის დროს „ოსიანის სიმღერების“ ავტორმა მოიმოქმედა დასავლეთში თავისი გენიალური მისტიფიკაციით.

თუ ახალგაზრდა ქართველი პოეტის მონაწილეობას ისეთივე რეზონანსი არ ჰქონია, ეს მხოლოდ გარემოებათა ბრალია და აგრეთვე ჩვენთვის, ქართველი კრიტიკოსებისთვის დამახასიათებელი უპატიებელი სიბეცისა (მხოლოდ თამაზ ჩხენკელს არ გამოპარვია მხედველობიდან ამ **მოვლენის განსაკუთრებული მნიშვნელობა**).

მე არავითარი უფლება არა მაქვს, დავით წერეთლიანის პროფესიულ „კეთილსინდისიერებაში“ შევიტანო ეჭვი. მაგრამ მის მიერ გადამუშავებული სვანური სიმღერები თავისი მხატვრული დირსებით ორიგინალური, სრულფასოვანი შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშებს უთანაბრდებიან.

რაც შეეხება ფრანსუა ვიიონის „მცირე ანდერძის“ თარგმანს, ეს ნაწარმოები, ჩემი ღრმა რწმენით, ქართული მთარგმნელობით ხელოვნების იშვიათ მიღწევათა რიგს განეკუთვნება.

თავისი ნიჭით და **ოსტატობით** დავით წერეთლიანი დღეს ჩვენი ახალგაზრდული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე სიმღერა წარმომადგენელია და დაუჯერებელია, რომ მან მომავალში ამ განსაკუთრებულ მოლოდინს ანგარიში არ გაუწიოს.

დასასრული იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. მარგიანი, კ. ბენდიანიშვილი, ვ. გუჩუა

ი. ანთელავა, „XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის"

(გამომცემლობა „მეცნიერება", 1977, გვ. 1-226)

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების კანონზომიერებას უდიდეს ყურადღებით ეკიდებოდნენ. ეს დიდი ისტორიული პროცესი ღრმადაა გაშუქებული მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ოცი ნაშრომებში, როგორიცაა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", „კაპიტალი", „ბუშუთა კლასის მდგომარეობა ინგლისში", „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", „„იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" და სხვ. სწორედ კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზმის, მისი ანატომიისა და ისტორიული მიზიზის შესწავლისა და შეფასების საფუძველზე შემუშავდა კაპიტალისტური ფორმაციის მოსპობისა და კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობის მწყობრი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, რომლის სისწორის დადასტურებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ძლევამოსილება წარმოადგენს.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მსოფლიო კაპიტალიზმის ისტორიას XVI საუკუნიდან (ნიღერლანდების — ეროვნული მასშტაბის — რევოლუციიდან) იწყებდნენ. კაპიტალისტური ფორმაციის გამარჯვებას XVII საუკუნის ინგლისის (ეროვნული მასშტაბის) რევოლუციას უკავშირებდნენ, ხოლო ამ ფორმაციის საერთაშორისო მასშტაბით გამარჯვებას XVIII საუკუნის დასასრულის საფრანგეთის (მსოფლიო მასშტაბის) ბურჟუაზიულ რევოლუციას. ამასთანავე ისინი საგანგებოდ აღნიშნავდნენ, რომ კაპიტალიზმმა ბევრ ქვეყანაში შედარებით გვიან გაიმარჯვა, რომ ეს პროცესი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად წარიმართა, ხალხების ცხოვრების კონკრეტული პირობებით გაპირობებული სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდებოდა.

რუსეთთან ერთად საქართველოც განეკუთვნებოდა ამ „ნაგვიანებ" კაპიტალისტურ ქვეყანას, სადაც ახალი ფორმაციის გამარჯვებას, კაპიტალიზმის კლასიკური ქვეყნებისგან განსხვავებული, თავისებურებანი ახასიათებდა. რის მეცნიერულ ახსნასაც ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია არ იძლევა.

რევოლუციამდელი რუსეთის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია კაპიტალიზმს განიხილავდა როგორც ტექნიკური პროგრესს, სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო საწარმოოა ტექნიკურ-ეკონომიურ წინსვლას, ისევე როგორც ტრანსპორტის სრულყოფასა და სახაჭისლიფულადი ურთიერთობის გაფართოებას, ჭერრავან შეფასებას აძლევდა, ხოლო კაპიტალისტური ფორმაციის სოციალურ ბუნებას, ექსპლოატაციის დონის ამაღლებასა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას წინაწარახულად ჩქმალავდა.

რუსეთის კაპიტალიზმის მეცნიერულ შესწავლას ვ. ი. ლენინმა ჩაუყარა საფუძველი. საბჭოთა ისტორიკოსები აგრძელებენ კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების პრობლემების დამუშავებას. საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ამოცანაა დაადგინოს რუსეთის კაპიტალიზმის ადგილი მსოფლიო კაპიტალიზმის სისტემაში, ხოლო ეროვნულ რესპუბლიკათა ისტორიკოსები ამავე დროს სწავლობენ ამ ფორმაციის ადგილობრივ თავისებურებებს.

კაპიტალიზმის გენეზისის პრობლემა კვლავაც დგას ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების წინაშე. როდის დაიწყო ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა, რა სტადიები გაიარა და როდის მიაღწია გაბატონებულ მდგომარეობის ახალმა საზოგადოებრივ-ეკონომიურმა წყობილებამ, რა თავისებურებებით ხასიათდებოდა კაპიტალიზმის განვითარების პროცესი საქართველოში? ეს საკითხები კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახანია იპყრობს ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილის ყურადღებას.

გ. ნათაძის, ნ. ბერძენიშვილის, ს. კაკაბაძის, ა. როგავას, გ. აკოფაშვილის, ვ. ჩანტლაძის, მ. სამსონაძის და სხვ. ისტორიკოსთა ნაშრომებში გამოთქმულია მოსაზრება, რომ XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოში უკვე არსებობდა კაპიტალისტური ურთიერთობის ჩანასახები. გ. ნათაძე ამ დასკვნამდე მიიყვანნა რამდენიმე მემამულური მეურნეობის ხასიათზე დაკვირვებამ, ნ. ბერძენიშვილი — სამფეიქრობის სოციალ-ეკონომიური ბუნების შესწავლამ, მ. სამსონაძე — საფეიქრო მრეწველობის მასშტაბზე დაკვირვებამ, ა. როგავა — ზედნაშენური კატეგორიების (სახელმწიფო წყობილება, სამართალი) და ნაწილობრივ სახელმწიფო ნაწარმოების ხასიათის დადგენამ და სხვ. მაგრამ ჩამოთვლილ ავტორთა მიერ გამოთქმული თვალსაზრისი ჯერ კიდევ არასაკმაოდ დასაბუთებულ ჰიპოთეზად თვლეს. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, მისასალმებელია ი. ანთელავას დასახელებული წიგნის გამოსვლა, რომელიც 1977 წელს გამოიცა.

წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი საკითხის ისტორიოგრაფიას. ავტორი, ჩვენი აზრით, მართებულად აკრიტიკებს ყველა იმ მკვლევარებს, რომელნიც XVIII საუკუნის საქართველოში, ნგრევის, დაცემულობისა და დაჩიხულობის მეტს ვერაფერს ხედავენ. ამასთან ერთად იგი სისრულით აღნუსხავს გ. ნათაძის, ნ. ბერძენიშვილის, ს. კაკაბაძის, ა. როგავას, მ. სამსონაძის, გ. აკოფაშვილის და სხვათა დამსახურებას საკითხის შესწავლაში.

წიგნის პირველი თავი მკვლევლის ფონს წარმოადგენს. მასში ზოგადადაა გაშუქებული საქართველოს მდგომარეობა, სამეფო ხელისუფლების პოლიტიკის ხასიათი, ქვეყნის განვითარების ძირითადი ტენდენცია. ავტორი აღნიშნავს, რომ გამუდმებული ომები ხელს უშლიდა ქვეყნის ნორმალურ ეკონომიურ განვითარებას, მაგრამ ხალი მტერსაც უმკლავდებოდა და დოვლათსაც ქმნიდა. გლეხიც და ხელოსანიც ეფეკტურად იყენებდა მშვიდობიანი ცხოვრების ყოველ მონაკვეთს, მტრის მიერ დანგრეულ მეურნეობას აღადგენდა, წარმოებას კიდევ უფრო აფართოებდა. ქვეყნის ეკონომიური აღორძინების საქმეში ხალხის თავდადებულ შრომასთან ერთად, ავტორის განცხადებით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სამეფო ხელისუფლების პოლიტიკას. ერეკლე მეორის მიერ ციხე-სიმაგრეთა სისტემის შექმნა, მუდმივი ჯარის ორგანიზება, სათავადოების წინააღმდეგ ბრძოლა, „ბატონყმობის რიგის“ დაცვა, გადასახადების რეგულირება, გლეხების უმწეოდ გაყიდვის აკრძალვა, ტყვეობიდან საკუთარი ხახრაგნით თავდაღწეულ გლეხთა ყმობიდან განთავისუფლება რამდენადმე აუმჯობებებედა უშუალო მწარმოებელი მოსახლეობის შრომა-საქმიანობის პირობებს და ობიექტურად ხელს უწყობდა კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტთა ჩასახვას.

ნაშრომის დანარჩენი 6 თავი კონკრეტული კვლევა-ძიების ნაყოფია. ავტორი უხვად იყენებს გამოცემულ დოკუმენტებსა და საქართველოს ცენტრარქივსა და ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ მასალებს, რომლის ერთი ნაწილი პირველად შემოაკვლა სამეცნიერო მიმოქცევაში.

ხაბაფოთა მასალების, მოურავის სარგოსა და ფეოდალთა დანაბარჯების ნუსხებზე დაფრდნობით ავტორი აღადგენს საკონელწარმოებისა და საკონელშემოქმედების მიახლოებით სურათს. ჩანს, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი, როგორც გაბატონებული, ისე ჩაგრული კლასების წარმომადგენლები, პროდუქციას ბაზრისათვისაც აწარმოებდნენ. ნაშრომში დამოწმებული სიტუაციი ცხადყოფენ, რომ ბაზარზე იყიდებოდა სურსათ-სანოვაგე, ადგილობრივი და შემოტანილი ხელოსნური ნაწარმი, საამშენებლო მასალა. სახაკონლო-ფეოდალ ურთიერთობაში ჩაბმული იყო მოსახლეობის ყველა ფენა. საქართველოს სავაჭრო ცენტრს თბილისი წარმოადგენდა. 1772 წელს იქ 500 სახელოსნო-სავაჭრო დუქანი ითვლებოდა. 1760-დან 1770 წლამდე თბილისის შინაგანი ვაჭრობის ბრუნვა 160 ათასიდან 400 ათასამდე გაზრდილა. ავტორის მიერ დამოწმებული მასალა იმასაც ცხადყოფს, თუ როგორ ფართოვდებოდა საგარეო ვაჭრობის ბრუნვა. საქართველოში თანდათან მზარდი რაოდენობით შემოდიოდა საკონელი რუსეთიდან, დასავლეთ ევროპიდან, ირანიდან, თურქეთიდან. ავტორის მართებული დასკვნით, სახაკონლო წარმოებისა და საბაზრო კავშირურთიერთობის განვითარება ძირს უთხრიდა ფეოდალურ ურთიერთობას და ამზადებდა ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის გამოჩენებისათვის აუცილებელ პირობებს.

სახაკონლო ფეოდალი ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთ შედეგსა და გამიხატულებას ყველა ქვეყანაში წარმოადგენდა ნატურალური რენტის შემცირება და ფულადი რენტის გაფართოება.

ნაშრომში მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ XVIII ს-ის საქართველოში ფულადი რენტის არეალი თანდათან ფართოვდებოდა. ამას დასტურებს XVIII ს-ის დასაწყისის საკანონმდებლო ძეგლი დასტურლამალი, XVIII ს-ის მეორე ნახევრის მონაცემები. უფრო სწორად მიმდინარეობდა სამეფო გადასახადების კოეფიციენტი. ფულად რენტას უპირატესი ადგი-

---

გ. მაკრიანი, ა. ბენდელიანიშვილი, ვ. ფუჩეჯა
ი. ანთელავა, „XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის“

ლი ეკავა აგრეთვე საუფლისწულო მეურნეობებსა და თავადთა ერთი ნაწილის მამულებში. კონკრეტული მასალის ანალიზის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ XVIII-XIX სს. მიწაზეზე პირველი ადგილი ეკავა პროდუქტებს, მეორე—ფუულებს, მესამე — შრომით რენტას. მაგრამ ამავე დროს შეინიშნებოდა პროდუქტადი და შრომითი რენტის სარჯზე ფულადი რენტის ზრდის ტენდენცია.

სასაკნლო-ფუულიი ურთიერთობის განვითარება გავლენას ახდენდა ფეოდალური მიწათმფლობელობასა და აგრარულ ურთიერთობაზე. მაგრამ მიწათმფლობელების ეკონომიკა კაპიტალიზმის გენეზისის პრობლემასთან კავშირში აქამდე არავის გაუხდია სპეციალური კვლევის ობიექტად. ამიტომ ი. ანთელავამ, შეიძლება ითქვას, უამრავი გატეხა მოუხდა.

ალნიშნული საკითხის კვლევა გამნელებულია პირველწყაროების სიმცირის გამოც. შემორჩენილია თითქმის მხოლოდ მიწის ნახსენიდან სიგელები და ისინიც ყოველთვის რიდი იძლევიან მყოფელებსა და გამყიდველებს სოციალური ვინაობის დადგენის შესახებ.ელმოას. ავტორს უაღრესად შრომატევადი სამუშაო ჩიუტარება, საქართველოს ცენტრალური არქივისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებიდან გადმოუწერია და შეუსწავლია 2390 ნასყიდობის სიგელი.

ამ დოკუმენტების საფუძველზე, რთული განგაარიშების გზით, ი. ანთელავამ შეადგინა ბევრის მოკმედი ცხრილი, საიდანაც ჩანს ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების მასშტაბი და მასში მონაწ�ეო სოციალური ფენების ვინაობა. XVIII ს.-ის პირველი ნახევრის საქართველოში, ავტორის დაკვირვებით, თითქმის არ შეიმჩნეოდა ფეოდალური მიწათმფლობელების შემცირებისა და უწყობერი მიწათმფლობელობაზე გადასვლის ტენდენცია. საუკუნის მეორე ნახევარში კი საგრძნობ ძვრებს აქვს ადგილი, თავადაზნაურობა გაცილებით მეტ მიწას ყიდდა და ნაკლებს ყიდულობდა. გლეხობა კი პირიქით, თანდათან ადარეოიებდა საკუთარი მიწის ფონდს. ნაყიდი საკუთრება ხელშეუხებელი იყო. მას ქართული ფეოდალური სამართალი იცავდა. ამიტომ, როგორც მართებულადაა ალნიშნული ნაშრომში, გლეხობა ყოველგვარ საშუალებას იყენებდა მიწის ყიდვისათვის, ცდილობდა თავი დაეღწია მიწით სარგებლობის ფეოდალურ-პატრონყმური წესისათვის და გამხდარიყო დამოუკიდებელი მეურნე. რამდენადაც მიწის ფეოდალური საკუთრება ბატონყმობის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს შეადგენდა, ყმა-გლეხთა მცირე ნაწილის შესაკუთრედ გადაქცევაც კი ფეოდალური მიწათმფლობელობისა და ბატონყმური ურთიერთობის კრიზისის დაწყების მაჩვენებელი იყო.

სასაკნლო-ფუულიი ურთიერთობის განვითარება და ფულად რენტაზე გადასვლა კ. მარქსს თავისუფალ გლეხურ საკუთრებაზე გადასვლის წინაპირობად მიაჩნდა. ამ დებულების სისწორე საქართველოს მაგალითზეც დასტურდება.

სარეცენზიო ნაშრომში მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ ეს პროცესი საქართველოში XVIII საუკუნიდან იწყება. ავტორის მოუკვლევია გლეხთა გათარსნება-გათავისუფლების 250 საბუთი, აგრეთვე სხვა ხასიათის მასალა, რომელთა ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ საუკუნის განმავლობაში ბატონყმობიდან თავი დაუღწეკია დაახლოებით 900 კომლ გლეხს. ი. ანთელავა, ჩვენი აზრით, მართებულად აკრიტიკებს იმ მკვლევარებს, რომლებიც უარყოფენ თავისუფალი გლეხთა ფენის არსებობის სოციალ-ეკონომიურ პირობებს და „ცხაბუთებს", რომ ერთი მებატონისაგან თავდახსნილი გლეხები მეორე მებატონის ყმები ხდებოდნენო. კონკრეტული მასალაზე დაყრდნობით ავტორი წერს, რომ თავდახსნის 900 შემთხვევაზე დაუმეკვნის 250 შემთხვევა მოდიოდა და ამდენად გლეხთა განთავისუფლების პროცესი აღმავალი ხაზით ვითარდებოდა.

გამოსულიყვა ბატონყმობისაგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა როდი იყო. ბევრი გლეხი თავისუფლების მოპოვებას სანიჭრით, მოწმეთა დასახელებით, საექვო არგუმენტების მოშველიებით, ფერხითა და ბრძოლით ცდილობდა. ყოველივე ეს კ ავტორის მართებული განცხადებით, ცხადყოფდა ბატონყმობის კრიზისის დაწყებას, XVIII ს-ის მეორე ნახევარში ფეოდალური ურთიერთობის სოციალ-ეკონომიური საფუძვლების მოშლის პროცესის ჩასახვას.

სასაკნლო-ფუულიი ურთიერთობის განვითარება განაპირობებდა გლეხობის ქონებრივი დიფერენციაციისა და კლასობრივი დაშლის პროცესის დაწყებასაც. ნაშრომში მოტანილი მასალიდან კარგად ჩანს, რომ ეს მოვლენა ეიასება დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებში, რომელნიც გლეხთა სხვადასხვა ჯგუფებს ანსხვავებენ. გვიან ფეოდალური საქართველოში იყენენ როგორც სრული საკმარლის მფლობელი, ისე ნახევარ საკმლოსა და კიდევ უფრო მცირე ნაკვეთზე მჭდარი გლეხები. ზოგ სოფლებში გამოყოფდნენ „ კაიგლეს ", „ზვალთნა გლეხს", „ ნელნეტელია ავრეთვე „ ამთაგან უმცირესი გლეხი".

ავტორის მიერ დამოწმებული მასალა ცხადყოფს, რომ გლეხთა მცირეიანცხოვანნი ზედა ფენა ფლობდა 50-100 დღიურ და მეტ მიწას, აგრეთვე ვენახს. რომელიც ძმელოდა 200-600 ვედრო ღვინოს, ამრავლებდა ზინაურ პირუტყვს. ქონებრივი დიფერენციაციის შორს წასული პროცესი ასახულია საგადასახადო ნუსხებშიც. 8 ამაზნის გადამხდელებთან ერთად ნუსხებში დასახელებული არიან 12-13 და 50 თუმნის გადამხდელი გლეხები. უეჭველია, 50 თუმნის გადამხდელი გლეხი მხოლოდ დიდი

შეძლებისა შეიძლებოდა ყოფილიყო. ცხრის დიდ ფარას ფლობდა უდაოდ ფშველი გლეხი ბოდალო, რომელმაც 1800 წელს მარტო სახალახო იჯარაში 600 სული ცხვარი გადაიხადა. ნაშრომიდან ისიც კარგად ჩანს, რომ შეძლებული გლეხები ვერ ახერხებდნენ მიწის მთლიანად დამუშავებას და ბის ნაწილს იჯარით სცემდნენ. ზოგი კი თავის მეურნეობაში დაქირავებულ მუშახელს იყენებდა. ავტორი ბარათებულად აღნიშნავს, რომ XVIII—XIX სს. მიჯნაზე გლეხთა კონებრივი დიფერენციაცია მაღალ ღონეს აღწევდა და იწყებოდა კლასობრივი დიფერენციაციის პროცესიც.

ნაშრომის ბოლო თავში შესწავლილია გლეხთა კლასობრივი ბრძოლა, მისი მასშტაბი და ფორმები.

გლეხთა ბრძოლა ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ შეა საუკუნეების ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაგრამ XVIII ს.-ში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებისა და ექსპლოატაციის გაძლიერების გამო გლეხთა ანტიბატონყმური ბრძოლა უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა და ახალი ბუნებით შეიმოსა.

ავტორი სათანადო მასალაზე დაყრდნობით ცალ-ცალკე გამოაოოს და ახასიათებს კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმებს (სანიკონი, სახაზინო უწყებისაკენ მისწრაფება, გადასახადებზე უარის თქმა, აჯარა-გაქცევა, თავისუფლების ძიება, შემამღელთა სახლ-კარის აკლება, ყველაზე საძულველ მებატონეთა მკვლელობა, აჯანყებები).

კლასობრივი ბრძოლის ყველაზე გავრცელებული ფორმა ეოფალი გადამეტებული ექსპლოატაციით შევიწროებული გლეხების აჯარა-გაქცევა. ნაშრომში დამოწმებული მასალა ცალკეოოს, რომ გლეხები გარბიდნენ ინდივიდუალურად და კოლექტიურად, ზოგჯერ მთელი სოფლები ცარიელდებოდა, გლეხობა ერთად უწევდა წინააღმდეგობას მოძალადე ბატონს, ხმაგაგ ეძებდა შრომისა და ცხოვრების უკეთეს პირობებს. მეფის ხელისუფლება კარგად გრძნობდა უშუალო მწარმოებლის აჯარა-გაქცევის უარყოფით შედეგებს. ამიტომ ერიკელ მეორე ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა მის აღკვეთას. იგი ხშირად გადამეტებული ექსპლოატაციით გატაცებულ ფეოდალებს, სასტიკ რეპრესიებს მიმართავდა იმ გლეხების წინააღმდეგაც, რომლებიც უარს ამბობდნენ კანონით დადგენილ ბეგარა გადასახადებზე. „უმიზეზოდ“ სტოვებდნენ მებატონეს და გამართულ მეურნეობას.

ზოგნაირ უხეი მასალითაა ილუსტრირებული გლეხთა მიერ გადასახადების გაღებაზე უარის თქმის ასპობრივი ხასიათი, გლეხთა მიერ მებატონეთა მიწებისა და პირუტყვის მითვისების ფაქტები, ყმა-გლეხთა სახაზინო უწყებისაკენ მისწრაფება. ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ სამეფო გლეხების სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა ეეკეთესი იყო და ამდენად სახაზინო უწყებაში გადასვლა ერთ ნაბიჯს წარმოადგენდა სრული თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე.

გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ყველაზე მაღალი და ეფექტიანი ფორმა მასობრივი აჯანყება იყო. ნაშრომში მოტანილია საყურადღებო ცნობები ბოდის მონასტრის გლეხთა 1700 წლის ამბოხების შესახებ, ალავერდის ეკლესიის ყმათა 1735 წლის გამოსვლის თაობაზე, ურანნისის მონასტრის ყმათა 1776 წლის აჯანყებაზე. 1777 წელს ქსნის ხეობის გლეხთა დიდ აჯანყებას შედეგად მოჰყვა ქსნის საერისთოოს გაუქმება და გლეხების სახაზინო უწყებაში გადაყვანა. ავტორი იძლევა აგრეთვე 1786 წელს იმერთოსა და ქართლში მომხდარი დიდი აჯანყებების აღწერა-შეფასებას.

ნაშრომში მკაფიოდაა განსაზღვრული კლასობრივი ბრძოლის ხასიათი და მისი მნიშვნელობა. ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ XVIII ს.-ის მეორე ნახევარში ანტიბატონყმური მოძრაობა აქამდე არნახულ მაღალ საფეხურზე ავიდა, მან მასობრივი ხასიათი მიიღო, ფეოდალიზმის კრიზისის დაწყების ერთ-ერთი მაჩვენებელი გახდა. ქართველი გლეხობის კლასობრივი ბრძოლა მძლავრ ძალად გადაიქცა, იგი ზემოქმედებას ახდენდა თავის წარმომშობ ბაზისზე, მთავრობასა და გაბატონებულ კლასებზე. რამდენადმე აჩქარებდა ფეოდალიზმის ყველაზე მახინჯი გამოვლინებების აღკვეთას, ქვეყნის პროგრესულ განვითარებას.

ჩვენ ვეთანხმებით სარეცენზიო ნაშრომში გატარებულ მაგისტრალურ ხაზს, მის ძირითად დასკვნებს, მაგრამ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა და სურვილი.

1. როგორც ცნობილია, კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარება საზოგადოო უფრო ადრე და სწრაფად წარიმართება ვაჭრობასა და მრეწველობაში, ვიდრე სოფლის მეურნეობაში. ამის გათვალისწინებით სასურველი იყო ავტორს, რომელსაც მიზნად დაუსახავს XVIII საუკუნის საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტების ჩასახვის პროცესის ჩვენება, მეტ ყურადღება გაემახვილებინა ვაჭრობასა და მრეწველობაში შესამჩნევ ძვრებზე. უამბირობდ ავტორის არარეთი დებულება სადავო შეიძლება აღმოჩნდეს.

2. ნაშრომის სტრუქტურა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. მაგრამ ფულადი რენტა-გადასახადებისადმი მიძღვნილი ნარკვევი არასათანადო ადგილას, V თავშია მოთავსებული.

ELIBRARY.GEO
ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომითი და პროდუქტული რენტიდან ფულად რენტაზე გადასვლა სახაჟონლო ფულად ურთიერთობის განვითარების უშუალო შედეგია და თუ ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვამ მოყვლენებს შორის მიზეზშედეგობრივ კავშირს, საკითხების განხილვაში დავიცვათ ლოგიკურ-ისტორიული თანმიმდევრობა, აჯობედა, რომ სახაჟონლო-ფულად ურთიერთობის განვითარებასთან და ფულად რენტაზე გადასვლასთან დაკავშირებული საკითხები თანმიმდევრობით, ნაწრომის მერე და მესამე თავებში ყოფილიყო გაშუქებული.

8. ნაშრომში სწორადაა მითითებული, რომ XVIII ს-ის პირველ ნახევარში არ შეიმჩნევინა ფეოდალურრადან უწოდებრო მიწათმფლობელობაზე გადასვლის ტენდენცია, ყმა-გლეხები და მემპალონეები თითქმის თანაბრად მონაწილეობენენ მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში. მაგრამ ამ მოვლენას აქვს აგრეთვე მეორე მხარე, რაც ნაშრომში უყურადღებოდაა დატოვებული. ავტორს უნდა აღენიშნა, რომ მამულების ამორცავება, თავადაზნაურთა აქტიური მონაწილეობა მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში საგვარეულო მიწათმფლობელობის კრიზისის მაჩვენებელი იყო. თანდათან იზრდება მემამულეურ მიწათმფლობელობაში ნახყლი, სათავისო ადგილმამულის ფართობი, ძალიერდებოდა საკუთრების ინდივიდუალიზაციის პროცესი, რაც ფეოდალიზმის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლის მოსწავლებდა. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობდა მეურნეობის რაციონალიზაციას, სახაჟონლო-ფულად ურთიერთობის განვითარებას და მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების კიდევ უფრო გაფართოებას.

4. ავტორი აღნიშნავს, რომ მან ყურადღება გაამახვილა მამულების ყიდვა-გაყიდვის პროცესზე, ყმა-მამულის ერთად გაყიდვის ფაქტები კი გვერდზე დატოვა, რადგან, მისი აზრით, ყმა-გლეხების გაყიდვის დროს მყიდველად, როგორც წესი, ეფეოდალი ფეოდალებიდან და ამდენად მიწათმფლობელობასა და სოციალურ ურთიერთობაში არავითარი ცვლილება არ ხდება. ი. ანთელავას ამ შემოხვევაში მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ XVIII ს-ის ბაქრართველოს ფეოდალური სამართალი აჩცა ვაჭრისა და გლეხს უკრძალავდა ყმა-მამულის ერთად ყიდვას (ეს მხოლოდ რუსეთის ცარიზმმა აკრძალა XIX ს-ის 80-იან წლებში). XVIII-XIX ს-ს მიჯნაზე საქართველოში საკმაო რაოდენობით იყენენ ყმა-მამულიანი ვაჭრები და მდიდარი გლეხები. ამ ეინ, ძირძველ თავადაზნაურობის მონოპოლიას ყმა-მამულის მფლობელობაზე ამ მხრიდანაც ემუქრებოდა საფრთხე, ესეც გარკვეული ცვლილების მაუწყებელი. მოყვანა იყო.

5. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა მეტნაკლები მასშტაბით მიწის საკუთრების მონოპოლიასთან ერთად იცნობს მიწის როგორობას მეურნეობის ობიექტის მონობოლიასაც. ინგლისში, მაგალითად, მიწის საკუთრების მონოპოლია ლენდლორდებმა XX ს-ის დამდეგამდე შეინარჩუნეს, მაგრამ მიწაზე მეურნეობის წარმოების მონოპოლია კი ჯერ კიდევ XVI-XVIII საუკუნეებში დაკარგეს ბურეუაზიისა და ფერმერებს. პრუსიაში თითქმის ორივე სახის მონოპოლიას მემამულეები ინარჩუნებდნენ. როგორ ვითარდებოდა მოცვლენები საქართველოში? სასურველი იყო ავტორს გამოეკვანა მიწის ყიდვით გაცემის როლი მემამულურ მეურნეობაში და ეჩვენა ალებული ნაკვეთების მნიშვნელობა გლეხურ და სხვა ტიპის მეურნეობებისათვის.

6. ავტორი ნაშრომის ერთ ადგილას, თითქოს სხვათაშორის, წერს, რომ ხშირად მიწის გაყიდვას წინ უძღოდა მისი დაგირავებანი. მაგრამ, საწუწუხაროდ, გამოკვლევაში ეს მოვლენა არაა გაშუქებული. სასურველი იყო ავტორს შეეტყვნელი მეკახეთა და მასთან მომარაგებაში მიწის დაგირავების პრაქტიკი. ამით იგი, შესაძლოა, დამტკიცები მასალას მიიღებდა ფეოდალური საკუთრების დაწყებული რღვევის საილუსტრაციოდ. არაფერს ვიტყვით ფეოდალური ურთიერთობის თუნდაც რღვევის პირობებში ახალი ურთიერთობის ჩანასახებისა და ელემენტების წარმოქმნის პროცესის მაჩვენებლად სტატისტიკური მონაცემებით მსჯელობის ნაკლებსანდობაზე, აგრეთვე ნაშრომში აქა-იქ შეპარული ზოგიერთ არაზუსტ დებულებებზე, რომელთაც არ შეიძლება გაანჩვეთ დასაბუთება.

ეს შენიშვნები, რა თქმა უნდა, არ ცვლის ჩვენს კარგ წარმოდგენას საერთოდ ნაშრომის შესახებ. გამოკვლევა მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული. ავტორმა დაუშვებელ პრობლემას მოკკიდა ხელი, ბევრი ახალი მასალა შემოიტანა სამეცნიერო ბრუნვაში, საყურადღებო მოსაზრებებითა და დასკვნებით გამდიდრა ჩვენი ცოდნა XVIII ს-ის საქართველოში სახაჟონლო-ფულად ურთიერთობის განვითარების დონის, რენტის ფორმებისა და ურთიერთთანაშეფარდების, მიწათმფლობელობაში მომხდარი ცვლილებების, ყმა-გლეხთა თავდახსნის პროცესისა და უშუალო მწარმოებელი მოსახლეობის ქონებრივ-სოციალური დიფერენციაციის, კლასობრივი ბრძოლის ფორმებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. მონოგრაფიაში დამაჯერებლადაა დასაბუთებული აქამდე სადავო მიჩნეული ძირითადი დასკვნა იმის შესახებ, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში უკვე არსებობდა კაპიტალისტური ურთიერთობის ჩანასახები და ელემენტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოთა ნიშნიანიძე

პაწაწკინტელა სოფიზმები და დიდი რეალობა

„დასასრულ ბაგე ზენი", — გვირჩევს ერთი ეგვიპტური პაპირუსი, როგორც დუმილის სიბრძნის მაგიური მესაიდუმლე. დუმილი ზოგჯერ მართალიც ოქროა, მაგრამ არა პოლემიკის დროს.

წინა ორ წერილში საკმაოდ ვილაპარაკე ვერლიბრის თაობაზე. ამჟამად ჩემი ამოცანაა ისე ვუპასუხო მოწინააღმდეგეს, არაფერი გავიმეორო წინა თქმულიდან. მართალია, გამეორება ცოდნის დედაა, მაგრამ ალბათ გამეორება ესთეტიკურის მომენტსაც გამოიცვლიან ხოლმე.

შარშან ფურნალმა „კრიტიკამ" გამოაქვეყნა მ. წოკლიურის წერილი — „კრიტიკული ლაშქრობა უფაქტებოდ", სადაც ავტორი არაერთგზის მისაყვედურებს: თუ ვერლიბრის დარბევაში მართალი ბრძანდებით, კეთილი ინებეთ და ფაქტებიც მოიყვანეთო. მოკამათე ამ საყვედურს ყოველთვის რიხით და ნიშნისმოგებითაც წარმოთქვამს.

მე, როგორც პოეზიის გულშემატკივარს, დღეევანდელი ქართული ლექსის საერთო ბედიღელვი მაინტერესებს და არა რომელიმე ცალკე ავტორთან ანგარიშსწორება. რიცა ტეუს ეროზია მოეძალება, ცალეულ ხეებზე არ მსჯელობენ. მე საქმეში ჩახედული, მცოდნე აუდიტორიას ველაპარაკები, რომელმაც კარგად იცის დღევანდელი პოეზიის ავ-კარგი. თანაც პოეტის მზრივ კოლეგების განქიქებას სხვადასხვა ფერსხულოსაც ახლავს. ასეთი დაწერილმანება რა საკადრისია, როცა საერთო სურათთა ცხადზე უცნაददესია. კრიტიკული ლაშქრობა უფაქტებოდ თითონ ფაქტების ზედმეტმა სიუხვემაც განაპირობა. დღეევანდელი ვერლიბრის ავადმყოფობური ნიშნები: ფორმის რღვევა, ბუნდოვანება გამოგონილი ამბავი არაა, ეს ფაქტი იმდენად მარტივი და უტყუარი ქეშმარიტებაა, მოწმეებს არ საჭიროებს და ვერც ესთეტიკური ფორმშემლებით შეინიღბება. ქეშმარიტების უარყოფით ან აკრძალვით ქეშმარიტების „ხორცი" კვდება, სული კი რჩება. მეოცე საუუნეში ვარსკვლავეების ქიმიური შედგენილობაც კი დაადგინეს სპექტრული ანალიზის წყალობით და ზოგიერთთა ვერლიბრული ცდების გაანალიზება რა ასეთი სირთულე იქნებოდა! რიცა ამბობენ: ზზე მხურვალეა, წყალი ხელია, თეთრი ლექსი ურითმოა, მათი ქეშმარიტების საბუთად ფაქტებს არავინ მოვეთხოვს. ზოგი რამ ცდის გარეშე, თეორიულადაც დასტურდება. თუ ვიტყვით, პეპელა სპილოზე მსუბუქია, განა პეპელა ან სპილო უნდა ავშოსოთ?... დედამიწა ბრუნავს... ცისარტყელა ფერადია, „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ"... ადამიანი მოკვდავია... სიიდან გამიჩნდა ასეთი შეგრძნებები, აღქმები თუ არა არსებული ფაქტებიდან, თავის თავში მოცემული და დასტურებული ქეშმარიტებებიდან.

ფაქტების წარდგენა სასამართლოშია აუცილებელი. მე შემოქმედებაში ახალგაზრდობას სასამართლოშა კი არ ვუჩივი, უბრალოდ, დიდი გულისტკივილით და გულახდილობით მივუთითებ სპეციალისტერო მხატვრულ შეცდომებზე.

ახლა კონკრეტულად მივუვეთ საქმის ვითარებას. მოპაექრეს სწუენია, „შენსა, ბრუტუს?!" რატომ მაკადრესო. ამ ფიგურალურ თქმაში ვარდა საყვედურისა, გაოცებაც, მოულოდნელობის, სინანულის ნოტებიც ვაისმის. მეც სწორედ ამ ცნებებზე გავამახვილე ყურადღება, ვინაიდან ისეთი ჩუმი, უპრტენეზოო კაცისაგან, როგორიც მოპაექრე გახლდათ „კრიტიკის" მდივნად მოვლენამდე, დაახაც მოულოდნელი იყო ვერლიბრისტების არმიის სათავეში მისი გამოჩენა, მაშინ რიცა ნამდვილი მეფრთხეები ჩუმად არიან. მოულოდნელი იყო რიმაოული

მახვილი, ლექტორის წაკვეთა, სჯულმდებლის მანტია... ყოველისმეცოდნის პოზა... საიდან გაუჩნდა ოპონენტს საკუთარ თავზე ასეთი წარმოდგენები? (ნიუტონს თავი იმ ბავშვად მიაჩნდა, რომელმაც შეუცნობადის ოკეანიდან რამდენიმე კენჭი ამოიღო). როცა კაცს სხვაზე მეტი არაფერი გაუკეთებია, ხმაც არ ამოუღებია, თორემ დაუმსახურებელი პოზა მასვე ხდის სასაცილოდ. ბრძენი თავის თავს სთხოვს ჭკუას, არაბრძენი — სხვას... შესაძლოა, ჩემი საოქმეების გამოსახატავად ერთი ქართული ანდაზა უფრო ზუსტი უოფილიყო, მაგრამ ეთიკური პრინციპების გამო და უფრო მოპაკერის ხათრით, ქართულ მასალას ისევ ევროპული ვარჩევ. რა არის აქ საწყენი? ბრეტოსი ხომ მაკიაველის, ნაპოლეონის და ბევრი სხვა ისტორიული პირის საუვარელი გმირი. ბრუტოსს, როგორც მოქმედებას გმირს, ჰამლეტსაც კი უპირისპირებენ და აჭაობინებენ კიდეც. „თავ-თავისა ფსიქიური წყობის შესაბამისად ჰამლეტი კითხვას სვამს, ბრუტოსი კი მოქმედებს“ (ლ. შესტოვი). ბრუტოსის ნებისყოფის არგუმენტად სხვა სწავლული ამბობს: ბრუტოსი სიკვდილის წინ „ფედონს“ კითხულობდაო. მაშასადამე, ფრაზა „შენცა, ბრუტოს!?“ არაფერი საწყენი არაა.

პირველ წერილში ვერლიბრული ნაკლოვანებები ახალგაზდა ავტორთა შემოქმედებით ენერგიის უქონლობით ავხსენი. ოპონენტი ამხედრდა: განდა თუ არა, ჩემზე წერ, მე და ჩემს მეგობრებს გულისხმობო. დღემდე ახალბედა მწერლის ასაკად 20-25 წელი იყო მიღებული, მერე და რა ახალგაზდა ან რა ახალგაზრდა მწერალი მ. ჭოკლაური, ან კიდევ ის 7-8 ანონიმი პოეტი, რომელსაც ითასვარი ფანდით მიღიზარებს... განა 35-45 წლის ხალხი კიდევ ახალგაზდებად ითვლება? არც ასაკით, არც ტკუთ და არც ლექსით არ შეიძლება მათზე ოქვამ, ახალგაზრდები არიანო. იქნებ შემოქმედებითი ცეცხლის უქონლობა ემცხეთა მგოსანს?

ოპონენტი მართალი გაკეცცხლდა, ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს ნიჭიერი მხლოდ ისაა, ვინც თავისუფალ ლექსებს წერს. სხვები? სხვებს ჭკუა უნდა ასწავლო, უნდა მიანიშნო — რითმებით წერა ჩამორჩენილობაა, თავისუფალი ლექსი სიახლე, პროგრესია, წერეთ და თქვენც ინტელექტუალებში ჩაირიცხებით...

ყოველგვარი ბოდა დრეობითი მოვლენაა, ხოლო ყოველგვარი ორიგინალობა არაა. დაიკვირდით: ბანალობა გაკეცეთილი ორიგინალობაა. მაინც რაშია პოეზიის არსისა და გამძლეობის საიდუმლოება? ისევ ორიგინალობაში, ოღონდ ტრადიციის ფესვებიან ამოზრდილ პერსპექტიულ ორიგინალობაში და არა უცხოური პოეტური სქემების ბრმა ბიბაკაციებში, მეკანიკური ინერციების გადმონაგერგაში. ყმორანის ამოყრისას მერქანი იხლიჩება, მაგრამ ხის გვარეობა ივიგე რჩება, ე. ი. ქართული ლექსიდან ისევ ქართული უნდა მივიღოთ **და არა თარგმანი**, ანდა, ასული.

ირმების ჯოგი და ველფური ცხენების რემა ჯგუფურად ცხოვრობს. ეს მათი გენეტიკური კოდია. რაკა რომელიმე კვიცი ან ბოლები გაწაპირდა, ასეთ შემთხვევას გენეტიკური კრიზისი ეწოდება. დედის წინ მორბენელ კვიცს რაც მალე შეჭამს მგელი, ჯოგისთვის უმჯობესია. ვინაიდან მსგავსი ზოგს მსგავსს და მომავალში ვვარეოთას გადაჯიშება ელის.

მომდევნო წერილში გრ. ორბელიანის სტროკონის („თერგი რბის, თერგი ღრაალებს“)... მაგალითზე რიტმი პოეზიის ენერგიად და სიცოცხლის ტონუსად წარმოვადგინე და მასთან შედარებით ხაზი გავუსვი ვერლიბრის პროზაულობას. მოპაკერემ რიტმის აპოლოგია ჩემეული პოეტური პრინციპების გამართლებად ჩამოთვალა. იგი მისაკვედურებს: „რატომ მოითხოვთ ვერლიბრისაგან იმას, რაც მის „ჯიშს“ არ მოეთხოვება“? მაინც რა არ მოეთხოვება ვერლიბრის ჯიშს? განა ლექსს პოეტური სიცოცხლე, აზრისა და ემოციის სიცხადე არ მოეთხოვება? მე ვერლიბრისაგან რითმებით შეიარაღება და რიტმოვან ქედურობა არ მომეთხოვია. ოპონენტი მიმტკიცებს: ჩვენი შემოქმედებითი პრინციპები სულ სხვაა და ნუთავენ თავზე ნე მოგვახვევს საკუთარი შემოქმედებითი ლაბორატორიის გამოცდილებასო... პოეზიის საქმეც სწორედ მაშინ ჩახდა, როცა ლექსი ლაბორატორიის საგნად იქცა და არა შთაგონებისა! მოპაკერე ისეთ გაკვირვებულ სახეს ღებულობს, თითქოს წრეგაზისაგან სამკუთხედობა მომეთხოვოს.

ვერლიბრის ბლანტედ გაწეული პროზაულობა უფრორმბა უფროა, ვინემ რაიმე კანონზომიერებაზე დამყარებული ხალექსო ტაეპები. არც ესთეტიკური ტრაკტატების მსჯელობითი აპოლიკაციები ინტელექტუალობა.

სინამდვილეში რითმიან და ურითმო პოეზიას არავითარი სხვადასხვა პრინციპები არ ვაიჩნია. მათი სხვაობა წმინდა გარეგნული ხასიათისაა და ვერსიფიკაციის ფორგულს არც სცილდება. თავისუფალი ლექსი ნაკლებად იზღუდება ფორმისეული მარიერებისაგან (მეტრი, რითმა, ტაროფეა), ამიტომ მისი მხატვრული ტვიფრი უფრო ტივადი, უფრო სილრმისეული უნდა იყოს, ვიდრე ვერსიფიკაციული პირობითობით შებოჭილი რითმიანი ლექსი. თავისუფალი ლექსი შეიძლება თავისუფალი იყოს რითმისა და მეტრისაგან, მაგრამ არა აზრისაგან.

„ხაუბარი რომ გავუბრალოოთ, — განაგრძობს მოკამთე, — ეს იმას ნიშნავს, ვაშლის ხეს პრეტენზიები წაუყენეთო — მსხალს რატომ არ ისხამო, ან მარხილის გამკეთებელს ფუსაყვედურო, თვლები რატომ არა აქვს ამ მარხილსო“... ეს სუსტი სოფისტური სვლაა. მოკამთის უბრალო ტირადას ჩვენც ისევე

უბრალოდ ვუპასუხებთ: უჯიშო ვაშლის ხისა და უხეირო მარხილის ბოლო ნაჯახი და ბუზარია...

სტრიქონი „თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდეები ბანს ეუბნებიან“ — ფეთქებადი ენერგიით დამუხტული ბგერებისა და ფერების მოზაიკური სურათია. მისი გაკრიწალებული ანუ რიტმის დავარდნით ყველაფერი ხუნდება, ქნინდება ხმებიც, ფერებიც. შთამბეჭდაობის ტონუსიც, გაწყვიტლებაც. ფორმის რდვევით (და არა შინაარსისა) ლექსი მოკვდა, შინაარსი კი პოეზიის ნეგროლოგიით გამოიყურება.

ვერლიბრით გატაცებული რომელიმე ავტორი კი თერგის სურათის დახატვას დუნე, დამბლადაცემული რიტმით შეეცდებოდა, ვინაიდან ვერლიბრის პრინციპი ასეთია. რა გამოდის, ვინც თავისუფალი ლექსის პრინციპებით აღიმშურება, მან ვერც თერგის, ვერც ჩანჩქერის, რაკეტისა თუ ჩიტის გაფრენა ვერ უნდა აღწეროს? ვერავითარი რიტმული დინამიკა, რიტმული ეკსპრესია ვერ უნდა გამოხატოს? ვერც სულიერი ფორიაკი, ემოციური რხევები? გალაკტიონმა ქარის ქროლა, ქარის დინამიკა ექსპრესიული რიტმის წყალობით გამოხატა:

ქარი ქრის... ქარი ქრის... ქარი ქრის...
ფოთლები მაკვრიან ქარდაქარ.

საინტერესოა, როგორ გამოხატავდა ვერლიბრისტი პოეტი ქარის ნერვიოლი რიტმს? ყოველ შემთხვევაში, თავისუფალი ლექსის პროზაზეა რიტმით ვერა. ასეთი საშუალება ვერლიბრის არსებულს არ მოეპოვება, მის „პრინციპებში“ არ შედის. პოეტი პრინციპებისა და თეორიების მიხედვით კი არ უნდა ქმნიდეს ლექსებს, არამედ გულის კარნახით, შთაგონებით. მეთხველს პოეზია უნდა და არა პრინციპები. ნუთუ ვერლიბრად ქცეული ორბელიანის სტრიქონი (თერგი რბის, ღრიალებს, კლდეები ეუბნებიან-ბანს) იმავე შთამბეჭდილებას ანდენს მოკაზთან სმენაზე, რასაც მის პირველსელი სახე? ნუთუ ცოცხალ ადამიანს და ისიც შემოქმედს გამახვილებულ-გაფაქიზებული არ უნდა ჰქონდეს რაღის გრძნობა? ნუთუ ცოცხალი ორკანიზმი ზეკდარი ორგანიზმისაგან ვერ უნდა გაარჩიოს პოეტმა, რომელიც ხელს ვერ აშორებს მსოფლიო კულტურის მაჯისცემას? საერთოდ, ოპონენტები „პრინციპული“ მსჯელობებიდან და მოელი მისი შემოქმედებითი პრაქტიკიდან ერთი სავალალო დასკვნა გამომდინარეობს: მას, როგორც თეორეტიკოსსა და ვერლიბრიული ლაბორატორიის თანამშრომელს, არავითარი წარმოდგენა არა ჰქონია რიტმის განსაკუთრებული როლზე როგორც პოეზიაში, იდეალურად, ზოგადად, ზუნებაში, არავითარი წარმოდგენა რიტმის მაგიურ ძალაზე, რიტმის ფსიქოლოგიასა და ესთეტიკაზე.

რიტმი ითქვებაა... რიტმული როკვით ნუსხავდნენ უძველესი მონადირეები ნადირთა მფარველ სულებს, ღვთაებებს, როცა საწესჩვეულებო რიტუალებში ნადირობის პლასტიკურ სცენებს განასახიერებდნენ. მხატვრული სტრიქონიც რიტმული ლაპლაპაა. რიტმი ითქვებაა მაგრამ ვერლიბრისათვის ითქვების ეს მაგია უცხო ხილია. თუ რიტმის ფილოსოფიის განვაზოგადებთ, თვითონ სიცოცხლეც მატერიის სუნთქვა, მატერიის რიტმია. ყველაფერი უშუალე მოძრაობაშია და საგენი შესანეული წერტილებია ამ რიტმულ ორომტრიალში. ბუნების მოვლენები: წვიმა, სხივების მტვრევა, ჩიტების სტვენა, მეეხრეული უჯრედების ჩასახვა კოსმიური რიტმულობის ფორმებია, ისევე როგორც საზოგადოებრივი ფორმაციები, ფილოსოფიები, ხელოვნებისა და ლიტერატურის ძეგლები. „ბერძნული მეტყველება, — ამბობდა შპენგლერი, — რხევაა მსუბუქი ფოთლებისა შუადღის მზეზე, ეს რიტმია მატერიისა“... აქვე ვიტყვი: ჩიტებს საკუთარი ენა, საკუთარი მეტყველება აქვთ. ბულბონი, ბეღვილი, ბეჭვივი, ბროკინი, ბოეური, კაკანი, კოკვიკვი, ფრიგ-ფრიგი, სივილი, წიწკინი, ჩხაველი, ყრანტალი და სხვა მისთანანი ფრინველების ჩვეულებრივი ენაა, ანუ, ასე ვთქვათ, მათი ურითმო, ურიტმო ვერლიბრი, ე. ი. სასაუბრო მეტყველებაა. სტვენა-გალობა კი რთული მუსიკალური და არტისტული ხელოვნებაა, და ზეგარდმო ნიჭის გარდა, გაწაფვა-დაოსტატების პროფესიულ ძალისხმევასაც საჭიროებს. ქართული ხელი ცოცხალი, ფეთქებადი ენერგიით მსუნთქავი ფენომენია, ენებიანი და არტიკულული. ქართული პოეზიაც ენებიანს, ტემპერამენტის ნაყოფია. ფორმის არიტმოკრატული ფუფუნება და ტექნიკური ელეგანტურობა ქართული ლექსის ნაცოცხლური ნიშან-თვისებად აღიქმება.

ენებიან სულის რიტმია. ენება უფრო ძლიერი ფენომენია, ვიდრე ინტელექტისა და მორალის იმპერატივები (გავიხსენოთ ინვიზიციის სასამართალე, წმინდა მამათა ორდენების შეცოდებანი. ქრისტიანული მორალი მათ ცოდვაცობის ნიშას არ აძლევდა). ინტუიცია (ანუ სტიქიური გრძნობა) რენტგენული სხივია იმ წვდომადის გაშარეულეული, რომელშიაც ინტელექტმა დაგვტოვა (ბერკლი). აზრი მაშინაა მხატვრული, როცა ეშოცის წნეხს გაიელის. აზრი ისე უნდა იყოს გრძნობისაგან გაუყოფელი, როგორც მხედველობა თვალისაგან, სმენა ყურისაგან, სული მატერიისაგან, როგორც ენსტრაქცია კონკრეტულისაგან. ქართული ვერლიბრის „პრინციპებისათვის“ კი ყველაფერი ეს უცხოა და მიუღებელი. მაშასადამე სიცოცხლე ურიტმოდ არ არსებობს. რიტმი სიცოცხლის გამოვლენაა.

რიტმის ამ ზოგადი დახასიათებით, ორბელიანისა და გალაკტიონის კონკრეტული სტრიქო-

ᲗᲝᲛᲐ ᲜᲘᲜᲝᲜᲘᲫᲔ
ᲞᲐᲨᲐᲕᲐᲫᲘᲡᲗᲔᲡ ᲡᲘᲛᲦᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲘ-
ᲐᲚᲘᲡᲗᲐᲡ

ნების ანალიზით და ავრეთვე ენება-ემოციის მოკლე მიმოხილვით, ფფქრობ შეძლებისდაგვარად განვმარტე რიტმის, როგორც სასიცოცხლო ენერგიისა და ძალების აქტის რაობა. ახლა ვნახოთ, რა სპასუხო კონტრდარტყმას გვიმზადებს მოწინააღმდეგე: „ჩვენ რომ შოთა ნიშნიანიძის „გვეერილობრეების“ ასეთი მანიპულაციებს აკეთოდით, არა ერთ ბრწყინვალე ლექსს „გვაბრიალმანებენ“, ბოლოს მოვუდებდით და ვუფლანდა ვაცინებდით ვუფლანბაყვალო მეთხეველს“...

სრული სამართალი, სრული გულწრფელობა! შენს პირს შაქარი, წიკლაურო! თქვენი გარეთმავის ამბავი რომ ვიცი, მართლა სიცილით დაზოცავდით მეთხეველებს! მაგრამ ხუმრობა წუთით დაივიწყეთ და კეთილი ინებეთ, სწორად გამიგოთ. მე „ბრწყინვალე“ ვერლიბრის (რომელიც ჯერ არ შექმნილა) გარეთმავნაბეს კი არ მოვეთხოვ. არამედ პოეზიის სიცოცხლის-უნარიანობას, ემოციურ წნევას, პრობლსვან განსხვავებულ რიტმს, ფორმის სმეკრივეს. ქართული თავისუფალი ლექსი კი მხოლოდ გრაფიკულად განსხვავდება პროზისაგან. ბოლოს და ბოლოს, ნ. ლორთქიფანიძის, კ. გამსახურდიას და ეგზიუპერის პროზა უფრო ლექსი, ვინემ ზოგიერთი ვერლიბრისტის ნაწერები.

ახლა მ. სვეტლოვის პროგნოზს მივუბრუნდეთ, რომელიც მთლად ზუსტად ვერ გაუგია მოკამთეს. „ვერლიბრი ისე დამკვიდრდება რუსულ პოეზიაში, როგორც სუბტროპიკული ხეები ბოტანიკურ ბაღში“. ანუ ვერლიბრი ვერ დამკვიდრდება და ისეთივე მეტაფორია ან სამეზეუფო ექსპონატი იქნება, რომელიც, ეთქვათ, ფერიკული ბაობაში ან ინდური ლეღლის ხე ჩრდილოეთში. განა ჩრდილოეთის ზოოპარკებში მობინადარე სპილოებმე დამკვიდრეა თქმისა?

მოუხედავად დიდძალი და ზოგჯერ მშვენიერი თარგმანებისა, „თავისუფალი ლექსი ორიგინალურ რუსულ პოეზიაში დღესდღეობით ფეხს ვერ იკიდებს. უფრო მეტიც: ზოგჯერ ურთიერთ პოეზიის რითმებით თარგმნიან. მაგალითად, ურთიერთ წერს რ. გამზათოვი. ავარულმა (ხუნძურმა) პოეზიამ რითმა არ იცის, მაგრამ რუსები მის პოეზიას რითმიანი ლექსით თარგმნიან. რაშია საქმე? ამ ფაქტს როგორია „პრინციპიო“-ლა. ახლნინ? რითმიანი პოეზიის მეგზემონიაში დიდი ბრალი მიუძღვით რუსეთის საიმპაო პოეტებს პუშკინდან დაწყებული ვოზნესენსკის ჩათვლით. ასევეა ქართულ სინამდვილეშიც. რაკი უკვე არსებობენ თუნდაც რუსთაველი და გალაკტიონი — ერის პოეტური ბიბლია — ქართული სწერნასთვის ყოველთვეს საჭიროთო იქნება უმეტესო, ურიტმო, ურითმო ლექსის აქვმა, როგორც შუსაკალურად მწირი მხატვრული აკტისა. ქართული პოეზია ურიტმობას და უსიცოცხლობას — ვერასოდეს ვერ შეიეგუება. ჭეშმარიტება არ ძველდება, ოქტომბერ, რომ ჭეშმარიტება ყოველთვის განახლებულია ძველი. არ ძველდება ბიბლიის წმინდა, ზნეობრივი ღირებულებანი. და რაც შოთა რუსთაველმა წაგვიდებს, ის ჭეშმარიტია. ლეგენდის მიხედვით „ულანა“ მაჰმადს გაბრიელ თავარანგელოზის კარნახით შეუქმნია. „ულანა“-თავიანი ესთეტიკური ღირებულებით ჭრელი წიგნია. მისი გარითმული სურეები (მხოლოდ გარითმული) ღვთაებრივი ენესტაზითაა აღბეჭდილი და მაღალი პოეზიაა, ხოლო ბაოურითმავი სურეები მხატვრულად მდარეა და უფეურული. კარგი იქნება, თუ ამ ფაქტს ვერლიბრისტები ჩაუფიქრდებიან. თუ ჩემი — უბრალო მოკვდავის — არა გაგებამთ რა, ღვთის რჩეულის—მაჰმადის შემოქმედებითი გამოცდილება მაინც იღონ ყურად! არ ფფქრობთ, რითმის ამოლოგიას ვცდილობდე. ზოგიერთი სურის მხატვრული ძლიერება გარითმვით კი არ აიხსნება, არამედ შემოქმედებითი ენერგიაზეა. რაც შთაგონების ემბაზშია განათლული, ფხრწნელია და მარადიული. რითმა ძველდება, არ ძველდება შთაგონება. შთაგონებით შექმნილი რითმაც კარგია და ფრითმობაც, ოზრიც და მეტაფორაც. პოეზიის სიცოცხლის ელექტრონი შთაგონებაა და არა პრინციპები. აი, ეს შემოქმედებითი ენერგიაა, ეს ღვთაებრივი ცეცხლი აკლია ქართული ვერლიბრის უმრავლესობას.

ახლა ვნახოთ, როგორ მედარად გიგო მოკამთეს მის მიერვე დამოწმებული ევ. ევტუშენკოს მოსაზრება ვერლიბრის თაობაზე.

„უნდა ვეძებთო ახალი რიტმები, — წერს რუსი პოეტი, — წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყველას წავვლეკავს უფერული წყალი მონოტონურობისა. მე ვფიქრობ, რომ ამაოდ უფალებენ ფიუსებენი, წმინდა რუსული ვერლიბრის არეში ძიებას“... სრული სიმართლეა! ე. ი. ერთფერობოვნებისაგან თავის დასაღწევად აუცილებელია ახალი რიტმების ძიება, მაგრამ რიტმული გადახალისება ეროვნული ვერლიბრის წიაღშივე უნდა მოხდეს, უფაზოურის დასხვების გარეშე. ქართული ვერლიბრის უმეტესობა კი პროზაუფალ რიტმებს ეობია და უცხოურის მკვდარ სქემებს წარმოადგენს, იქ ხშირად მხოლოდ ფრიფტია ქართული.

შემოქმედება პიროვნული ბუნებისა უკუფეფნაა, თვითონ ადამიანი კი ცალკე ფენომენი, ცალკე მიკროსამყარო. ბუნებაში არ არსებობს აბსოლუტურად მსგავსი ორი ფოთოლი, არა თუ იდენტური პიროვნებები. ამიტომ თავისი თავის გამომხატველი შემოქმედი სხვებს არ დაემსგავსება. რაც უფრო ორიგინალურია პიროვნება, მით უფრო სანტკერესოა მისი პოეზია. პიროვნების დამდი სტანდარტს აღქმენს. მაგალითად, მკოთხელს ერომპანეში არ აერევა ტაბიძეების, ლეონიძისა და ჩიქოვანის ათმარცვლიანი ლექსი. აქ მოსალოდნელი რიტმუ-

ლი ერთფეროვნება საკუთარი ხმის, საკუთარი ინტონაციების წყალობითაა მოხსნილი. უფრო მეტიც: თვითეული ჭეშმარტი ლექსი ახალი მომენტია, ახალი ამინდი, ახალი ფერი, ახალი ფოთოლი ნამდვილი შემოქმედის სულიერ ბიოგრაფიაში. მხოლოდ ძალად დაწერილი ლექსები გამოდის მონოტონური და ინკუბატორის წიწილებივით ერთნაირი. ხოლო თავისთავად დაბადებული, შთაგონებით შექმნილი მხატვრული ქმნილება ერთადერთია სამყაროში, გაღუმეორებელი და თავისთავადი, როგორც საკუთარი ბიოგრაფიის მკონე მოვლენა.

მოწონაადმდგომ ფაქტებით კონტრლაშქრობაში ნათპარი მასალა უცეტ შემოელია და კენჭების სროლაზე გადავიდა ანუ ცალკეულ სიტყვებს გამოეკიდა. ჯერ უიტმენისადმი ჩემი ალფრთოვანება გიიხსენა, მერე იქვე ქართული ვერლიბრის ჩემეული კრიტიკაც მოიტანა, რომელიც ახე იწუფება: „საერთოდ, ვერლიბრული სიტყვაები პრიზეკიუოლად გამორიცხავენ ყოველვალურ მთლიანობას, სინთეზს, შეინივთებას, სინათლეს, წესრიგს"...

მოწონაადმდგეგე ამ ციტატის პირველ სიტყვას ჩაეკიდა, მისი წყალობით ქართულ ვერლიბრზე ნათქვამი უცხოურზე განაზოგადა. მე თითი დამიშვნია, უიტმენს რატომ აბუუებ, სიკვარულზი რატომ ეფიცებიო... მოკლედ, სიტყვის გადაბრუნება პაწია სოფიზმია...

უცხოური ვერლიბრისადმი ჩემი სიმპატიის დასტურად იქვე გავანალიზე ერთი ნიმუში:

სანამ ცაში
ღმერთს შეეულს შევთხოვდით,
უცხოელებმა მიწა მოგვპარეს...

მოპაექრემ მხრები აიჩეჩა, აჭ მოსაწონი რაა, ვერაფერი გავიგეო და პოეტიის განხრით ქკუაც დაგვარიგა: ეგ ვერლიბრი კი არა, 10 მარცვლიანი ლექსია.... ბოლო სტროიქონი მართლაც ათმარცვლიანია, პირველი — ოთხმარცვლიანი, მეორე — ექვსი.

ცოტრრებული ლექსი „განთიადში" დაუნაწევრებელად, პროზაულად იყო დაბეჭდილი. ამიტომ ალბეჭვა ოპონენტმა 10 მარცვლებანად, ვერლიბრში ალაგ-ალაგ მტარული სიზუსტის დაცვა გამორიცხული არაა. ასეე დასაშვებია კანონიუნები გარითმვაც. ვერლიბრის სპეციალისტს ასეთი დეტალი არ უნდა გამოპაროდეს და არც ქკუის დარიგებაში უნდა აჩქარებულიყო. ამ პაწაწინა ლექსში დიდი ეროვნული ტრაგედიაა ჩატეული. ქვეყნის მესეფიერებს მტრის ასალვამავად ღონე და უნარი ვერ გამოუჩენიათ და სანამ ხალხი ცაში ღმერთს შეეულს ევედრებოდა, უცხოელები ქვეყანას დაეპატრონენ. რაა ჰქ ბეუგებარი ან აჩქმოსაწონი? თუ რაც ეროვნულ-მოქალაქეობრივია, პოეზიის საგანიც არაა და მხრების აჩეჩვის ღირსია? მაგრამ მთავარი ახლაა. მოკამათე ისე გათამამდა, მთელდ არხეინდა. ნარბშეუხრელად დამაყენა კოსმოპოლიტიზმის უფსკრულთან... მოვუსმინოთ: „შ. ნიშნანიძეს ამ მხკელობაში (ე. ი. ზემოთვანხილული უცხოური ვერლიბრის ქებაში, — შ. ნ.) მე უცხოურისადმი ეჭვის მოხრა დავინახე...". აქ კი ზედმეტად აჩქარებული „ცხოვრებაზე მძიმედ ჩაფიქრებული" მგოსანი, ალბათ ჩგონია, იმ გრძნობას მიბაიბრუებს, რითაც თავი მომაქვს, რითაც ვამაჯოს...

ამ არალეგიტიმური ფრაზით მოკამთე ვიღაცეების გამჩიარულებას ცდილობს. ახლა ერთი ისკორიული წიაღსვლაც მოვიხსენოთ. „საზფვარგარეთის მონასტრებში მოღვაწე ქართველი ბერები, — გვაცნობიერებს პოეტი-კრიტიკოსი, საქართველოშიც დეტეიდნენ ფდ აქაც იშოვნიდნენ ეტრატს და კალამს, მაგრამ მამეულ სწორედ მსოფლიო მოწინავე აზრის, მსოფლიო კულტურის ავანგარდის მოიუფრადენი სპირდება. სხვაგვარად არ შეიძლებოდა, სხვაგვარად ევროფერს შეეჭმნდეთ ისეთს, რომ სხვისი ეურადღების ღირსი ყოფილიყო. ამ დიდი მასშტაბიდან ამოვიდა ჩვენი ბევრი მწერალი"... ვიცი, ნამდვილად ვიცი, მ. წოკლიურიჯ მსოფლიო კულტურის ზიარების დიდად მოწადინეა. ახლა რომ ავდგეთ და ჩვენსკ ოპონენტის მსგავსად სოფიტტური მეთოდით გავანალიზოთ ეს ციტატი, ხომ შეიძლება ხალხს ვაფიქრებინოთ, მ. წოკლიურს საზფვარგარეთ დასახლება მოსურვებიაო. მართალია, ეტრატს და კალამს აქაც ი იშოვნის, მაგრამ დიდი მასშტაბებიდან რომ ამოვიდეს და სხვისი ეურადღების ღირსიც შეიქმნეს, საზფვარგარეთ ცხოვრება აუცილებელია. სხვაგვარად არ შეიძლება, სხვაგვარად ვერაფერს ვერ შეექმნის. აჭ, სომხეთში, არც ეურადღებაა და არც მსოფლიო ავანგარდში ჩარიცხვის შანსებია... ახლა ვეკითხები ოპონენტს: მოსაწონია ასეთი ღვლარქნილი კომენტარი? მართალი ვიქნები ასეთი ვარაფდებისათვის? არამც და არამც! ღმერთმა დამიფაროს ასეთი ეშვებისაგან! ასეთი დასკვნები, როგორც ვთქვი, სოფიტტური იქნება და, მე როგორც „ეერკეტ" რეალისტს, არც შემეფერება. თქვენ კი აგერ ახლახან ჩამიტარეთ სოფიტტური სკოლის გაკვეთილი.

როგორც ჩანს, ოპონენტი არაფრით არ მაპატიებს ვერლიბრისტებისადმი წაყენებულ მთავარ ბრალდებას — მოქალაქეობრივი მოტივებისა და დროის მოძენების უფლებელეოფას.

მოკამთეს მოჰყავს წარუმატებელი ვერლიბრული ცდებისადმი ჩემეული დამოკიდებულების გამოშხატვეელ ბწკარები:

„მე ვებრძვი არა თეთრ ლექსს, არამედ პოეზიის თეთრსისხლიანობას.

მე ვებრძვი ანარქიულ და არა თავისუფალ ლექსს.

ზეზოა ნიშნანიძეს
ბაზაზეინტლეს სოფიზმები და დიდი რეალიზმა

მე ვეძრძვი ფორმის რღვევას, პოეზიის ფალსიფიკაციას.

უცეცქნთა პოეზიის აქლემევსის ეუსლია!

მე ვეძრძვი უაზრობის მაღალ აზროვნებად გამოცხადების ცდებს" და სხვა...

„— ეს ბოლო აბზაცები, — ირონიულ კომენტარს უკეთებს ოპონენტი, — ალბათ თეატრის კედლებს უფრო მოუხდებოდა, ვიდრე ლიტერატურული ალმანახის ფურცლებს!" ამ სიტყვებში მეტად საშიში შეცდომებია გაპარული. ალანდაცა პოპულარული ალმანახი, ალანდაცა თეატრი, ჩრდილი ადგება თეატრის სახელმწიფოებრივ დანიშნულებას. ნუთა რა საირონიო ზარნენები ნახა მ. წოკალიურმა თეატრის კედლებზე? რა არ მოეწონა, რას არ ეთანხმება? თეატრის კედლებზე ჩვეულებრივ დიდი სახელმწიფო მოღვაწეების, ხელოვნების დიდი ავტორიტეტების ბრძანული გამონთქვამენი ზარნერილი. როცა მოწონაადმდეგი მხატვრულ ან ესსეისტურ ნააზრევში ვერ ერკვევა, მაშინ ლოზუნგებით უნდა ელაპარაკო. ისე კი ზემოთ ციტირებული სტრიქონების მსგავსი რამ თეატრის კედლებზე არა და ფურნალ-გაზეთების, გამომცემლობების რედაქციის კარებზე კი დიახაც უნდა იყოს მსგავსი ზრიდანი გაკრული, რათა იქაურმა სტუმარ-მასპინძლებმა მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინონს როგორც პოეზიის, ისე მეთოხველის წინაშე.

ზემოთ ციტირებული სტრიქონები, თუ სადმე სამართალი, ოპონენტმა კი უნდა მოსწონებოდა — ისე მგავს ვერრიბრს!

მოკამთალი თვითონვე აღიარა: რა ვქნა, არ მესმის ზ. ნიშნიანიძის ეს ცეცხლიო. ამაზე პირდაპირ ეკასუხობს: მსგავსი შეიცნობს მსგავსს! რაც არა გაქვს, იმას ვერც გიგებ (თუ კაცს შექსპირის სონეტები ან „ზერანი" არ ესმის, რა ამ შედევრების ბრალია!).

სენტენცია „მსგავსად შეიცნობს მსგავსს" მოაზროვნე კაცობრობის უდიდესი მნიშვნელობა. იგი, როგორც ეგზმარიტების ამსტრაკტული ფორმულა, ყოფიერების უზოგადესი კანონზომიერებისა და დაუსრულებელი კონკრეტული ასპექტების შემცველია, ე. ი. თავისი მასშტაბით სინამდვილის ყველა განზომილებებს გადაფარავს. ამჯერად ამ ფორმულის ერთ წახნაგს — ადამიანთა სულიერი ნათესაობის საკითხს შევეხები. სულიერი ნათესაობა ერონნიერი სულიერი მიდრეკილებების ადამიანთა დაახლოებას ნიშნავს. ისინი ზოგიერთნაირი შინაგანი ენოსვით ძოძებნილნ ერთმანეთს, ასეთი დაახლოება გარდაკვლილებთანაც ხდება, არა სპირიტალისტური ხელნებისა და ოკულტისტიკური მაგიის საშუალებით, არამედ წოგნებისა და ხელოვნების კულტურულ მონაპოვრებთან ინტელექტუალური კონტაქტების გზით. სულიერად მონათესავე ადამიანები ერთმანეთისთვის ცალკეულ ეტაპებ კითხვა-პასუხს წარმოადგენენ. ზოგჯერ ისინი ხასიათებითაც განსხვავდებიან, ზოგჯერ მათი მეგობრობა სუფერეფლულ-ვასალურ დამოკიდებულებასაც [illegible] წაადგა. ასეთი ურთიერთობა ორივე მხარისთვის ბუნებრივი მდგომარეობაა და შინაგანი ძმაოფილების შემცველია. ამ სხვადასხვა ნაპიათით ისინი ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთს ამთლიანებენ. იქნებ მათი ფსიქიკის ხვეულებში ქვედანებების სახით წინაპართა გარდასული ცხოვრების ექოც კი ხმიანებდეს. ადამიანი ხომ წინაპრის ცოტაცა წარსულის დიდი წიგნიდან. ადამიანის „ბიოლოგიური მეხსიერება" ბევრ ისეთ მოგონების ინახავს, რომლის ახსნა და მეცნიერული ვაანალიზება ჯერაც ისევე მოძალის საქმეა. მონტენის რწმუნებით, ერთი ევროპელი სწავლული მოგზაურობის დროს ალეკსანდრიაში გაჩერებულა. უცცოლეს თურმე ისე ეცნაურა ქალაქის ხედები, — ადფრიკეენბულს ტარილიო უთქვამს: ეს ჩემი მშობლიური ქალაქი, ყველაფერი მეცნობა, როგორც ჩანს, აქ ოდესღაც მიცხოვრია, აქედან ვერსად წავალო და აქვე დასახლებულა სამუდამოდ. ალბათ ამ ადამიანის ფსიქიკის შრეებში წყლიბით ეძინა მემკვიდრეობით გადმოსული იმპულსების და საკმარისი ალმოჩნდა ერთი გარეგნული გალიზიანება, ერთი მექანიკური სიგნალი, რომ ბიოლოგიურ მეხსიერებას გაეღვიძა. გიიხსნა ფსიქიკური ხსოვნა, ხედვა, სმენა და სწავლულის სუფმა ხელახლა გამოსცადა თავისი ადრინდელი ცხოვრებისეული მოდიფიკაცია... მსგავსი შეიცნობს მსგავსს... (ეთხუნენთ ს. მოეთის „მთავრე და ეკვსპერიანნი").

ზოგჯერ გზაში შემოგხვდება სრულიად უცნობი ადამიანი, ვთქვათ, ქალი და უცებ წამოიჯრა ელდა ვეცეცმა, რომელიც კარგა ხანს გტოვებს სიამოვნების ბურუსში. რაღაც მშობლიური, თბილი, ახლობელური შემოგახსოვა მისმა, შემოხედვამ. თითქოს სადღაც გინახავს ეს თვალები, ხახის ნაკვთები, მხრები, სიარული... თითქოს სადღაც შეხვედრიხარი ერთმანეთს, ან ერთად გიცხოვრიათ სადღაც ოდესღაც, მერე თითქოს გსიზმრებია კიდეც... ასეთი ახლოებელი შეიძლება დედა იყოს ან მეუღლე. ინსენენ და ვერაფერთ გაგიხსენებია. არა და ან შემთხვევითი შეხვედრით ისეთი ღვთაებრიობამდე აბალეკუფილი სათნოება იგრძენი, არ გინდა ეს განცდა მარადისა შემთხვევით, მცდარ, ან ავადმყოფურ განცდად მიიჩნიო.

აქ თავისი სიტყვა გენეტიკამ ან ფსიქოლოგიამ უნდა თქვას.

თუ დაკვირვებიხართ, საერთოდ, ქართველებს ძალიან მოსწონთ და აღელვებთ ბერძნული მუსიკა. ასეთი განცდა გენეტიკეური წარმოშობისაა და ბერძნულ სამყაროსთან ჩვენი ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობით ახსნნეა. ეშვი არ მეპარება ჩინური მუსიკის სიდიადეში, მაგრამ ჩვენთვის ეს ფენომენი უცსოა და შორეული, ვინაიდან საქართველოს არასოდეს ჰქონია ჩინურ სამყაროსთან თანაარსებობის

ბერიოდები. ჩინეთიანი ვამბობთ რაიმე გაუგებარზე. ჩინეთელია — ე. ი. უცხო რამაა, კარგიაო, იტყოდნენ ძველად ჩინეთიდან შემოტანილ საკონცერტო (ასეთი ეტიმოლოგია ხელს უნდა აძლევდეთ უცხოიერის მოყვარულთ).

მსგავსი შეიცნობს მსგავსს ანუ განსხვავებული ვერ შეიცნობს განსხვავებულს. ამიტომაც არ ესმის ჩემი სიმართალე მოწინააღმდეგეს. ძველად აღმოსავლეთის რომელიღაც ტომს შავი ცხლები მოსწონდა, თეთრი ცხლები ძალლებს აქვთო, ხოლო ერთი ფერიკელი ტომისათვის სიღამაზის სრული იდეალი უკმეხია ოყო. პოეზიაშიც ასეა, ზოგს რა მოსწონს და ზოგს რა. მაგრამ ერთი რამ მაინც ცხადია, ორიგინალობის ეინით შეპყრობილნი დამკვიდრებულნი და აღიარებულნი ეჩქინებიან. ეი საბუთიაც: მოკამათე იშვიეიტის თ. ელიოტს ნათქვამს: „თუ პოეტი ვებრძოლეთ აუდიტორიას სწრაფად მოიპოვებს, ეს მდგომარეობა არ შეიძლება საეჭვოდ არ ჩაითვალოს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ახეთ პოეტს არსებითად ახალი არ შეუქმნია, მან პარტიოდენ ის მისცა თავის მკითხველს, რასაც ნაზიარებია ადრეული წინა დროის პოეტებისაგან". მაშასადამე, მოკამათეთ ჩრდილს აყენებს მკითხველთა მრავალთასიან აუდიტორიას, გამოჰკავს მკითხველები უგამოვნებო, უმეცარ ბრბოდ, რომელსაც ახალი, ეშმაობატი პოეზიის გაგების უნარი არ გააჩნია და ამიტომაც ჩამორჩენილ. გაცვეთილ პოეტებს ეტანება. მეორეს მხრივ, შეურაცხყოფის პოეტებიც. რომელთაც სწრაფად გაითქვეს სახელი. (სწრაფად ანუ იოლად... გადადუქე ძველი პოეტები და პოპულარულიც ვახდებიან). მაინც ვინ არიან ეს სწრაფად გახმაურებული პოეტები? ყველამ ზეპირად იცით. ფაქტები არც აქ მოშეკავს. უტეტარ ქებმარიტებებს არც აქ სჭირდება მტკიცება. არც იმას ვამტკიცებ, მოკამათეს შური და ღვარძლი ამოძრავებდეს სახელმოხვეჭილთა მიმართ. არა. მოკამათეს უბრალოდ უნდოდა თავისი თავისა და რამდენიმე უცნობი პოეტისათვის ნუგეში ეცა. მართალია, ჩვენ, 40-45 წლის პოეტები, დღევდე დიდი აუდიტორიის მომპოვებელნი არა ვართ, მაგრამ გულს ნუ გავიტეხთ, ეს საზოგადოების ბრალია, იგი მზად არ არის ჩვენი გაგებისათვის, რას ვიზამთ, ასეთია ახლა, განსაკუთრებულის მოქმედთა ბედი. ჩვენ ხომ ისეთ პოეზიას ვქმნით, რაც ნაზი ნაზია ეშმაობ პოეტებს არც დასინჯმრეშიათ... ახლაც დაეკვედებთ, მკითხველო, არაპოპულარული პოეტების „თვმდაბლობაზე?! ხედავთ რა პრეტენზიები აქვთ, როგორც ძალად იდგამენ თავზე ზედიდის გვირგვინებს?!

უცხოური მხატვრული მოდელებისა თუ ინტელექტუალური რეცეპტების ბრმა, მეკნინეური გადმოღება მხოლოდ პროვინციულ ენის აქცაოფილებს და სახელმძღვანელო კრიტერიუმებად არ გამოვადგება. „ალპები იქით რაც ეშმაობატებია, ალპების აქეთ ხიერუეა" (ბასკალი). ინგლისელ-ამერიკელი პოეტის მოსაზრება, შესაძლოა იქაური სინამდვილისათვის სრულიადაც ეფუძნებოდეს მზრეველ ხელ-მართველ ოყოს, მაგრამ ქართული სინამდვილისთვის სრულიად საპირისპირო სურათის იძლევა. ■ საქართველოში არასოდეს შეუქცევიათ ზურგი ეშმაობატად ახლისმქმელის, ეშმაობატად ეროვნული ტალანტებისათვის! შესაძლოა თვისებრივად ახალი ნაწარმოების გაგება-დაფასება დროებით მართალია შეფერხდეს, მაგრამ რაღაც არა მგონია, ლენინური ან ნობელის პრემიები გადამღერებულ-ნასეხნებ ქმნილებებს ენეჯეტიზეს, ხოლო ეშმაობატად ახალი, მაღალმხატვრული ნაწარმოებები უყურადღებოდ რჩებიოდეს კაცობრობიას.

თ. ელიოტი ალბათ იმ აუდიტორიას გულისხმობდა, რომელიც, მართალია, ლექსებს არ კითხულობს, მაგრამ პოეზიის სალამფოებე მაინც დადის გარეთის ან თავის გამორეცნის მიზნით, თანაც მხურვალედ ეხმაურება ხელვების ქნევით და ყვირილით წაკითხულ ლექსებს.

სანამ თ. ელიოტის სიტყვებს მოიტანდა, ოპოზენტი საწინააღმდეგოს ვვიმტკიცებდა: „სხვა არა იყოს რა, მათ წიგნებს (ე. ი. ვერლიბრისტების წიგნებს — შ. ნ.). იშვიათად ნახავთ წიგნის თარიღზე..."

■ რა გამოდის? თუ მათი წიგნებიც სწრაფად იყიდეს, მათაც სწრაფად მოუპოვებიათ აუდიტორია, მაშასადამე, ისინიც ძველის გადამღეველი პოეტები ყოფილან. ან, ლოგიკაც ამას ჰქვია!

თუ ოპოზენტს საერთოდ ქართული ვერლიბრის დაცვა ეწყად, რატომ არ შეეკითხენი წინა თაობების პოეტთა თავისუფალი ლექსის ნიმუშებში? იქნებ ისინი არ მოსწონს? ან მათი ავტორების საქციელითაა უკმაყოფილო?! მათ ხომ კარგა ხანია ზურგი აქციეს ვერლიბრს.

ზოგიერთები არა მხოლოდ რითმიანი პოეზიის ოსტატებს უგულვებელყოფენ, არამედ ჩქმალავენ თავიანთ ისეთ უშუალო წინამორბედსაც კი, როგორიც ს. ნარიმანიეთი, რომელიც ადეკ 30 წელიწადია ნაყოფიერად მოღვაწეობს ვერლიბრის დარგში და რომელიც ფაქტიურად, მათ მამამთავრად უნდა ჩითვალოს (ნუ დავგავიწყდება: წინა კაცი უკანას ხიდია.).

მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება მოსკოვში 1975 წელს საკავშირო პლენუმზე ნოდარ დუმბაძის გამოსვლის შეხსენება:

„ამ ორმოცი წლის მანძილზე ჩვენი მწერალთა ორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა. ამჟამად ის 450 წევრს თვლის. ვერლიბრის, ანუ თავისუფალი ლექსის გამოჩენით კი, რომელიც მართლაც თავისუფალია ყველაფრისაგან და

რომლის შესათხზავად, როგორც ერთხელ ჩემმა მეგობარმა მიხეილ ლუკონინმა იხუმრა, საჭიროა მზოლოდ დრო და ზეტი არაფერი, მწერალთა კავშირის წევრობის მსურველთა რიგსაი ორჯერ გაიზარდა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი რაოდენობა მწერალთა ყრილობისათვის ათასს, ათას ხუთასსაც კი მიიღწევს".

ცხადია, ორივე წერილის მწარე ირონია ვერ ლიბრად გასაღებული ბუკვრედს შეეხება და არა იმვითთ გამოსაკლისებს.

,,— ჩემი წერილი, — წერს პოეტი-კრიტიკოსი, — პირველივილი სახით არ დაბეჭდილა და ამ „შეცნობრებებში", რედაქციის ნებართვით, თვითონ ზოთა ნიშნითანიძეშაც მიიღო მონაწილეობა"... ლიტ. გაზეთის რედაქციამ ის წერილი მართლაც წაბაკოთხა: საინტერესო პოლემიკას გავმართავთ, ბევრი საკირბოროტო ლიტერატურული საკითხია გადასაჭრელი. ქეშმარიტების ბარეკვეططისთვის, ობიექტურობისათვის საპრინსიპრო ბოსაზრებენის დაბეკვედ აუცილებელია. რედაქტორის ასეთ საქციელში მე პოეზიის ბედიღლინთ დაინტერესებული კაცის პოზიცია დავინახე, რომელსაც საზოგადოებრივი აზრის გამოცოცხლება სწუოროდა. ოპონენტის უასაუნისმგებელო განცხადება კი ჩრდილს აუენებს ვ. ქეფალის რედაქტორულ პროფესიონალიზმს, სოლიდურობას, შეუფალობას. მე, როგორც მოკამთეს, შესწორებები ხელს არ მაძლევდა, მაშინ შესაფერ პასუხს ეეღარ გავცემდი. ეს კი, რედაქციის პოლემიკაში უფრო ცნობილი, უფრო ავტორიტეტული მოწინააღმდეგის გამოყენანა ვთხოვე.

ჭანსაღი, რეალისტური პოეზიისთვის ჩემს კრიტიკულ გამოსვლებს მოწინააღმდეგეს, როგორც უკვე იცით, უფაქტებო ლაშქრობა უწოდა, ხოლო თავის მხრივ ფაქტებით კონტრლაშქრობა წამიწყო. ეგოისტური სიამოვნებით შევნიშნავ: ეს ფაქტები ჩემს წისქვილზე ასხამენ წყალს. მათი მხატვრული რანგი ალაჯალაჯ უტოლდება საშუალო პოეზიის დონეს. ეს ნიშნეშები ჯერ კიდევ ნელი მასალაა ანუ პრობლაული კონსაქციანი, რომელთაც ისეთი ყალიბი უნდა მოეცხოს, რაც პრობლასთან მათი ოგივეობის ნიშნის მოხსნის. ეს ნიშნეშები ვერლიბრისტების 10-15 წლიანი შემოქმედებითი რუდუნების პოეტური „მწვერვალებია". ამ მწვერვალებიდან გადმოსაცქერიან ისინი ბრწყინვალე კლასიკურ და თანამედროვე პოეზიას. ამ ვერლიბრული შედეკრების ავ-კარგის გამრჩევი თვითონვე დასაკვნის, თუ როგორიდა იქნება მათი ჩვეულებრივი, რიგითი ვერლიბრი.

საერთოდ პოეზიაში მთავარია არა შინაარსი, არამედ ამ შინაარსის გამოთქმის ხარისხი, ძალმოსილება, ვინაიდან ხელოვნების არსი კითხვა „როგორზე" პასუხის გაცემაში მდგომარეობს. ყოველ კონკრეტულ აზრის გამოთქმის უამრავი ვარიანტი გააჩნია, რომელიდაც მხოლოდ ერთი იქნება ქეშმარიტი ფორმა. აი ამ ერთის მიგნებაა ხელოვნება, ნიკი. „ხელოვნებაში ფილოსოფიასავით აზრი კი არ, ნამდვილი გარეგანი გაფორმება იძლევა შემოქმედების სტიქიას", — წერს ბეგელი „ესთეტიკაში". ფორმის საკიმაოროტო საკითხი რომ არა, მაშინ უფორმო ლექსს (ანუ შიშველ შინაარს — ქართულ ვერლიბრს) ყველა დაწერს, თუ სინდოსსა ხელი არ შეუშალეს. მთავარიდ ფორმაა... სიშიშველის უხერხულობა პოეზიისაც ანლავს ეარ ბარტო ადამიანს. სიშიშველე უხერხულობის გარდა უძლურებასაც (ვერმანელები ტუკეებს ფორმას ხდიდნენ და ისე მიერეკებოდნენ. 4-5 ფორმიან ვერმანელს შეეძლო ნახეკრადშიშველი ასეულთან ბაძოგაობა).

,,ზემოთ ციტირებული ლექსების ავტორების წინაშე ბოდიშს ვიხდი. ეს ლექსები მათი საუკეთესო ლექსები როდაა". — რაღაცანაირ დანანებით წარმოთქვამს ფაქტებით მოფლშერე. რატომ თხოვს იგი პატიებას? ვითომ მართლა ამიტომ, რომ უკეთესების მაგიერ უარესი მოიტანა? არა, ეს სიცრუეა. უკეთესს არავინ დამხვედა და უარესით თავს არავინ მოიწონებს. სიილუსტრაციოდ მოკამთეს მოკალეკიბრივი ეღერადობის ნათელი ლექსები მოიტანა და ჰკითხა, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა მეგობრები, ვინაიდან მათი პოეტიკის მიხედვით, მსატვრული გამქვირვალება პრიმიტივად თვლიან. ოპონენტის მიზანი იყო, როგორმე მოეხსნა ქართული ვერლიბრისადმი წაყენებული მძიმე ბრალდება: საზოგადოებრივი ინდიფერენტობა, ეროვნული ოტკეკვების შესუსტება, ქოტტორობა და სწორედ ამიტომ იძულებული შეიქმნა, მრავალსასეული ბუნდოვანი ვერლიბრიდან თითო-ოროლა ისეთი ნიმუში გამოეჩხრიკა, სადაც იდეური ღელიდობაც იქნებოდა ფიქსირებული, ეროვნული კოლორატიცა და პოეტური სინათლეც. ვითომდა აი, ტიპიური ასეთია ჩვენი მხატვრული სამყარო და ხელწერა. მოკამთეს პაწია ეშმაკობა მართლაც აქვს. ღმერთო რომ გაგსწორომოდ და ის ლექსები მოეტანა, რომლითაც ვერლიბრისტებს თავი მოსწონთ, მკითხველი ხომ გადაირეოდა, ეს რა ამდაგვარდაო.

ოპონენტი თავს იმართლებს: „მე სპეციალურად ვეძებდი მოკლე ლექსებს..." გრძელი ლექსები ყურნალში არ დაეტეოდათ. აქაც ცრუობს მოპაექრე. რისი საბუთიც იქვე გრძელი ლექსიდან მოტანილი ფრაგმენტია. ოპონენტი მოკლე ლექსებს კი არ ეძებდა, არამედ მდგომარეობიდან დასაძვრენ მოკლე ეშმაკურ გზებს. გორკიას „მიმდევარს" აქვე ნაწილ ერთი ბრძენკაცის სიტყვები შეუთხზენო, რომელთაც მან სიცრუეში მხილეთ შეგირდს მიმართა: „ შვილო ჩემო, ეშმაკი ისეთი უნდა იყოს, ეშმაკობა აღარ სჭირდებოდეს..."

აი კენჭის ხროული, ანუ ცალკეული სიტყვებზე გამოკიდების კიდევ ერთი მაგალითი: წინა წერილში ვიოლაშვრებოდი პოეზიაში ყოველგვარი ამორფულ-ალოგიკურის ოლიმპურ დელი-

კაცესად გამოცხადების წინააღმდეგ. ახლედ-ლობრ, ეწერდა: „დღეგანდელ ქართულ ლექსს (უპირატესად ვერლიბრს) რაც მთავარი რადაც საბედისწერო აკლია, არსთა არსი, გულისგული... აკლია ის, რაც სიცოცხლის დერტკა, რაც საფფარის, კეკეის, მაჭიკის, ეხენეცის, მაწვნის დედის ასოკიაიტის წმეევს... მაშასადამე, აკლია საფყოოს შეკმნის ღვთაებრივი პირველი ბიძგი, ანუ შთაგონება, შემოქმედებითი ცეცხლი...“ წმარე სიმართლეე, ძნელად მოსანელებელი სიმართლეე! და ამ სიტყვებით ფცდილობდი როგორმე ადვილღლაქმელი ამეხადა ქართული ლექსის რობოტიზაცია-ფაბრიკაციის ხაშაშროვება, ანუ ზოგიერთის თავში როგორმეც შემმეფა წუხილი: უშთაგონგბო პოეზია პოეზია არაა. პოეტმა-კრიტიკოსმა ჩემი წინადადება ჯერ გამოშეგნ-გამოწყეფილ და მერე დარჩენილ სიტყვების კულინარული ტერმინოლოგია უწოდა (ლმაათ ენამახვილობა ჭგონია). მწარე სიმართლე ძნელი მოსანელებელია. ზოგჯერ ავადმყოფებს მწარე სამკურნალო პრეპარატებმა მიეცეს კულინარულ ნაწარმო

ნ ფრთად ენინშებათ. ჩემს „კულინარულ ტერმინებშმ“ ბევრი მწარე სიმართლის ამი იყო გაჩვეულილი. ოპონენტი აქვე შენიშნავს: ზუსტად ასე წერია: „თანამდებო�ე ქართულ ლექსს“... ამ ფრაგმენტის ქვეტექსტი ასეთი გასოვეთ: შოთა ნიშნაანიძე მთელ ქართულ პოეზიას ლანძღავს და არა მარტო ვერლიბრულსო. იძულებული ვარ გავიმეორო: მე ვდევნე უშთაგონებო პოეზიას, რომლის უპირველესი თავშესაფარი და ციხე-სიმაგრე თავისუფალი ლექსია.

ოპონენტი აკადემიური კრიტიკის ელიტერ გემოვნებას თვითონაც ღალატობს და ხმორტულ ტერმინოლოგიას მთავაზობს. „ნუთუ ყველაფერი უნდა ვიკიჩოოთ ინსისთვის, რომ „პრეტოფუნ“ საცოდავი გოფი“ როგორმე გავიტანოთ? მიკეიერნმა ფეზზრიოთის დიდი მცოდნე და სტატიონის ტრიბუნებზე ჭიაპო

ბა", — ბრძოლად შენიშნავს მოკამთე. ჩემი გასროლილი ისარი კი მ. წოლდაურს მოხვედრია და ეტყოდა მაგრადაც! აკაკის ეს სტრიქონები გამოუყენებიათ ქმნით კლასიკური და თავისუფალი ლექსის ფასლითფიკატორების წინააღმდეგ, რომელთა დაცვა, არც ჰუმანიზმია და არც რაინდობა.

ოპონენტის წერილი ეკლექტიკურია, არათანმიმდევრული და ჭეშფუფ საბრალდებო დასკვნის წაადგს (ვოლტერი ჩიოდა: დიდი ადამიანები ერთმანეთს გაიგრძნან, პატარაებს უყვიათ შეკერა და ფარული ხერხებით...). მისი პროფესიული დონე სახარბიელო შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს. სამაგიეროდ, ის ღირსება შეუძენია, რაც ქართულ ვერლიბრს აკლია: ტემპერამენტი. მაგრამ გაცეცხლება ჭერ კიდევ შემოქმედებითი ცეცხლი არაა!).

გაბრაზება თუ გაცხარება დაჯაბნა გამორიცხული არაა, არც ბჭალის შემართა. რა ვუყოთ, თუ მოპაექრე გალიჩანდა, რა ვუყოთ, თუ გაწბრაწდა... ნამრთალის მარწუხები მწარეთ რედაქცია უნდა მორიდებოდა საკუთარი აიკიდან მისივე თანაშრომლის მუშტების ქნევას და ეშესეხებაზ... მოკლედ, მოპაექრემ ფუმი ხმაური ატეხა. პოეტმა ლექსით უნდა ებრძოროს და არა კამათით. ზეშანადაგ, კონტრფლშ ქრობა ვერ გამოვიდა, თუ მხედველობაში არ მიგიღეთ თითო-ორო�სოფისტურ გამოსდომას...

მოკამათემ მთელ რიგ ბრალდებებს წაუყიენა, მიათვლეინა, პასუხის მაგიერ ძახილის და კითხვის ნიშნები შემოგვთავაზა. პუნქტუაციის ნიშნები დასმით დიაგნოზი არ ისმება, მაგრამ არ გამოეეკიდებით, მასავით არ დაეწერინოთ ბრალდებით. ოღონდ ერთს ვიტყვი, დიდი გალაკტიონის მოსაპრალი ნიპილისტური ანეგდოტის დამოწმებისთვის საჯაროდ ბოდიში უნდა მოიხადოს და ისიც წერილობით, (მარტო მეგობრების წინაშე ბოდიშის მოხდა არ კმარა!).

გალაკტიონის შემოქმედება მთელი ქართული კულტურის გრანდიოზული ოფლეწვა. გალაკტიონმა ანგელოსური (ზეადამიანური) სმენით აღიქვა სამყარო. რა ენნერხოდა ბრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზია მისი მჩქეფარე რიტმების გარეშე. გალაკტიონის პოეზია ქართულ სიტყვაზე გადასარკული ლაჟვარდის, სხივის, სულიერი სათნოების დიდი არტისტული სასეირო. მისი სტრიქონები სულის შაშვეკი ვიბრაციები, ნატიფი ხალეკი მუსიკალური რხევებია. გალაკტიონისეული ფერაზის მიმოხრებში მარადიული ქართული ეროსტიური სული შრიალებს... ერის ფშვიანი ზმიდა ნატებზე (შუშლილური ლექსი იქნება, თეატრი თუ გალაკტიონი) მოოცეკეის ხასიათით უნდა ელაპარაკობდეთ და არა ნიპილისტის ნერვიული ენით.

„შოთა ნიშნიანიძე ბრძანებს... თუმცა ხაკმარისია... ახალს არაფერს ბრძანებს..." — დაასკვნეს სულ ბოლოს თავისი ირონიით თვითკმაყოფილი ოპონენტი. დიახ, ახალს არაფერს ვამბობ, მხოლოდ იმას ვიმეორებ, რაც ადამიანმა საზოგადოებრივი აზრია — თანამედროვე თავისუფალი ლექსი, ცალკეული გამონაკლისების გარდა, არა თუ პოეზია, საერთოდ ვერლიბრიც კი არაა.

შემოქმედებითი აქტი სპეციალურ ჯაშში ქაოსიდან შექმნილი წესრიგია. მანამდე შემოქმედის სული რაღაც იდეითაა შეპყრობილი, მდგრე, ნახევრად გიჟრკვეველი, ბუნდოვანი იდეით. ეს იდეა თანდათან მწიფდება, კონტურებს იძენს, გამოიკვეთება, ხერხემლიანდება. ბოლოს თავს იჩენს სულიერი მეტრიკორმა. მაშინ დადასტურდა ხუთივე ვრძნობა გასასტულია. ყოველისმგრძნობელი, ყოველისმსმენელი, ყოველისმხილველი ხდები, იქნება უბილავიხაც. თითქოს ისინება იდუმალის კარიბჭე, თითქოს დროის და სივრცის კატეგორიებიც უქმდება. ალარ არსებობს სიტყვები „სად" და „როდის", მათ ადგილს „ყველგან" და „ყველაფერი" იქერს, როგორც მარადიული შეღწევის პარალელები. ყველაფერი ადვილად, თითქოს თავისით ჩნდება: ხილეა, აზრი, მეტაფორა, რითმა. ალბათ ესაა ფლთფბრივი ბნედის წუთები, ქადაგად დავარდნის ზტრიხა. ვესმინ მოთხოეობელი ღმერთის ნაბიჯები. ალბათ ამ წუთშეა ამბობდა ბეთჰოვენი, ვიღაც მენუჩრუელებო. ბოლოს ფორმის შექმნით სრულდება შერეულ-შეგვარეულის, დალაგება-დაწესებულის მტკიცეულეი პროცესი. შემოქმედებითი ტანჯვა შექმნის სიხარულში ვიაზოვება და სულს ტკბილისაგან თავდახსნის, გათავისუფლების ნეტარება მოიცავს. (სამყაროს შექმნის მეშვიდე დღეს თვითონ ღმერთიც ისვენებდა ცნობადის ხახ ქვეშ)... Надо носить в себе хаос, чтобы суметь родить пляшущую звезду", — წერს ნიცშე — „ღმერთების დაისში", სადაც ვაგნერის დეკადენტურ ჯადარიბნე ლაპარაკობს. ზოგიერთებს კი სწორედ ეს სულიერი ქაოსი, ეს სიტყვიერი ალეთია გამოაქვს პრეხის ფურცლებზე. ვეკვეთო, — ბუნდოვნებენ ისინი. ძიებით ყველა ეძებს, ხაპეტა, რას ვიპოვით. არც არავის აქვს უფლება ლაპარაკობრიელი ცდენით მოწამლოს მკითხველის გაბნეულობილება და გამოვნებეს. მაშასადამე, შემოქმედებითმა აქტმა უკან უნდა მოიტოვოს ქაოსი, როგორც გავლილი ფაზა, ქვედარი ნაგუნტი და ბარამნიფეი წესრიგით უნდა ვაიცხადოს ენებებისა და აზროვნების რიული საშყარო.

ეერიპაში — ყველა ლიტერატურული მიმდინარეობებს საამბოხლოში — უკვე თქვეს: „ეარგია ყოველგვარი სკოლა, მაგრამ ყველა „ეზმი" საბოლოო ჯაშში მაინც ერეოლიზმია..." ვაიხსენეთ რენესანსის — ახალი ანტიკის წარმატებები... მსოფლიოს შემოქმედებითი სული ისევ კლასიკურ ფორმებს ებრუნებინა.

P.S. ჩემი მომავალი ლაშქრობა ე. ი. ფაქტებით ომი ღმერთმა გაშოროთ, საამისოდ არ მემეტებათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲛᲖᲐᲠ ᲙᲘᲢᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ შემოქმედი, უმეტესად, გამოჩენილთანავე იქცევს ყურადღებას. ბევრ ჩვენთაგანს ახსოვს ის სასიამოვნო შთაბეჭდილება, ამ ათი-თორმეტი წლის წინათ ჯერ-კვლ ხუცესშვილის ნამუშევრებმა რომ მოაზდინა. გადაკარბება იქნებოდა იმის თქმა, თითქოს ახალგაზრდა ფერმწერს მხატვრები თუ ხელოვნებისმოყვარეები ერთხმულოდ ამოწონებით შეეგებნენ. ეს სრულებითაც არ არის აუცილებელი და, ამავე დროს, ყოველთვის როდია კარგის მომასწავებელი; პირიქით, უმჯობესია, როცა ხელოვანები უარეყოფილთა გვერდით თავგამოდებული ქომაგები და მხარისდამჭერნი გყავს. აზრთა სხვადასხვაობის გამოწვევა კი მხოლოდ ნიჭიერ კაცს შეუძლია.

პირველი, რაც კეთილად განგაწყობთ ჯ. ხუცეშვილის მხატვრობისადმი, გულუბრყვილობამდე მისული უშუალობაა, ბავშვის ცნობისმოყვარე თვალით დანახული სამყარო. მუდამ დიდ ღირსებად ითვლებოდა და ითვლება, როცა შემოქმედი პირველყოფილ სიწმინდეს, ბავშვური აღქმის უნარს ინარჩუნებს.

ერთი თანამედროვე ამერიკელი მწერალი თავისებურად იმეორებს მრავალგზის გამოთქმულ ჭეშმარიტებას, როცა აღნიშნავს, რომ პოეტის წარმოსახვა ძირითად ხატთა ირგვლივ ტრიალებს, რასაც დასაბამი ბავშვობის წლებში აქვს. „ჩვენს წარსულს ძალიან არ უნდა დავშორდეთ, — წერს იგი, — პირიქით, სჯირთა შეგეძლოთ შეცნობა იმისა თუ რანი ვიყავით ბავშვობაში“.

ჯ. ხუცეშვილი თვითნასწავლ მხატვრად ითვლება, მაგრამ ფერისა და ფორმის საკუთარი შეგრძნება, შემოქმედებისთვის აუცილებელი შინაგანი მთლიანობა, ხაგანთა თავისებური ხედვა და კომპოზიციური ოსტატობა ამთავითვე ხაზგასმულად გამოვლენა და არა გვგონია, სამხატვრო სასწავლებლის სრული კურსის დამთავრებას მასში რომელიმე ამ თვისებათაგანი ჩაეხშო.

ბუნების, მშობლიური კუთხის პირველყოფილი სიწმინდითა და უბრალოებით ასახვა ანთებულებს ჯ. ხუცეშვილის ფერწერას ფიროსმანაშვილის მომჯადოებელ სამყაროსთან.

ქართველი მხატვრებიდან ყველაზე ორგანულად, შეიძლება თქვენ, ჯ. ხუცეშვილმა შეინასხლეტორაცა ფიროსმანის პოეტიკა, მაკი სტილის გარეგნული ნიშნები, მაგრამ გენიალური ოსტატის პოეზიით აღბეჭდილი, ყოველგვარ შტამპებსა და დამტკბარ შაბლონებს არიდებული ხელოვნება გაცილებით მეტი შემოქმედებითი რისკისკენ მოგვიწოდებს, უფრო დიდი სიმაღლეებისკენ ლტოლვას გვავლდებუნებს. ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, თითქოს თავის დიდ წინაპარს ჯ. ხუცეშვილი მხილოდ გარეგნული ეფექტით მოგვაგონებს და საკუთარი სახე და გზა არ გააჩნია, მაგრამ ჯერ კიდევ დაძაბული, თავდაუზოგველი მუშაობა მართებს, რათა თავისი შესაძლებლობები სრულად გამოავლინოს, უფრო დახვეწილი და ფერადი წარიდგეს ისეთ მკაცრსა და მიუდგომელ მხატვულს, როგორიცაა მომავალი.

ფიროსმანაშვილის მემკვიდრეობის ხაგანგებო შესწავლას და შემოქმედებითად ათვისებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ტყუილად როდი

უწოდა მას დავით კაკაბაძემ „ახალი მზატვრობის ცოცხალი სახე". იმერეთის ეპიზოდების უბადლო მომღერალი საუკუნოვან ტრადიციებთან ფიროსმანაშვილიის ღრმა კავშირს და უკიდურესად გამგებიდან ნოვატორულ ძიებებს გულისხმობდა, როცა ჯერ კიდევ 20-ან წლებში წერდა: „ის მთლიანად ეკუთვნის თანამედროვე მსოფლიო ხელოვნებას".

ფიროსმანაშვილის კომპოზიციური ოსტატობა და ფერწერული ნიჭი განსაკუთრებული სიძლიერით მის განთქმულ ნატურმორტებში ეკოთვლინდა და ყველაზე მეტად სწორედ აკ არის მისგან დავალებული ჯ. ხუციშვილი; მონათვალი დეტალების დაძენება ამ ტიპის ნამუშევრებში უფრო იოლია.

ჯ. ხუციშვილის მრავალი, ოსტატურად შესრულებული ნატურმორტებიდან ამჯერად მხოლოდ ორიოდეს გამოყოფდი. ერთი მთავარი 1976 წლითაა დთარიღებული. როგორც სხვა ანალოგიურ სურათებში, აქაც საგანთა მკვეთრი კონტურები და ჰარმონიული წყობა იქცევს ყურადღებას. თეფშზე მოკალთავე ნასვრტალები, ბრტყელად გაკვეთილი გუდის ყელი, წელში გამოყვანილი ხასხარი, სამრეული. ხის მოსარაკებელი კოვზი და მის გარდგარდმოდ ზმალეული ბაღინული შოთი პური ხალვათად არის განაწილებული მოთეთრო-მოშავო ფონზე. მარცხენა მხარეს, თეფშზე, ცივად მოპარებული დედალი დევს. შუამეტლილება გვრჩება, რომ ავტორი ფიროსმანის ცნობილი დეტალის შეგნებული ციტატების ახდენს. კომპოზიციის ახრელეს სურათის სხვა ტიპიური ატრიბუტები; მრგვალი თიხის ჭაში და იქეთ-აქეთ ჩაგდებული თიხისაგე პირფართე დოქები.

ზომითაც და მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა მეორე ნატურმორტი (1977 წ.), რომელიც მხატვრის ბრალი ღირსებას წარმოგვიჩენს. სურათს ელვარებას მატებს მოპირდაპირე კუთხეებში ორკაპა, გადაკვრილ ყუნწებზე შემდგარი ბროწეულის ნაყოფები (ერთ-ერთი მათგანი, მარცხენა, სიმწიფისგან გადახსნილი და გულში ლალისფერი მარცვლები უკიაფებს). ნამდვილ მთვარესავით ამობრწყინებული შოთს, ბოლოკიბით რომ ორი თეფში გადაუფარავს, მთავარი კომპოზიციური ელემენტის ფუნქციია ენიჭება. პროპორციების ზუსტი დაცვითა და რიგმის უტყუარი გრძნობითაა განლაგებული ჭრელი ხურჯნი, ღვინინი ტიკი თუ მუცელიანი დოქის დასწვრივ ჩადგმული ჯამები. სურათს ძალზე ახალისებს ფონად გამოყენებული, თეთრი, წინწყლებით დაფარული სასაღმოვნო ლურჯი ფერის სუფრა, ბგრეთვე, მეორე პლანზე გამოსახული პატარა მარანი თუ ხათავსო.

ფიროსმანის სამეაროსთან ახლვე ახლოს დგას და თვით ჯ. ხუციშვილის სტენიასაც საუკეთესოდ გამოხატავს დიდი ტილო „შემოდგომა კახეთში", —ალაზნის ბარაკანი ველის ფერსახეებ საგალობელი, ოსტატურად შესრულებული მრავალპლანიანი ნამუშევარი. სურათში მძაფრად იგრძნობა დღეგანწყვლილობის რიტმი და სახე, სანახევროდ ალებული დათავთავებული ყანის კომპანიი მისდგომია, აქეთ, ზვრებში, რეაწეთალთი მოპირთავებულ გოდრებს ორი წელშა გადრეკილი ვეკაკი ეზიდება, მანქანის ძარაზე რომ დადგან. მარჯვნივ, დიდ ხეზე, თავზეკლილი, გატეკვებული ცხვარი ჩკიდია, ყოველ რთვლიერ რომ კლავენ კახეთში. თავისი ხაქმის მეცოდე, წინსაფრიანი ვლეი ალესილი დანით დამდგარა, სადაცაა ანჯას შეუდგება, კომპოზიციის შუა ნაწილი სუფრას უჭირავს, ექვსი წოთელკაბიანი ფიგურა ქეიფის ეშხით ზეხრა. მთა ახლოს, ხასფეხნაზე, ქაფქაფრშემოდგებული ვეიეა ქვით თუხთუხებს. მოხუცი მზარეული შინდისფერად ალვეიებულ მწვადს ანწდის პატარა, წოთელპერანგა, ყვითელქალაქნენებიან ბიჭს, ხელში რომ უჭირავს ბალიანი ხელადა უჭირავს. სწორედ ეს ნაადრევად დადანჯებული, თავიდანვე ჭაფაში ჩაბმული ბიჭი და ბერიაკეია, ფიროსმანის ერთ მშვენიერ სურათს (ქვევრის პირას ნაბდიან, თეთრფეგერა ვლეს ხელადიდან ღვინოს უსხამს მასავით ქალანანინი და ბაკიჭებიანი ვლეხის ბიჭუნა) რომ გვახსენებს. ჯ. ხუციშვილის ხსენებულ ტილოში ყველაზე შეამშეგდეთ დაჩოქილი ახალგაზრდა ქალის ფიგურა, გადახსნილი ხურჯინში მოხარშულ ქათამს და დედას პურებს რომ ოლალეგს; ითამშინფერ კაბას ხაუცეხოოდ ეხამება მუქი ცისფერი თავსაცარი. ჩუმი ნაღველი მიეერია პოეზიის მადლით ანათებს ხის მოწყენილ სახეს. ასეთი ბგრჯნვე ადამიანების ხელი აცოცდეს და ალამაზებს ვლეხკაცის კარმიდამოს, ოდთთვანვე ისინი იყვნენ ჩვენი ფუძის ანგელოზები...

ფერწერულად ძალზე სანტატრესოა ბგრთვეგ მხატვრის ადრინდელი ნამუშევარი — „თონე" (1963 წ.) ... დაუვიწყარ კოლორიტს ქმნის ერთმანეთზე წადგმული ღიაკიენებიანი, უცნაურად მიბრეკილმობრეცილი ერთსართულიანი სახლები. გვერდით აუუდგეთო მაგრად გამოწეკარი წითელი პურები ალმოსაცეკეთ საკარხველის მძაფრ ეთნოგრაფიულ იერს კიდევ უფრო აძლიერებს. მწვანით დფაფრულ ეზოში, მარჯვნივ სუფრაა გაშლილი. სუფრის ინტენსიურ ლურჯ ფონზე ხელშესახებად იყეფება ზომიერად განაწილებული ხორაგი — ყვითელქონმორეული დედალი თუ ვერცხლისფერად ჩაწყობილი ცოცხალი, ხასხასა მწვანილი თუ თხლად დათლილი ყველი. წინა პლანზე, სუფრის ძირას, დაბალ ხკამებზე მისვეეტილია ორი შავი ფიგურა და გვერდით ღვინინი ტიკი მოუწეეხიათ. გავიფიგურეთ თონესთან ოთხი ქალი საქმიანობს; ერთ მთგანს, ალმურისგან თავბრუდაცვეფილს, თვალეუბეგ ხელი აუფაფეია. მეორეს ფიჩხივით დაფლეთილებია თავბოლოპარეხილი ცხელი პურები და ხუფრაზე დასაყრელად მოაქს. შორი პლანი — ძალდათან მოთამაშე ბავშვი, ხის დაბალ კიბეზე ჩაბმულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარი დედა, ძველი გომური, თავის ზვინები თუ ღია ბენეკარში შეგროვილი მამაკაცი არაა ნათლად გამოკვეთილი, თუმცა ალბათ ამგვარ მიზნის არც ისახავდა ავტორი.

არის რამდენიმე მოტივი, რომელთა დამუშავება ბუნებრივ ხიაპოფენებას ანიშნებს ჭეშმარიტ ხუცოსშვილს. ერთ-ერთია „ქეთმები" (1975); ჩამფეშებული მთის უღელტეხილთან ვერტლოსფერი მთვარის დისკო მოსდგომია. მოყვითალო ბალახზე დედის ფრთებქმული შეეუფეთული ყვითელლინდლიანი წიწილები ირეკვინან, გაფაცაცებული ეძებენ საკენკს, თითქოს მათი გულისწყმადები წიაქიც ჩაგესმთა. გიფუფუულ კრუხს დაეგაჭელი მამალი უდგას წინ: მიუხედავად არასახარბიელო გარეგნობისა, მამლაყინწას ლირსეულად უჭირავს თავი, წოლილად უდ-ვიეს ულეთან ჩამოგრძელებული ლაბანი და დაკბილეული, ხორკოთანი ბიბილი. ირგვლივ სოფლური მეფდრიფის სუფეკს...

ცხვარ-ბატკანი, ზვლის ფერიდზე აკრული ბაჭვი ნუკრი, დედის ფეხებთან თავშეკვეცილი ჩამუხლული ნიკორა ჯ. ხუცოსშვილის საყვარელი თემებია. სათაური თანაგრძნობით და სითბოთია დახატული შინაური პრიუტკვეში, გლეხკაცის ჭირიანი და ლხინის მოზიარენი. აქ მხატვარი გამომსახველობითი ხერხების თვალსაჩინო მრავალფეროვნებას და ფარეტი, ბაგრამ ოსტატურად ჩაფეშრებული კომპოზიციის გრაფიკას ამჟღავნებს. ერთ-ერთი ამგვარი ნამუშევარია „ვლეის პორტრეტი" (1961). ორ სახედრის შორის მოკეცულ ბაჭრვ ვლეის ნაჯოგარი ხელისგულები პრიუტკვეთა ყნებქმედ ამოფფია, ეალერსება დღიური ზრომით დაკმაცულებს. ახეთმა ადამიანმა საკონლის ყადრიც იცის და ბორკატებასაც არასოდეს ჩაიდენს.

კომპოზიციის სირთულითა და ზომიერი დეკორატიულობით გამოირჩევა ჯ. ხუცოსშვილის ცნობილი სურათი „ცხვარი" (1967). ნაწარმოების ცენტრალური ფიგურაა ცხოვრების ცეცხლსა და ქარ-ზეგობაში გამოფლილი მოხუცი მწყემსი, რომელმა ნაბდის ქუდს სამკუთხა ნაკაპით დაჯეკნია რქადაგრეხილი ქაროვანი ვერძი, უკან, მარცხნივ, ცხვრების ზორის, სახეგაფუშეულია ვაჟკაცი ბოჩანს. მის ბოკიერდაპირეკ, მარჯვენა ზსარეს, ასევე ნაბდისქუდიან პატარა მწყემს ბიეს დაუშეუტია ფეშმაკო, ფართოდ ვახეფილი ოვალები. სამი თაობაა აქ გაერთიანებული, მწყემსთა უძველესი ჯილაგის უწყვეტი ჯაჭვი ერთ გზაზე მიდის, ხან ზორაქის ვეიზნე ტრიალეს, ხან დარიალის ეიწროებს გაუეკვება და ყიზარის უკაცრიელ ხაძოვრებზე გაშლის ზვილივით ნაფერება ფარას. ოსტატკუთ, ორნამენტის სიმკეთილითაა დამუშავებული ორი მოწკალისფერი ნაგაზის ბრაზნიანი გამომეტყველება, იქეთ-აქეთან რომ ამოსდგომიან ვერძს. ძალებისაც ზზოლოდ თავებია-გამოყვანილი, ბაგრამ მთელი ხეეული ინგრძნობა; ინიანი თითქოს ფარეზთან ერთად წამოწოლილები, რათა ავთანზზრახველთან ერთ-ერთ არ გამოეკაროთ. მთელი ირე ბეგრეტულად ზზირალი ცხვრების მოკიეეე თვალებითაა მოფეფნილი, თითქოს ყველაფერი ერთ სიბრტყეზეეა განლაგებული, პერსპექტივის ნასახიც არსებობა. მაგრამ მთელი სურათი, წამით შეეუზებულ მდინარესავით, სიცოცხლითა და მოძრაობითაა სავსე.

ოსტატურად ავგებული კომპოზიციის ნამუშევა ავრეთვე „ბრაფიკა" (1977), სადაც კვლავ სამი თაობა (ოჯახის საფუძველის ჩამყარელი მოხუცებუფეზეი, ახალგაზრდა ცოლქმარი და მათი სავაჟიანოს ნაყოფი — ყლორტივით ამოსული ნამდიდსქუდიანი მომცმარი ბიეი) ყურებაშეეტკნი სახეფრიან თავის გარშემო განლაგებული. შედარებით კარგადაა დამუშავებული ზკარბეზინაზედ გაკვალრავებული გამრეკე ბერიკაკისა და მასი ცხოვრების მეგზურის პორტრეტები, რასაც ვერ ვიტყვით მომდევნო და ახალ თაობაზე, რომელთა სახეები, ვფიქრობთ, ზედმეტადაა გადატკეკილი და ტონირებული. ჩაშავებული ფონიც რადაცნაირად ზეუდაგს აუცილებელ სივრცეს, ჰაერს. აქვე გვინდა გავიხსენოთ ჯ. ხუცოსშვილის ერთი ადრინდელი, (1967?,) დიდი ტილი „მოხუცები". შეუძლებელია დავავიწყეფეს ერთმანეთზე მოხრილი ზეზეგებით მიყრდნობილი, დაკოცრილი ხის ძირას ნიმეკდარი ხანში შესული ცოლქმარი. მათ უკვე გაუფლიათ ზეუთხოსოფლის ძნელი და მანნე კეთილად მოსაგონარი გზა, ვალი მოუხდიათ მტრისა და მოყვარის წინაშე. ამის ყველაზე მეტყველი ნიშანია გაძვალეზულნი, ვეეეზ ხელები. ძოწნაგ, მაგრამ სანიერადაა მოცმეფული სოფლური ყოფის დეტალები (სარზე წამოცმული ქოთანი, ზქერის ღუმე, ოფეთ მოხუცთა გარეგნობა და ჩაცმულობა). ბერიკაკის ფერიზთით სანედარი დახრილი და ქალმანის თასმას ყნოსავს; ფიდანტის ბომბორა ძაღლი ფუნეეს ვეერდეთ, მასავით ოჯახის ერთგული და ფუდალატო, ზორს, სოფლის სიღრმეში ძველი (ალბათ გაუქმებული) ეკლესია მოჩანს. ღრმა სეედთა და სითბოთია გამსჭვალული ორი სანელეკინი გალეკილი ადამიანის ცხოვრების მამწყრები.

თვითმყოფადი, ძალზე თავისებური ჯ. ხუცოსშვილის პეიზაჟი, თუმცა ბუნება მას განეკენეზოელად, ცალკე კი ინტერესებს; პეიზაჟი უფრო ფონია, ნაწილია ადამიანის ხელით შექმნილი ზზეეენერგიისა. ამ ზზრიგ შეიძლება გამოვცალკევოთ „ბაზილიკა" (1978) და „სოფლის გზა". ჭვის დასალი, გაპარტახებული სალოცავები, ჯერ კიდევ ბლომად რომ გვხვდება ალმოსავლეთ საქართველოს მთა-ეორეზზე, თავიდანვე სასურველი განწყობილებას ბადებს;

ნათელი სვეფლს დაუსადგურებია შემოდგომის პირველი ფოთოლცვენით შემკრალთა სავანეში. ჩამავალი მზისფერი მზე ღუბავს ვეება ქვებით ნაშენებ ბავსიან კედლებს, ძველთაძველი, მიწით ამოვსებული კრამიტის მზარებში შაბნარს ამოუხეთქავს, შუშოლიფონი და ძვირფასია ეს მწუხარე სილამაზე. ჯ. ხუციშვილს უყვარს რიყის ბრტყელი ქვებით ნაგები ბანიანი სახლების პატრიარქალური სიმშვიდის ხატვა, როცა ულელიან ბამოსნილი ხარები აბურდულ თივას ეტანებიან, დიასახლისი ფრანველებს აბუდრებს, სოლო გარეკნის მთებიდან ეკრანიზის ნაყოფიანი ლეღრეკ ბინდი მოიპარება.

და მაინც, მხატვრის ნამდვილი სახე, მისი ხელწერა და ტემპერამენტი პორტრეტულ ხელოვნებაში გამოვლინდა. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ნამუშევარზე ვიტყვით ორიოდე სიტყვას. გამოსახულების ერთგვარი სტატიკურობა ხელს არ უშლის მხატვარს ყოველთვის დაძაბნის სულიერი მდგომარეობის გადმოცემაში ინდივიდუალური შტრიხებით — დამახასიათებელი პოზა იქნება, ნაცმოლობა თუ გამომეტყველება. სწორედ ასეთ ელემენტებად ვვეფლინება „ე. ზარაფიშვილის პორტრეტში“ (1975 წ.) გულთან მიტანილი ბეჭედანი ხელი, ღია ყავისფერი, სადა და უხეში ქსოვილის კაბა, წითელი ხაფალო და ოსტატურად შერჩეული მუქანე ფონი.

ახლეე ხელშესახებად გამოკეეთილი და დასრულებულია „ლ. ლომბანიძის პორტრეტი“ (1975); გაშლილი ოქროსფერი თმა და გადაკვეთილებული ხელები ხასიათის სილმაზეს და სიშვიდეზე მიგვანიშნებს. სადა და სავჭირო დეტალეი ლურჯად აკიაფებული ფიროზის ბეჭედი. სამაჯარის წითელი თვალები, მართალია, ეხმიანება ვერცხლის ყელსაბამში ჩასმულ მარჯანს, მაგრამ ზედმეტადაა დაოკრო�ed, ბეკეტელია. ზურგს უკან, ტახტზე გადაფენილი ფარდაები ხასიათმოვნო დეკორატიული ფონის მაგივრობას სწევს.

ოსტატურად შესრულებულ ნამუშევართა რიგს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე „ქალის პორტრეტი“ (1969), ჯ. მამფორიას პორტრეტი“ (1970), „ნატა“ (1976), რომლებშიც მოდელთა სვეფლნი გამომეტყველება ფაქეზი და ოოლად ასაფეთქებელი სულის გამონაკოთომია.

ჯ. ხუციშვილის ხაუკეთესო ნამუშეგრად უნდა ჩაითვალოს „მხატვარ მ. ჯიქურაშვილის პორტრეტი“ (1967), რომლის ამაყ და დახვეწილ გარეგნობაში ნინატიფე და მონუმენტურობა ოგრძნობა. მოგრძო სახე, თავფლიფერ თვალებში ჩამდგარი ნათელი, თხელ ჩეერდზე ჩანგის დაბმილი ლარებივით დაწყობილი წყვილი ფუნჯი, თითქო

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1975), „ზაფხულის მზე“ (1976), „ნათელხედვა“ (1977)... თვალსაჩინო პროფესიული ოსტატობის მიუხედავად დაახლოებით იგივე ითქმის „ქ. დვალის პორტრეტზე“, „პაპის იმედზე“, „ვეფა-ფშაველაზე“ და დიდ ტილოზე „მოქცევა ქართლისა“.

საერთოდ, ვარიაციების საჭიროებას, რაც ერთი მოტივისა თუ თემის მაქსიმალურად სრულყოფილ დამუშავებას ემსახურება, არავინ უარყოფს, მაგრამ საკუთარ, თუნდაც მნიშვნელოვან მიგნებათა ხშირი განმეორება შემოქმედებითი პოტენციისა და ძიების ენის შესუსტებაზე მეტყველებს. ახეთი საშიშროება ჩვენს არაერთ პირველხარისხოვან ოსტატს დამუქრებია და ამის თაობაზე ალბათ ჯ. ხუციშვილიც უნდა დაფიქრდეს. საკუთარი თავის რწმენაც კარგია, მაგრამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა უფრო დიდი ბიძგის მომცემია და სწორედ იგი იძლევა მარადი განახლებისა და წინსვლის ძალას. ისიც უნდა გვახსოვდეს — შოქს ჩრდილი ახლავს. ქვეყანა მზოლოდ კეთილი, უცოდველი ადამიანებით არაა დასახლებული და ცხოვრების რთულ, წინააღმდეგობრივ მუნგბაზე ყურადღების გამახვილება ხელოვანის ნაფიქრსა და შექმნილს მეტ ღრმატიზმს შესძენს.

ჭემალ ხუციშვილის ტილოებზე ნამუხიანნი, მშრომელი ხალართველნია წარმოდგენილნი, ეჭ არიან — მწყემსი და მვეენაზე, ხამაროვანის განძთან დაბრილი ახალგაზრდა არქეოლოგი თუ მოხუცი ხელოსანი, გაუხეშებულ თითებით კალთებსა და ვიდელებს რომ წნავს, მსვნელ-მთესველი თუ ხაბაზი, მოხდილი ქვეყრების გარშემო შემორიგებული პირდაბერეული მეენახეები, ჩითისკაბიანი, ნაწნავებაპრეხილი გოგოები და წვივებგამურული, ნაბდისქუდიანი ბიჭები, ყველა ვინც ერთ ხახეს და დოვლათს ქმნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ბაკურაძე

ფილმი ოცნებით გასხივოსნებულ ადამიანებზე

სცენარის ავტორები — რევაზ ინანიშვილი, თენგიზ აბულაძე; დამდგმელი რეჟისორი — თენგიზ აბულაძე; დამდგმელი ოპერატორი — ლომეურ ახვლედიანი; დამდგმელი მხატვარი — რევაზ მირზაშვილი; კომპოზიტორები: ბიძინა ყვირნაძე, იაკობ გოგოხიძე.

*თენგიზ აბულაძის ახალმა მხატვრულმა ფილმმა „ნატვრის ხემ", მართლაც რომ ყველა ხელოვანისათვის სანატრელი წარმატება მოიპოვა. ჯერ იყო და რიგის მეათე საკავშირო კინოფესტივალზე პირველი პრემია — ოქროს დიდი პრიზი მიანიჭეს, ახლა კი თეირანის საერთაშორისო კინოფესტივალის უმაღლესი ჯილდოს — „ოქროს ჯიხვის" მფლობელი გახდა. თავიდან კი... რა დახსომელია და თავიდან ჩვენთან უყეფენ როდი ირწმუნა მისი ახალი ბედნიერი მომავალი. ჭეშმარიტების ყველზე უტაყვარმა დამდგენელმა — დრომ ამჯერად დიდხანს აღარ დაიცოცხა. ერთი წლის მანძილზე (ჯერ კიდევ ეკრანებზე გამოსვლამდე, ცალკეულ განხილვებსა და სახსნჯ ჩვენებებზე) ფილმმა თვითონ შეესწორა ემხილებინა, ვინ იყო მისი გულწრფელი და ვინ ყალბი შემფასებელი.

რა თქმა უნდა, ის, რომ ფილმმა საერთაშორისო არენაზე გაიმარჯვა, სულაც არ ნიშნავს თითქოს იგი დაზღვეული იყოს ყოველგვარი შენიშვნისაგან. ასეთი, თუნდაც გამარჯვებული მხატვრული ნაწარმოები არც არსებობს. აკი ამატომაც თქვა თენგიზ აბულაძემ: „რასაკვირველია სხვადასხვაგვარი იქნება ფილმის აღქმა; ზოგს მოეწონება, ზოგს ალბათ — არა, ეს საგნების ბუნებრივია. ერთში კი ვარ დარწმუნებული: ფილმი გულგრილს არავის დატოვებს".

„ნატვრის ხიხ" ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი არ იმსახურებს ერთი სწორხაზოვანი (თუნდაც მხოლოდ დადებითი) შეფასებით დამცირებას. მას კრიტიკული დამოკიდებულების დროსაც კი ახეთივე წმინდა, პირუთვნელი და სიმპრალის მთქმელი გულშემატკივარი სჭირდება, როგორიც თვითონაა. სიმონ ჩიქოვანის ერთი ლექსის შინაარსისა არ იყოს: საგანი შეიძლება ისეთად შეფასდეს, როგორიც ის არის და ისეთადაც როგორც მას დამნახველი წარმოადგენს. ყოველივე საკუთარი სინდისის კარნახზეადაცაა დამოკიდებული. ჩვენც სწორედ ამგვარმა სინდისმა გვიკარნახა: ერთხელ კიდევ შეგვემოწმებინა ჩვენი ადრინდელი შთაბეჭდილება და დარწმუნებით წარგვედგინა იგი სამსჯავროდ მკითხველის წინაშე.

გიორგი ლეონიძე თავისი პოეტური პროზით დაწერილი წიგნის „ნატვრის ხე" შესავალში აღნიშნავდა: „კი არ უნდა ვწერდე, უკავალებიო, უნდა ვწნავდე, ჩემი სოფლის ყვავილებით უნდა ვქსოვდე ამ წიგნის კაბადონებს. შიგ ჩემი ცისა და მიწის ღიმილია ჩართული, შიგ ჩემი ყრმობის სუნთქვაა!" ამ წიგნის მიხედვით შექმნილი ამავე სახელწოდების ფილმის ავტორებსაც თითქოს ის განუზრახავთ, რაც შეიძლება კინემატოგრაფიული ენითაც „გაეფურჩქნათ, გაეჩარხათ, გაეკაშკაშებინათ" ლეონიძისეული სიტყვა და ისე წარედგინათ მაყურებლის წინაშე, „გულითა წრფელითა და სიტყვითა ნათელითა!"

პოეტურად მოაზროვნე მხატვრების ხელში კინემატოგრაფიული ასახვის ტრადიციული ფორმაც ის „სახილე ტაბაკი თუ სახალა" ადმოჩნდა, რომლითაც პოეტის ყრმობის „მოგონებათა ხილი" მიუწილადდა მაყურებელს. გასაკვირი არ უნდა იყოს თუ ამ დოვლათით სავსე ტაბაკს, ზოგი ჯიშიანი ხილიც აკლია ლეონიძის შემოქმედებითი ნაყოფით დაბუნძლული ხეხილის ბაღიდან. სამაგიეროდ, ბევრი ისეთი ჯიშიანი ხილიც შეეშალა, როგორიც თვით ლეონიძის მიერ დამკონბილი ხეხილის უნდა გამოეხსნა აუცილებლად და რომელსაც, სამწუხაროდ, პოეტი ვეღარ მოეწერო.

კეთილისა და ბოროტისა, ნათელისა და ბნე-

ლის, მშვენერიისა და მახინჯის, ამაღლებულისა და მდაბალის დიალექტიკური დაპირისპირების მხატვრული განზოგადებით, ფილოსოფიურ-ინტელექტუალურ ასპექტში იკითხება ეკრანზე გიორგი ლეონიძის ნაწარმოება წარსული ცხოვრების რიელ და საგულისხმო პროცესებზე. რეჟისორ ინანიშვილმა და თენგიზ ანუაძემ ლიტერატურული პირველწყაროს კვალად უკვე სცენარშივე განაპირობეს, რომ ფილმშიც საერო სახალხო ცხოვრების ორგანული ნაწილად წარმოდგენილიყო პოეტის ყრმობა.

უნდა ითქვას, რომ ამ ფილმის ეპონიმ დადგენილ ისეთ ძნელია, როგორც თვით პირველწყაროსა. ჩვეულებრივი გაგებით მას ეკრან მეშოარულს ვუწოდებთ და ვერც ავტობიოგრაფიულს, ვერც მხოლოდ ლრამატულს და ვერც მხოლოდ კომედიურს. იგი არც ზღაპარია და არც ფანტასტიკა და ამავე დროს ყველა ამ ეპონიმ-რივ-სახეობრივი ელემენტების ერთობლიობას შეადგენს. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ მის ყველაზე უფრო ნაშაზოლმეტ სპეციფიკურ ფორმას ლირიკულ-რომანტიკული განსუნთნი შეფერილი ტრაგიკომიკური ეპონი წარმოადგენს, რომლის ბუნებასაც თვით მისი თემატური, იდეურ-შინაარსობრივი, კომპოზიციური და სახეთა თავისებურებათა ერთობლიობა განსაზღვრავს.

სწორედ ამ ეპონში, უკვე ლრამატურგიულადაც მკაფიოდ გამოიკვეთა ლირიკული და ეპიკური საწყისების, შინაარსისა და ფორმის მხატვრული შესაბამისობის, მრავალფეროვანი გამოსახულებითი საშუალებების სრული სინთეზის მიღწევის შესაძლებლობები.

ფილმის ავტორებმა შემოქმედებითად გაითავისეს ლეონიძის ნაწარმოება, მასში გამორჩეულ დამახასიათებელს გამოუძებნეს შესატყვისი კინემატოგრაფიული ექვივალენტი და შეუცდენენ თავისებური პოეტური განზოგადებით განეხორციელებინათ შეუპოვარი მაძიებლების, რომანტიკულად მეოცნებე „შერეკილებისა" თემაც. სხვა საქმეა, ეს „შერეკილები" რამდენად სწორი ეროვნული თვისებებითაა ინტერპრეტირებული დამდგმელებისა და მსახიობების მიერ, ერთი კი ცხადია, რომ ისინი სწორედ თავიანთი არაჩვეულებრივი და ორიგინალური თვისებურებების გამო ალიარეს ჭერ კიდევ ეკრანებზე გამოსვლამდე სპეციალისტებმა და მაყურებლებმა.

ლიტერატურულ პირველწყაროსაგან განსხვავებით, სცენარსა და ფილმში არის ცდა ერთი ძირითადი სიუჟეტური ხაზის (პარატა, ვედლის და შეთუს ტრადიციული სამკუთხედის) წინ წამოწევით დაცულიყო პროლოგის, ექსპოზიციის, კვანძის და ა. შ. თანამიმდევრობა, და მაინც, მთელ ამ კომპოზიციურ ქსოვილში ერთი გარკვეული თემატური, სიუჟეტური და სტილისტური ნაკადისაგან რამდენადმე დამოუკიდებელ „სიუჟეტებად" დანაწევრდნენ ე. წ. „შერეკილთა" ძლევაზე წარმომადგენლებისა, „ბოროტების თევზები", „ნატვრის თვალნი" და „ნატვრის ხეები" მეოცნებე ელეოზი, მეამბოხე ირაბი, სამშობლოს ბეჭზე შედამ მეშუნვარე ბუმბულა, გარდასული ხილამაზის მიმბრალი ფუფაა... ახეთი დანაწევრების მიუხედავად, მაინც შესაძლებელი შეიქნა წარსული ეპოქის რიელი მოვლენების ფონზე, მრავალფეროვანი ცხოვრების ცალკეულ სურათებსა და სახეებში ნაჩვენები ეროვნული ხალხის ზნეობრივი და სოციალური შინაარსი.

სიმპიზნისა და ბოროტის ყოველის შემშფოთველ უნარზე, ხილამაზის დთრაგედია ოქმება ეს, თუ კეთილის ფეზიკური მსხვრევა, მშვენერებისა და ზნეობრივი სიცოცხლის გამარჯვების რწმენა — ეს ჩვენი ეროვნული თვისებაა და ამ თვისების მხატვრული განცალებით ვლინდება სწორედ ფილმის ძირითადი ღერძაზრიც. ფილმის ერთ გარკვეულ იდეურ მიზნის დამორჩილებულმა სიუჟეტურმა მრავალფალნიანობამ განაპირობა მისი კომპოზიციური დაქსაქსულობაც და თუ ამგვარი დაქსაქსულობა, ასეთივე გარკვეული პრინციპების საფუძველზე კანონზომიერად არის მიჩნეული, ვფიქრობ ფედერიკო ფელინის „ამარკორდში", ჩვენს ეროვნულ ნიადაგზე შექმნილ ფილმში რატომღა არ უნდა ჰქონდეს გამართლება.

„ამარკორდ"-ში ვახსენეთ და აქვე უნდა დავძინოთ, რომ „ნატვრის ხეს" საგრძნობლად ემჩნევა ამ ფილმის სახეთა თავისებურებების კვალი ზეგავლენა და რაკი იგი სწორედ კეთილია და არა მავნე, საჭიროებას არ წარმოადგენს საანალიზოდ შევეხოთ ასოციაციურ პარალელებს — ნისლით გამახატული ტრაგიკული ატმოსფერო იქნება იგი. ხის კენწეროზე მოკუნული ქალწუ მეოცნებე „შერეკილი" ლეო, თუ რომელიმე სხვა სახე ან დეტალი. მთავარია, ამ ფილმში ყოველივეს თავისი შესატყვისი ნიადაგი აღმოაჩნდა და ხშირ შემთხვევაში თავისი იდეურ-მხატვრული გაჯერების უსარგებლესობითაც მოგვევლინა. ასეთია, მაგალითად, პროლოგისა და ეპილოგის ფილოსოფიურ ასპექტში განკვრეტილი ალეგორიული სახე — პროლოგში სისხლისფერი ყაჯარიანის ველზე ბეგიის თეთრი ცხენის (იმედის და უკეთესისაკენ სწრაფვის ამ სიმბოლიური განსახიერების) სიკვდილის მოლოდინში ცაში მონავარდე ძერას ყივილით შემოტანილი ტრაგიკული ტონი ერთგვარ წინამოსამზადებელი განწყობის ქმნის შემდგომში ფილმის ტრაგიკომიკურ სატუაციებთან შესახვედრად, ხოლო ეპილოგში უკვე ტრაგიკულად დაღუფული მარიგასს ნასახლარზე ამ-

ბეჟი ბარამიძე
ფილმი ოცნებაზე გასხივოსნებული ადამიანები

რაილუნული პრიზეულების ყველაზე სიცოცხლისა და სიკვდილის რეზონანს გამამყოფებენ. ამგვარი დამოუკიდებელი მიგნებებისათვის „ნატვრის ხეს“ კეთილი წინასწარობა გაიჩნევა „ეედრების“ სახით, რომელიც ხალეთელთა საშუალებად იქცა რეალურის სრული დამოუკიდებლობის გამოსახულებებისა და შემოქმედებითი „კათარზისისათვის“.

საგულისხმოა, რომ „ნატვრის ხეში“ სიმბოლურო-ალეგორიული დეტალები ეა, საერთოდ, მთელი მისი ფილოსოფიური-ესთეტიკური ეზოგიერი, შეიმაგონებელი და ადგილად გასაგები. ცხადია, ლერმატერგთან და რეალისტურად ერთიანი უდიერეში დამსახურება მიუძღვის ოპერატორს — ლიმერ ანუელიანს და მსატვარ — რევაზ მიქაბაძეს. ისინი მარილია რომ ფილმის ეეშმარიტი თანდამდგომელები არიან. დასაწყისში თითქოს დუნედ და ზეგიდად შეეყოლარი ზოგიერ ეეპიზოდიან იდეებილნი მოცულ სანეკაროში და ვერც კი ვამჩნევთ თანდათან როგორი ღინამიური ფორმით ვეეეელნენიან კინოკადრები. თუმცა კი თხრობითი ფორმა ფილმის ეეიკერ ხასიათზე მიგვანიშნებს, მთლიანად იგი მაინც პოეტური ქმერადობითაა ხავსე.

ამ ფილმში ეერიც. განათებაც და ხმოვანებაც გამოეეეზებულია განსაზეგრული ეზოგიერი და ეზრობრივი ამეეეზერებისათვის. ისინიც სახეობრივად მეტყველენენ უბრალო ქართველი ბლეების სიხარულსა და ეეეეზარებზე და საერთოდ, ცხოვრების ირსის ფილოსოფიურ-ზნეობრივ ხიერმეზე.

საგულისხმოა, რომ მუსიკა მიჩნა ჩვეულებრივ. ეა გაგებით, თითქოს არც კი არსებობს ფილმში და მაინც ამა თუ იმ განწყობილებათეის. შეხატვეთ გარკვეულ მუსიკალურ ფონად ალეკვამი გარეშოს ბუნებრივ ამბოვანებასა: ქეკანტუნალება და ნეხის დაცემის ხმას, ძერას ეაეელს, ყვავილებისა და ფოთლების შრიალს, ბიჭის გუგუნად ქცეული ბრიდების ეუღერს, ზარების რეკვას თუ ღელეხა და ეეყარის ჩხრიალეს. გარეხსმაყოფის ამბოვანები რიტმის შემქმნელი ფაქტორიც ხდება ისე, რომ იგი გამოყოფილი არ არის თვით ხმოვანი გამოსახულებებისგან. ძერას ყიჟილეზე უშუალოდ ვხედავთ ძერას, ეეხის ხმაზე ბიჭი ბის მსხვერპლს, რაკრაკზე ეეყარის და ა. შ. მაგრამ ასეთი ვითარებაშიც, ეენიადმეტად ეიზენშტეინის თეორიისა (ჩეკმის ეეროგუნი ნაშინ არ უნდა გავიგონოთ, რიცა ხმა გამოსახულებას ვხედავთ) ისინი ოდნავადაც არ არიან ბოეკალენი ეზოეტიკურ ფუნქციას.

ჩვეულებრივ, ოენგინ აბულაძის ფილმებს „რეალისტრის ფილმებად“ მიიჩნევენ და ამ თვალსაზრისით თითქმის არც „ნატვრის ხეკ“ გამონაკლისი, თუმცა ისიც ნათელია, რომ ამ წინა ფილმებთან შედარებით მასში სინიეზური მთლიანობის შემანარჩუნებელი რეალისტიკული ეზოეტიკა ეყველაზე მეტად მეკალენენენ. თუ ოთარ იოსელიანის „პატარა ალენი“ ეზოეტიკა ეეეეზარებს კინემატოგრაფიულ ექვივალენტად ქცევასა, „ნატვრის ხეში“ რეალისტრი ანუბითად მისი თვალსაზრისის გამტარებელ მსახიობის უნარზე ამყარებს ამეეს. იგი არც შემცდარა. ფილმში სწორედ ისეთი მსახიობებია ეერრეული, რომლებზედაც მართლაც ღირს ამეეს დამყარება.

ეკრანიზაციისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება ბუნებრივია სწორახაოვანი ვერ იქნებოდა და არც იყო საჭირო. ეეშმარიტი შემოქმედება თავისთავად გულისხმობს ორიგინალობასა და ფანტაზიის ფართო გაკეანებასაც. ამის შედეგით რეეალისრი და მსახიობები ალბათ ეენაისეარ შეეეეეენ იმ აზრისაც, რომ შეიძლებოდა ზოგიერთი როლის ინტერპრეტაცია სადაოდ გამხდარიყო, ჩვენც ალარ გავაჩვიანდებთ და ეეეიოლენენენ უბრალოდ იმას შევნიშნავთ, რომ მეტისმეტ სითამამედ მიგვანნია რეეალისრისა და მსახიობების მიერ ზოგიერთი ძირითადი როლის (ელიოზი, ბუბალეა, ირისაძი...) გადაჭარბებული „შერეკილებად“ ინტერპრეტირება. ცხადია ასეთი გზა გაცილებით ორიგინალური და საინტერესოა, მაგრამ, როცა საინტერესო, ოდნავ დამაკერეგნილობასა მოყლეგელი, მაშინ იგი არასრულფასოვანიცაა.

„შერეკილებს“ ჭარბოფთ კინოში უკვე დაუმკვიდრდათ ხალეთელი რეპუტაცია. ისინი სამართლიანად ეეჩნენ ალიარებულნი, როგორც სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი — მაღალი ოცენების ადამიანები. მათ თავიანთი არაჩვეულებრივი რომანტიკაეელი ქცევისა და ოცენებისათვის შეერქვათ „შერეკილები“ და არა ჭკუაგადაცდომრმისათვის. არსებითად ასეთი მომბიზველი „შერეკილები“ არიან გიორგი ლეონიძის ნაწარმოების ხსენებული გმირენიც. ფილმში კი მათ ზაზგასმულად მიეცათ სულიერად დაავადებული ადამიანების იერი და მათმა „ხალეკეთესო ადეალებმა“ რამდენადმე დაკარგეს თავისი მიმზიდველობა. ამის გამოც, მიუხედავად ამისა, რომ კახი კვასაძე ორიგინალურად და საინტერესოდ გვიხასავს უკუღმართი დროის წინააღმდეგ ამბიზებელ ილორამს, ოთარ მეიდვანეეეოუბეცეცხი მუდამ მაძიებელ და მშვენერზე მეოცნებე ელეოზს, ეროსი მანჯგალაძე ხაჭართველოს წარსულის პათეტიკურ ტრაგიალს ბუმბერაზს... ისინი პირველეეეეე

დუნეული. ვნებაალმძერული ქალი ნაკლებად ჰგავს ლეონიძისეული ირიმის „მეზობლ“ და თუნდაც იმ წრეგადასული არსების, რომელსაც ყოველგვარ ვითარებაში შეიქმო შეენარჩუნებინა ქმარისადმი ქალისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი არტისტიზმით შეფერილი მოკრძალება და მომხიბვლელი თავდაჭერის უნარი. ეს ეროვნული თვისება, ფფიქრობთ, უფრო ხაინტერესოს გახდიდა მას, ვიდრე უცხო ფილმებიდან შექანაკონად გადმოსული ე. წ. „სექსუალურად“ წარმოჩენა. მით უმეტეს, როცა ფილმი მთელითნობაში გამოირჩეკა სწორედ თავისი ქართული ხასიათით.

გიორგი ლეონიძის თხრობითი ელემენტებიდან ფილმში ბევრი რამ შეგნებულად გარდაქმნილი და გამარტივებულია. მიხასლმეზელია, რომ ფილმის ავტორებმა ამგვარი ადაპტაცია ლეონიძის მოთხრობების მსატვრულ-ფილური წონადობის შესაბამებულესდედად კი არა, ბანალურ-მავებლად განოიკენეს.

კოტე დაუშვილის მიერ შექმნილი ციცაკორის მხატვრული სახე შესანიშნავად იტეკვს ეკრანზეაცოდან „შემცირებაში მოყოლილ“ ამ მოთხრობების შინაარსსაც, რომელებშიც გაბატრებულია ციცაკორეს, როგორც სოფლის თავკაცის თქმა. ეს ყველას მრჩეველ-დამრიგებელი და თავისთავში დარწმუნებული „ბრძენკაცი“ სოფლის უფროსობის წინამძღვარადაც გვეწინოდა. მას ოფნავადაც არ ეპარება ექვი უბიწო მარიტასადმი გამოტანილ მკაცრ ნახსენო განაჩენში.

ლეონიძისეული ჩანაფიქრის მთელ ხელრეს იტეკვს აგრეთვე სოფიკო ჭიაურელის ფუფაკა. მსახითნი არაჩვეულებრივ გარდასახვას აღწევს. იგი მთლიანად ფუფაკას ხასიათითა და სულისკვეთებით ცხოვრობს. მიხი სახითის თავისებურებაზე მეტყველებს მთელი მიხი გარეგნული ერიკე — ჩაცმულობა, სახე, ხაირული მანერა, რომელშიც ნათლად მეძღვნდება დაგვანებულოო ხაკეკლოეცე და მოიჩვენებითი ამპარტავნობა. მიხი სეედაჩწოლილი, ჩამქრალი თვალები გვაგრძნობინებენ თუ რა მძიმედ განიცდის უკუღმართი ცხოვრების ეკლიან გზაზე უნაყოფოდ დაკარგულ ახალგაზრდობას და ბაუთარ ხილამაზეს. როდესაც დამეკნარ „მშვენიერი ოფიერივით“ ჩამოსხმული, იგიც მოსტარის თავის ხილამაზეს ამ განსხვავებით, რომ ამ ბერიკეალას ხაკუთარი თავი დამეკნარ, მაგრამ მაინც ვარდად წარმოუდგენია.

76 წელს რამდენიმე ფილმში გადაიღეს რამაზ ჩხეკვაძე. მაგრამ ამ ფილმშია ოუმარის მთელი ცხოელმყოფელობაი, ხასიათის ზუსტი მინიშნებით წარმოსახული მის მოედელ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნოდარ მგალობლიშვილი

როგორი იქნება მომავალი ქალაქი?

როგორი იქნება მომავალი ქალაქი? სად და როგორ იცხოვრებს ჩვენი შთამომავლობა? ეს საკითხები ძალზე აღელვებს თანამედროვე ადამიანებს. ამ საკითხებზე ფიქრობდნენ ყოველთვის და ყველგან. მომავლის ქალაქებზე უამრავი წიგნი დაიწერა და ურიცხვი პროექტი გაკეთდა. გიდელაქების ეპოქიდან დაწყებული, ეგვიპტელი, ბერძენი, რომაელი შენებლები და ფილოსოფოსები, ალორძინების ეპოქის მოაზროვნენი, უტოპისტები, ენციკლოპედისტები, ძველი და თანამედროვე მეცნიერები, მწერლები, პოეტები, მხატვრები და, რაღა თქმა უნდა, არქიტექტორები, — ყველა ცდილობდა თვალნათლივ წარმოედგინა მომავალი დასახლება. აწმყოთი უკმაყოფილო კაცობრობა მომავალში ეძებდა ნეტარების, კეთილშობყობილ ცხოვრებას, „განსაოცნებულ ქალაქს". წინასწარმეტყველთა უმრავლესობა ოპტიმისტურადაა განწყობილი, მაგრამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო იზრდება პესიმისტთა რიგები, რომელსაც მომავალი ქალაქი, და არც თუ უსაფუძვლოდ, საშინელ ურჩხულად ეახებათ: მოწამლული ატმოსფერო, აუტანელი ხმაური, ასფალტისა და ბეტონის გარემოცვა, არაუნებრივი სიმკაცრეოვნე, ავტომობილის ფეტიშიზცია. ამ საშინელ უარყოფით მხარეებში თითქმის იკარგება თანამედროვე ქალაქის მზარდი კომფორტაბელობა.

წინააღმდეგობათა დასაძლევად იბადება უამრავი წინადადება.

თუ გადავხედავთ მომავლის წარმოსახვის მრავალ ცდას, ფრიად საყურადღებო დასკვნის გამოტანა შეიძლება. თითქმის ყოველი პროგნოზი თანამედროვეთათვის არარეალური და ფანტასტიკური იყო, ხოლო მომავალი თაობებისთვის — გულუბრყვილო და მიამიტი. მარცელაც, დაუჯერებელი ლეონარდო და ვინჩის ვერტმფრენი, ჟიულ ვერნის მთვარეზე მოგზაურობა, ტომას მორის, კამპანელას და სხვა უტოპისტების იდეალური ქალაქები — დღეს მხოლოდ ღიმილს გვგვრიან. ამიტომ მეცნიერების უმრავლესობა მომავლის განჭვრეტის ცდას არასერიოზულ და ურგებ საქმედ თვლის, რადგანაც პროგნოზირების დროს, ზშირად, სახიფათო გამარტივებისა და უპასუხისმგებელი ფანტაზიების ატმოსფერო იკმნება.

მიუხედავად ამისა, მომავლის განზოგადებული წარმოდგენა, პროგნოზირება აუცილებელია, თუნდაც იმიტომ, რომ საწყისი აზრი, რაგინდ ფანტასმაგორიულად მოგვეჩვენოს. თავიდან და სასაცილოდ შემდეგში, საერთო ჯამში ამ იდეის განხორციელებას ერთ-ერთ უმთავრეს კატალიზატორად გვეელინება. ვერტმფრენები, მართალია, სხვა სახით ვიდრე ამას ლეონარდო ხატავდა, ხომ მაინც. გამოიგონეს. მთვარეზე ადამიანმა ხომ გაიხედინა და განა ბუმბერაზი ქალაქების, ბრაზილიას, ჩანდიგარხის, ზელენოგრადის ავტორები ზედმიწევნით არ ცნობადნენ სენ-სიმონის, რობერტ ოუენისა და შარლ ფურიეს ქალაქებს, კომუნების, ფალანგების?

ეჭვს გარეშეა, რომ ყოველი სპეციალისტს, ყოველ მკვლევარს უფლება აქვს, ვალდებულიც კი არის, შექმნას მომავლის მისეული სურათი. ამ სურათის შექმნისას ავტორმა მისთვის მოსახერხებელი ფორმით უნდა გამოსახოს თავისი მსოფლმხედველობა, თავისი სუბიექტური აზრი. ალბათ ალარ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ ყოველი დიდი ობიექტური კეშმარიტება შედგება მრავალი მცირე სუბიექტური სინამდვილეებისაგან, ამდენად ყოველი სპეციალისტის პროფესიონალური პროგნოზი აგრეთვე ეღება მომავლის შენობას.

დიდ შეცდომას არ დავუშვებ, თუ ვიტყვი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ადამიანთა ხაჭმიანობის არც ერთ სფეროში არ არსებობს იმგვარი პროგნოზი, რამდენიც არის ქალაქგეგმარებაში, მომავალი დასახლების წარმოსახვაში. ამ მრავალფაროვანთა პროექტების არა თუ გარჩევა, უბრალო ჩამოთვლაც კი შეუძლებელია საყურნალო წერილში. მომავალი დასახლებისათვის განკუთვნილი პროექტების ასეთი სიუხვე, ჩემის აზრით, გამოწვეულია ადამიანისათვის ვარგისი საცხოვრებელის კატასტროფული სიმცირით.

უკანასკნელი წლებში ქალაქმშენებლობის საკითხებისაგან მიძღვნილი ყოველი კონგრესი ტარდება „დიდი ციფრების კაშმარის“ ვითარებაში, — ნერს ცნობილი ფრანგი ხელოვნებისმეცოდნე, არქიტექტორის კრიტიკოსი და ფურნალისტი მიშელ რაგონი. თავის ბრწყინვალე წიგნში — „მომავლის ქალაქები“, რაგონს უფრად მოაქვს ეს „დიდი ციფრები“.

ამჟამად დედამიწაზე მცხოვრებთა თითქმის ნახევარი ან უსახლკარია, ანდა ცხოვრობს ისეთ პირობებულ პირობებში, რომელთა მოიმენა ადამიანის ღირსებას არ ეკადრება. ნაანგარიშეთა, დედამიწის ყოველ მკვიდრს თითო ავტომანქანა რომ ეროგოს, ყველა არსებულმა ავტომერქანამ უწყვეტად 300 წელი უნდა იმუშაოს. მაგ როგორ შეიძლება ასწრაფოდ ავუმენოთ საცხოვრებელი 1.5 მილიარდ ადამიანს, თუ კი საცხოვრებელი მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია ჯერ კიდევ ყრმობის სტადიაშია? გარდა ამისა, ყოველ ადამიანს სულ უფრო და უფრო ეზრდება დიდი ფართობის მოთხოვნილებები. ეს ფართები ფანდასტიკურ ხელიდან აღწევენ. თუ ვიანგარიშებთ ერთ კაცზე განკუთვნილ ქალაქის და ქალაქგარე ბინების ფართს, გარეთ ავტომანქანისათვის, ერთი კაცის წილ ფართს ხაზოგადოებრივ ნაგებობებში, ავტომაგისტრალებზე, დასასვენებელ და ხამუშაო ადგილზე და ა. შ.

სტატისტიკოსების პროგნოზები დედამიწის მოსახლეობის მომავალი რაოდენობებზე მძაფრად განსხვავებულია. ერთნი ამტკიცებენ, რომ 2026 წლისათვის დედამიწაზე 25 მლრდ. ადამიანი იცხოვრებს, სხვები მოჰკავთ ციფრები 2000 წლისათვის — 6 ან 6.5 მილიარდი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით 2000 წლისათვის მოსახლეობა 7.4 მილიარდამდე გაიზრდება. ამჟამად მოსახლეობის რაოდენობა ორკეტადა ყოველ ორმოც წელიწადში. თუ ასე გაგრძელდა მომავალშიც, მაშინ 400 წლის შემდეგ დედამიწაზე იცხოვრებს 3000 მილიარდი ადამიანი. ამის საწინააღმდეგოდ, ფრიც ბაადეს აზრით, ჩვენი პლანეტის მოსახლეობის რიცხვი 200-300 წლის შემდეგ სტაბილიზირებული იქნება, 30-38 მილიარდის დონეზე.

ევროპისა და აზიის მოსახლეობა საკმაოდ მრავალფაროვანია, სამგაეროდ, დანარჩენ სამ კონტინენტზე მოსახლეობის სიმჭიდროვე გაცილებით ნაკლებია. აფრიკასა, მაგალითად, 1 კვადრატულ კილომეტრზე მოდის 2 კაცი. ნაანგარიშევია, რომ მთელი ოკეანის მოსახლეობიდან 2000 წლისათვის 1 კვადრატულ კილომეტრზე გამოვა 4 კაცი. 7-8 კაცი მოდის ავსტრალიისა და სამხრეთ ამერიკის 1 კვადრატულ კილომეტრზე. ამავე დროს 1960 წლის, ე. ი. 17 წლის წინანდელი ანგარიის თანახმად კუნძულ იავაზე 1 კვ. კმ-ზე მოდიოდა 400 კაცი. ცხადია, რომ მომავალში დედამიწის მოსახლეობა უფრო თანაბრად იქნება განაწილებული.

გაერთიანებული ერების მასალებით, არსებული ზრდის შენარჩუნების შემთხვევაში დედამიწის მოსახლეობა 1200 წლის შემდეგ მიაღწევს 705 მილიარდ ადამიანს. თუ გაგრძელდება „ქალაქ-ბაღების“ განაშენიანება „ხასლოლოფებით“, ამგვარ ხალხს, რა თქმა უნდა, ბინებით ვერ დაკავმაყოფილებენ. ფრანგმა არქიტექტორმა და მეცნიერმა ოოსა ფრიდმანმა ჩაატარა მეტად საინტერესო გაანგარიშება. დაადგინა რა, რომ ხმელეთის საერთო ფართი შეადგენს 149 მილიონ კვადრატულ კილომეტრს, მან განსაზღვრა, რომ ამ ფართობის მხოლოდ 45 პროცენტი, ე. ი. 70 მილიონი კვადრატული კილომეტრი თავისი კლიმატური პირობებით ვარგისია ცხოვრებისათვის. გარდა ამისა, აქედან ნახევარზე მეტი რთული რელიეფის გამო მშენებლობისათვის მოუხერხებელია. ამრიგად განაშენიანებისათვის რჩება მხოლოდ 28 მილიონი კვადრატული კილომეტრი. ქალაქმშენებლობა მინაზზეა სიერცეში გვაძლევს საშუალებას გავზარდოთ განაშენიანების ფართი 3,5-ჯერ. თუ ვიანგარიშებთ, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ კილომეტრზე იქნება 35 000 კაცი (!), მაშინ მილიონ კვადრატულ კილომეტრზე შესაძლებელია დაკმაყოფილოთ 980 მილიარდი ადამიანი. ამრიგად, ოოსა ფრიდმანის აზრით, ხალხის დასახლებისათვის ხელოვნური დონეების გამოყენება ამიანბრუნეს ყველაზე პესიმისტურ პროგნოზებს უარსოფს ათასწლეულზე. უფრო მეტიც, ეს ანგარიში გაცილებით საიმედო ხდება, თუ გამოვიყენებთ თეფდაც ნაწილს ოკეანეთისა და ზღვებისა, რომელთა ფართიც შეადგენს 361 მილიონ კვადრატულ კილომეტრს. ამრიგად, განაშენიანებისათვის ვარგისი ტერიტორიის 3,5-ჯერ გაზრდა მრავალი თვალსაზრისით დაკმაყოფილებს დედამიწის მოსახლეობის განსახლებას.

მაგრამ, როგორი უნდა იყოს ეს განსახლება? ამ საკითხის გადაწყვეტას ადამიანი უსხოვარი დროიდან შეუდგა.

ვიტრუვიუსის ცნობით, ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელს არქიტექტორმა დინოკრატემ

ნოდარ მგალობლიშვილი
რეზიდენტი ინსტიტუტი ქალაქი?

შესთავაზა ქალაქის პროექტი, რომელშიც ათონის მთა, ე. ი. მეტად რთული რელიეფის მქონე ნაკეთი, გადაქცეული იყო მამაკაცის გიგანტურ ქანდაკებად. მის მარცხენა ხელზე განლაგებული იყო ქალაქი, ხოლო მარჯვენა ხელში ეჭირა თასი, რომლიდანაც მოედინებოდა მთის მდინარეები. ალექსანდრე მაკედონელმა პროექტის კომპოზიცია მოიწონა, მაგრამ დაიწუნა ფუნქციური გადაწყვეტა.

ტერიტორიის სიმჭიდროვის გაზრდის ცდად გვეელინება ბაბილონის კოშკიც — „ქალაქი-პირამიდა“.

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანნა შეიძლება ისტორიიდან, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა თანამედროვე არქიტექტორების უკანასკნელი პროგნოზები.

ᲓᲔᲖᲣᲠᲑᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ. მომავალი ქალაქის სტრუქტურის ყველა პროექტში მთავარი ამოცანაა გაიზარდოს სიმჭიდროვე ანუ მოსახლეობის რაოდენობა ტერიტორიის ერთ კვადრატულ ერთეულზე. ყველი ამ თეორიას ეწინააღმდეგება დეზურბანიზატორთა კონცეფცია: არ არის საჭირო ქალაქის მოდერნიზაცია, რადგანაც იგი (ქალაქი) თავის თავად მოკვდება. ხალხს უნდა მჭონდეს ბუნებასთან კავშირი, ამიტომ მომავალი დასახლების ერთადერთი სწორი გზაა ქალაქგარეთ მცირე ნაკეთებზე ერთბინიანი სახლები-კოტეჯების აშენება. ამ ფილოსოფიის წველობა იქნება ცალკე. ეგრეთ წოდებულ ქალაქს რჩება მხოლოდ ადმინისტრაციული და კულტურული ფუნქციები. კარგად განვითარებული კომუნიკაციები გვაძლევენ „იდეალურ“ დასახლებას, — ადამიანი ცხოვრობს ბუნების გარემოში, მუშაობს და ერთობა ქალაქისმაგვარ კომპლექსებში. საჭიროა მხოლოდ, რომ ცალკეული სახლ-კოტეჯები ზედმიწევნით კეთილმოწყობილი იყოს და ეს ყველაფერი სრულფასოვანი კომპენსაციაა იმ დანაკარგებისა, რომლებიც გამოწვეულია გართულებული ავტომაგისტრალებით, გადაადგილებაზე დროის ზედმეტად დახარჯვით და ტერიტორიების ვარგად ათვისებით.

ამ კონცეფციის მომაჯადოებელ ძალას დიდხანს ჰკავდა ტკბედ ადამიანის გონება. მომავლის ქალაქს ყველაზე ორიგინალური, უნიკალური პროექტი კონკურენციას ვერ უწევდა მწვანე ნარგავებში ჩაფლულ ატარა სახლს. განსაკუთრებითი ამ თეორიას ეზიარებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების შეძლებული ფენები. მართლაც, ნიუ-იორკიდან და ვაშინგტონიდან ქალაქგარეთ დასახლებულნი, სარგებლობდნენ რა ცივილიზაციის მაღალკომფორტული მიღწევებით, ამავე დროს ბუნებასთან უშუალო კონტაქტში იმყოფებოდნენ. მაგრამ აფეთქდა, როდესაც ამ პატარ-პატარა ნაკეთებმა დიფრეს უზარმაზარი ტერიტორიები, როდესაც ბუნებრივი ლანდშაფტის მრავალი ასეული კილომეტრები ავიწო მჭიდროდ ჩაფენილი ერთ-ორ სართულიანი ინდივიდუალური სახლებით, გამოიარეკა, რომ დეზურბანიზაცი-

---

ყველი თეორია, მიმართულება თუ მომავლის პროექტი, რა თქმა უნდა, ამ წერილში განხილულია პოპულარულად. ამოდებულია, ჩემის აზრით, ძირითადი იდეა ანდა მთავარი კონცეფცია.



ნახ. 1. დეზურბანიზმის კორბუზიესეული კრიტიკა.
ერთბინიანი სახლები და პატარა ნაკეთებით დაკავებული უზარმაზარ ტერიტორიას უპირისპირდება იმავე ტევადობის მრავალსართულიანი სახლი თავისუფალ ნაკეთზე.

ის ეს ერთადერთი ბომბიზგელი მხარეც — ბუნებასთან კავშირი, — არის მხოლოდ მოჩვენებითი ღირსება. ადამიანი აღმოჩნდა ერთფეროვნად განაშენიანებულ და ხალხით მჭიდროდ დასახლებულ გიგანტურ ტერიტორიაზე, რომელსაც ნამდვილ ბუნებასთან მხოლოდ აბსტრაქტული, აბსოლუტურად სიმბოლიური კავშირი აქვს და რაც მთავარია, ეს უკიდეგანო „ქალაქი-საწოლი“ დაუნდობლად ანადგურებენ იმას, რისკენაც მიიღტაფოლენ მისი მკვიდრნი — ბუნების პირველქმნილ გარემოს. დეზურბანიზმის კონცეფცია გაკრიტიკეა ლე კორბუზიერ. (იხ. ნახ. 1).

ეკუმენოპოლიი — მსოფლიო ქალაქი.

თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი არქიტექტორი და მოაზროვნე დოქსიადისი თავის გახმაურებულ თეორიაში ამტკიცებს, რომ ქალაქის განვითარების საბოლოო, კულმინაციური წერტილი არის ეგრეთწოდებული „ეკუმენოპოლისი“ ანუ მსოფლიო ქალაქი. ეს არის ქალაქის დინამიური განვითარების ერთ-ერთი დოქტრინა — „ეკისტიკა“ ანუ ტიპოლოგია ურბანიზმისა და მობილური არქიტექტურის კონცეფციის თეორიული პლატფორმა.

დოქსიადისის ტერმინოლოგიით, ქალაქს, რომელიც ვითარდება რკინის გზის კვანძების გასწვრივ, „ლინეაპოლისი“ ეწოდება. ავტომობილიზაციის ზრდის გავლენით იქმნება „მეტროპოლისები“. ამგამად რამდენიმე ასეთი ქალაქის შერწყმის საფუძველზე წარმოიშვა „მეგალოპოლისი“, ან „მეგაპოლისი“. და ბოლოს დოქსიადისი წერს, როდესაც „დღიანის განსახლების ყოველი ფორმის მთავარი დასახიათებელი ნიშანი იქნება მისი მუდმივი ზრდა, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა დასახლება გაიზრდება, სანამ არ შეიქმნება ბალე, რომელიც მოიცავს მთელ მსოფლიოს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მივიღებთ ერთადერთ გიგანტურ დასახლებას, რომელიც დაფარავს მთელ დედამიწას და გადაიქცევა უნიფერსალურ დასახლებად: ეს ჩვენ მივაღწევთ საბოლოო შეცნობილ საფეხურს — ეკუმენოპოლისს“. ცხადია ასეთი „მსოფლიო ქალაქ“-ს ხელს არავის აძლევს, ამიტომაც მოკარბდა მომავალი ქალაქების განვითარების სხვადასხვა კონცეფცია.

სივრცობრივი ქალაქები.

„დეზურბანიზმიციის“ თეორიის მიმდევარნი, ისევე როგორც დოქსიადისი და პარობითად შეიძლება თქვენთ, თანამედროვე ქალაქშმშენელები, ქალაქის განვითარების ორ განზომილებაში, ანუ დედამიწის ზედაპირზე გულისხმობენ. იაპონელმა არქიტექტორებმა კიროკავამ და კენიო ტანგემ დაამშვიეს „მეტაბოლიზმის“ თეორია, რომლის თანახმადაც ქალაქი ვითარდება სამ განზომილებაში, უფრო მეტიც, ოთხ განზომილებაში, თუ მხედველობაში მივიღებთ დროის ფაქტორს. მეტაბოლისტების აზრით, და ანდა ლია ამ აზრს არ დაეთანხმო, სივრცობრივი სტრუქტურა თამაშობს მთავარი მნიშვნელობა ადამიანური ბოლოს, რომელიც იძლევა საშუალებას ქალაქის ორგანიზმის მთლიანობაში ზრდასთან ერთად, კონცენტრირებულ იქნას ნებისმიერი ქალაქშშენებლური მზარდი სტრუქტურული ერთეული.

კენიო ტანგეს ქარქტებიდან აღსანიშნავია გრანდიოზული ქალაქი, რომელიც განლაგებულია პირდაპირ წყლის ზედაპირზე, ტოკიოს ყურეში. აქ გატარებული მეტაბოლიზმის პრინციპები.

სივრცობრივი ქალაქების ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ქალაქი მთლიანადა უნდა გადავიდეს ზედა დონეებზე. იმისათვის, რომ გაანთავისუფლოს მიწის ზედაპირი სოფლის მეურნეობისათვის, ბალ-პარკებისათვის, არქიტექტურული ძეგლებისათვის და ა. შ. მიწის ზედაპირი იქცევა ბალად, ხოლო მის თავზე სპეციალურ სივრცობრივ სრუქტურაში განლაგდება მაღლივი ასაწოვნ-დასაშლელი ნაგებობანი, შრომისა და ყოფისათვის. მიწაზე კი იქნება მხოლოდ კონსტრუქციული ბჯენები. მიწის ქვეშ განლაგდება სატრანსპორტო სანენებრო და სხვა კომუნიკაციები და ნაგებობანი.

ასეთი პროექტი დამუშავებულია იონა ფრიდმანის მიერ. ახალი ქალაქი, სივრცობრივი სტრუქტურის სახით, განთავისუფლებულია ძველი პარიზის თავზე. მეორე სტრუქტურა დაფუძნებულია რკინაბეტონის საყრდენ შახტებზე 50 მეტრიანი ბიჯით. საყრდენებში განლაგებულია ვერტიკალური კომუნიკაციები, ტრანსპორტი, საინჟინრო აღჭურვილობა და ა. შ. მოსახლეობის სიმჭიდროვე გამოდის დაახლოებით 100 000 კაცი კვადრატულ კილომეტრზე. ზედა ქალაქის სტრუქტურა გამჭვირვალეა და არ უშლის მზის სხივების მიაღწიონ მიწის ზედაპირამდე, რომელზედაც განლაგებულია იხტორიული პარიზი, გამშვებნი და ტრანსპორტი.

შეეცადინეთ არქიტექტორმა ვალტერ იონსმა დაამუშავა მომავალი ქალაქის პროექტი, რომლის მიხედვით რამდენიმე ძაბრის ან კოლუნის ფორმის გიგანტური ნაგებობა მიწას ეწერო ბოლოთი ეყრდნობა, ხოლო ერთიმანეთთან ზედა ნაწილში დაკავშირებულია გადასასვლელი ხიდით. ყოველი ძაბრი წარმოდგენს ცალკეულ კვარტალს ან მაკროროიონს, რომელშიც ბინები ტერასულადაა განლაგებული. (ნახ. № 2).

ფრანგი არქიტექტორის პოლ მეიმონის პროექტით (ნახ. № 3) ქალაქს პირამიდის სახე აქვს. პირამიდა ჩამოკიდებული ფოლადის წინასწა-

---

ნოდარ ბგაალოგლიშვილი
რობერი იენნის მომავალი ქალაქი?



ნახ. 2. ვალტერ ირონსის სივრცითი ქალაქი.



ნახ. 3. პოლ მეიმონის სივრცითი ქალაქი.

ბრტყელ ტრასების აბლაბუდაზე. პირამიდას იჭერს ერთი ცენტრალური საკრედენი რომლის დიამეტრი ოცი მეტრია და მასში განლაგებულია ლიფტები და ყველა ვერტიკალური კომუნიკაციები. ქალაქის ფუნქციები განაწილებულია იარუსებად. პირამიდის ქვედა იარუსებში დაპროექტებულია ავტოსადგომები, სხვადასხვა მომსახურების დაწესებულებები, ჩქაროსნული ტრანსპორტის ტრასები და სატრანსპორტო კვანძები. ამათ ზემოთ განლაგებულია 200 000 კვადრატული მეტრი ფართი, განკუთვნილი წვრილი მრეწველობისა და კუსტარული წარმოებისათვის, კიდევ უფრო ზევით ქალაქის განაშენიანება მდებარეობს მოედნებითა და ეკუჩებით, ვერტიკალური და სპირალური სარელსო ტრანსპორტით, ესკალატორებითა და მოძრავი ტროტუარებით. გათვალისწინებულია ქალაქისათვის აუცილებელი ყველა ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი და მომსახურების დაწესებულებანი, საცხოვრებელი ბინები. პირამიდები დაკავშირებულია ერთმანეთთან დაკიდული ხიდებით, გზებითა და მე-

ტროპოლიტენის ხაზებით. ამავე დროს, ყოველი ასეთი პრობლემა წარმოადგენს ავტონომიური სიგრცობრივ ქალაქს 15 000-50 000 კაცამდე მოსახლეობით.

ქალაქები მიწის და ფულის ჯვეშ. მიწის ქვეშა ქალაქების პიონერად გვეკლინება საფრანგეთის არტიტექტორი ედეარ უტეჟანინი, რომლის აზრით მიწისქვეშა სიგრცის ინტენსიფიკაციისა საშუალებას მოგვცემს გადავეხიდოთ ქალაქის არსებულ სტრუქტურას და განვკვიროოთ იგი, მოავშორებთ რა ქარხნებს, ბაზრებს, საგზურებს, საწყობებს, საგრანსპორტო მაგისტრალებს და სხვ. თუმცა ამ ნაგებობათა გარეშე შეუძლებელია ყოველდღიური ცხოვრება, ისინი „უსულოები“ არიან და არ არის არავითარი საფუძველი მიწის ზედაპირზე მათი განთავსებისა. ქალაქში მიწის ზედაპირზე მხოლოდ საცხოვრებელი სახლები, ხაზოვანდებრივი, ხავერპი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა განლაგდეს, გარეთ, რა თქმა უნდა, კინო-თეატრისა, რომელიც აგრეთვე მიწისქვეშ უნდა მოვათავსოთ.

ალსანშნავია, რომ მიწისქვეშა ქალაქის შშენებლობას, ჩემის აზრით, უდიდესი მომავალი აქვს, თუ გვინდა, რომ მაქსიმალურად შევანარჩუნოთ ძველი ქალაქის იერი, არსებული ლამაზი ლანდშაფტი, სუფთა პაერი. თუ გვინდა, რომ ტრანსპორტმა არ დაბინძოს ფეხით მავალნი. გარდა ამისა, და ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია,—თანამედროვე მეთოდები საშუალებას გვაძლევს ეაწარმოოთ მიწისქვეშა ნაგებობათა შშენებლობა ისე, რომ მიწაზე ნორმალური ცხოვრება არ დაირღვეს, მაგალითად ისე, როგორც შენდება მეტროს ხაზი.

მეტად საინტერესო პროექტი დაამუშავა პოლ ბეიმანმა, რომლის წინადადებაა პარიზში სენის ქვეშ მოთავსდეს ავტომაგისტრალი, ავტოსადგომებთან და სასაწყობო სათავსებით. მდინარის სანაპიროები მთლიანად ფეხოსანთა ეთმობა. მდინარე სენის სიღრმე განსაზღვრულია 8 მეტრით, ხოლო მის ქვეშ გათავსებულნენებულია 12 ფინი, რომელთაგან 7 ავტოსადგომისთვისაა განკუთვნილი. გარდა საწყობების, მეიმნის, წინადადებაა, წყლის ქვეშ მოთავსდეს საცურაო აუზები, კინოთეატრები, თეატრები. საკამოფენო დარბაზები, საფოსტო განყოფილება, ცენტრალური ბირჟა, რაციონული ბაზარი და ა. შ.

არსებობს მრავალი პროექტი, რომელშიც მომავლის ქალაქები განლაგებულია ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე.

ბაღასხურები ქალაქები. შესანიშნავმა კონსტრუქტორმა და არკიტექტორმა ბაკმინსტერ ფულერმა გამოიგონა საოცარდ მსუბუქი და ადვილად ასაწყობი ე. წ. „გეოდეზიური გუმბათი“, რომელიც შედგება ერთნაირი წესით დამზადებული, მცირე ზომის, ტეტრაედრის ფორმის ჭრილნი ანკერები ელემენტებიდან. ამ გუმბათებით შესაძლებელია უზარმაზარი ზომის ფართების გადახურვა. მაგალითად, ფულერმა დაამუშავა გუმბათის პროექტი გამვლელი ელექტროგადასასვლელებიდან, რომლითაც შეიძლება გადახუროს ნიუ-იორკის ცენტრალური ნაწილი — მანჰატენი. ფულერის აზრით, ასეთი გუმბათით ადვილად შეიძლება გადახურული იქნას ნებისმიერი ქალაქი, განსაკუთრებით ცხოვრებისათვის უკანონო ელფატის პირობებში. მაგალითად, ჩრდილოეთის ენინეფინინ ან ფუდანში. კონდიციონერებით ასეთ ქალაქებში შესაძლებელია საუცხოო ბაღის შექმნა. ფულერის დაუცხრომელმა ფანტაზიამ შექმნა მფრინავი ქალაქები, მოთავსებული „გეოდეზიურ სფერში“, მაგრამ ალბათ ყველაზე საოცარი წინადადებაა (გავთვალისწინოთ, რომ ფულერის მრავალი, პირველი შეხედვით ფანტასტიკური პროექტი, უკვე განხორციელებულია) „გეოდეზიური გუმბათის“ პრინციპებით დაპროექტებული შუქგამტარი სფერული გარსი ღედამიწის გარშემო. ახეთ გარსს, ავტორის აზრით, საკრედინიც კი არ დასჭირდება, რადგან გარსის სიმძიმის ცენტრი თანხვედრილი იქნება დედამიწის სიმძიმის ცენტრთან.

გარდა ამისა, სპეციალისტების მიერ დამუშავებულია „მორიზონტალური ცათამბჯენები“, „ქალაქი-ხიდები“ (მაგალითად ლა-მანშზე, ბერინგის ყურეზე, გიბრალტარზე და სხვა); მოძრავი ქალაქები; ქალაქები მთავრეზე, კოსმოსში და მრავალი სხვა.

უამრავი მომავლის ქალაქები დაპროექტებულია საბჭოთა კავშირის არქიტექტორების მიერ. განვიხილოთ ერთ-ერთი, მეტად საინტერესო.

ბაინასლების ფენომენალური ინტერესი სნ-ლმეშ. ასე დაარქვეს თავის პროექტს არქიტექტორებმა კ. პრელნიკოვმა, ა. ალიხიანოვმა, ს. გრეშნიკოვმა და ა. ბანნმა. ეს პროექტი მხოლოდ ბინოფენენენ ოსაკენ საბჭოთა მავალიონში იყო ეექსპონირებული.

მრავალი ერთმანეთისაგან დაშორებული, ძლიერ შეუერთებული, კოპპატენური სივიცითა სტრუქტურები, რომლებიც თანდათანობით შემოიკრებენენ საცხოვრებელ, ადმინისტრაციულ და სამრეწველო დაწესებულებებს და გადაუსვლელებენ წყვეტილ სისტემათა გარშემო ტერიტორიას. კოპპატენური სისტემები დაკავშირებულნი იქნება ჩქარისნული ტრანსპორტის ტერიტორიებთ, ხოლო ტერიტორია გათავისუფლებული ქალაქებისაგან, სოფლების, ბაზრებისა და მრეწველობისაგან — თანდათანობით აღსდგება და გადაიქცევა დასვენების და კულტურული ცხოვრების იდეურ არედ.

●

როგორც ვხედავთ, ძალზე მრავალფეროვანია მომავლის არქიტექტურის პროგნოზები თუ კონკრეტული იდეები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კაცობრიობა დადებითად გადაჭრის ამ რთულ და საპასუხისმგებლო პრობლემას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲝᲠᲒᲝᲛᲔᲣᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲡᲐᲯᲐᲠᲗᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“, 1977 ᲬᲚᲘᲡ, ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲕᲚᲔᲚᲘ ᲜᲘᲜᲝᲚᲐᲠ ᲐᲚᲐᲜᲘᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ მკითხველი განებივრებული რომ და ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲬᲘᲗᲚᲔᲑᲘ არ გამორჩენია ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲜᲘᲡ, თუ მᲮᲘᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ არ მივიღეთ ამ ᲮᲣᲗᲘᲜᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ გამოცემული მცირე კრებულებს სახარᲗᲣᲠᲘ სერიისას, ასეთივე ᲑᲔᲓᲘ ᲔᲤᲜᲐ ალექსანდრე ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ, გრიგოლ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ და სხვათა შემოქმედებასაც. 10-15 წელი საკმაოდ დიდი დრო გახლავთ, ამ ᲮᲜᲘᲡ მანძილზე რუსეთში გამოვიდა ტოლსტოის, დოსტოევსკის, გოგოლის, ჩეხოვის, გორკის და სხვა რუსი კლასიკოსების ათობით ცალეული გამოცემა. ასევე შეგვიძლია უკრაინისა და სხვა რესპუბლიკების მაგალითის მოყვანაც. შეიძლება მივანი შემოგვეფაოს — იქ დიდი პოლიგრაფიული შესაძლებლობებია და ამიტომო. მაგრამ უფრო სარწმუნო საბუთი სხვაა: დიდი პატივისცემა ეროვნული კულტურისადმი, მისი პოპულარიზაციის სურვილი. ფაქტი ერთია, კლასიკოსების თხზულებებს მცირე ადგილი ეᲜᲘᲜᲐ ჩვენს საგამომცემლო გეგმებში. ეს პროცესი, ალბათ, დღესაც გრძელდება, თუმცა მისი „რეკვიემის“ სახიეთო ნიშნები უკვე გამოიკვეთა...

ᲐᲮᲚᲐ, ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ მკითხველმა მიიღო ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ „ᲝᲠᲢᲝᲛᲔᲣᲚᲘ“. გამოცემა კარგ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული, მაგრამ გამომცემლობის მისამართით მკითხველი საᲭᲘᲠᲝᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲘ არ შეიძლება არ გაᲣᲜᲔᲓᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲪᲘᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓ ᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲞᲝᲡᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲔᲡ ᲛᲐᲨᲘᲜ, როცა გამოდის ნაკლებᲛᲨᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ წიგნები. ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ რომ არავინ გაიგოს, დავსძენ: თანამედროვე ავტორთა ტირაჟების შეკვეცას არავინ მოითხოვს, მაგრამ კლასიკოსთა კრებულების დიდი ტირაჟით გამოცემა კი, როგორც ჩანს, აუცილებელია და, ალბათ, ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘᲪᲘ....

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ „ᲝᲠᲢᲝᲛᲔᲣᲚᲘᲡᲐᲨᲘ“ რატომღაც არ შეუტანიათ „ქᲗᲐᲗᲐ ᲓᲔᲓᲐᲒᲘ“. გაუგებარია, რატომ შემოსწᲧრინᲔ გამომცემლები ამ შესანიშნავ ძეგლს ქართული საᲐᲮᲚᲝᲛᲝᲙᲛ აზროვნებისას. ᲔᲠᲜᲔ გვითხრან, ამ ტომებში მხოლოდ რჩეული ნაწერები შეეიდეო; სწორედ რჩეულ ნაწერებს განეკუთვნება „ქᲗᲐᲗᲐ ᲓᲔᲓᲐᲒᲘ“ თავისი მოზომილი, დინჯი, ნაᲬᲘᲚᲘ აზროვნებით, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ უᲩᲕᲔᲣᲚᲝ „ᲛᲔᲛᲘᲠᲘᲗᲘ“ და სხვა კომპონენტებით. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ აზროვნების ამ შედეᲕᲠᲘᲡ ასე ᲮᲔᲚᲐᲚᲔᲑᲘᲗ „გᲐᲬᲘᲠᲕᲐ“ გაუმარᲗᲚᲔᲑᲚᲐᲓ გვეᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ. „ქᲗᲐᲗᲐ ᲓᲔᲓᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ გარეშე მკითხველისათვის ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ თხზულებათა მიᲬᲔᲠᲘᲓᲐ სწორედ რომ „ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲗᲘᲠᲘᲚᲘ მᲐᲓᲚᲘᲠᲘᲐ“...

დასასრულს, არ შეიძლება მადლიერებით არ მოვიხსენიოთ წიგნის შემდგენელი, აᲬ განსვენებული მეცნიერი ნოდარ ალანია.

„ᲝᲠᲢᲝᲛᲔᲣᲚᲘ“ შესანიშნავად გაუფორმებია ცნობილ მხატვარს ინა დიენოგორაᲪᲔᲕᲐ-გრიგოლიას, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲒᲐᲕᲘᲡᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ წიგნის მხატვრულად გაფორმების საქმეში მკითხველს კარგად მოეხსენება.

ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲘ ტომს ანლავს ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ პორტრეტი და ფაქსიმილე.

ᲗᲘᲗᲝᲛᲘᲗ გამოთქმული შენიშᲜᲔᲑᲘᲡ მიუᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ამ „ᲝᲠᲢᲝᲛᲔᲣᲚᲘᲡ“ გამოცემით გამომცემლობამ კარგი საქმე გაიკეთა. იმავე გამომცემლობას მიᲜᲔᲜᲐᲓ ᲭᲘᲜᲐᲜᲘ აკაკი წᲘᲠᲗᲔᲚᲘᲡ, ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ და სხვა კლასიკოსᲗᲐᲗᲐᲜ „ᲝᲠᲢᲝᲛᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ“ გამოცემა, რაც უდავოდ მისახსარებელია.

ᲯᲐᲠᲯᲘ ᲭᲝᲩᲝᲕᲔᲚᲘ

პოეზიისადმი მიძღვნილი კრებული

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲜᲐ „ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ“,
1977 ᲬᲚᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡᲚᲘᲡ
ᲪᲘᲚᲐ ᲥᲐᲠᲩᲚᲘᲜᲘᲫᲔ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐ მკითხველმა მიიღო ალი მირცხულავას დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი წერილებისა და მოგონებების კრებული „ᲩᲔᲛᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲐᲠᲘ“. ᲮᲐᲮᲒᲐᲡᲘᲜᲘ უნდა აღინიშნოს, რომ ც. ᲥᲐᲠᲩᲚᲘᲜᲘᲫᲘᲡ საკმაოდ ტევადი შრომა გაუწევია ამ წიგნის შესაქმნელად. თუმცა მას მსგავსი პრაქტიკა ადრეც ᲰᲥᲜᲘᲚᲐ, მაგრამ ყოველი ასეთი შრომა შემდგენლის არაერთ ღამეს და განუწყვეტელ ფიქრს მოითხოვს. ყველა იმ სტატიის, წერილისა თუ მოგონების შეკრება, თავმოყრა და ერთ კრებულად აკინძვა, ცხადია, ერთობ ძნელი იქნებოდა, მაგრამ, ეტყობა, გამოცდილებამ თავისი საყოფი გამოიღო. ეს არ არის მარტო პოეტის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნი, ეს არის საერთოდ ალი მირცხულავასადმი მიძღვნილი კრებული, რომელშიც, როგორც სარკეში, იხე ᲩᲐᲜᲡ კოლორატურული ფიგურა პოეტისა, ნახევარი საუკუნის მანძილზე დაუცხრომელი ენერგიით რომ ემსახურებოდა ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲡ.

ალი მირცხულავა, როგორც პოეტი, საბჭოთა საქართველოსთან ერთად დაიბადა. მისი პირველი ლექსი ᲛᲬᲠᲝᲚᲘ 1921 ᲬᲚᲘᲡ დაიბეჭდა ფოთის ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠ გაზეთ „ᲛᲣᲨᲐᲨᲘ“. მას შემდეგ მისი პოეზია ᲩᲐᲛ მეტი სიმკაცრითა და სიძლიერით შემოიჭრა ᲥᲐᲠᲗᲣᲚ პოეზიაში, და არა მარტო ᲥᲐᲠᲗᲣᲚ პოეზიაში. ალი მირცხულავას ლექსები — ეს იყო რევოლუციური სულისკვეთების, ახლის ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ პოეზია. მან უმალ იგრძნო და მელეთვრად განიცადა ეპოქის სულისკვეთება, ᲨᲔᲠᲛᲘᲡ ის არნახული რიტმი, რომელიც ახალმა დრომ, სოციალისტურმა ყოფამ დაამკვიდრა.

ალი მირცხულავა ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილ გამარჯვებაში ᲩᲔᲓᲐᲕᲓᲐ თავისი ხალხის მომავალსა და ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲔᲓᲘ. მას აღაფრთოვანებდა რევოლუციის ᲫᲚᲔᲐᲕᲘ გუგუნი, რომელსაც სიახლე უნდა მოეტანა ხალხის ცხოვრებაში. ᲯᲝᲠ კიდევ 1921 ᲬᲚᲘᲡ დაწერილ ლექსში „უნაყოფო ფიქრი“ იგი მწერლობაში რეალისტური, მოკალკეფილბრივი პოზიციებისაკენ დაბრუნებას ᲕᲐᲮᲐᲒᲔᲑᲓᲐ. პოეტი ᲛᲬᲠᲐᲓ დასცინოდა მათ, რომელთაც ვერ იგრძნეს საქართველოში ახალი ᲥᲐᲠᲗᲮᲚᲘᲡᲐᲜ ᲫᲚᲔᲠᲘᲡ, კვლავ ცაში იმზირებოდნენ და მთვარეზე უნაყოფო ფიქრში ატარებდნენ ცხოვრებას.

ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ 50-ᲯᲖ მეტი ავტორია წარმოდგენილი. შემდგენელს დაკვირვებით შეურჩევია ყველა ის სტატია, რომელშიც ᲮᲔᲛᲬᲘᲤᲐᲡᲘᲗᲐᲓ ᲩᲐᲜᲡ ალი მირცხულავას პოეტური ფიგურა, მისი პოეზიის ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ. ერთ-ერთი ასეთი ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ ცხოვრებასთან მისი ᲛᲭᲔᲠᲜᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ. იგი თავის პოეზიაში მწარედ, ამბარაზებდა ცხოვრებისგან განდგომილთ პოეტებს.

ალი მირცხულავას პოეზიამ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲗᲝ ფრთები 30-იან წლებში. ეს პერიოდი განსაკუთრებული იყო ᲩᲕᲔᲜ ცხოვრებაში. ᲮᲐᲮᲚᲝᲜᲘ მეუნერვიების ყველა დარგში მოხდა დიდი ძვრები. ყოველივე ეს ასახვის საგნად იქცა, საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ საბჭოთა პოეზიაში ერთ-ერთმა პირველმა ალი მირცხულავამ დაამკვიდრა ინფუტრიული თემა: მშენებლობათა ᲮᲐᲠᲩᲘᲜᲘᲡᲐ, მოგუგუნე კომბაინი, ელექტროსადგურები ᲩᲕᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ, ყოველდღიური ყოფის საგნად იქცა მის პოეზიაში.

ალი მირცხულავამ ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი არამარტო ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ საბჭოთა პოეზიის, არამედ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ხალხის წინაშე. ᲩᲐᲛᲝᲗ ᲮᲐᲑᲘᲜᲘᲡᲗᲐᲜ მისადმი მიძღვნილი კრებული იმ სიყვარულის გამოხატულებაა, რომელიც მას დაუᲙᲕᲔᲠᲘᲫᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ხალხის გულში.

ᲠᲝᲛᲐᲜ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲘᲓᲘ ᲜᲘᲜᲐᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲝᲜᲔᲑᲐ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲧᲐᲠᲐᲘᲫᲘ, „ᲐᲒᲐᲗᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘᲡᲐ...“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲜᲐ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“, 1977 ᲬᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲡ ᲑᲝᲚᲝᲠᲐᲒᲘᲢᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲨᲕᲘᲚᲘᲜᲘᲐᲠᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲜᲘᲐᲠᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲗᲐᲜ. ᲑᲝᲚᲝᲡ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე აშკარად წინ მიდის. ბიოგრაფიული რომანის ახალი ენთუზიასტებიც გამოუჩნდნენ. ელგუჯა მალრაძემ ზედიზედ გამოაქვეყნა რომანები გრიგალ ორბელიანზე და დავით გურამიშვილზე და ამით დიდი ამაგი დასდო ამა მარტო ამ ეპოქის, საერთოდ, ქართულ ლიტერატურას. უნდა ამედი ვაქციანთო, რომ არცთუ შორსაა ის დრო, როცა ჩვენი ეროვნული მწერლობა ამ მხრივაც გაუსწორებს თვალს აგრეთვალვე დაწინაურებულ რუსულ თუ ევროპულ ლიტერატურას.

ახლა კიდევ ერთი საგულისხმო, საინტერესო წიგნი გამოჩნდა — გურამ ხარაძიანის „ამბავი ჩემი წინაპრისა". მე ამ მიწიდ ეს წიგნი ზემოთდასახელებულ ნაწარმოებებს შევადარო, ან გავეთვალისწინო. ამის პრეტენზია არც ავტორს გააჩნია; წიგნის მაზანდასახულება უფრო მოკრძალებულია. როგორც წინდართული ანოტაციაში ვკითხულობთ, „ამბავი ჩემი წინაპრისა..." სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მხილველ მოთხრა ეკიპოვეს მოგვითხრობს". ავტორმა არც უწოდა მას ბიოგრაფიული რომანი, არ შეეძლო. „ამბავად" მინათვალა. მაგრამ „ამბავი ჩემი წინაპრისა..." მაინც სწორედ ამ ეპოქის ენციკლოპედიაა და ავტორმა მიერ ეს თავგამოდებულიაა უბრალენზობა კიდევ ერთ ღირსებად მიეთვლება მას.

ჩვენი დიდი წინაპრების ცხოვრება, საქმიანლისათვის, ხალხისათვის მთი თავდაუზოგავი მოღვაწეობა და საჭიროების დროს უფიფქნი თავგანწირვაც შთამომავალთათვის ის ნაღელი მაგალითია, რამაც საკუთარ ცხოვრებაზეც უნდა დავავფიქროს და სხვა თუ არაფერი, მეტის ძალი და უნარი თუ არ შეგვწევს, ოღნავ უკეთესები მაინც უნდა გავგხდეთ, ხაზგადასმა ხატკვარი გულთან პირადულზე უფრო ახლოს უნდა მიგვაგანინის. დიდი წინაპრების ამრიგადვე მუდამ თავს დასტრიალებენ ჩვენ ქართველ ერს მისი ცხოვრების როელ გზაზე. ამხელეებენენ, ხამშობლის სიყვარულს უმძაფრებენენ. სიცოცხლის ენის ფუდვიგენენ. ცხოვრების წესს შეაუნერგავენენ.

ერთი ასეთი წინაპართაგანი, ჩვენთვის დღეხაც ცოცხალი არა მარტო მისი უკვდავი წიგნებთან, არამედ მისი საოცარი მამულშვილობითაც — სულხან საბა ორბელიანია, დიდი ქართველი მწერალი და ხაზოგადო მოღვაწე, ვინც მოელი თავისი ღვთიური ნიჭი და ზლაბრული ენერგია, მოელი თავისი ცხოვრება, ყოველი დღე და წუთიც კი ქართულ კულტურას, ქართულ სულს, ქართულ ეროვნულ ღირსებას, საქართველოს კეთილი მომავლისათვის ზრუნვას შეალია.

გურამ ხარაძეს ავტორისეული დიდი მოწიწებითა და სიყვარულით მოგვითხრობს სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრების გზას, სავსეს ტანჯვითა და ლტაგნილითაც. წიგნში ჩვენს თვალწინ კიდევ ერთხელ ცხოვლად წარმოდგებიან ტიტანური ფიგური მწერლისა და მოღვაწისა, მოყოლებული მისი ესმობის ლრიდან, ერთადერთი და ხანმოკლე ბედნიერი ხანიდან, ვიდრე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. რომელსაც ხამშობლიდან შორს მყოფმა მამულიშვილმა კვლავ საქართველოს სახელი ამოაყოლა.

საქართველოსათვის ის ხანა, როდესაც სულხან-საბა ორბელიანი მოღვაწეობდა ერთი მხრივ ლირსებისანმსგავსი ლრო იყო, როცა ბატონი ქართული სტკიმა ლაინსდა და „ეკეფხისტყაოსანი" ლაიბეჭდა, როცა ქართული ლექსიკონი „სიტყვის კონა" და „სიბრძნე სიცოცხლისა", ეს ორი კლასიკური და უკვდავი წიგნი დაიწერა, ქართული კულტურისათვის ზოგიერთ სხვაც მნიშვნელოვანი შეიქმნა და გაკეთდა. მაგრამ, ამასთანავე ერთიც, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უბედური ხანა ჩვენს ისტორიაში, როცა უკიდურესად გამოვლინდა ეროვნული შეცდომა და მტერობა, ვერაგობა და ღალატი, რამაც საქართველო დაარბია და „გაამარტივა, უცხოთათვის ფეხქვეშ ამოაგო. მიწად აქცია, ცოტას გაწყდა ხამოლო ლალუმენის ბარამდე არ მიიყვანა.

წიგნის ავტორი ამ გულისხმამყვანელ ისტორიულ სურათს ცხოველად გვიხატავს და მის ფონზე წარმოაჩენს სულხან-საბა ორბელიანის არა მარტო გენიალურ ნიჭსა და ხამშობლისადმი თავდადებას, არამედ მის სულიერ ბუნებელობას, საკუთარი ერის ღირსებისა და უკვდავების ღრმა რწმენას, შეუფარავად ხასიათსა და ბუნებას. ამ ლრის საქართველოს მეჩვეურთათვის, საკუთარ პირიველნი ფუთარ კეთილდღეობას ანუ ბედნიერებ რომ ანაგვალენდნენ ერის ინტერესებს, ცხადია, სულხან-საბა ორბელიანისთანა პირიველნი ყოველდ მოელენი იქნებოდა და ამ ერის კაცმა მოელი თავისი ცხოვრება ლიეწანა და შეჩვენებაში გაატარა, ოღონდ ბეჭედნელად ხნორედ ამის მეოხებით იქცა ეროვნულ გმირად.

ყოველივე ამის შესახებ გურამ ხარაძის წიგნში დიდი ეკეთილისანელია და ამაგ ლრის ხალმაგის ბრძნობითაც ანის მოთხრობილი. წიგნი ცოცხლადაა დაწერილი, მწერლის ბოიკოდრაფია და შემოსქმედება ორგანულად არის ერთმანეთთან შერწყმული დანდაკავშირებული. ეს უფიფდ ახელის ეფექტს. „ამბავი ჩემი წინაპრისა..." აშკარად საინტერესოდ აკეთებენ, გვანაკუთრებინ ახალგაზრდობისათვის იქნება იგი დიდად სასარგებელი და საგულისხმო.

სულხან-საბა ორბელიანის შესახებ ქართველ მკითხველს უნდა გაიჩნდეს ერთი ვრცელი და მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული რომანი. ან მარტო ერთი რომა, იგი ქართველ მწერალთაგან უფრო ფართო ფიფიდ ეფიდ ღირსიაა. გურამ ხარაძემ სარეცენზიო წიგნით დაგვარწმუნა, რომ მასაც შესწევს უნარი შეეძიოს ამ დიდ და კეთილშობილეულ საქმეს.

გურამ ბეკრაძეიანელი

წიგნის მისამართია: ახალგაზრდობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

> გიორგი ზედგინიძე, მოთხრობები.
> გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1976 წელი

ერთმა მომცრო წიგნმა ჯერ გარეგნული იერით მიიქცია ჩემი ყურადღება, დატოტვილი ხეები რაღაც მნიშვნელოვანის სიმბოლოდ მეჩვენა (მხატვარი გ. ღლონტი). წიგნისადმი ინტერესი იმასაც აღმძრავს, რომ მისი რედაქტორია ჩვენი ცნობილი მწერალი რევაზ ჯაფარიძე. ავტორიც მეცნო: გიორგი ზედგინიძე, მოთხრობები. ანოტაცია ჩავთვალიერე და გამახსენდა ამაკე ავტორის რომანი „დედის ტაძარი“, რამდენიმე წლის წინ რომ სიამოვნებით წავიკითხე. ეს რომანი მეხსეთ-ჯვეთეთის წარსულზეა დაწერილი და საქართველოს ამ მშვენიერი და ტანჯული მხარის მკვლევრია სულიერ გაუტეხლობას გვიხსნის, სამშობლოსთვის თავდადებას გვიჩვენებს.

ახალი წიგნის პირველსავე მოთხრობას, უფლისწულის ხვედრი“ კვლავ „ზორეულ წარსულში, „, დედის ტაძართან“ შედარებით კიდევ უფრო უძველეს, გიორგისა და თამრის ეპოქაში გადავყავართ. მხოლოდ, თუ რომანში ბრძოლაა და კეთილი თანაბარი სიძლიერით იყო წარმოსახული, მოთხრობა ასეთი ფარო ოი ზედვინათვის ვეღარ გამოადგებოდა ავტორს და მანაც თავისი ეურადღება მიაპყრო ჩვენი ეროვნული უბედურების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს — ფეოდალების შუღლსა და გაუტანლობას, უკიდურეს პატივმოყვარეობასა და უგულოებას, რასაც ისინი ერის, სამშობლოს ღალატამდე მიჰყავდა. ამირსპასალარ ივანე ორბელიანის შეთქმულება გიორგი მეფის წინააღმდეგ ერთი ფრიად საგულისხმო მწარე ფურცელია ჩვენი ისტორიისა და მწერალმაც სწორედ ეს კონკრეტული ამბავი მოგვითხრო შაატვრელად საინტერესოდ, შთამბეჭდავლად.

ამ მოთხრობაში ისტორიული წარსული რა იმე ახალი ფაქტით ან ინტერპრეტაციით არ არის წარმოდგენილი, მაგრამ მისი ღირსება იმ ეროვნული ზემოქმედების ძალაშია, რომლითაც იკითხება ნაწარმოები, იმ განწყობილებაშია, რომელსაც გვიქმნის იგი, იმ შეგონებაშია, რასაც ასე ძალდაუტანებლად გვინერგავს იგი, ეს ყველფაერი კი პატრიოტული სულისკვეთებითაა შთაგონებული.

მომდევნო მოთხრობა „სამშობლოს მიწა“ დავით ბერაბაშვილის ცხოვრების ბოლო წლებზეა დაწერილი. საოცარია, მაგრამ ასეა, რომ ქართული ლექსის განახლება, აღორძინება, ახალ მწვერვალზე აყვანა რუხთველის შემდეგ სწორედ იმას ეძგუნა ბედმა, ვინც ათეული წლების მანძილზე ქართული მიწიდან ცხრა მთას იქით ცხოვრობდა, ვისაც ცოცხალი ქართული მეტყველება ესმოდის შემდეგ ალარე მოეცნინა. ამ მოთხრობაში დავით გურამიშვილის ის გულისფაცქალია გადმოცემეული, რომლითაც ოთხმეტ წელს გადაბეჯნებულმა დიდმა ქართველმა პოეტმა გადაწერა „დავითიანი“ და კრემენტუაში ბეჭისწერის ძალით მოსვედრილ ბატონიშვილ მირიანს მიართვა თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის გადასაცემად.

და რიცა ვირწმუნებთ, რომ ეს მომცრო კრებულიც ისტორიული მოთხრობებისაგან არისო შემდგარი, ავტორი მოულოდნელად თანამედროვე ცხოვრებაზე გვთავაზობს ორ მომდევნო ნაწარმოებს. „ვინც დაუშვებს“ ანც სოფელად ბიეზეა დაწერილი. დედასაც და სოფელსაც მასზე ხელი აქვთ ჩაწერული, მაგრამ, თურმე, ეს ბიეი კეთილშობილენი არის სავნე და რიცა საქმე საქმეზე მიდგება, კიდეც გაამდავნებს თავის შინაგან ღირსებას.

„გურგენიძის ბალდადი“ მეხსეთში ჩამოსახლებულ ერთ იმერეულ კოლმეურნეზე მოგვითხრობს. მისი უკან, ბალდადში დაბრუნების ახირებული სურვილის უეცარი გაჭარწყლება ავტორს მახვილგონიერიულად აქვს გადაწყვეტილი. აქ, მეხსეთის მიწაზე, კლდეზე წამომართული ეკალუნის კარს ზემოთ, თურმე, როგორც შემთხვევით შემოსვედრილი მეცნიერები აუსსნიან ლეგენდას, ასეთი წარწერა ყოფილა: „მე ეჩქეთმან გურგენიძემან აღვაშენე ესე ეკალუნა...“ და გალაკტიონ გურგენიძეც გულუბრყვილოდ გაიოცებს: „აჯანა არ ყოფილა ჩემი მამა-პაპათა ძველი ხამკვიდრო?!“

ავტორმა ამი გადაააკვეთა ერთძანეთს საქართველოს წარსული და თანამედროვეობა, მეხსეთ-ჯვაბეთი, თუ ქარალი და იმერეთი. და ყდაზე წარმოსახული დატოტვილი, ერთიმანეთში ჩახლართული და ნაზრდილი ხეებიც სწორედ ამ ერთიანი, მთლიანი, მრავლისუკუნონვანი, მაგრამ მყარად და ამაყად მდგარი საქართველოს სიმბოლოდ იკითხება.

მოთხრობები ამკარად უპრეტენზიოა, არცკი გვიჩნდება მასში განსაკუთრებული ხიერმეტის თუ ნიასლეების ძიების სურვილი. კრებულის პირველივე ფურაზეი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ავტორი უბრალოდ, ხადად ვეიყვეტა და თან გვიხსნის კიდეც თავის საოქმელს, რომ მისი სიტყვა ახალგაზრდობისადმი არის მიმართული. კრებულის კითხვის დროს, ეს სულ უფრო ნათელი ხდება ჩვენთვის.

ამ წიგნის მოზაწესახასულებაც და ღირსებაც ისაა, რომ ახალგაზრდობას გაახსენოს წარსულის მწარე თუ დიდებული მაგალითები, დაანახოს თანამედროვე ცხოვრების ნათელი მხარეები და ასე ჩაუნერგოს მას ის პატრიოტული გრძნობა, რასაც შეერონანა საქართველო და რაც ჩვენი მომავლის, ჩვენი ერისა და სამშობლოს უკვდავების მთავარი პირობაა.

რამაზ ყიფლიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი მოთხრობა

 სოსო პაიჭაძე. უკანასკნელი დუღელი. გამომცემლობა „მერანი", 1977 წელი

ერთი შეხედვით ამ მოთხრობებში არაფერი ხდება, ბიჭუნაან სამყაროში ჭაღლის და მამაკაცის ურთიერთობა ზოგჯერ ისე გამოიკვეთება რომ მათ სახეებს წამით თუ კაანაბუნს ღამეული წყვდიადიდან უცაბედად გამოჩკრთალი შუქი. მერე ეს წყვილი კვლავ ბურუსს უერთდება, ახლადგარდაცვალილი შვილის ჯერ კიდევ თბილი სამარე ამოუფსებელი ბზარივით გაჩენილია ცოლ-ქმრის ურთიერთობაში. ბზარი თანდათან ფართოვდება, ღრმავდება, თვალჩაუწვდენელ უფსკრულს ემსგავსება. ამ უფსკრულს თან დაატარებენ ისინი უდიდესი სიფრთხილითა, მაგრამ უმთავრესი მაინც ის გახლავთ, რომ ეს უფსკრული ხალრთია. „მაშინ პირველად იგრძნო ასე ცხადად, რომ უყვარდა ქმარი, მაგრამ ეს ცოლ-ქმრული სიყვარული კი არა, რაღაც სხვა გრძნობა იყო, ისეთივე, როგორიც აკაშრებდა მარიას ამასთან, მის წოალში რომ იძვრიდა, ასე ჯიჯგნელ-თური ტკივილებით სტანჯავდა, ერთდროულად სძულდა და უყვარდა კიდეც. უფრო კი სძულდა, უნდოდა გაეხრიბა, გაენადგურებინა და განთავისუფლებულიყო ამ ყოფისაგან, მაგრამ ამ სიძულვილში იყო რაღაც ბედისწერული, აზრმიუწვდომი და უსახელო სამაყის მატარებელი". („მეოთვეზზე").

„მეოთვეზის" და „უკანასკნელი დუღლის" ავტორს ამბავი ნაკლებად აინტერესებს, უმნიშვნელოა სიუჟეტური კვანძი საკმარისია მისთვის, როგორც მწერალისთვის, რომ პერსონაჟთა სულიერი ძვრების ფსკერზე ჩაიძიროს. ასეთ გარემოში კი სოსო პაიჭაძე ფრიად თავისუფლად გრძნობს თავს და უბრალო ფსიქოლოგიური ნიუანსიც კი არ რჩება შეუმჩნეველი.

ერთადერთი დამაკავშირებელი, ცოცხალი ძარღვი — შვილი — ალარ არსებობს, სანაცვლოს შეკვნა ან გამოგონება ურთიერთს ფსიქოლოგიურ დაძაბულობას იწვევს. ყოველი უმნიშვნელო დეტალის გახსენება მრავალი ასოციაციას ბადებს და ამ დაკიმული, ნაძალადევ ურთიერთობას უფრო ხელოვნურსა და ამაოს ხდის. ცოლ-ქმრის კანტიკუნტები დილოგიც უფრო მოვალეობის მოხდასა ჰგავს, ვიდრე ბუნებრივ, ძალდაუტანებელ საუბრის. თავიანთი თავში ჩაკეტილნი და ჩაღრმავებულნი გაშმაგებით ეძებენ გზას, რომელიც გააპრობილებს მოუშუშებელ ჭრილობას, აღადგენს დაკარგულ ბარმონიას, მაგრამ ამაოდ, მწუხარე სული ილუზიებს ალარ ემორჩილება, ინერციით იქოცენ მიღის, სადაც ხსნა არ ჩანს.

„დაბაგრული სხეული ეთანხმებოდა და მხოლოდ ამ ეწამიერი დაშოშმინებისას ისევ ახსენდებოდა კანტიკუნტები ფარნების მბეუტავი ნათურები, მღვრე, ბრმა შუქით რომ ანათებდნენ ღამეული ნისლით შედედებული ბინდში, რბილად ფეთქავდნენ და მათი იკრობბუსუნებისანი ფაფუკი სიგლუვე ხელისგულებზე ელამუნებოდა მარიას... შორს კი, მაღალი სახლებით მოზღუდული ქუჩის შუქდაფენილი დასალიერიდან კრიალა ასფალტი ნელი მდინარის გადასავარდნიეთ იქცეოდა სანაპირო ზოლის სიმრუმეში, ყოველივის აჩქარებდა, მიათრევდა და მარიასაც ისევ გრძნობა ჩქონდა, თითქოს რაღაც გარდუვალობას მიმავალა ამ ვიწრო ჩიხში, ძალით იყო შემოგდებული, არც უკან დაბრუნება შეიძლებოდა, არც გადაბვევა და ერთადერთი გზა მხოლოდ წინ იყო, ჯერ უხილავი, ხალხმრავალი მოედნისაკენ".

სოსო პაიჭაძის მოთხრობების პირველ წიგნს „უკანასკნელი დუღლი" ჰქვია. წიგნში შესულია ორივე მოთხრობა „მეოთვეზ" და „უკანასკნელი დუღლი" თავის დროზე „ცისკარში" დაიბეჭდა და დაბეჭდვისთანავე მიიპყრო მკითხველთა და კრიტიკოსთა ყურადღება. ისინიც კი, ვისაც სოსო პაიჭაძის სტილი „ეძნელათ" და ბუნდოვნად მოეჩვენათ, აღიარებდნენ პირველი მოთხრობების ავტორის თავისებურ ხელწერას და უდავო ნიჭს. მე არ ვიზიარებ მათ მოსაზრებას, თითქოს ეს ორი მოთხრობა ძალზე გაბუნდოვანებულია და გართულებული. ბუნდოვანების ილუზიას ადამიანთა სულიერი ლაბირინთების დაუსრულებელი ძიება ქმნის. როგორც მოგახსენეთ, სოსო პაიჭაძეს, როგორც მწერალს, „ამბების" პრობლემა ნაკლებად აინტერესებს და შესაბამერი ინტერესით, სიჭიუტით იკვლევს, ეძიებს, ხსნის თავის აგრსონაკთა სულიერ სიმაყაროს. ცდილობს გაპაკეკს ცნობიერების შეუჩერებელი ნაკადის მდინარეზეს. სოსო პაიჭაძე არ ღალატობს თავის ხტილს და მერიე მოთხრობაშიც „უკანასკნელი დუღლი" უფრო აღრმავებს და აფართოებს ძნელად სავალ გზას.

წიგნის წინასიტყვაობაში თამაზ ბიბილური წერს: „ვიდრე პირველი ფურცელი გადაიშლებოდეს, მოდიან, შორს გავიხედოთ და რწმენით ვიფიქროთ მწერლის ლიტერატურულ მომავალზე". „უკანასკნელი დუღლი" მართლაც რწმენით გვაფიქრებინებს სოსო პაიჭაძის მწერლური მომავალზე. აღებულ სიმაღლეს შეგუებული მკითხველი უფრო მეტს მოელის წიგნის ავტორისაგან.

ბეჟი ალხაზიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი წიგნი

„გაზაფხულის ფოთლები“,
გამომცემლობა „ქართული“,
1977 წელი

კოპეზიის მოყვარულებმა ახლახან მიიღო ახალგაზრდა პოეტის ბაღათერ არაბულის ლექსების წიგნი „გაზაფხულის ფოთლები“.

„პირველი წიგნი პირველი შაში და იმედია მკითხველთან შეხვედრის წინ.“ — წერს ავტორი წიგნის წინასიტყვაობაში, იგივე შეიძლება თქვას, ალბათ, მკითხველმაც, რომელიც ასეთივე შიშით და იმედით ელებს ხელში ყოველი ახალგაზრდა ავტორის პირველ წიგნს.

„მიწა დამიგე, შენი თბილი ზეცა დამბურე, შენთვის ამოდერე, მაგალობე და მამსახურე. ეკლიან გზებზე ფეხშიშველი შენს წინ მატარე, თუ არ აპენდეს, იმ ციხეში მეც ჩამაგანე“, — წერს პოეტი. თითქოს მამულისადმი ამ მიმართვას ტრადიციული ნთქვამის ელფერი დაკრავს, მაგრამ როცა გაგვახსენდება, რომ ღღეს ახალგაზრდა პოეტების ლექსებში ხშირად ერთგვარი გულგრილობა იგრძნობა პატრიოტული და პუბლიცისტური თემატიკისადმი, დიახაც რომ გვიხარია ახალგაზრდა პოეტთან შეხვედრა, რომელსაც პირველივე ლექსიდანვე მკაფიოდ აქვს გამოკვეთილი თავისი მოკალკეობრივი მრწამსი.

ბაღათერ არაბულის ლექსები ყურადღებას იქცევენ, უპირველეს ყოვლისა, ნათელი და გულწრფელი ინტონაციით. გულწრფელია პოეტი იქაც, სადაც დედისადმი მძღვნილ ლექსს ძველ პრიმიტივს არქმევს: „ავს და კარგს განსჯა უნდა ყოველთვის, ხილვა მზეარეს და გრილოს: — ხალათს მსეფრის და ხალათს პოეტის კაი ყმა იცმევს, შვილო“, დედის ამ სიტყვებში ისეთი სიბრძნეა, რომელიც თავის ცხოველმყოფელობას არც ერთ დროში არ დაკარგავს და მისი ძველ პრიმიტივად მონათვლა, თუნდაც უალრესად თანამედროვე ფორმისა და შინაარსის ლექსების გვერდით, არ უნდა იყოს გამარილებული.

ბაღათერ არაბულის ამ წიგნს ძიების მკაფიო კვალი ატყვია. ამიტომაც ტრადიციული, რითმიანი ლექსების გვერდით ვხვდებით ვერლიბრსაც და თეთრ ლექსსაც. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ პოეტი იქ უფრო ძლიერია, სადაც ტრადიციულ ხალექსო ფორმებს მიმართავს, ალბათ იმიტომ, რომ მისი ხათქმელი ამ წიგნში თავისი შინაარსისა და აზრობრივი დატვირთვის გამო რითმას უფრო მოიხდენს.

არის ამ წიგნში ზოგიერთი ლექსი, რომელშიც პოეტის ხათქმელი არაა დამაჯერებელი, მაგრამ როდესაც იგი წერს: „მე მოვალ მთვარის ლაბრილი ხიდით და ვარსკვლავების მკრთალი მძივებით, თუკი მეკნება შენი იმედი, მოლოდ იმედი — თუნდაც მცირედი... მე მოვალ, რათა შენს გაშლილ ველებს, მწვანე ამოიებს და ქნდებს მივცე ჩემი ობოლი ცრემლის სისველე, ჩემი ობოლი მთვარე და სევიცე“, გეკრა მისი, შაში ჭრება და იმედით ივსება. ხოლო როცა წიგნს ბოლომდე ჩიკითხავ, როცა შენერიდები ლექსებზე: „მგზავრი“, „არ ღირსებოდეს“, „ხეესურეთი, ხალვა: დაცალილი სოფელი“, რწმუნდები, რომ პოეტი სწორი გზით მიდის და ბევლ უფრო ღირსერ და გამოკვეთილ სიტყვას იტყვის.

ელდარ ნიკურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიგიზ გიორგაძე

ანატოლი კარპოვი: მატჩ-რევანში ალბათ არ დამჭირდება...

ჭადრაკის სამყაროს შეუნელებელი ინტერესით ელოდება მატჩს მსოფლიო პირველობისა ა. კარპოვსა და ვ. კორჩნოის შორის, რომელიც ამ ზაფხულში უნდა გაიმართოს. ეს დიდი ორთაბრძოლა გულდასმით, ღრმა მოიაზრებას მოიმოგოვს. მსოფლიო ჩემპიონმა თავდარეგი დაიჩირა და მზადებას შერშან დეკემბერში შეუდგა. ამისთვის აირჩია მან ბორჯომის ხეობის თავლწარმტაცი აბარაკი ლიკანი.

სწორედ ამ დროს ჟურნალ „ცისკრის“ დამალულებით ლიკანში შეეხვნენ ანატოლი კარპოვს. იგი მაქსიმალურად გაუფრთხილ ინტერვიუებს, მაგრამ ამჯერად დიდი სურვილი გამოთქვა ისაუბრა „ცისკრის“ ჟურნალისტებთან.

ვიდრე ინტერვიუს შეგიფრთავაზებთ, გაეცანით ამ გამოსაცანი მოგზაურობის მოკლე სავიზიტო ბარათს.

ანატოლი კარპოვი დაიბადა 1951 წლის 23 მაისს ქალაქ ზლატოუსტში, ურალში შემდგომ მისი ოჯახი ტულაში გადმოსახლდა. ჭადრაკი ოთხ-ხუთეული წლისამ გაიცნო, თამაში ისწავლა ბაბამ ეკვანი სამრონის ძმ, ზლატოუსტის ერთ-ერთი ქარხნის, ინჟინერმა. 9 წლის ანატოლი უკვე პიონერულთანრგოსანია, თერმიტისამ მოიპოვა ოსტატობის კანდიდატის, თხუთმეტისამ — სპორტის ოსტატის, ცხრამეტისამ — საერთაშორისო დიდოსტატის წოდება. ნიჭიერ ყმაწვილს ბედმაც გაუღიმა. ცამეტი წლისა იყო, როცა მიხეილ ბოტვინიკმა თავის დაუსწრებელ საჭადრაკო სკოლაში მიიწვია. მერე მისი მწვრთნელობა იესარ თეორიის შესანიშნავმა მცოდნემ, ცნობილმა დიდოსტატმა ს. ფურმანმა, რომელთანაც თანაშრომლობა დღემდე გრძელდება.

დიდი კარპოვის სპორტული მიღწევები. 1969 წელს იგი გახდა მსოფლიო ჩემპიონი ჯაბტკებში. შორის. 70-იან წლებში ახალგაზრდა დიდოსტატი თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს. 1972 და 1974 წლებში მონაწილეობს XX და XXI საჭადრაკო ოლიმპიადებში, 1973 წელს ევროპის პირველობაში როგორც საბჭოთა გუნდის წევრი და ჩემპიონის ოქროს მედლებს იმსახურებს.

1973 წლიდან კარპოვი მონაწილეობს ბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონ რ. ფიშერთან მატჩის თამაშის უფლებისათვის. იგი აცხადებს, რომ პირველობის 1972-1975 წლების ციკლში მას დიდი პრეტენზიები არა აქვს. მაგრამ საქმე ისე აეწყო, რომ თავად გახდა პრეტენდენტი. ჯერ კარპოვმა გაიმარჯვა საზონთშორისო ტურნირში (პირველი-მეორე ადგილი გაიყო ვ. კორჩნოისთან); მერე პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში სძლია ლ. პოლუგაევსკის (3 მოგება, 8 ყაიმი), ნახევარფინალში დაამარცხა ბ. სპასკი (4 მოგება, ერთი წაგება, 6 ყაიმი) და ფინალში — ვ. კორჩნოი (3 მოგება, 2 წაგება, 19 ყაიმი). მაგრამ რ. ფიშერთან მატჩი, რომელიც 1975 წელს იყო დანიშნული, არ შედგა. 1975 წლის 24 აპრილს მოსკოვში ფიდე-ამ ანატოლი კარპოვი მსოფლიოს მეფორმეტე ჩემპიონად გამოაცხადა და იგი დაფნის გვირგვინით შეამკო.

ჭადრაკის მეფედ ყურთხვეის საზეიმო ცე-

რეგბონიალზე ახალმა ჩემპიონმა განაცხადა, რომ იგი ხშირად ითამაშებს ტურნირებში და ხელს შეუწყობს ჭადრაკის წინსვლას. მართლაც, კარპოვი სისტემატურად მონაწილეობს უმაღლეს დონის შეჯიბრებში. 1975 წლის ზაფხულიდან 1977 წლის ნოემბრამდე ექვს ითამაშა 12 დიდ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირში, რომელთაგან ათში პირველი ადგილი დიაკონა.

კარპოვის სპორტული მიღწევები იმდენად დიდი და შთამბეჭდავია, რომ საჭადრაკოტურნირ-ნალისტთა საერთაშორისო ასოციაციამ იგი ოთხჯერ — 1973, 1974, 1975, 1976 წლების მსოფლიოს უყველაზე უძლიერეს ოფიციალურად აღიარა და „ასაჭადრაკო ოსკარით" დააჯილდოვა. ეს უმაღლესი ჯილდო 1967 წელს დაწესდა და იგი მიღებული აქვთ მხოლოდ მ. სპასკის (ორჯერ) და რ. ფიშერს (სამჯერ).

— რისთვის გიყვართ ჭადრაკი?

— **ბევრი მიზეზის გამო. მაგრამ მოკლედ ვიტყვი: ჭადრაკი — ჩემი ცხოვრებაა.**

— ნუთუ ზოგჯერ მაინც არ გგიზრდებიათ იგი?

— **როგორ არა, მაგრამ იშვითად. როცა თვალს მომშვრის, საკმარისია დავისვენო ოთხი კვირა და კვლავ მიზიდავს.**

— როგორ ახერხებთ უნივერსიტეტში სწავლას და შეჯიბრებებში მონაწილეობას?

— **ადვილი როდია. ზოგჯერ ძალიანაც მეჭირს.**

— ბლბათ დროის განაწილებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ. როგორ ახერხებთ ამას?

— **ვმეცადინეობ, როცა შეჯიბრებებიდან თავისუფალი ვარ. ცხადია, ლექციებსაც ვესწრები. ტურნირის დროს ჭადრაკს თითქმის 8-9 საათს ვუთმობ. ეს დრო სპორდეკი მეტოქის. თამაშის ავ-კარგის მიგნებას, პარტიისთვის მზადებას, გათამაშებული პარტიის ანალიზს. რა თქმა უნდა, დროს წინასწარ ვგეგმავ. ახე რომ არ მოიქცე, დრო არაფერს ჰყოფნის.**

— როგორ ხართ განწყობილი ფიშერის მიმართ?

— **როგორც მოჭადრაკისადმი, პატივისცემით.**

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ფიშერმა თავი აარიდა თქვენთან მატჩის თამაშს?

— **დიახ. მაქვს საფუძველი ასე ვიფიქრო. ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან მინდოდა, რომ ჩვენი მატჩი შემდგარიყო, და ვფიქრობ, რომ ჩემს მხრიდან ამისთვის ყველაფერი გავაკეთე.**

— მგონი, თქვენ მერე შეხვედით ფიშერს და შესაძლებელ შეხვედრაზე ითათბირეთ კიდეც?

— **როგორ არა. შეხვედით იაპონიაში და შემდეგ ესპანეთში. მაგრამ ვერ შევთანხმდით რეკლამენტში. იგი მოითხოვდა გვეთამაშა მატჩი ან ოთვეულელ პარტიამდე, ისე როგორც ეს მსოფლიო პირველობაზე თამაში ხდება და რომელიც ფიდე- მ არ მიიღო. მაგრამ ჩვენი შეხვედრა შეიძლება იყოს მხოლოდ ამხანაგური. მე მხარს ვუჭერ ფიდე-ს მიერ აღიარებულ მსოფლიო პირველობის გათამაშების პრინციპებს. ფიშერი კი ფიდე-ს გაუდგა. დამრჩა შეთამეჭდილება, რომ ფიშერს თითქოს თამაში არა სურს. ყოველ შემთხვევაში, ხუთი წელია მას ერთი პარტიაც არ უთამაშია. თუ მაინც შედგა ჩვენი მატჩი, 1979 წელზე ადრე აღარ გაიმართება, რადგან მე უკვე დაკავებული ვარ მზადებით მსოფლიო პირველობაზე ოფიციალური მატჩისთვის.**

— როგორია თქვენს მიერ შეთავაზებული მომავალი პირველობის მატჩის ახალი წესი, რომელიც ფიდე-მ მიიღო ამას წინათ?

— **ამ წესით მეტოქეები თამაშობენ ექვს მოგებულ პარტიამდე. როიმლის დროს ეკიმეები მხედველობაში არ ყოფილა. პარტიების რაოდენობა განუსაზღვრელია. ეს ახალი წესია როდა. 1927 წელს გამართული კაპაბლანკა-ალიოხინის მატჩშიც თამაში ექვს მოგებამდე იყო. ორთაბრძოლის ასეთი პირობა უბიძგებს მოჭადრაკეს იყოს აქტიური, პოზიციაფფოფს გაპარკვეგებისკენ. ახალი ისაა, რომ ფარი ეფქვი მატჩის ყიმის შემთხვევაში შევინარჩუნო ჩემპიონის ტიტული, როგორც ეს უწინ იყო მიღებული. მის მაგიერ შევთავაზე დამარცხებულ ჩემპიონს ჩქონდეს მატჩ-რევანშის უფლება. ეს შეხვედრა ამავე პირობებით უნდა გაიმართოს, როგორც ძირითადი მატჩი. მე ალბათ ეს მატჩ-რევანში არ დამეშირდება, მაგრამ მისი არსებობისაკენ მხოლოდ საჭადრაკო სამყაროო მოიგებს.**

— როგორია თქვენი საჭადრაკო მრწამსი?

— **ბევრს არ ესმის ჩემი თამაში, საჭადრაკო პარტიისადმი ჩემი მიდგომა. ჩემთვის ჭადრაკი, უპირველეს ყოვლისა, სპორტია და არა „ეშმაწყი ხელოვნება". მხედველობაში მაქვს არა სპორტული მიღწევა, არამედ სპორტული სუნთქვა — შემოქმედებითი და ფსიქოლოგიური ბრძოლა.. არიან მოჭადრაკეები, რომლებიც ყოველი ტურნირის წინ, წინასწარ ვეგმავენ, ვინთან თამაშობენ ყიმზე, ვისთან ზოგებზე. სწორედ ესაა სპორტული ანგარიშიანობა. მე კი ყველა პარტიის მოგებაზე ვთამაშობ, ოღონდ სხვადასხვანაირად მეტოქის სტილთან დამოკიდებულებით. მაგრამ თუ თამაში ერთადერთ სწორ გზას ვხედავ, მას მიეჭეუვები, ვინც არ უნდა იჯდეს ჩემს წინ. რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში ვცდებოდით ჩემი თვალსაზრისით მი-**

ზანშეწონილ გადაწყვეტილებას. საერთოდ კი ვთამაშობ „სწორ ჭადრაკს“, გავუბრვერ[illegible] რასს, ვისწრაფვი ბრძოლის ბედი ტექნიკური საშუალებებით გადაწყვეტო. ვფიქრობ, რომ ჭადრაკის ლოგიკა სწორედ ამას მოითხოვს...

— ეს თქვენი პირადი დამოკიდებულება საჭადრაკო ბრძოლის მიმართ. საერთო შეხედულება როგორია?

— დღეს მოჭადრაკე უნდა მიისწრაფოდეს უნივერსალიზმისკენ. საქმე ისაა, რომ ჭადრაკი სულ უფრო სპორტული, ინდივიდუალური ხდება. მოჭადრაკე უნდა ფლობდეს ბრძოლის ყველა მეთოდს, მაგრამ ერთს მათგანს განსაკუთრებით კარგად, ისე ვიტყოდი, ვირტუოზულად. ეს შეიძლება იყოს კომბინაციური თამაში, ან სადებიუტო თეორიის ცოდნა, საინდშეალო ტექნიკა და სხვა. უწინ ამბობდნენ, რომ მოჭადრაკე ყველაფერს ერთნაირად კარგად უნდა ფლობდეს.

— თქვენი აზრით, რა გზით წარიმართება ჭადრაკის განვითარება, მაგალითად, XXI საუკუნეში?

— ძნელია ამის განჭვრეტა. სწრაფად ვითარდება ადამიანის გონება. სამეკნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ შექმნა მანქანები, რომლებიც ჭადრაკს თამაშობენ.

— ხომ არ იქნება საჭიროა თამაშის წესების შეცვლა?

— არა. ჭადრაკი იმდენად რთულია, იმდენად საინტერესო, რომ აზრი არა აქვს ახალი წესების მოგონებას.

— ჭადრაკის მოთამაშე ელექტრონული მანქანა ხომ არ დაკანონებს ჩვენს საყვარელ თამაშს?

— არა მგონია. ადამიანი შემოქმედია. ჭადრაკის საწყისიც შემოქმედებაა. მანქანა კი ახალთი არასოდეს იქნება.

— ვის დასახელებდით ჭადრაკის ისტორიაში დიდ მოჭადრაკეებად?

— ყველა მსოფლიო ჩემპიონს. კიდევ იმ მოჭადრაკეებს, რომლებსაც ბედმა არ გაუღიმა, თუმცა ინსპირებდნენ ამ ტიტულს თავისი მიღწევებით და შემოქმედებით. ესენი, პირველ ყოვლისა, არიან პაულ კერესი, აკაბა რუბინშტეინი, მიხეილ ჩიგორინი, მერე არონ ნიმცოვიჩი, სამეფო რეშევსკი.

— თქვენ ამბობთ, რომ ჭადრაკი გაახალგაზრდავდა. რა გაქვთ მხედველობაში?

— ის, რომ ახლა მსოფლიო პირველობაზე პრეტენზიას უფრო მეტი ახალგაზრდა აცხადებს, თუმცა გათამაშების მიმდინარე ციკლში მათ ვეტერანებმა აჯობეს. პირველობის ისტორიას თვალი რომ გადაავლოთ, უწინ ამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა პრეტენდენტი არ იყო.

— ვის გულისხმობთ ამ ახალგაზრდა პრეტენდენტებში?

— ჩვენში ოლეგ რომანიშინს, რაფაელ ვაჰანიანს, იური პალაშოვს, ბორის გულიკოს, გენადი კუზმინს, ვიტალი ცეშკოვსს, საზდერგაროვი — ენრიკო მეკინგს, იან ტომანს, ოლეტერ ბრაუნს, ენტოლი ბალსს, იან სმეიკალს, რიბერტ ჰოუნერს. კინაღამ დამავიწყდა, ვლასტიმილ ჰორტს. მართალია, მას დიდი ხანია იცნობს ჭადრაკის სამყარო. ბევრს შეიძლება ვეტერანიც ჰგონია, სინამდვილეში იგი ახალგაზრდაა, უბრალოდ, ადრე გამოვიდა სარბიელზე.

— თქვენ იცნობთ ქართველ მოჭადრაკეებს. როგორი აზრისა ხართ მათს შესაძლებლობებზე?

— უნდა განვახსოვდეთ ქართველი მოჭადრაკე ქალები და ვაჟები. თქვენმა ქალებმა ქვეყანა გაიოცეს. ნამდვილად ეს ვიცი როგორ აგზნება მათი გამბარეულნი, შთამბეჭდავი გამარჯვებები. შეიძლება ეს თვით ქართველებმა გააკეთონ ხალხის ბუნების, ისტორიის და სხვა ფაქტორების შეჯერებით. მსგავსად ქართველებისა არც ერთ ერს მსოფლიოში არასოდეს ჰყოლია ამდენი ნიჭიერი მოჭადრაკე ქალი. ნონა გაფრინდაშვილი უნიკალური მოელენა. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ნონას შეუძლია იმდენ ხანს იყოს მსოფლიოს ჩემპიონი, რამდენიც მოესურვება. როგორ ეპიკერება ვაჟებს! ჩემი აზრით, იგი ამჟამად კარგი საერთაშორისო ოსტატი ვაჟის ძალით თამაშობს. ჩანს, დადოსტატიც გახდება. მას ერთი ბალი უკვე აქვს. დიდად ნიჭიერია ნანა ალექსანდრაიაც. მაია ჩიბურდანიძე ყველი ვაჟკაცივით მანამდე არნახული წარმატებებით. 16 წლის ასაკში დიდოსტატის წოდება ჭადრაკის ისტორიაში მხოლოდ ფიშერმა და ჩიბურდანიძემ მიიღეს. ეს რაღაცას ნიშნავს. მათს კვალს მიჰყვება ნიჭიერი თაობა ნანა ოთხოველნის, ნინო გურევიჩისა და სხვათა სახით. სხვათა შორის, ამ გოგონებმა შარშან ითამაშეს ჩემს ერთდროული თამაშის სეანსში, რომელიც საქართველოს ტელევიზიაში გავმართე. მაშინ მათ ჩემზე საუცხოო შთაბეჭდილება დატოვეს. გუშანვე არ მამაცუნა: დღეს ნანა და ნინო ცნობილი ოსტატები არიან, თუმცა ჯერ 17 წლისაც არ გამხდარან. გაზეთში ფიქრობენ, რომ საქართველოს ახალი ჩემპიონი ნინო მელაშვილიც 16 წლისაა. მისი ერთი წლით უფროსი და ქეთევანი ოსტატი ყოფილა. მოდი, ნუ იწამებ, რომ ყველა ქართველი გოგონა პოტენციური მოჭადრაკეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი ვიუები თითქმის არ ჩანან დიდ სარბიელზე. ჩემი აზრით, ეს დროებითი ამბავია. მათ ხელს უშლის ზედმეტად შთაბეჭდილებიანი ბუნება, აგრეთვე მოწღვევებული ტემპერამენტი. ამიტომაც მათი მიღწევები არაა სტაბილური. წაგება ისე მოქმედებს, თითქოს მათი მზე ჩაესვენა, სიცოცხლე აღარ ღირს. სულის სიძლიერე სწორედ იმაშია, რომ განსაცდელის ჟამს არ დაკარგო რწმენა, არ მიეცე ხასოწარკვეთილებას. წამიერმა გრძნობამ არ დაჩრდილოს გონება, არ დაგაკარგინოს იმედი. როცა თქვენი მოჭადრაკე ვაჟები ამას შეძლებენ, ჩემი აზრით, მათი შედეგებიც ამაღლდება.

— საინტერესოა, თავად როგორ ინელებთ წარუმატებლობას?

— ეს ჩემი საიდუმლოებაა. წინ კიდევ ბევრი ტურნირი და მატჩი მელოდება. ამ შეჯიბრებებში არ არსებობს წვრილმანი. ნებისმიერი ასეთი ინფორმაციაც ძალიან მნიშვნელოვანია. დღეასთან იბრძვიან არა მხოლოდ მოჭადრაკეები, არამედ პროგენებებიც...

— გამოდის, მტკიცე ნერვები გაქვთ?

— ნერვებს არასოდეს ვუჩივოდი.

— ჯანმრთელი ჩანხართ, რაკი ამდენი ფიზიკურ დატვირთვას უძლებთ, თუმცა თქვენი გარეგნობის მიხედვით ამას ვერ იტყვი. როგორ იწრთობთ სხეულს?

— ვცურაობ, ვთამაშობ ჩოგბურთს, ბადმინტონს, ბილიარდს, ცოტას დავრბივარ.

— მუსიკა თუ გიყვართ?

— ძალიანაც, ოღონდ განსაკუთრებით მსუბუქი, სიესტარადი მუსიკა. მაქვს კარგი ფირფიტები.

— ამბობენ, გატაცებული ხართ ფილატელიით?

— მართალია. იგი საუკეთო დასვენებაა. მარკებს ვაგროვებ თემების მიხედვით: ჭადრაკი, ოლიმპიური თამაშები, ფერწერა, საბჭოთა კავშირი. ამ ბოლო დროს ახალი გატაცება გამიჩნდა: ვაგროვებ ჭადრაკისადმი მიძღვნილ სამკერდე ნიშნებს, ჟეტონებს. რამდენადაც ვიცი, მათი კოლეკციონერი ნონა გაფრინდაშვილიც ვარ.

— თეატრი თუ გიყვართ?

— რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო მიყვარს ლენინგრადის დიდი დრამატიული თეატრის სპექტაკლებზე დასწრება. ამ თეატრის მსახვრული ხელმძღვანელია თქვენი თანამემამული გიორგი ტოვსტონოგოი.

— ელვისებური პარტიების თამაში თუ გიყვართ?

— მიყვარს, მაგრამ იშვიათად ვთამაშობ.

— „თვალხუჭული“ თამაშის შესახებ რა აზრისა ხართ?

— საინტერესოა. ყველა მოჭადრაკე თამაშობს „თვალხუჭუნად“, რაც გონებაში პოზიციას ანალიზებს. სეანსის გამართვა კი მავნებელი უნდა იყოს და მისი პროპაგანდა საჭირო არ არის.

— როგორია თქვენი მოვალეობა როგორც საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრისა?

— მავალია ჭადრაკის პროპაგანდა ახალგაზრდებს შორის.

— მართალია, თქვენ მოგზაურობთ ამ მიზნით, როცა დრო გაქვთ. მაგრამ ტელევიზიით ძალიან იშვიათად გამოდიხართ.

— ტელევიზია დიდი ძალაა ჭადრაკის პროპაგანდისთვის. ეს საქმე, კერძოდ საქართველოში, კარგადაა დაყენებული. მისასალმებელია, რომ გახსნილია ტელესაჭადრაკო სკოლები. დღეს, როცა სახელმძღვანელოებების ნაკლებობა იგრძნობა, ტელევიზიით ჭადრაკის სწავლება დიდებული რამაა. მწად ვარ ტელეგადაცემებში მივიღო მონაწილეობა, მაგრამ ჯერჯერობით როგორღაც ვერ ვიცლი. ყველაფერს კაცი ვერ გასწვდება, ისიც მსოფლიო ჩემპიონი, რომელსაც ყველაზე მეტი მოეთხოვება. მაგრამ ზოგჯერ მაინც ვახერხებ ტელემაყურებლებთან შეხვედრას. მარშან ჩემი გერთიროული თამაშის სეანსი ნორჩ თბილისელ მოჭადრაკეებთან ალმათ ბევრმა მოყვარულმა ნახა. მომავალში უფრო ხშირად შევხვდები ტელემაყურებლებს.

— ვიცი ახლა დაკავებული ხართ მზადებით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაცავად ბატონთან. ამიტომ მეტს აღარ შეგაწუხებთ. ურნალ „ცისკრის“ მეთხეველების და თქვენი ქართველი გულშემატკივრების სახელით გისურვებთ გამარჯვებას მომავალ მატჩში.

— გმადლობთ. ბედაღეცით ქართველ ახალგაზრდობას ჩემი საუკეთესო სურვილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირა

ტიკ-ტიკ

პაროდია

ნაწყვეტები გალიმეგული ფიქრიდან

გერმანიაში მოგზაურობის უთანმეჯილეგანი

ეს ყველაფერი მე მიამბო „არაგვში“ გალამ...

ფურმან ლეგანიძე

ბონს ვარ, გვეცქერი ბონს,
ბონის კანცლერს და რატუშას.
ლაჯანურს ვიხსენებ, ფონს,
და ჩემს ლადიკოს — ლადუშას.
გალაკტიონი — გალა
კალაძე კარლო — კალა!
ყანჩელსაც ვიგონებ ჩვენსას,
ხალომეს — მშვენიერ სალას.
ვფიქრობ ნობელიანტ კანცლერზე,
მაგრამ ჩვენია თქვან ზოგი:
ნაკლები არ იყვნენ არც ერთზე
ჩვენი დათუნა[1] და გოგი[2].
ქართველი უმჯობესი ერია[3] —
ეს უნდა გვახსოვდეს ძილშიც
ეს ყველაფერი სწერია
ვახო[3] მეექვსის წიგნში!
აჩიკო[4] მეფის წიგნშიც!

---

1. დათუნა — მეფე დავით აღმაშენებელი.
2. გოგი — მეფე გიორგი მესამე.
3. ვახო მეექვსე — მეფე ვახტანგ მეექვსე.
4. აჩიკო — მეფე-პოეტი არჩილი.

ერთის პირობით

მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი...

ჯანსუღ ჩარკვიანი

ნასმურევისთვის მიმატანინე ლუდი,
მეექუდისათვის შემაკერინე ქუდი,
ორსულისათვის მიმატანინე კიტრი!
ზოგიერთ ფილმზე წამაშლევინე ტიტრი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამანოებში დამადგმევინე „შკაფი!“
ლუდის ბაკლებში დამაკლებინე ქაფი!
ზოგის ლექსები შემაცვლევინე „შპონით!“
მოცურავისთვის მასწავლებინე ფონი!
მათქმევინე: „გოუი? რვა თუმნად?—ღირდა!“
მერე წამოვალ, წამოვალ, სცა გინდა!

„დეზერტირის ბაზარი“

შეირბინა ბაზარში, სამი ჩიტი იყიდა,
გამოვიდა ბაზრიდან და სამივე გაუშვა...

ვახტანგ ჯავახაძე

უცებ სადღაც იქუხა! მერე კიდეც თელვა!
და როდესაც შხაპუნამ უსაშველოდ დაუშვა,
„დეზერტირის“ ბაზრის წინ ერთმა მილიციელმა
სამი ქურდი გასკვანრა! და... სამივე გაუშვა!

მაია ჩიბუურდანიძე

სხვებს თუ ჰყავდათ სტეინიცი,
პოლ მორფი და ლაბურდონე,
ჩვენ — ნონა გვყავს!
ჩვენ — ნანა გვყავს!
და მაია — ჩიბურდონე!

უტიქსტო ხუმრობა რევაზ ჯაფიხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

ავსტრია

ზალცბურგის უნივერსიტეტის ფსიქოლოგი, დოქტორი ზეპ შტაინერი მეცნიერებს ურჩევს საწერად გამოიყენონ მწვანე მელანი და ჩალისფერი ქაღალდი. ავსტრიელი სწავლული უახლესი გამოკვლევების საფუძველზე დასაკვნის, რომ ჩალისფერისა და მწვანე ფერის კომბინაცია უფრო კარგია თვალისათვის, ვიდრე ტრადიციული თეთრისა და შავის კონტრასტი. ასევე სასარგებლო იქნებოდა წიგნების ბეჭდვა მწვანე ნიშნებით ჩალისფერ ქაღალდზე. ეს არა მარტო გაადვილებდა კითხვას, არამედ ხელს შეუწყობდა წიგნის შინაარსის უკეთ დახსომებასო.

ამერიკა

ჯეკი დაუგარნედა კენედეების ოჯახს

ჯეკი ოჯახის წევრებს შორის ტრიალებდა, როდესაც ბოსტონში ჯონ ფიცჯერალდ კენედის ხსოვნის აღსანიშნავად საზეიმოდ ჩაუყარეს საფუძველი მინა-ბეტონისაგან ნაგებ შენობას. სხვათა შორის, აქ იქნება მოთავსებული ბიბლიოთეკა, სადაც, სხვა ექსპონატებთან ერთად, თავმოყრილი იქნება განსვენებული პრეზიდენტის ნივთები. ეს შენობა ძალიან ძვირი დაჯდება, მაგრამ ვარაუდობენ, რომ მილიონობით მნახველი ეყოლება და ხარჯს მალე აინაზღაურებენ; ამასთან, კენედის გვარი ჯერ ხომ კიდევ აფორიაქებს ამერიკას. არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ტედ კენედიც მოსაწყალებს პოლიტიკურ შეხედულებებში, მარამ, ცხადია, იგი არასოდეს ცდება პრეზიდენტის პოსტზე დაკავებას თეთრ სახლში. ეი როზე კენედი, ფთელი დინასტიის დედა, წერდა, ვფეიფა ჩვენ სიკვდილია. და მაინც ამ ოჯახის ყველა წევრი თავის გზას მიჰყვება, თუნდაც ეს გზა შორდებოდეს დიდ პოლიტიკას. ახლა ეალინნი ნიუიორკის პრესის გამომცემლობა „ვიკინგის“ ლექტორია. ამას წინათ მან დაწერა წიგნი მეფის რუსეთში გაკრცელებული ჩაცმულობების თაობაზე. კალიფორნიაში ფოტოგრაფიასა და რეპორტაჟში ცდის ბედს. ჯონი ეს სულაც არა ფიქრობს პოლიტიკაზე; ამ მხრივ, როგორც კენედის ნაშიერი ერთგვარად ეთიშება კენედების ოჯახს. სხვათა შორის, მისი ძმა ჯოზეფი ჯონ ფიცჯერალდ კენედის ხსოვნის აღსანიშნავად შექმნილი ცენტრის დირექტორია.

მარგოიული-ბრეტა გარბო

„სადაც არ უნდა ვიყო, ყოველთვის შეშფოთებული და ეშვებითა ვარ აღსავსე. ალბათ, მუდამ ასეთი ვიყავი-მეთქი, ვფიქრობ. სიამოვნებით დავსახლდებოდი სადმე, ოლონდ კი ვიცოდე, სად“, — ასე უთხრა მწერალ ფრედერიკ სენდს სახელგანთქმულმა კინოვარსკვლავმა გრეტა გარბომ.

ლუთაებრივი გარბო, მარტოიული და ახირებული, ყოველ წელიწადს მიემგზავრება ხოლმე ნიუ-იორკადან ან ზაფხულის რამდენიმე თვეს შვეიცარიაში ატარებს. ეს პატარა და მყუდრო ბინას ქირაობს და ყველასაგან განრიდებული ფიქრებში იძირება, წერს, კითხულობს, დილა-საღამოს ლემანის ტბის შემოგარენში დასეირნობს; იმედგაცრუება და მწუხარება ახლა გრეტას ხშირი სტუმარია.

„ყველაფერი წყალმა წაიღო, ყველაფერი გაქრა. ამქვეყნად, აბა, რად უნდა იყოს ამდენი ჭირი და უბედურება?

საკუთარი ხელით დავაწერე ჩემი ცხოვრება, ახლა კი გვიანღაა რამეს შეცვლა. როცა ვხეირნობ, ვცდილობ გავიქცე ამ ქვეყანას, წარსულს; ხშირად მეწვევა ხოლმე სანანული, ახე არ უნდა მეცხოვრა-მეთქი...

არ გავთხოვილვარ და ეს უთუოდ შეცდომა იყო. ყოველთვის მეშინოდა გათხოვების, უკანასკნელი წამს გავრბოდი თავგზაანბეული. დარწმუნებული ვიყავი, ვერასოდეს გავხდები-მეთქი ღირსეული დიასახლისი“.

გრეტა გარბოს სახიყვარუ-

ლო ამბები თავის დროზე მით უფრო დიდი სენსაცია იყო, რომ ყოველივე იდუმალებით იყო მოცული. კინოვარსკვლავის რჩეულთა რიცხვს მიაკუთვნებდნენ მსახიობ ჯონ გილბერტს, ლეოპოლდ სტოკოვსკის (თუმცა იგი ყოველთვის ირწმუნებოდა, ჩვენს შორის მეგობრობის გარდა არაფერიაო), ნიუ-იორკელ მილიონერს ჯორჯ შლის, აგრეთვე სენსიი მაბოლს, ცნობილ ინგლისელ ფოტოგრაფს. თუმცა ყველაფერი ეს წარსულის ჩაბარდა. ახლა გარმო მოხუცებული და მარტოხელა ქალია, გაფრის უცნობებს, შავსათვალიანი უწერმრად გამოდის ქუჩაში. რამდენი წელიწადია ამბოლიარ შვეიცარიი ადარ ყოფილა.

ინგლისი

ალექსანდრა ელისაბედ შეიდიმ თორმეტი წლისამ გამოსცა თავისი პირველი წიგნი — „მას უყვარდა თავვეში". „უკვე გაიოდა ამ წიგნის ორმოცდაათი ათასი ცალი, ითარგმნა ფრანგულად ენაზე. ცხრა წლის იყო ალექსანდრა, წერა რომ დაიწყო. სამი წლის წინათ გამოქვეყნდა მისი მოთხრობა, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა. ამ ნაწარმოებში ავტორი, ვითარცა პატარა თაგუნა ელაესაბედის კარზე, ალეუის დედოფლის ქორწინებიან ინტიმურ კავშირს ეხეკსის პრინცთან. ეს გახართონი წიგნი დაწერილია ნატიფი სტილით; გახალცარია ნორჩი ავტორის დაკვირვების უნარი, მახვილი თვალი. ვიმეორებენ, ლიტერატურასთან ჩემი კავშირი ამით არ ამოიწურებაო, უთქვამს ალექსანდრას.

პოლონეთი

„უკანასკნელი წრე"

რეჟისორმა ჭანშტოფ როგულსკიმ დადგა სატელევიზიო ფილმი „უკანასკნელი წრე", რომელშიც ალწერილია ცნობილი მორბენალის, ოლიმპიური ჩემპიონის ინაუ კუსოჩინსკის სიცოცხლის უკანასკნელი თვეები. კუსოჩინსკი მოტლერიელებმა დახვრიტეს პალმირში. ამ ადგილას გერმანელები მასობრივად ხვრეტდნენ პოლონელი პატრიოტებს. სახელგანთქმული სპორტსმენის ხსოვნის აღსანიშნავად ყოველწლიურად ეწყობა საერთაშორისო შეჯრობება მძლეთნობაში.

გერმანელთა ოკუპაციის დროს ინაუ კუსოჩინსკი მაპატიერად იბრძოდა დამპყრობელთა წინააღმდეგ, სარგებლობდა იმით, რომ მომანად მუშაობდა რეტორანში და საიდუმლოდ ავრცელებდა პრესას, ცდილობდა ჩამოეყალიბებინა შეიარაღებული ბრძოლის კავშირის უჯრედი. მის ბინაზე უკვე დანიშნული იყო კონსპირაციული კრება, მაგრამ ბოლო წუთებში იგი შეიპყრეს და საპყრობილეში ჩაგდეს.

კუსოჩინსკის სცემდნენ, აწამებდნენ, მაგრამ არც ერთი ამხანაგი არ გაუცია. გესტაპოელმა კუსოჩინსკი ერთი სატუსაღლოდან მეორეში გადაყვიდათ. 1940 წლის 21 ივნისს იგი პალმირში დახვრიტეს სხვა პოლონელ პატრიოტებთან ერთად.

რეჟისორ ჭანშტოფ როგულსკის ფილმი „უკანასკნელი წრე" უფიოდ დიდი მოვლენა იქნებაო, ალნიშნავს პოლონური გაზეთი „ეიჩე ვარშავი".

ლიტერატურული პრემიები

შარშან პოლონეთის კულტურისა და ხელოვნების სამინისტროს ლიტერატურა მოპოვა მწერალთა დიდმა ჯგუფმა.

ცნობილი პოლონელ მწერალს იაროსლავ ივაშკევიჩს მინენეკა პირველი ხარისხის პრემია მოეთხრობათა კრებულისა და ესეების ტომეულისთვის „პეტერბურგი". უფრაწერი „ნოვე ქსიონეკი" ალნიშნავს იაროსლავ ივაშკევიჩის დიდ დამსახურებას პოლონური ლიტერატურის წინაშე და მის უკანასკნელი წიგნებს მწერლის უკნონი ტალანტის დადასტურებად მიიჩნევს.

პირველი ხარისხის პრემია მიენიჭათ:

ჰალინა აუდერსკას, ვისაც „ნოვე ქსიონეკის" რეცენზენტი პოლონური რეალისტური რომანის ტრადიციების გაგრძელებელის უწოდებს.

ლესლავ ბარტელსკის—პოეტს, პროზაიკოსს, ესეისტს, კრიტიკული ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორს რომანისათვის „ხისმელი ფრთები", ავრცელე „თანამედროვე პოლონელი მწერლების ლექსიფონის" შედგენისათვის";

იან დობრინინსკის — სპპეოთა კავშირზე ნარკვევების ავტორს; ზბიგნევ საფიანს — კინოსცენარის „ბიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტიან" ავტორს რომანისათვის „ხაარვისო ვეღი", რომელსაც კრიტიკა უკანასკნელი წლების საუკეთესო პოლიტიკურ რომად მიიჩნევს;

ეეი სტეფან სტავინსკის — „პოლონური კინოს მამას", წიგნების „ადამის კვალდაკვალ", „პინგვინი", „ეამი უმწეოვრცელესი" ავტორს მოეკი თავისი შემოქმედებისა და უკანასკნელი რომანისათვის „ახალგაზრდა ვარშაველის ჩანაწერები დაბადების დღეზე". ეს ნაწარმოება პოლონელთა ამ თაობის ბიოგრაფიად შეიძეგნა ჩაითვალოს, რომელმაც გაიცადა პატერეტული ოკუპაცია, ვარშავის აჯანყების ტრაგედია და გათავისუფლების სიხარული;

ზ. ბისტაშიკას — რომანისათვის „კინტაუზი";

სტეფან ვეხეკის — უბუკეს პოლონელ იუმორისტს, „ვარშავის მომდერალს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთი

პაბლო პიკასოს ლექსები

პაბლო პიკასოს შემოქმედების თაყვანისმცემლები მოუთმენლად ელიან მისი ლექსების წიგნის გამოსვლას. პიკასოს მხატვრული მემკვიდრეობის საკითხის მოგვარებასთან ერთად ამ წიგნს გამოსცემს პარიზის ერთ-ერთი გამომცემლობა. სიკვდილამდე ცოტა ხნის წინ პიკასომ თავის გულითად მეგობარს, ცნობილ კუბელ მწერალს ალეხო კარპენტიერს სთხოვა ფრანგულად ეთარგმნა მისი ესპანურ ენაზე ნაწერი ლექსები.

ალეხო კარპენტიერმა მადრიდის ჟურნალ „კუადერნოს პარელ დიალოგოსადმი მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ წიგნის პირველ გვერდებზე დაიბეჭდება პიკასოს დიდ პოემა „გრაფ ორგასის დაკრძალვა". მხატვრის ლექსები პოეტური ფიქრია სიცოცხლისა და სიკვდილის, სიყვარულის, სიხარულისა და შემოქმედების მარადიულ პრობლემებზე.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მახალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი სავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-44-78, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-26-35, განყოფილებათა გამგეები — 99-85-81, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 15. 12. 77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1. 2. 78 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საგ. თაბახი 15,35. შეკვ. № 3714. უე 08055. ტირაჟი 33.950.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ თუთურაშვილი „ზმირთა ვარამი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

12178

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236